

# კონსტანტინე კორპელია

როგორ უზრუნველვყოთ  
საქართველოში ადამიანის  
უფლებათა დაცვა ევროპული  
სტანდარტებით?



gtz



im Auftrag des

Bundesministerium für  
wirtschaftliche Zusammenarbeit  
und Entwicklung





## კონსტანტინე კორპელია

როგორ უზრუნველვყოთ  
საქართველოში ადამიანის  
უფლებათა დაცვა ევროპული  
სტანდარტებით?



**Prof. Dr. Konstantin Korkelia**

**Wie kann der Schutz von Menschenrechten  
in Georgien durch europäische  
Standards gewährleistet  
werden?**

Tbilissi  
2010

გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოება (GTZ) 1975 წელს დაფუძნდა და დღესდღეისობით მსოფლიოს ასზე მეტ ქვეყანაში მოღვაწეობს. GTZ-ი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის მიერ შექმნილი ორგანიზაციაა, რომლის მიზანსაც განვითარების სფეროში თანამშრომლობა და მხარდაჭერა წარმოადგენს.

გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტროს (BMZ) დავალებით GTZ-ი საქართველოში ახორციელებს პროექტს სამართლისა და სასამართლო სისტემის მხარდასაჭერად, რომლის ძირითად საქმიანობას კანონმდებლობის ექსპერტიზა, იურისტთა კვალიფიკაციის ამაღლების კურსების ჩატარება და ახალი იურიდიული ლიტერატურის შექმნა წარმოადგენს.

წინამდებარე წიგნი მომზადებულია ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. აღნიშნულ წიგნში გამოთქმული მოსაზრებები არ გამოხატავს ევროკავშირის ოფიციალურ პოზიციას.

Das vorliegende Buch ist mit finanzieller Unterstützung der EU erstellt. Die in dem vorliegenden Buch vorgestellten Meinungen sind keine offizielle Einstellung der Europäischen Union.

Das vorliegende Buch wurde mit finanzieller Unterstützung der Deutschen Gesellschaft für Technische Zusammenarbeit (GTZ) GmbH herausgegeben. Der Herausgeber übernimmt für die Richtigkeit und Vollständigkeit des Inhaltes keine Verantwortung.

წინამდებარე წიგნი გამოცემულია გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოების (GTZ) ფინანსური მხარდაჭერით. გამომცემელი არ იღებს პასუხისმგებლობას წიგნის შინაარსობრივი მხარის სისწორეზე.

© გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოება (GTZ), 2010

© ევროკავშირი, 2010

© კ. კორკელია, 2010

**ISBN 978-9941-414-12-2**



**gtz**



im Auftrag des

Bundesministerium für  
wirtschaftliche Zusammenarbeit  
und Entwicklung



## სარჩევი

წინასიტყვაობა . . . . .	9
წინასიტყვაობა . . . . .	11
როგორ უზრუნველვყოთ საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვა ევროპული სტანდარტებით? . . . . .	13
1. შესავალი . . . . .	13
2. რა იგულისხმება ადამიანის უფლებათა ევროპულ სტანდარტებში? . . . . .	14
3. რატომ უნდა გამოვიყენოთ ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები? . . . . .	21
ა) ევროპული სტანდარტების გამოყენება, როგორც შიდასახელმწიფოებრივ ნორმატიულ აქტთან კოლიზიის თავიდან აცილების საშუალება . . . . .	25
გ) ევროპული სტანდარტების გამოყენება, როგორც შიდასახელმწიფოებრივ ნორმატიულ აქტებში არსებული სამართლებრივი ვაკუუმის ამოვსების საშუალება . . . . .	27
დ) ევროპული სტანდარტების გამოყენება, როგორც ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების განჯვრეტის საშუალება . . . . .	29
ე) ევროპული სტანდარტების გამოყენება, როგორც ადამიანის უფლებათა ეროვნული სტანდარტების განვითარების საშუალება . . . . .	31
ვ) ევროპული სტანდარტების გამოყენება, როგორც სასამართლოს გადაწყვეტილებისათვის სამართლებრივი დამაჯერებლობის შემძენი საშუალება . . . . .	34
4. როგორია ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტების გამოყენების არსებული პრაქტიკა საქართველოში? . . . . .	36
4.1. საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ ევროპული სტანდარტების გამოყენების ფორმები . . . . .	43
4.2. საქართველოს საერთო სასამართლოების პრაქტიკა ევროპული სტანდარტების გამოყენების ინიციატივასთან დაკავშირებით . . . . .	53
4.3. ევროპული სტანდარტებით საქართველოს საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებათა დასაბუთების პრაქტიკა . . . . .	55
5. რა ფაქტორები აბრკოლებს ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტების გამოყენებას საქართველოში? . . . . .	61
6. რა უნდა გაკეთდეს, რომ საქართველოში ადამიანის უფლებები დაცული იყოს ევროპული სტანდარტებით? . . . . .	66
1.1. სასწავლო (საგანმანათლებო) სისტემის განვითარება . . . . .	67
1.2. საინფორმაციო პოლიტიკის დახვეწია . . . . .	70

1.3. საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზება ევროპულ სტანდარტებთან. . .	78
7. დასკვნა. . . . .	82
ავტორის შესახებ. . . . .	97

## ავტორის ცინათქმა

წინამდებარე ნაშრომის მიზანია, დაანახვოს მკითხველს, საქართველოს შიდასახელმწიფო ბრძოლი კანონმდებლობასთან ერთად, ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტების გამოყენების უპირატესობანი მართლმსაჯულების განხორციელებისას. ხშირად ამ ევროპული სტანდარტების გამოყენება იძლევა ადამიანის უფლებათა უფრო მაღალი ხარისხით დაცვის შესაძლებლობას.

ნაშრომში განიხილება, მოახდინა თუ არა დადებითი გავლენა ადამიანის უფლებათა ევროპულმა კონვენციამ საქართველოში ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტებით დაცვაზე და რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ ევროპული სტანდარტები დაცული იყოს საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში.

ნაშრომში გაანალიზებულია უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში (ანუ მას შემდეგ, რაც საქართველო 1999 წელს გახდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მონაწილე) საქართველოს საერთო სასამართლოების თითქმის ყველა გადაწყვეტილება, რომლებშიც გამოყენებულია ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები.

მოკლედ შეიძლება აღინიშნოს, რომ საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენების საკმაოდ ბევრი შემთხვევაა. სამწუხაროდ, სასამართლო პრაქტიკაში აღმოჩენილია შემთხვევები, როდესაც მართლმსაჯულების განხორციელებისას ევროპული სტანდარტები გამოყენებულ იქნა არასწორად, ან მათ გამოყენებას არანაირი წვლილი არ შეუტანია ადამიანის უფლებათა დაცვაში. საბეჭნიეროდ, ამავდროულად, სასამართლო პრაქტიკაში არის შემთხვევები, როდესაც ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტების გამოყენებამ უშუალო გავლენა მოახდინა სასამართლო გადაწყვეტილებაზე და მათ მეშვეობით უზრუნველყოფილ იქნა ადამიანის უფლებათა დაცვა ევროპული სტანდარტებით.

ვინაიდან ნაშრომში განიხილულია თითქმის ყველა გადაწყვეტილება, რომლებშიც გამოყენებულ იქნა ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები, მრავალი მოსამართლე ნაშრომში აღმოჩენს მათ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას. ზოგიერთი გადაწყვეტილება იმსახურებს მაღალ შეფასებას, ზოგიერთი კი ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს.

ნაშრომში მკითხველი გაეცნობა სახელმწიფოების, განსაკუთრებით ევროპული სახელმწიფოების, სასამართლო პრაქტიკას, რაც შეიძლება გახდეს გარკვეული ორიენტირი ქვეყანაში ადამიანის უფლებათა შესახებ კანონმდებლობისა და პრაქტიკის სრულყოფის თვალსაზრისით.

წინამდებარე პროექტი განხორციელდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტთან არსებული საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტის

მიერ, გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოებისა (GTZ) და ევროკავშირის მხარდაჭერით.

აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტების პოპულარიზაციისათვის გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოების მხარდაჭერით სხვა პუბლიკაციებიც გამოიცა, როგორებიცა: „ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები და მათი გავლენა საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე“ (2006 წ.), „ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული და ეროვნული სისტემები“ (2007 წ.) და „ადამიანის უფლებათა დაცვის თანამედროვე გამოწვევები“ (2009 წ.).

გულწრფელი მადლობა მინდა გადავუხადო გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოების (GTZ), „საქართველოს სამართლისა და სასამართლო სისტემის ხელშეწყობის“ პროექტის ხელმძღვანელს, ბატონ ვოლკერ სტამპეს და „სამართლისა და იურიდიული რეფორმების“ პროექტის ჯგუფის ხელმძღვანელს, ბატონ შალვა პაპუაშვილს.

ასევე გულითადი მადლობა მინდა გადავუხადო ევროკავშირის „სახალხო დამცველის აპარატის ხელშეწყობის“ პროექტის ხელმძღვანელს, ქალბატონ პამელა ს. ფეიპის და ამავე პროექტის ხელმძღვანელის მოადგილეს, ბატონ ბესარიონ ბოხაშვილს.

ყველა ამ ადამიანმა არა მხოლოდ გააცნობიერეს ასეთი კვლევის განხორციელების მნიშვნელობა, არამედ მხარი დაუჭირეს მის გამოცემას.

მინდა გამოვთქვა იმედი, რომ ნაშრომი ხელს შეუწყობს საქართველოში ადამიანის უფლებათა ევროპული გამოცდილების გაზიარებას, რაც საბოლოოდ განამტკიცებს ადამიანის უფლებათა დაცვის სისტემას ქვეყანაში.

კრებული განკუთვნილია როგორც იურიდიული პროფესიების წარმომადგენლებისათვის, — განსაკუთრებით მოსამართლეების, ადვოკატების, პროცურორების, მოსამართლეთა თანაშემწეებისა და სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებისათვის, — ისე ადამიანის უფლებათა საკითხებით დაინტერესებულ მეითხველთა ფართო წრისათვის.

**კონსტანტინე კორკელია**  
ადამიანის უფლებათა საერთაშორისო  
სამართლის პროფესორი  
2009 წლის ივნისი

## თინასიტყვაობა

ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სისტემის თავისებურება ემყარება, უწინარეს ყოვლისა, იმ ფაქტს, რომ კონვენციის პირველი მუხლით, მაღალი ხელ-შემკვრელი მხარეები კისრულობენ ვალდებულებას, ცნონ თავიანთ იურისდიქციას დაქვემდებარებული პირების კონვენციით გათვალისწინებული უფლებები და თავისუფლებები. სასამართლო, რომელიც, მე-19 მუხლის შესაბამისად, შექმნილია სახელმწიფოთა მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების შესამონმებლად, სახელ-მწიფოებისგან მოელის, რომ მათ, როგორც მინიმუმ, არ დაარღვიონ ეს უფლებები და თავისებულებები. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სახელმწიფოებმა უნდა შეასრულონ არა მხოლოდ ნეგატიური, არამედ პოზიტიური ვალდებულებები, რომლებიც იკისრეს კონვენციასთან შეერთებით.

სტრასბურგის სასამართლოს არ შეუძლია, სრულად გამოასწოროს ეროვნულ სისტემათა ხარვეზები. ამიტომაც სტრასბურგისადმი მიმართვამდე შიდასახელმწიფოებრივი დაცვის საშუალებების ამონურვის უზრუნველსაყოფად სავალდებულოა, ეს საშუალებები იყოს ეფექტიანი. თუმცა ეროვნული მოსამართლის მიერ უფლების დაცვის ჯეროვნად უზრუნველყოფის პირობებშიც კი სტრასბურგის სასამართლოს შეუძლია, თავისი სუპრანაციონალური როლი შეასრულოს. შესაბამისად, სისტემა მდიდარია იმით, რომ ითავსებს ეროვნული ორგანოების, განსაკუთრებით სასამართლოების, არსებით როლს და ევროპულ კონტროლს, რომელიც ანალიზის ბოლო ფაზაში ეკისრება სასამართლოს. მექანიზმი, თავისი არსით, სუბსიდიური ხასიათისაა, მაგრამ, ამავე დროს, შეიძლება საუბარი კომპლემენტარობისა და სოლიდარობის შესახებ. აქ იწყება დიალოგი შიდასახელმწიფოებრივ მოსამართლესა და სტრასბურგის სასამართლოს შორის და, საბოლოოდ, მათ შორის არაფორმალური, მაგრამ რეალური თანამშრომლობა მყარდება.

სუბსიდიურობაზე დაფუძნებულ სისტემაში შიდასახელმწიფოებრივ მოსამართლეს უფლება აქვს და ვალდებულია, უზრუნველყოს კონვენციის უპირატესობა. სუბსიდიურობა აუცილებელია დაცვის მექანიზმის ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის. განაცხადების დიდი რაოდენობა, რომელთაც ხშირად განმეორებითი ხასიათი აქვთ, დაკარგავდნენ საფუძველს და სასამართლოს არავინ მიმართავდა განმეორებითი განაცხადით, რომ არსებობდეს ადამიანის უფლებათა დაცვის თავიდან აცილებისა და აღმოჩენილი დარღვევების გამოსწორების ეფექტიანი მექანიზმები.

სასიხარულოა ის ფაქტი, რომ კონვენცია უფრო და უფრო მეტად გამოიყენება ეროვნული მოსამართლის, განსაკუთრებით, უზენაესი და საკონსტიტუციო სასამართლოების მიერ. სწორედ ესაა სუბსიდიურობის პრინციპის კარგი გამოყენება.

სუბსიდიურობის პრინციპის გამყარება მოითხოვს ასევე სახელმწიფოთა თანამშრომლობას ევროპის საბჭოსა და სასამართლოსთან, მის და მისი პრაქტიკის უკეთ გასაცნობად, რათა გადამზადდნენ მოსამართლეები, ადვოკატები, პროკურორები. ამ მიზნით უკვე განხორციელდა ღონისძიებები და ისინი უნდა გაგრძელდეს. სასამართლო სახელმწიფოებისგან მოელის, რომ მათ სასამართლოს დაკომპლექტებისას უპირატესობა მიანიჭონ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ცოდნას. რასაკვირველია, ასევე საუბარია მოსამართლეთა გადამზადებაზე, რათა მათ საკუთარი უფლებამოსილებების განხორციელებისას კონვენციის უკეთ გამოყენება შეძლონ.

და ბოლოს, მისასალმებელია შრომა ყველა მეცნიერისა, რომლებიც, წინამდებარე წიგნის ავტორის ლვანლის მსგავსად, ხელს უწყობენ შესაბამის ქვეყანაში ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და სასამართლოს პრაქტიკის პოპულარიზაციას, რათა იგი უკეთ იქნეს გაცნობიერებული და საჭიროებისამებრ სწორად გამოყენებული ეროვნული მოსამართლის მიერ. ისინი ძალზე საჭირო საქმეს აკეთებენ და ხელს უწყობენ სუბსიდიურობის პრინციპის გამყარებას.

### **უან პოლ კოსტა**

ადამიანის უფლებათა ევროპული  
სასამართლოს თავმჯდომარე

## 1. შესავალი

საქართველოში საერთაშორისო ხელშეკრულებები აღიარებულია კანონმდებლობის განუყოფელ ნაწილად, რაც იურიდიულ და ფიზიკურ პირებს ანიჭებს უფლებას, დაეყრდნონ ამ ხელშეკრულებებს სასამართლო ან ადმინისტრაციული ორგანოების წინაშე თავიანთი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებს ენიჭებათ უფრო მაღალი სამართლებრივი სტატუსი, ვიდრე შიდასახელმწიფოებრივ ნორმატიულ აქტებს (კონსტიტუციისა და კონსტიტუციური შეთანხმების გარდა).

საქართველოს კონსტიტუციის მიღებისას (1995 წ.) არსებობდა იმედი, რომ საერთაშორისო ხელშეკრულებების აღიარება კანონმდებლობის ნაწილად დადებით გავლენას მოახდენდა საერთაშორისო სტანდარტებთან შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის ჰარმონიზებაზე, ისევე როგორც საქართველოს სასამართლო და ადმინისტრაციული პრაქტიკის განვითარებაზე ამ საერთაშორისო, მათ შორის ადამიანის უფლებათა, ხელშეკრულებების მიხედვით.

ათი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც საქართველო 1999 წელს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მონაწილე გახდა და, შესაბამისად, რაც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულება, საქართველოს კანონმდებლობის განუყოფელი ნაწილია.<sup>1</sup> ეს დრო საკმარისია იმის შესაფასებლად, მოახდინა თუ არა ადამიანის უფლებათა ევროპულმა კონვენციამ დადებითი გავლენა საქართველოს კანონმდებლობისა და პრაქტიკის განვითარებაზე და, რაც მთავარია, ხელი შეუწყო თუ არა ევროპულმა კონვენციამ საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვას ევროპული სტანდარტებით.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია განვლილი ათწლიანი პრაქტიკის საფუძველზე იმის გაანალიზება, მოახდინა თუ არა დადებითი გავლენა ადამიანის უფლებათა ევროპულმა კონვენციამ საქართველოში ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტებით დაცვაზე და რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ ევროპული სტანდარტები დაცული იყოს საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში.

ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად ნაშრომში გაანალიზდება, აქმაყოფილებს თუ არა საქართველოს სასამართლო პრაქტიკა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მოთხოვნებს და განიხილება ის ღონისძიებები, რომლებიც უნდა გატარდეს საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სტანდარტებით უზრუნველსაყოფად.

<sup>1</sup> „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“, N3(8), 1999 წლის 4 ივნისი.

ვინაიდან ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია მიჩნეულია ერთ-ერთ ყველაზე ეფექტური ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულებად, რომლის მონაწილეობის საქართველო, ნაშრომში მხოლოდ მასზე გამახვილდება ყურადღება, თუმცა მრავალი მოსაზრება, დასკვნა და შენიშვნა თანაბრად შეიძლება შეეხოს ადამიანის უფლებათა სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებების გამოყენებას მართლმსაჯულების განხორციელებისას.

## 2. რა იგულისხმება ადამიანის უფლებათა ევროპულ სტაციარტებში?

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია ვინაიდან საქართველოს კანონმდებლობის განუყოფელი ნაწილია, მისი ეროვნულ დონეზე გამოყენების შესაძლებლობა მართლმსაჯულების განხორციელებისას ეჭვს არ იწვევს. თუ ევროპული კონვენციის გამოყენების შესაძლებლობა მართლმსაჯულების განხორციელებისას არ არის სადაც, კონვენციის საფუძველზე მიღებული ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების – პრეცედენტული სამართლის – როლთან დაკავშირებით საქართველოში ჩამოყალიბდა განსხვავებული მოსაზრებანი იურიდიული პროფესიების წარმომადგენლებს შორის. ასეთი აზრთა სხვადასხვაობა, სავარაუდოდ, განაპირობა იმან, რომ საქართველოს კანონმდებლობა, საერთაშორისო ხელშეკრულებათა როლისაგან განსხვავებით, არაფერს უთითებს ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის როლზე (და მისი გამოყენების საჭიროებაზე) და არც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია განსაზღვრავს პირდაპირ ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის როლს იმ სახელმწიფოებთან მიმართებით, რომლებიც არ არიან მოპასუხები კონკრეტულ სასამართლო საქმეზე.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით, რომელმაც დააარსა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, სასამართლოს გადაწყვეტილებები სავალდებულია მხოლოდ იმ სახელმწიფოებისათვის, რომლებიც პროცესის მხარეები არიან. ევროპული კონვენციის 46-ე მუხლის პირველი პუნქტი ადგენს: „მაღალი ხელშემკვრელი მხარეები კისრულობენ ვალდებულებას, დაემორჩილონ სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებას ნებისმიერ საქმეზე, რომლის მხარეებიც ისინი არიან.“ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, კერძოდ, მისი 46-ე მუხლის პირველი პუნქტი არ ეხება ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე ვალდებულებებს იმ სახელმწიფოთა მიმართ, რომლებიც არ არიან კონკრეტული პროცესის მხარენი.

ევროპული კონვენციის მიხედვით, ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები სავალდებულოა მხოლოდ სასამართლო დავაში მონაწილე სახელმწიფოებისათვის. მიუხედავად ამისა, სახელმწიფოები, რომლებიც არ არიან კონკრეტული პროცესის მხარეები, ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს იყენებენ პრაგმატული მოსაზრებით. კონვენციის მონაწილე სახელმწიფოების ეროვნული სასამართლოები პრინციპულ მნიშვნელობას ანიჭებენ იმას, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, როგორც კონვენციის საზედამხედველო ორგანო, ახდენს ევროპული კონვენციის დებულებათა ავტორიტეტულ განმარტებას. ეს განაპირობებს სახელმწიფოების, მათ შორის, ეროვნული სასამართლოების მიერ ადამიანის უფლებათა ევრო-

პული სასამართლოს იმ გადაწყვეტილებების (პრეცედენტების) გამოყენებას, რომლებიც ეხება კონვენციის სხვა მონაწილე სახელმწიფოებს.<sup>2</sup>

მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას კონკრეტულ საქმეზე, ის ამ გადაწყვეტილების (პრეცედენტის) მეშვეობით განმარტავს კონვენციით გათვალისწინებულ უფლებათა და თავისუფლებათა შინაარსს.<sup>3</sup> კონკრეტული გადაწყვეტილების მიღებით ევროპული სასამართლო ადგენს სტანდარტს, რომლის მნიშვნელობა სცილდება კონკრეტულ სასამართლო საქმეს.<sup>4</sup> ევროპული სასამართლოს განმარტებით, რაც აისახება პრეცედენტულ სამართალში, ევროპული სასამართლო ახორციელებს ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტების დადგენის ფუნქციას.<sup>5</sup> ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტების დადგენის ფუნქციაზე ევროპულმა სასამართლომ ყურადღება გაამახვილა თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში. მან განაცხადა, რომ „ფაქტობრივად, სასამართლოს გადაწყვეტილებები მიზნად ისახავს არა მხოლოდ სასამართლოს წინაშე განსახილველად წარმოდგენილ საქმეთა გადაწყვეტას, არამედ, უფრო ზოგადად, წათელი მოპონოს, დაიცვას და განავითაროს კონვენციით გათვალისწინებული ნორმები და ამგვარად ხელი შეუწყოს სახელმწიფოების, როგორც ხელშემკვრელი მხარეების მიერ, აღებულ ვალდებულებათა შესრულებას“.<sup>6</sup>

ადამიანის უფლებათა კონვენციასთან ერთად, ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს ევროპის სახელმწიფოების ეროვნული სასამართლოები იყენებენ, ვინაიდან ისინი აცნობიერებენ, რომ ევროპული სასამართლოს პრაქტიკის, მისი პრეცედენტული სამართლის გაანალიზების გარეშე ძალზე რთულია კონვენციით გათვალისწინებული უფლებების შინაარსის სწორად დადგენა და, შესაბამისად, კონვენციის დებულებათა სწორად გამოყენება.<sup>7</sup> კონვენციაში ჩამოყალიბებული მრავალი ნორმა ძალზე ზოგადად არის ფორმულირებული. კონვენციით გათვალისწინებული დებულებების შინაარსი გამოიხატება ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში.<sup>8</sup>

<sup>2</sup> E. Klein, Should the Binding Effect of the Judgments of the European Court of Human Rights be Extended? in: Protecting Human Rights: The European Perspective, Studies in Memory of R. Ryssdal, P. Mahoney, F. Matscher, H. Petzold & L. Wildhaber (Eds.), 2000, 705.

<sup>3</sup> J. Polakiewicz, The Application of the European Convention on Human Rights in Domestic Law, 17 Human Rights Law Journal, N11-12, 1996, 407.

<sup>4</sup> ორლანდია გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Ireland v. the United Kingdom*), 1978 წლის 18 იანვარი, Series A, no. 25, 154-ე პუნქტი.

<sup>5</sup> J. Polakiewicz, The Implementation of the ECHR and of the Decisions of the Strasbourg Court in Western Europe: An Evaluation, The Domestic Implementation of the European Convention on Human Rights in Eastern and Western Europe (eds. E. Alkema, T. Bellekom, A. Drzemczewski et al.), 1992, 154.

<sup>6</sup> ორლანდია გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Ireland v. the United Kingdom*), 1978 წლის 18 იანვარი, Series A, no. 25, 154-ე პუნქტი.

<sup>7</sup> ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 2002 წლის 18 დეკემბრის რეკომენდაცია Rec(2002)13. რეკომენდაციის ტექსტი ხელმისაწვდომია ევროპის საბჭოს ინტერნეტგვერდზე: [www.coe.int].

<sup>8</sup> J. Polakiewicz, The Application of the European Convention on Human Rights in Domestic Law, 17 Human Rights Law Journal, N11-12, 1996, 407.

ევროპული სასამართლოს პრეცედენტებში, კონკრეტულ გადაწყვეტილებებში ზუსტ-დება კონვენციის (და მისი ოქმების) დებულებათა შინაარსი და ფარგლები.<sup>9</sup> კონვენციის დებულებათა განმარტება, ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გათვალისწინებით, ნათელს ჰქონდება კონვენციით განმტკიცებულ ვალდებულებათა შინაარსა და ფარგლებს, რაც ხშირად პირდაპირ არ ჩანს კონვენციის ტექსტის გაცნობის შედეგად.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენებასთან დაკავშირებით ეროვნულმა სასამართლოებმა უნდა გაითვალისწინონ ის გარემოება, რომ ევროპული კონვენციის სტანდარტების დადგენა ძალზე რთულია მხოლოდ კონვენციის ტექსტის გაცნობის შედეგად. კონვენციაში შეიძლება საერთოდ არ იყოს მოხსენიებული ის სამართლებრივი ურთიერთობა, რომელზეც ვრცელდება კონვენციის უფლებები და თავისუფლებები. ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენება საშუალებას აძლევს მოსამართლეებს, უკეთ ჩასწორება კონვენციით გათვალისწინებულ უფლებათა და თავისუფლებათა შინაარსს.

ამის საილუსტრაციოდ შეიძლება ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის მოშველიება, რომლის თანახმად, ყველას აქვს უფლება კანონით შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ გონივრულ ვადაში სამართლიან და საჯარო განხილვაზე. თუ არ გაანალიზდა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, ძალზე რთულია იმის დადგენა, კონკრეტულად რას გულისხმობს: სამართლიანი და საჯარო მოსმენა, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლო, გონივრული ვადა, რომლის განმავლობაშიც უნდა განხორციელდეს ასეთი განხილვა და როგორ უნდა იქნეს ეს პრინციპები გამოყენებული პრაქტიკაში.

ასევე საინტერესოა სხვა მაგალითი. მართალია, ევროპული კონვენცია პირდაპირ არ აწესრიგებს ექსტრადიციის საკითხს, ევროპული სასამართლოს პრეცედენტულმა სამართალმა ნათელი მოჰყვინა იმას, რომ იმ სახელმწიფოში პირის ექსტრადიცია, რომელშიც მის მიმართ არსებობს წამების ან არაადამიანური მოპყრობის დასაბუთებული ეჭვი, შეიძლება ჩაითვალოს გადამცემი სახელმწიფოს მიერ ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევად. თუ სახელმწიფოს ეროვნულმა სასამართლომ არ განიხილა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი და არ დაადგინა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის გამოყენების შესაძლებლობა ექსტრადიციის საკითხებზე, იგი არ ჩათვლის, რომ კონვენციის მე-3 მუხლი უნდა იყოს გამოყენებული ექსტრადიციასთან დაკავშირებით.

იმის გათვალისწინებით, რომ ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი აზუსტებს კონვენციის ცალკეულ დებულებათა შინაარსა და ფარგლებს,

<sup>9</sup> L. Wildhaber, Speech made at Ministerial Conference on Human Rights to Commemorate the Fiftieth Anniversary of the Convention, in: The European Convention on Human Rights at 50, Human Rights Information Bulletin (special issue), N50, 2000, 42.

ისევე როგორც გამოყენების სფეროს, ევროპულ სახელმწიფოთა ეროვნული სასამართლოები არ განიხილავენ ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გარეშე.<sup>10</sup> როგორც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ყოფილმა პრეზიდენტმა ლუციუს ვილდჰაბერმა აღნიშნა: „გადამწყვეტი მნიშვნელობა ეროვნულ სამართალში ენიჭება კონვენციის ტექსტს, თუმცა ასეთივე მნიშვნელობა უნდა განეკუთვნოს შესაბამის სასამართლო პრაქტიკას, რომელიც კონვენციის ტექსტიდან გამომდინარეობს.“<sup>11</sup>

აქედან გამომდინარეობს, რომ ევროპული კონვენციის ადამიანის უფლებათა სტანდარტები არ განისაზღვრება მხოლოდ კონვენციის ტექსტით.<sup>12</sup> ისინი დადგენილია როგორც კონვენციის ტექსტით, ისე მის საფუძველზე მიღებული პრეცედენტული სამართლით.<sup>13</sup> სხვა სიტყვებით, ევროპული კონვენციის ადამიანის უფლებათა სტანდარტებში მოიაზრება არა მხოლოდ თავად კონვენციის ტექსტით გათვალისწინებული სტანდარტები, არამედ ასევე ევროპული სასამართლოს პრეცედენტებით ჩამოყალიბებული სტანდარტები.<sup>14</sup>

შესაბამისად, როდესაც საუბარია ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტების გამოყენებაზე მართლმსაჯულების განხორციელებისას, იგულისხმება არა მხოლოდ უშუალოდ ევროპული კონვენციის ტექსტით, არამედ ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით დადგენილი ადამიანის უფლებათა სტანდარტების გამოყენება.

ევროპული კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები სხვადასხვა ფორმით ადგენენ ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენების აუცილებლობას ეროვნულ დონეზე. ზოგიერთ სახელმწიფოში საკანონმდებლო აქტი განსაზღვრავს, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა უნდა გამოიყენოს ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი.<sup>15</sup> ასეთი სახელმწიფოს მაგალითია დიდი ბრიტანეთი,

<sup>10</sup> J. Madureira, Portugal, in: *Fundamental Rights in Europe: The European Convention on Human Rights and its Member States (1950-2000)*, R. Blackburn & J. Polakiewicz (Eds.), 2001, 683.

<sup>11</sup> ლ. ვილდჰაბერი, ადამიანის უფლება: როგორ უნდა იცავდეს მას სტრასბურგისა და ეროვნული სასამართლოები, ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, N1, 2002 წელი, გვ. 63.

<sup>12</sup> A. Drzemczewski & M. Nowicki, Poland, in: *Fundamental Rights in Europe: The European Convention on Human Rights and its Member States (1950-2000)*, R. Blackburn & J. Polakiewicz (Eds.), 2001, 676.

<sup>13</sup> M. Melchior, Main Point of the General Report, Seminar “Partners for the Protection of Human Rights: Reinforcing Interaction Between the European Court of Human Rights and National Courts”, 9-10 September 2002, Strasbourg.

<sup>14</sup> M. Macovei, Freedom of Expression: A Guide to the Implementation on Article 10 of the European Convention on Human Rights, 2001, 5.

<sup>15</sup> ამ საკითხთან დაკავშირებით საყურადღებო შევედეთის მაგალითი. მიუხედავად იმისა, რომ ამ სახელმწიფოს კანონმდებლობა პირდაპირ არ ადგებს ევროპული კონვენციის განმარტების აუცილებლობას ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გათვალისწინებით, პარლამენტმა ასეთი განზრხება გამოხატა ევროპული კონვენციის შევედეთის კანონმდებლობის ნაწილად ალიარბის დროს. ი. I. Cameron, Sweden, in: *Fundamental Rights in Europe: The European Convention on Human Rights and its Member States (1950-2000)*, R. Blackburn & J. Polakiewicz (Eds.), 2001, 839-840. საქართველოში ერთადერთი საკანონმდებლო აქტი, რომელიც ადგენს ევროპულ სასამართლოს პრეცედენტულ სამართლის გამოყენების საჭიროებას, არის „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონის მე-2 მუხლი. ის განსაზღვრავს, რომ მისი „ინტერპრე-

რომლის „ადამიანის უფლებათა აქტში“ (1998 წ.) პირდაპირ მითითებულია, რომ დიდი ბრიტანეთის სასამართლოებმა უნდა გაითვალისწინონ ევროპული სასამართლოს პრე-ცედენტული სამართალი კონვენციის დებულებათა განმარტების დროს.<sup>16</sup>

ევროპულ სახელმწიფოთა უმრავლესობაში ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენების აუცილებლობა განისაზღვრება ეროვნული სასამართლოების პრაქტიკით.<sup>17</sup> მართალია, საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში საკმაოდ არის იმის მაგალითები, რომ საერთო სასამართლოები კონვენციასთან ერთად იყენებენ ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართლს, მაგრამ თბილისის საოლქო სასამართლოს 2002 წლის 3 ივლისის გადაწყვეტილება ყველაზე თვალსაჩინოდ უნდა ჩაითვალოს ამ თვალსაზრისით.<sup>18</sup>

ამ სასამართლო საქმის მნიშვნელობა არ შემოიფარგლება მხოლოდ იმით, რომ საოლქო სასამართლომ გამოიყენა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი მის წინაშე არსებული საქმის გადასაწყვეტად. საოლქო სასამართლოს ეს გადაწყვეტილება მნიშვნელოვანია უფრო იმით, რომ ის წათელს პფენს საქართველოს სასამართლოების მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენების აუცილებლობას. საოლქო სასამართლომ ამ გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ „ზემოადნიშნული [საქმე ლიინგენი] ავსტრიის წინააღმდეგ (Lingens v. Austria)–კ.კ.] და სხვა ევროპული პრეცედენტებით დადგენილი სტანდარტები ავსებენ და აზუსტებენ ევროპული კონვენციითა და საქართველოს კონსტიტუციით დადგენილი ნორმების შინაარს.“ ამით საოლქო სასამართლომ დაადასტურა, ევროპულ კონვენციასთან ერთად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენების აუცილებლობა.

მიუხედავად ამ გადაწყვეტილებისა, შეიძლება იმის მტკიცება, რომ საქართველოში იურიდიული პროფესიების წარმომადგენლების, მათ შორის მოსამართლეების, ნაწილს არ აქვს გაცნობიერებული ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის როლი და მნიშვნელობა.

ამის დასტურად შეიძლება მოშველიება საქართველოს საერთო და საკონსტიტუციო სასამართლოების მოსამართლეებთან ჩატარებული კვლევის შედეგებისა, რომლებიც

ტირება უნდა მოხდეს... ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის შესაბამისად.“

<sup>16</sup> იხ. ადამიანის უფლებათა აქტის მე-2 ნაწილის 1-ლი პუნქტი. ტექსტი იხ. ინტერნეტგვერდზე: [www.hmso.gov.uk](http://www.hmso.gov.uk); სევე იხ.: F. Klug, The Human Rights Act 1998, *Pepper v. Hart and All That*, Public Law, Summer 1999, 250-251; K. Starmer, European Human Rights Law: The Human Rights Act 1998 and the European Convention on Human Rights, 1999, 25.

<sup>17</sup> დეტალურად იხ. კ. კორკელია, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენება საქართველოში, 2004 წელი, გვ. 155-157.

<sup>18</sup> გადაწყვეტილება, N2/ა-25-2002, 3 ივლისი, 2002 წელი, თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეცნიერო სამსახურის კოლეგია; ამვე საქმეზე იხ. საქართველოს უზნენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, N3/1240-02, 24 აპრილი, 2003 წელი.

გამოქვეყნდა 2006 წელს.<sup>19</sup> მართალია, ეს კვლევა საკმაოდ დიდი ხნის წინ შესრულდა, მაგრამ შეიძლება გამოითქვას ვარაუდი, რომ ის ნაწილობრივ მაინც ასახავს ამჟამად არსებულ მდგომარეობას. კვლევა ეხებოდა საქართველოს მოსამართლების მიერ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულებების, მათ შორის ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის, გამოყენებას. მოსამართლებისათვის დასმულ ერთ-ერთ კითხვაზე პასუხმა ნათელყო, რომ მოსამართლეების უმრავლესობას მცდარი წარმოდგენა აქვს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების (პრეცედენტების) როლზე მართლმსაჯულების განხორციელებისას.

კითხვაზე – რამდენად საჭირო მიგამნიათ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების გამოყენება ეროვნულ სასამართლო გადაწყვეტილებებში? – 60 მოსამართლიდან, რომლებიც წარმოადგენდნენ საქალაქო, სააპელაციო, უზენაესი და საკონსტიტუციო სასამართლოებს, 43-მა მოსამართლემ განაცხადა, რომ ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებს აქვთ სარეკომენდაციო ხასიათი, 12-მა მოსამართლემ განაცხადა, რომ მათი გათვალისწინება სავალდებულოდ მიაჩნიათ, ხოლო 5-მა მოსამართლემ მიუთითა, რომ ამ გადაწყვეტილებებს ითვალისწინებენ იმ შემთხვევაში, თუ ეთანხმებიან ევროპული სასამართლოს კონკრეტულ გადაწყვეტილებას.

დასმულ კითხვაზე მოსამართლების პასუხები უარყოფითი დასკვნის საფუძველს იძლევა, საიდანაც ჩანს, რომ საქართველოს მოსამართლეების უმრავლესობას არ აქვს გაცნობიერებული ის როლი, რომელიც ენიჭებათ ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებს მართლმსაჯულების განხორციელებისას.

როგორც აღინიშნა, 60 მოსამართლიდან 43 (ანუ 72%) თვლის, რომ ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებს აქვს სარეკომენდაციო ხასიათი, ანუ, აქედან გამომდინარე, მოსამართლეების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ მათი გამოყენება რეკომენდებულია, თუმცა გამოუყენებლობის შემთხვევაშიც დაკმაყოფილდება ევროპული კონვენციის მოთხოვნები. ეს პოზიცია მცდარია, რადგან ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებით გათვალისწინებული მოთხოვნების დაკმაყოფილება კონვენციის შესრულების პირობაა და ამიტომ მათი გამოყენება არა სარეკომენდაციო ხასიათისაა, არამედ აუცილებელია.

60 მოსამართლიდან 5-მა (ანუ 8%-მა) უპასუხა, რომ ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებს ითვალისწინებს იმ შემთხვევაში, თუ ეთანხმება ევროპული სასამართლოს კონკრეტულ გადაწყვეტილებას. ეს პასუხიც მცდარია, რადგან ეს მო-

<sup>19</sup> იხ. კვლევა „საქართველოს სასამართლოების მუშაობაში ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების გამოყენების შესახებ“, რომელიც შეასრულა BCG Research-მა გაეროს განვითარების პროგრამის დაკვეთით. იხ. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულების და საქართველოს სასამართლო პრაქტიკა, წარილი პირველი, 2006 წელი, გვ. 43.

სამართლებიც ვერ აცნობიერებენ ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების როლს მართლმსაჯულების განხორციელებისას. ამ პასუხიდან გამომდინარებს, რომ მოსამართლისათვის შეიძლება ცნობილი იყოს ევროპული სასამართლოს პრეცედენტით განსაზღვრული ადამიანის უფლებათა გარკვეული სტანდარტის შესახებ, მაგრამ მოსამართლემ შეიძლება არ გამოიყენოს ის კონკრეტულ სიტუაციაში, რადგან მოსამართლე, უბრალოდ, არ ეთანხმება ამ სტანდარტს. გამოდის, რომ მოსამართლის აბსოლუტურ დისკრეციაზე არის დამოკიდებული, უზრუნველყოფს თუ არა მოსამართლე ადამიანის უფლებათა დაცვას დადგენილი ევროპული სტანდარტების მიხედვით. მაგ., თუ მხარე დასაბუთებულად ამტკიცებს, რომ პირი, სხვა სახელმწიფოში ექსტრადიციის შემთხვევაში, შეიძლება დაექვემდებაროს წამებას, არაადამიანურ ან ლირსების შემღაბველ მოპყრობას ან დასჯას, რაც დაარღვევს კონვენციის მე-3 მუხლთან დაკავშირებით ევროპული სასამართლოს პრეცედენტებით დადგენილ სტანდარტს, საქართველოს მოსამართლებისათვის დასმულ კითხვაზე გაცემული პასუხის მიხედვით, მოსამართლე მხოლოდ მაშინ აკრძალავს ამ პირის ექსტრადიციას სხვა სახელმწიფოში, თუ ის შინაგანად ეთანხმება ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებაში ჩამოყალიბებულ, წლების განმავლობაში კარგად დამკვიდრებულ პოზიციას. თუ მხარემ საქამარისი მტკიცებულება წარმოუდგინა მოსამართლეს იმის დასტურად, რომ, ექსტრადიციის შემთხვევაში, პირის მიმართ დაირღვევა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით დადგენილი ადამიანის უფლებათა სტანდარტი, მოსამართლემ უნდა აკრძალოს მისი ექსტრადიცია და ეს არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს იმაზე დამოკიდებული, მოსამართლე ეთანხმება თუ არ ეთანხმება ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებით განსაზღვრულ ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტს.

60 მოსამართლიდან მხოლოდ 12-მა (ანუ 20%-მა) გასცა მართებული პასუხი დასმულ კითხვას, რომლის მიხედვით, ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების გათვალისწინება მათ საფალდებულოდ მიაჩნიათ. ასეთი პოზიცია სწორია იმის გათვალისწინებით, რომ ძალზე რთული და, ალბათ, შეუძლებელია ევროპული კონვენციის სწორი განმარტება ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების (პრეცედენტების) გამოყენების გარეშე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ძალზე მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენება ეროვნული სასამართლოების მიერ, რათა შესაძლებელი გახდეს კონვენციით გათვალისწინებული ამა თუ იმ სამართლებრივი ცნებისა თუ პრინციპის კონკრეტული შინაარსის დადგენა, რის გარეშეც ძალზე რთული და, ბევრ შემთხვევაში, შეუძლებელია კონვენციის დებულებათა სწორი გამოყენება.<sup>20</sup>

<sup>20</sup> T. Buergenthal, International Tribunals and National Courts: The Internationalization of Domestic Adjudication, in:

### **3. რატომ უდია გამოვიყენოთ ადამიანის უფლებათა ევროპული სტაციარტები?**

ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტების გამოყენება მართლმსაჯულების განხორციელებისას იძლევა სწორი სასამართლო გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას. ევროპული სტანდარტები ასრულებენ ადამიანის უფლებათა დაცვის ერთგვარი ორიენტირის ფუნქციას და ისინი ხელს უწყობენ ადამიანის უფლებათა დაცვას მაქსიმალურად მაღალი ხარისხით. რამდენიმე ევროპული სახელმწიფოს სასამართლომ პირდაპირ მიუთითა თავის გადაწყვეტილებაში ადამიანის უფლებათა ევროპულ სტანდარტებზე, როგორც ადამიანის უფლებათა დაცვის ორიენტირზე.<sup>21</sup>

მართლმსაჯულების განხორციელებისას ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტების გამოყენებას აქვს რამდენიმე მნიშვნელოვანი უპირატესობა, რომლებითაც სარგებლობის შემთხვევაში საქართველოს სასამართლოებს მიეცემათ შესაძლებლობა, უზრუნველყონ ადამიანის უფლებათა დაცვა ევროპული სტანდარტებით. მართლმსაჯულების განხორციელებისას ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც:

- ა) ზოგადი ან ბუნდოვანი შიდასახელმწიფოებრივი ნორმების სწორი განმარტების საშუალება;
- ბ) შიდასახელმწიფოებრივ ნორმატიულ აქტთან კოლიზის თავიდან აცილების საშუალება;
- გ) შიდასახელმწიფოებრივ ნორმატიულ აქტებში არსებული სამართლებრივი ვაკუუმის ამოვსების საშუალება;
- დ) ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების განჭვრეტის საშუალება;
- ე) ადამიანის უფლებათა ეროვნული სტანდარტების განვითარების საშუალება;
- ვ) სასამართლოს გადაწყვეტილებისთვის სამართლებრივი დამაჯერებლობის შემქენი საშუალება.

**ა) ევროპული სტანდარტების გამოყენება, როგორც ზოგადი ან ბუნდოვანი შიდასახელმწიფოებრივი ნორმების სწორი განმარტების საშუალება**

ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტების გამოყენება მართლმსაჯულების განხორციელებისას ეროვნულ სასამართლოს აძლევს შესაძლებლობას, სწორად გან-

Recht zwischen Umbruch und Bewahrung: Ferstschrift für Rudolf Bernhardt, 1995, 687.

<sup>21</sup> G. Ress, The Effect of Judgments and Decisions in Domestic Law, in: The European System for the Protection of Human Rights, R. Macdonald, F. Matscher & H. Petzold (Eds.), 1993, 842. ასევე იხ. *Cosmos Press v. The Police*, 2 CLR 73, 1985, 76-81.

მარტოს საქართველოს შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების ზოგადი ან ბუნდოვანი ნორმები.<sup>22</sup>

სასამართლო დავის გადასაწყვეტად ეროვნულმა სასამართლომ შეიძლება ძირითადად გამოიყენოს შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტი, მაგრამ მისი დებულების სწორი განმარტებისათვის მან შეიძლება ასევე გამოიყენოს ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტი. ამ შემთხვევაში ევროპული სტანდარტი და შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტი ავსებენ ერთმანეთს. შესაბამისად, სასამართლო გადაწყვეტილების სამართლებრივი საფუძველი იქნება როგორც შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტი (მაგ., კანონი), ისე ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტი. ევროპული სტანდარტების გამოყენება, როგორც შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტის განმარტებისა საშუალებისა, ხდება მაშინ, როდესაც შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტი არასაკმარისად კონკრეტულად აწესრიგებს საზოგადოებრივ ურთიერთობას, რის გამოც არსებობს არასწორი გადაწყვეტილების მიღების რისკი. ევროპული კონვენციის გამოყენებით სასამართლოს შეუძლია, უზრუნველყოს შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტის სწორი განმარტება.

კონვენციის მონაწილე სახელმწიფოთა სასამართლო პრაქტიკაში ყველაზე ხშირია ევროპული კონვენციის გამოყენება, როგორც შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტის განმარტების საშუალებისა.

ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტების გამოყენების როლი, როგორც შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების სწორი განმარტების საშუალებისა, დასტურდება არა მხოლოდ იმ სახელმწიფოთა ეროვნული სასამართლოების პრაქტიკით, რომლებშიც ევროპული კონვენცია აღიარებულია კანონმდებლობის ნაწილად, არამედ ასევე იმ სახელმწიფოების სასამართლოების პრაქტიკით, სადაც ევროპული კონვენცია არ არის ასეთად აღიარებული.

საყურადღებოა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს იყენებს არა მხოლოდ ევროპული კონვენციის მონაწილე სახელმწიფოთა სასამართლოები, არამედ არაევროპულ სახელმწიფოთა სასამართლოებიც.<sup>23</sup> ნაწილობრივ ეს ტენდენცია განპირობებულია ევროპული კონვენციითა და სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტით გათვალისწინებული დებულებების მსგავსებით.<sup>24</sup> ამას მოწმობს არაევროპულ სახელმწიფოთა სასამართლოე-

<sup>22</sup> N. Bratza, The Treatment and Interpretation of the European Convention on Human Rights By the English Court, in: Aspects of Incorporation of the European Convention of Human Rights into Domestic Law, J.P. Gardner (Ed.), 1993, 69; ასევე იბ. ლორდ დენინგის განცხადება: "The position [...] is that if there is any ambiguity in our statutes or uncertainty in our law, then these courts can look to the [European] Convention [on Human Rights] as an aid to clear up the ambiguity and uncertainty, seeking always to bring them into harmony with it." Lord Denning, in: *R. v. Chief Immigration Officer, Ex parte Bibi* [1976] 3 All E.R. 847.

<sup>23</sup> E. Benvenisti, National Courts and the International Law on Minority Rights, 2 Austrian Review of International and European Law, 1, 1997, 4-5.

<sup>24</sup> R. Lillich, Towards the Harmonization of International Human Rights Law, in: Recht zwischen Umbruch und Be-

ბის გადაწყვეტილებები. მაგალითად: საქმის – ფილარტიგა პენა-ირალას წინააღმდეგ – განხილვისას აშშ-ის საკასაციო სასამართლომ გამოიყენა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, რომელიც წამების აკრძალვას ეხებოდა;<sup>25</sup> ზიმბაბვეს უზენაესმა სასამართლომ გამოიყენა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმის – თაირერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Tyrer v. the United Kingdom*) – განხილვისას, რათა დაედასტურებინა, რომ სხეულებრივი სასჯელები „არაადამიანური და ღირსების შემლახავი“ დასჯაა, რაც ევროპული კონვენციის მე-3 მუხლით იკრძალება,<sup>26</sup> ამავე სასამართლომ სხვა საქმეზე, რომელიც არასრულწლოვანის სხეულებრივ დასჯას ეხებოდა, გამოიყენა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები საქმეებზე – თაირერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Tyrer v. the United Kingdom*) და კემპბელი და კოზანსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Campbell and Cosans v. the United Kingdom*);<sup>27</sup> ზიმბაბვეს უზენაესმა სასამართლომ თავის ერთ-ერთ საქმეში განიხილა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე – ზოერინგი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Soering v. the United Kingdom*);<sup>28</sup> ინდოეთის უზენაესმა სასამართლომ მოიშველია ევროპული კონვენცია და ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი ინდოეთის კონსტიტუციის განმარტებისათვის;<sup>29</sup> კანადის სასამართლო პრაქტიკისათვის ასევე ცნობილია ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენება.<sup>30</sup>

აქედან გამოდინარებს, რომ არაევროპული სახელმწიფოები მართლმსაჯულების განხორციელებისას იყენებენ ადამიანის უფლებათა ევროპულ სტანდარტებს, რათა უზრუნველყონ სახელმწიფოს შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების ზოგადი ან ბუნდოვანი ნორმების სწორი განმარტება.<sup>31</sup>

საქართველოს სასამართლოებმა უნდა განმარტონ საქართველოს კონსტიტუციის

wahrung: *Ferstschrift für Rudolf Bernhardt*, 1995, 467.

<sup>25</sup> 630 F 2d 876 (1980).

<sup>26</sup> *Ncube, Tshuma and Ndhlovu v. The State* (1988) 2 Afr. L. Rep. 702. ციტ.: J. Merrils, *The Development of International Law by the European Court of Human Rights*, 1993, 20.

<sup>27</sup> საქმე – კემპბელი და კოზანსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Campbell and Cosans v. the United Kingdom*) (1982 წელი) – ეხება სკოლიში ბავშვისა მიმართ სხეულებრივი სასჯელის, როგორც დისკაბლინურ ღონისძიების, გამოყენების აკრძალვას. იხ. *Juvenile v. The State*, Judgment No. 64/89, Crim. App. No.156/88. ციტ.: J. Merrils, *The Development of International Law by the European Court of Human Rights*, 1993, 20.

<sup>28</sup> J. Dugard, *The Role of Human Rights Treaty Standards in Domestic Law: The Southern African Experience, The Future of UN Human Rights Treaty Monitoring*, P. Alston & J. Crawford (Eds.), 2000, 277-278.

<sup>29</sup> A. Lester, *Freedom of Expression*, in: *The European System for the Protection of Human Rights*, R. Macdonald, F. Matscher & H. Petzold (Eds.), 1993, 468 (footnote 16).

<sup>30</sup> *Report of the Sixty-Sixth Conference, International Law Association* (1994), 1994, 334; Y. Iwasawa, *The Domestic Impact of International Human Rights Standards: The Japanese Experience, The Future of UN Human Rights Treaty Monitoring*, P. Alston & J. Crawford (Eds.), 2000, 267.

<sup>31</sup> A. Bayefski, *International Human Rights Law in Canadian Courts*, in: *Enforcing International Human Rights in Domestic Courts*, B. Conforti & F. Francioni (Eds.), 1997, 321; R. Lillich, *Towards the Harmonization of International Human Rights Law*, in: *Recht zwischen Umbruch und Bewahrung: Ferstschrift für Rudolf Bernhardt*, 1995, 467.

დებულებები ევროპული სტანდარტების მიხედვით. მათი გამოყენებით სასამართლოები თავს აარიდებს კონსტიტუციის ისეთ განმარტებას, რომელიც ადამიანის უფლებებს უზრუნველყოფს უფრო დაბალი სტანდარტით, ვიდრე ეს გათვალისწინებულია ევროპული სტანდარტებით. საქართველოს სასამართლომ ევროპული სტანდარტები შეიძლება გამოიყენოს როგორც ორიენტირი, რომელიც დაეხმარება მას სწორი გადაწყვეტილების მიღებაში.

ეროვნულმა სასამართლოებმა უნდა გამოიყენონ ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, რადგან, ნინაალმდეგ შემთხვევაში, დიდია იმის ალბათობა, რომ ევროპული კონვენციის დებულებებს განსხვავებულად განმარტავენ, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ევროპული კონვენციით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევა სახელმწიფოს მიერ. თუ ეროვნულმა სასამართლომ არ გამოიყენა ევროპული სტანდარტები, მან შეიძლება უფრო შეზღუდვითად განმარტოს ის უფლება, რომელიც ენიჭება პირს. ამის შედეგად პირი არ იქნება უზრუნველყოფილი უფლებით, რომელიც მას ენიჭება ევროპული სტანდარტებით. ასეთ შემთხვევაში, თუ პირი მიმართავს ევროპულ სასამართლოს იმის მტკიცებით, რომ ეროვნულმა სასამართლომ იგი არ უზრუნველყო იმ უფლებით, რომელიც მას ენიჭება ევროპული სტანდარტებით, ევროპული სასამართლო მის სასარგებლოდ გადაწყვეტს დავას და დაადგენს, რომ სახელმწიფომ, რომლის სასამართლომაც ევროპული სტანდარტები უფრო შეზღუდვითად განმარტა, ვიდრე ეს განსაზღვრულია ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით, არ შეასრულა კონვენციით გათვალისწინებული ვალდებულებანი.<sup>32</sup>

### ბ) ევროპული სტანდარტების გამოყენება, როგორც შიდასახელმწიფოებრივ ნორმატიულ აქტთან კოლოიზის თავიდან აცილების საშუალება

ევროპულ სახელმწიფოთა სასამართლო პრაქტიკაში ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები ასევე გამოიყენება შიდასახელმწიფოებრივ ნორმატიულ აქტთან კოლოიზისას. ამ შემთხვევაში ეროვნული სასამართლო იყენებს ევროპულ სტანდარტს, თუ მან დაადგინა, რომ უფრო დაბალ საფეხურზე მდგომი შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტი (მაგ., კანონი) ენინაალმდეგება ევროპულ სტანდარტს.

საქართველოს სასამართლოების მიერ ევროპულ სტანდარტებსა და შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტებით განმტკიცებულ ადამიანის უფლებათა სტანდარტებს შორის კოლოიზის აღმოჩენის იშვიათობა შეიძლება იმით აიხსნას, რომ საქართველოს შიდასახელმწიფოებრივ ნორმატიულ აქტებსა და ადამიანის უფლებათა

<sup>32</sup> J. Velu, Report on "Responsibilities for States Parties to the European Convention", in: Proceedings of the Sixth International Colloquy about The European Convention on Human Rights, 13-16 November 1985, 1988, 592-593.

საერთაშორისო ხელშეკრულებებს შორის მცირეა ასეთი სამართლებრივი წინააღმდეგობანი, თუმცა ასეთი ახსნა დამაჯერებელი შეიძლება იყოს მხოლოდ თეორიულად. პრაქტიკული თვალსაზრისით ეს არგუმენტი არ იქნება დამაჯერებელი, რაც, *inter alia*, იქიდან გამომდინარეობს, რომ სახელმწიფოში, რომელიც ჯერ კიდევ აყალიბებს თავის სამართლებრივ ბაზას ადამიანის უფლებათა დაცვასთან დაკავშირებით, უფრო დიდია წინააღმდეგობების აღბათობა, ვიდრე იმ სახელმწიფოებში, რომელებსაც მდიდარი სამართლებრივი ტრადიციები აქვთ ადამიანის უფლებათა დაცვის თანამედროვე სტანდარტების უზრუნველყოფაში.<sup>33</sup>

ამის დასტურად შეიძლება საქართველოს კონსტიტუციიდან მოვიყვანოთ მაგალითი. ზოგადად შეიძლება აღინიშნოს, რომ, თუ საქართველოს კონსტიტუციაში შეიძლება იქნეს აღმოჩენილი სამართლებრივი წინააღმდეგობა ადამიანის უფლებათა ევროპულ სტანდარტებთან, მით უმეტეს, არ არის გამორიცხული, რომ წინააღმდეგობა არსებობდეს სხვა შიდასახელმწიფოებრივ ნორმატიულ აქტებთან მიმართებით.

საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტი ადგენდა დებულებას, რომლის მიხედვით, „დაუშვებელია დაკავებული თუ სხვაგვარად თავისუფლება-შეზღუდული პირის ფიზიკური ან ფსიქიკური იძულება“. თავისთავად ეს დებულება უპრობლემოა ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობის თვალსაზრისით, მაგრამ პრობლემას ქმნის კონსტიტუციის 46-ე მუხლის პირველი პუნქტი, რომელიც ითვალისწინებს, რომ საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს საქართველოს პრეზიდენტს უფლება აქვს, შეზღუდოს კონსტიტუციით ჩამოყალიბებული ზოგიერთი მუხლი, მათ შორის მე-18 მუხლი. გამოდის, რომ საქართველოში საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს პრეზიდენტი უფლებამოსილია, დაუშვას დაკავებული თუ სხვაგვარად თავისუფლება-შეზღუდული პირის ფიზიკური ან ფსიქიკური იძულება, რაც პირდაპირ ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლს (წამების, არაადამიანური ან ღირსების შემდახველი მოპყრობის ან დასჯის აკრძალვა) და ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს.

საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლი პრობლემური იქნებოდა, 2006 წელს რომ არ შეეტანათ კონსტიტუციაში ცვლილება და ზემოთ მითითებული პუნქტი არ გადაეტანათ კონსტიტუციის მე-18 მუხლიდან მე-17 მუხლში, მე-3 დამატებით პუნქტად. საერთაშორისო, მათ შორის ევროპულ, სტანდარტებთან წინააღმდეგობამ განაპირობა კონსტიტუციაში ცვლილების შეტანა.

<sup>33</sup> დამოუკიდებელი ექსპერტების მიერ მომზადებული კვლევა საქართველოს კანონმდებლობის ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ ადასტურებს საქართველოს მრავალი ნორმატიული აქტის ევროპულ კონვენციასთან შესაბამისობაში მოყვანის აუცილებლობას. იხ. Study on the Compatibility of Georgian Law with the Requirements of the Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms and its Protocols, HRCAD(2001)2, 2001; ასევე იხ. ევროპის საბჭოს ექსპერტების მიერ მომზადებული მოხსენება, Report on the Conformity of the Legal Order of Georgia with Council of Europe Standards, AS/Bur/Georgia (1997) 1, Parliamentary Assembly, Council of Europe, 25 September 1997.

ხსენებული მაგალითი ცხადყოფს, რომ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო და ევროპულ სტანდარტებსა და კონსტიტუციას შორისაც კი შეიძლება წარმოიშვას სამართლებრივი წინააღმდეგობა, რომელიც ამ კონკრეტულ შემთხვევაში არსებობდა თითქმის 11 წლის განმავლობაში, ვიდრე კონსტიტუციაში არ შეიტანდნენ ცვლილებას.

ზოგადად, ევროპული კონვენციის მონაწილე სახელმწიფოთა სასამართლო პრაქტიკაში კონვენციის გამოყენება შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტით დადგენილი ნორმის საწინააღმდეგოდ შედარებით იშვიათობაა. მიუხედავად ასეთი შემთხვევების იშვიათობისა, საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში აღმოჩენილია ორი შემთხვევა, რომლებიც მოგვიანებით არის განხილული ნაშრომში.

ნორმათა კოლიზიის საკითხთან მომიჯნავეა ადამიანის უფლებათა განსხვავებული სტანდარტით დაცული უფლებების საკითხი. ზოგიერთ შემთხვევაში ადამიანის უფლებათა ეფექტიანი დაცვის პრინციპი შეიძლება წინააღმდეგობაში მოვიდეს იერარქიული თანაფარდობის პრინციპთან. თუ საერთო სასამართლო დადგენს, რომ შიდა-სახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტი (მაგ., კანონი) პირს უზრუნველყოფს უფრო ეფექტიანი დაცვით, ვიდრე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, საერთო სასამართლომ უპირატესობა უნდა მიანიჭოს და გამოიყენოს შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტი, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კანონმდებლობით მას უფრო დაბალი იერარქიული ადგილი ენიჭება, ვიდრე ევროპულ კონვენციას. ასეთი მიღებომა გამართლებულია ადამიანის უფლებათა ეფექტიანი დაცვის პრინციპით. საქართველოს სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს იმ აქტით, რომელიც უფრო ეფექტიანად უზრუნველყოფს ადამიანის უფლებათა დაცვას. არ იქნებოდა მართებული, რომ კოლიზიისა ევროპულ კონვენციასა და კანონს შორის, რომელშიც კანონი უზრუნველყოფს პირის უფლებების უფრო ეფექტიან დაცვას, ვიდრე ევროპული კონვენცია, საქართველოს სასამართლომ გამოიყენოს ევროპული კონვენცია (რომელ-საც იერარქიული უპირატესობა ენიჭება კანონთან შედარებით) კანონით დადგენილი ადამიანის უფლებათა უფრო ეფექტიანი დაცვის საზიანოდ.

სასამართლოების მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის, ისევე როგორც, ზოგადად, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულებების, გამოყენების ერთ-ერთი უპირატესობა ზუსტად ისაა, რომ იგი იძლევა ისეთი შიდასახელმწიფოებრივი ნორმის დადგენის შესაძლებლობას, რომელიც უფრო დაბალი სტანდარტით იცავს ადამიანის უფლებებს, ვიდრე ევროპული კონვენცია. თუ სასამართლო არ გამოიყენებს ევროპულ კონვენციასა და, ზოგადად, საერთაშორისო ხელშეკრულებებს, იგი, უბრალოდ, ვერ შეძლებს კოლიზიის დადგენას შიდასახელმწიფოებრივ ნორმატიულ აქტსა და ევროპულ კონვენციას შორის და სასამართლო გადაწყვეტილების მიღებისას იხელმძღვანელებს ადამიანის უფლებათა დაცვის უფრო დაბალი სტანდარტებით. მართალია, ევროპულ კონვენციას ამ კონკრეტულ შემთხვევაში მიენიჭება

უპირატესობა, მაგრამ კოლიზიის აღმოფხვრის გარეშე არ არის იმის გარანტია, რომ მომავალში სხვა სასამართლოს მიერ მსგავსი გარემოებების არსებობის შემთხვევაში საქმის განმზიღველი სასამართლო გამოიყენებს ევროპულ კონვენციას და უპირატესობას მიანიჭებს მას.

### გ) ევროპული სტანდარტების გამოყენება, როგორც შიდასახელმწიფოებრივ ნორმატიულ აქტებში არსებული სამართლებრივი ვაკუუმის ამოვსების საშუალება

მართლმსაჯულების განხორციელებისას ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები შეიძლება გამოყენებულ იქნეს საქართველოს შიდასახელმწიფოებრივ ნორმატიულ აქტებში არსებული სამართლებრივი ვაკუუმის ამოსავსებად. ეს ხდება მაშინ, როდესაც შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტი (მაგ., კანონი) არ აწესრიგებს შესაბამის საზოგადოებრივ ურთიერთობას (ანუ სახეზეა სამართლებრივი ვაკუუმი), მაშინ, როდესაც ევროპული კონვენციით ასეთი ურთიერთობა მოწესრიგებულია.

ეროვნული სასამართლოების მიერ ევროპული კონვენციის, როგორც საქმის გადაწყვეტის ერთადერთ სამართლებრივ საფუძვლად გამოყენების საილუსტრაციოდ შეიძლება პოლონეთის უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 1997 წლის გადაწყვეტილების მოშველიება.<sup>34</sup>

საქმე ეხებოდა პოლონეთში დაკავებულ ჩინეთის ორი მოქალაქეის ექსტრადიციას ჩინეთში, სადაც მათზე გამოცხადებული იყო ძებნა თაღლითობისა და ქონების მითვისების ბრალდების გამო. ჩინეთის ხელისუფლებამ პოლონეთისაგან მოითხოვა ამ პირთა ექსტრადიცია.

უზენაესი სასამართლოს წინაშე ჩინეთის მოქალაქეებმა ექსტრადიციის შესახებ ბრძანების გასაუქმებლად მოიშველიეს ორი არგუმენტი: ა) ჩინეთში ეს დანაშაულები ითვალისწინებს სიკვდილით დასჯას; ბ) არსებობს იმის დასაბუთებული ეჭვი, რომ ორივე მათგანი დაექვემდებარება წამებას და/ან არაადამიანურ ან ლირსების შემლახველ მოპურობას ან სასჯელს. ამ არგუმენტების საფუძველზე ისინი ამტკიცებდნენ, რომ ჩინეთში მათი ექსტრადიცია ჩაითვლება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევად, რის გამოც უნდა გაუქმდეს ბრძანება ექსტრადიციის შესახებ. პოლონეთის უზენაესმა სასამართლომ გააუქმა ბრძანება ექსტრადიციის შესახებ. სასამართლომ გააკეთა განცხადება, რომელიც თავისი განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო სრულად არის ციტირებული:

<sup>34</sup> იხ. პოლონეთის უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის პალატის განაჩენი საქმეზე – მანდუგეკი, 1997 წლის 29 ივნისი; ასევე იხ. A. Drzemczewski & M. Nowicki, Poland, in: Fundamental Rights in Europe: The European Convention on Human Rights and its Member States (1950-2000), R. Blackburn & J. Polakiewicz (Eds.), 2001, 666.

„ის, რომ ჩინეთი არ არის ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მონაწილე, არაარსებითია იმასთან დაკავშირებით, რომ ეს საქმე ეხება ურთიერთობას პოლონეთ-სა და ჩინეთს შორის. [ადამიანის უფლებათა ევროპული] კონვენციის პირველი მუხლი აკისრებს მაღალ ხელშემკვრელ მხარეებს ვალდებულებას, „ყველა უზრუნველყონ ამ კონვენციის | ნაწილში განსაზღვრული უფლებებითა და თავისუფლებებით.“ გარდა ამისა, ჩვენ უნდა დავეყყრდნოთ არა მხოლოდ კონვენციის ტექსტს, არამედ სტრასბურგის სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს. სტრასბურგის სასამართლომ არაერთხელ განმარტა კონვენცია ექსტრადიციასთან დაკავშირებით. [...] კონვენციის მე-3 მუხლი კრძალავს წამებას ან არაადამიანურ, ან ღირსების შემლახველ მოპყრობას ან სასჯელს. ექსტრადიცია იმ სახელმწიფოში, რომელშიც პირი შეიძლება დაექვემდებაროს წამებას ან არაადამიანურ მოპყრობას ან სასჯელს, შეადგენს ამ მუხლის დარღვევას.<sup>35</sup> საჭირო არ არის იმის დამტკიცება, რომ ეს პირი ნამდვილად დაექვემდებარება ასეთ მოპყრობას ან სასჯელს. საკმარისია ასეთი მოპყრობის ან სასჯელის ალბათობის დადგენა (იხ. ზოერინგი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, 1989 წელი; კრუზ ვარასი და სხვები შვედეთის წინააღმდეგ, 1991 წელი; ვილვარაჯა გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, 1991 წელი; აპმედი ავსტრიის წინააღმდეგ, 1996 წელი).

ამგვარად, ექსტრადიცია დაუშვებელია, თუ არსებობს იმის ალბათობა, რომ გადასაცემი პირი დაექვემდებარება წამებას ან არაადამიანურ, ან ღირსების შემლახველ მოპყრობას ან სასჯელს.

იგივე წესი გამოიყენება ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის მიმართ. [...] ექსტრადიცია არ დაიშვება, თუ არსებობს ალბათობა, რომ გადასაცემი პირი არ იქნება უზრუნველყოფილი სამართლიანი სასამართლოს ძირითადი გარანტიებით გადაცემის შემდგომი სასამართლო პროცესის დროს.

ამ სასამართლოს არ ძალუძს, დაადგინოს რაიმე ფაქტი ჩინეთში არსებული მდგომარეობის შესახებ. ჩვენ მხოლოდ შეგვიძლია დავეყყრდნოთ რაიონული სასამართლოს დასკვნებს (რომლებიც არ უარყო სააპელაციო სასამართლო), რომელთა თანახმად, არსებობს დიდი ალბათობა, მომზივნებს, თუ განხორციელდა მათი ექსტრადიცია, შეიძლება მოეპყრონ ისე, რომ დაირღვევა საერთაშორისო სამართალი, განსაკუთრებით ევროპული კონვენციის მე-3 მუხლი.“

ხსენებული საქმიდან ნათელია, რომ პოლონეთის უზენაესმა სასამართლომ გამოიყენა ევროპული კონვენცია (და ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი), როგორც ქვეყნის კანონმდებლობაში სამართლებრივი ვაკუუმის ამოვსების საშუალება.

<sup>35</sup> M. O'Boyle, Extradition and Expulsion under the European Convention on Human Rights: Reflection on the Soering Case, in: Human Rights and Constitutional Law, Essays in Honour of Brian Walsh, J. O'Reilly (Ed.), 1992, 96-98.

## დ) ევროპული სტანდარტების გამოყენება, როგორც ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების განჭვრეტის საშუალება

ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენება ეროვნული სასამართლოების მიერ განპირობებულია ასევე იმით, რომ ის აძლევს ეროვნულ სასამართლოებს იმ გადაწყვეტილების განჭვრეტის შესაძლებლობას, რომელსაც, სავარაუდოდ, მიიღებს ევროპული სასამართლო ამ სახელმწიფოს წინააღმდეგ ევროპულ სასამართლოში განაცხადით მიმართვის შემთხვევაში.

თუ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ადრე განხილულ საქმესთან დაკავშირებით დაადგინა კონვენციის დარღვევა ერთ-ერთი მონაწილე სახელმწიფოს მიერ, დიდია იმის ალბათობა, რომ მსგავს საქმეზე, რომელიც მომავალში შეიძლება განიხილოს ევროპულმა სასამართლომ, იგი მიიღებს ასეთსავე გადაწყვეტილებას, კერძოდ, დაადგენს სახელმწიფოს მიერ კონვენციის დარღვევას.<sup>36</sup>

თუ ეროვნული სასამართლოები არ გაითვალისწინებენ ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს, არ მოახდენენ კანონმდებლობისა და პრაქტიკის, განსაკუთრებით კი სასამართლო პრაქტიკის, კორექტირებას ევროპული სასამართლოს მიერ ანალოგიურ საქმებზე ადრე მიღებული გადაწყვეტილებების მიხედვით, ისინი დადგებიან რეალური საფრთხის წინაშე, რომ ევროპული სასამართლო დაადგენს ევროპული კონვენციის დარღვევას ამ სახელმწიფოს მიერ. სხვა სიტყვებით, თუ ეროვნულმა სასამართლომ არ გაითვალისწინა ევროპული სასამართლოს მიერ ადრე მიღებული გადაწყვეტილებები ანალოგიურ საქმეებთან დაკავშირებით, რომლებშიც ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის დარღვევა, სავარაუდოა, რომ ამ სახელმწიფოს წინააღმდეგ განაცხადის შეტანის შემთხვევაში ევროპული სასამართლო იმავეს დაადგენს.<sup>37</sup>

ცხადია, სახელმწიფოს, მისი ეროვნული სასამართლოების ინტერესებშია ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენება, რაც მას მისცემს შესაძლებლობას, დაიცვას ფიზიკური და იურიდიული პირების უფლებები ევროპული სტანდარტებით. თუ ეროვნულმა სასამართლოებმა გამოიყენეს პრეცედენტული სამართალი და მასში დადგენილი სტანდარტებით დაიცვეს პირთა უფლებები, ნაკლებად მოსალოდნელია, ამ პირებმა მიმართონ ევროპულ სასამართლოს თავიანთი უფლებების დასაცავად და, აქედან გამომდინარე, მცირეა იმის ალბათობა, ევროპულმა სასამართლომ დაადგინოს, რომ ამ სახელმწიფომ დაარღვია ევროპული კონვენცია.

<sup>36</sup> J. A. Carrillo Salcedo, The European System of Protection of Human Rights, in: Judicial Protection of Human Rights at the National and International Level, vol. I, 1991, 376-377; J. Merrils, The Development of International Law by the European Court of Human Rights, 1993, 12.

<sup>37</sup> E. Alkema, Responsibilities Deriving from the Implementation of the European Convention on Human Rights: Responsibilities for States Parties to the Convention, in: Proceedings of the Sixth International Colloquy about The European Convention on Human Rights, 13-16 November 1985, 1988, 708.

ის გარემოება, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო გადაწყვეტილების მიღებისას, როგორც წესი, ითვალისწინებს თავის ადრინდელ გადაწყვეტილებებს (პრეცედენტულ სამართალს), არ ნიშნავს, რომ მას არ შეუძლია შეცვალოს თავისი შეხედულება და განსხვავებულად განმარტოს კონვენციის დებულებები. საქმეზე – კოსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Cossey v. the United Kingdom*) – ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ადრე მიღებულ გადაწყვეტილებათა მომდევნო საქმეების განხილვისას გამოყენების პრაქტიკა „ხელს არ შეუშლის სასამართლოს, გადაუხვიოს ადრე მიღებულ გადაწყვეტილებას, თუ იგი დარწმუნდა, რომ არსებობს ამისათვის დამაჯერებელი მიზეზები. ასეთი გადახვევა შეიძლება მოხდეს, რათა, მაგალითად, უზრუნველყოფილ იქნეს კონვენციის ისეთი განმარტება, რომელიც ასახავს საზოგადოებრივ ცვლილებებს და შეესატყვისება დღევანდელ პირობებს.<sup>38</sup>

როგორც თავად კონვენციით, ისე ევროპული სასამართლოს პრაქტიკით დადასტურებულია ევროპული სასამართლოს მიერ ისეთი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა, რომელიც განსხვავებს მის დღევანდელ მიღვომას ადამიანის უფლებათა დაცვის ამა თუ იმ საკითხისადმი ადრინდელი მიღვომისაგან.<sup>39</sup> ევროპული კონვენციის 30-ე მუხლი პირდაპირ ითვალისწინებს ევროპული სასამართლოს მიერ ისეთი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას, რომელიც შეუთავსებელია სასამართლოს მიერ ადრე მიღებულ გადაწყვეტილებასთან.<sup>40</sup> რაც შეეხება ევროპული სასამართლოს პრაქტიკას ევროპული კონვენციის ისეთ განმარტებასთან დაკავშირებით, რომელიც განსხვავდება ადრინდელი განმარტებისაგან, სასამართლო პრაქტიკაში მრავლად იყო შემთხვევა, როდესაც ევროპული სასამართლოს მიერ კონვენციის დებულებათა განმარტება განსხვავდებოდა ადრინდელისაგან.<sup>41</sup>

<sup>38</sup> 1990 წლის 27 სექტემბერი, Series A, no. 184, 35-ე პუნქტი.

<sup>39</sup> იხ. საქმეები: დელკური ბელგიის წინააღმდეგ (*Delcourt v. Belgium*) (1970 წელი) და ბორგერსის ბელგიის წინააღმდეგ (*Borgers v. Belgium*) (1990 წელი); შიერი შვეიცარიის წინააღმდეგ (*Schiesser v. Switzerland*) (1979 წელი); ასევე იხ. L. Wildhaber, Precedent in the European Court of Human Rights, in: Protecting Human Rights: The European Perspective, Studies in Memory of R. Ryssdal, P. Mahoney, F. Matscher, H. Petzold & L. Wildhaber (Eds.), 2000, 1532-1533.

<sup>40</sup> ევროპული კონვენციის 30-ე მუხლის თანახმად: „როდესაც პალატის განხილვაში არსებული საქმე მინიჭებული გადაწყვეტილების გადაწყვეტილებას ახდენს კონვენციისა ან მისი ოქმების განმარტებაზე, ან პალატის მიერ საკითხის გადაწყვეტილებას შეიძლება მოჰყვეს სასამართლოს მიერ მანამდე მიღებულ გადაწყვეტილებასთან შეუთავსებელი შედეგი, პალატას უფლება აქვს, გადაწყვეტილების გამოტანამდე ნებისმიერ დროს უარი განცხადოს იურისდიქციაზე დიდი პალატის სასარგებლოდ, თუ საქმის რომელიმე მხარე არ არის წინააღმდეგი.“

<sup>41</sup> J. Merrils, The Development of International Law by the European Court of Human Rights, 1993, 14.

## ე) ევროპული სტანდარტების გამოყენება, როგორც ადამიანის უფლებათა ეროვნული სტანდარტების განვითარების საშუალება

ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტების გამოყენების ერთ-ერთი უპირატესობა ისაა, რომ ის იძლევა ადამიანის უფლებათა ეროვნული სტანდარტების განვითარების საშუალებას ევროპული სტანდარტების კვალდაკვალ.

ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტების მიხედვით კანონმდებლობის დებულებების განმარტების ერთ-ერთი განმაპირობებელი ფაქტორია ის, რომ ევროპული კონვენცია აღიარებულია „ცოცხალ“ დოკუმენტად. ასეთად კონვენციის აღიარება ნიშნავს, რომ მისი დებულებები უნდა განიმარტოს საზოგადოებრივ ცნობიერებაში მომხდარი ცვლილებების შესაბამისად.<sup>42</sup> თუ საქართველოს კანონმდებლობის დებულებები არ განიმარტა ევროპული სტანდარტების მიხედვით, შეიძლება, კანონმდებლობის ნორმების შინაარსი „ჩამორჩეს“ ევროპული სტანდარტებით დაცულ უფლებათა შინაარსს, რომელიც სულ უფრო ვითარდება ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტების ზრდასთან ერთად. თუ ეროვნული სასამართლო არ გამოიყენებს ევროპულ სტანდარტებს კანონმდებლობის განმარტებისათვის, შეიძლება, კანონმდებლობის დებულებები უფრო შეზღუდულად განიმარტოს, რის გამოც დაირღვევა ევროპული სტანდარტებით გათვალისწინებული უფლებები.<sup>43</sup>

ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტების მიხედვით საქართველოს შიდა-სახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების განმარტება ხელს შეუწყობს ევროპული კონვენციით, ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტების ჰარმონიზებას. ცხადია, რომ ასეთი ჰარმონიზება უნდა მოხდეს ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტების გაზრდის მიზნით. თუ საქართველოს კანონმდებლობის ნორმა განიმარტა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით და ეროვნულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი ადამიანის უფლებათა დაცვის უფრო მაღალ სტანდარტს ადგენს, ეროვნულმა სასამართლომ ისე უნდა განმარტოს კანონმდებლობის დებულებები, რომ ისინი შეესაბამებოდნენ პრეცედენტულ სამართალს; მეორე მხრივ, თუ ეროვნულმა სასამართლომ დაადგინა, რომ კანონმდებლობის განმარტებას ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით საწინააღმდეგო შედეგი აქვს, ანუ კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლება შეიძლება შეიზღუდოს ასეთი განმარტებით, მაშინ საქართველოს სასამართლომ არ უნდა განმარტოს კანონმდე-

<sup>42</sup> S. Jensen, The European Convention on Human Rights in Scandinavian Law: A Case Law Study, 1992, 236.

<sup>43</sup> W. Binchy, The Bill, the Advantages and Disadvantages of the Approach Taken, and Possible Alternatives, paper presented to the Conference of the Law Society of Ireland on the European Convention on Human Rights Bill (2001), 19 October 2002.

ბლობა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით დადგენილი უფრო დაბალი სტანდარტით.

ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტებით საქართველოს კანონმდებლობის განმარტება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოს კონსტიტუციასთან მიმართებით.

კონსტიტუციურ დებულებათა განმარტებას ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით ხელს უწყობს საქართველოს კონსტიტუციისა და ევროპული კონვენციის დებულებათა მსგავსება. ასეთი მსგავსება განაპირობა იმან, რომ საქართველოს კონსტიტუციის შემუშავების დროს მხედველობაში იქნა მიღებული ევროპული კონვენციის დებულებები. ევროპული კონვენციის დებულებები საქართველოს კონსტიტუციის ზოგიერთ მუხლს საფუძვლადაც კი დაედო. როგორც გერმანელი მკვლევარი ვ. გაული აღნიშნავს თავის ნაშრომში, რომელშიც შეისწავლა საქართველოს კონსტიტუციის შემუშავების პროცესი, „ვენეციის კომისიის მიერ განხორციელებული ანალიზისა და დახმარების შედეგად უკვე ადრეულ ეტაპზე დადგინდა კონსტიტუციის პროექტის ნორმათა ევროპის საბჭოს ნორმებთან, უპირველეს ყოვლისა კი, ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასთან შესაბამისობა.“<sup>44</sup>

ასეთი მსგავსება განსაკუთრებით თვალსაჩინოა საქართველოს კონსტიტუციის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტსა და 24-ე მუხლის მე-4 პუნქტან დაკავშირებით, რომელთა ფორმულირებები მსგავსია ევროპული კონვენციის შესაბამისი დებულებების ფორმულირებებისა. იმის გათვალისწინებით, რომ ევროპულმა სასამართლომ მნიშვნელოვნად განავითარა და დააზუსტა ევროპული კონვენციის მატერიალური მუხლების შინაარსი, ევროპულმა კონვენციამ და ევროპული სასამართლოს პრეცედენტულმა სამართალმა შეიძლება ორიენტირის როლი შეასრულოს საქართველის კონსტიტუციის ადამიანის უფლებათა შესახებ დებულებების განმარტებისათვის.

ამ მსგავსების საილუსტრაციოდ შეიძლება ისეთი უფლების რეგულირების საკითხის მოშველიება, როგორიცაა გამოხატვის თავისუფლება. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტი ადგენს, რომ იმისათვის, რათა გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა მართლზომიერად ჩაითვალოს, მან უნდა დაკამაყოფილოს სამი პირობა, კერძოდ, ადამიანის უფლებათა შეზღუდვა უნდა: ა) იყოს კანონით განსაზღვრული; ბ) ემსახურებოდეს კანონიერ მიზანს;<sup>45</sup> და გ) იყოს აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ამ სამი პირობის საფუძველზე აფა-

<sup>44</sup> იხ. ვ. გაული, კონსტიტუციის შემუშავება და მიღება საქართველოში, 2002 წელი, გვ. 374; ასევე იხ. გვ. 32.

<sup>45</sup> მაგალითად, ეროვნული უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, უწევსრიგობის ან დანაშაულის თავიდან აცილებისათვის, ჯანმრთელობის ან ზნეობის დაცვისათვის, სხვათა რეპუტაციის ან უფლებათა დაცვისათვის, სადუმლო ინფორმაციის გამჟღავნების თვივიდან აცილების ან სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტისა და მუკერძოშობისათვის.

სებს, მართლზომიერია თუ არა ევროპული კონვენციის ხსენებული უფლების შეზღუდვა. თუ ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ არ არის დაკმაყოფილებული ერთ-ერთი პირობა მაინც, იგი მიიჩნევს, რომ ადამიანის უფლებათა შეზღუდვა არა-მართლზომიერია და შესაბამისმა სახელმწიფომ დაარღვია ევროპული კონვენციის შესაბამისი დებულება.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის მსგავსად, საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის მე-4 პუნქტი ადგენს სამ ანალოგიურ პირობას სიტყვის თავისუფლების შეზღუდვასთან დაკავშირებით. კერძოდ, 24-ე მუხლის მე-4 პუნქტში აღნიშნულია, რომ: „ამ მუხლის პირველ და მეორე პუნქტებში ჩამოთვლილ უფლებათა განხორციელება შესაძლებელია კანონით შეიზღუდოს ისეთი პირობებით, რომელიც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფო უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, სხვათა უფლებებისა და ღირსების დასაცავად, კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამუღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად.“

სიტყვის (გამოხატვის) თავისუფლებასთან დაკავშირებით საქართველოს კონსტიტუციისა და ევროპული კონვენციის დებულებების შედარებიდან ნათელია, რომ ამ აქტებით დადგენილი პირობები სიტყვის (გამოხატვის) თავისუფლების შეზღუდვის მიმართ მსგავსია.<sup>46</sup> ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის მსგავსად საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტი ადგენს სამ პირობას, რომელთა დაკმაყოფილების შემთხვევაში შეიძლება მართლზომიერად შეიზღუდოს სიტყვის თავისუფლება. საქართველოს სასამართლოს შეუძლია გამოიყენოს ევროპული კონვენცია და ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი და მის საფუძვლზე შეაფასოს სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის მართლზომიერება. ევროპული კონვენციისა და ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენება საქართველოს სასამართლოებს შესაძლებლობას მისცემს, მიიღონ ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც შეესაბამება ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს. ევროპული კონვენცია და ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი იქნება ის ორიენტირი, რომელიც დაეხმარება საქართველოს სასამართლოს სწორი გადაწყვეტილების მიღებაში.<sup>47</sup>

<sup>46</sup> სიტყვის თავისუფლებასთან დაკავშირებით, მიუხედავად კონსტიტუციისა და კონვენციით გათვალისწინებული დებულებების მსგავსებსა, გასათვალისწინებელია, რომ ევროპული კონვენცია ასევე მოიხსენიებს კიდევ ერთ კანონიერ მიზანს – ჯანმრთელობისა და ზნეობის დაცვას, რომლის საფუძველზე შეიძლება შეიზღუდოს ადამიანის უფლებები, რასაც კონსტიტუციის 24-ე მუხლი არ ითვალისწინებს. n.b. Study on the Compatibility of Georgian Law with the Requirements of the Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms and its Protocols, HRCAD(2001)2, 2001, 24.

<sup>47</sup> J. Polakiewicz, The Application of the European Convention on Human Rights in Domestic Law, 17 Human Rights Law Journal, N11-12, 1996, 407.

ასევე აღსანიშნავია, რომ, თუ საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლი აწესრიგებს „სიტყვის თავისუფლებას“, კონვენციის მე-10 მუხლი აწესრიგებს „გამოხატვის თავისუფლებას“. ეს უკანასკნელი უფრო ფართოა და მოიცავს არა მხოლოდ „სიტყვით“ გამოხატულ შეხედულებას, არამედ ნებისმიერი სხვა ფორმით (მაგ., ხელოვნების ნაწარმოებით, ნახატით).<sup>48</sup> საქართველოს სასამართლოებმა ასეთი განსხვავება კონვენციითა და კონსტიტუციით მოწესრიგებული უფლების ფარგლებთან დაკავშირებით შეიძლება გამოიყენონ საქართველოს კონსტიტუციის ისეთი განმარტებისათვის, რომელიც შეესაბამება ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას.

### ვ) ევროპული სტანდარტების გამოყენება, როგორც სასამართლოს გადაწყვეტილებისათვის სამართლებრივი დამაჯერებლობის შემძენი საშუალება

თუ ეროვნული სასამართლო დეტალურად განიხილავს ევროპულ კონვენციასა და ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს და შიდასახელმწიფოებრივ ნორმატიულ აქტთან (მაგ., კანონთან) ერთად თავის გადაწყვეტილებას დასაბუთებს ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტებით, მოსარჩელისათვის ასეთი გადაწყვეტილება, სავარაუდოდ, უფრო დამაჯერებელი იქნება, მიუხედავად იმისა, მოსარჩელის სასარგებლოდ არის ეს გადაწყვეტილება თუ არა.<sup>49</sup>

ნაკლებად სავარაუდოა, მოსარჩელემ ეჭვი შეიტანოს გადაწყვეტილების სამართალიანობაში, თუ მან დაინახა, რომ გადაწყვეტილებაში ეროვნულმა სასამართლომ გამოიყენა არა მხოლოდ შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა (რომელიც, მოსარჩელის აზრით, შეიძლება ხარვეზიანი იყოს და არ აკმაყოფილებდეს ევროპულ სტანდარტებს), არამედ ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები, რომელთან მიმართებითაც მოსარჩელეს, როგორც წესი, არ უჩნდება ეჭვები ამ სტანდარტებით დაცული უფლებების ხარისხთან დაკავშირებით.

ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტების გამოყენების დადებით მხარეზე, როგორც ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილებისათვის სამართლებრივი დამაჯერებლობის შემძენ საშუალებაზე, ყურადღება გამახვილდა საქართველოს მოსამართლეებთან ჩატარებულ კვლევაში. კვლევის მიხედვით, „ძირითადი წარმატება, რაც, მოსამართლეების აზრით, თან ახლავს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულებების გამოყენებას და ევროსასამართლოს გადაწყვეტილებებზე აპელირებას მათ კონკრეტულ საქმიანობაში, არის მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყ-

<sup>48</sup> მიუღერი შეეიცარის ნინაალმდევ (Muller v. Switzerland), 1988 წლის 24 მაისი, Series A, no. 133, 27-ე პუნქტი.

<sup>49</sup> J. Polakiewicz, The Implementation of the ECHR and of the Decisions of the Strasbourg Court in Western Europe: An Evaluation, The Domestic Implementation of the European Convention on Human Rights in Eastern and Western Europe (eds. E. Alkema, T. Bellekom, A. Drzemczewski et al.), 1992, 160.

ვეტილების დასაბუთებულობის გაზრდა. ეს, ერთი მხრივ, მაღალი სამართლებრივი კულტურის მაჩვენებელია, მეორე მხრივ კი – მხარეებს უმტკიცებს რწმენას სასამართლო გადაწყვეტილებების სისწორეში და ამაღლებს სასამართლოს ავტორიტეტს, რადგან მასში არის მითითება შესაბამის ევროპულ გამოცდილებაზე.<sup>50</sup>

ამავე კვლევაში საქალაქო სასამართლოს ერთ-ერთმა მოსამართლემ ყურადღება გაამახვილა ადამიანის უფლებათა სტანდარტების გამოყენების მნიშვნელობაზე, როგორც სასამართლოს მიმართ ნდობის გაზრდის საშუალებაზე. მისი აზრით, „თუ მოქალაქე დაინახავს, რომ რაღაც საკითხი მთელ მსოფლიოში ასე რეგულირდება და მხოლოდ ადგილობრივი სასამართლო არ არის „უსამართლო“, როგორც მას ჰგონია, მეტი ნდობა გაუჩინდება სასამართლოს მიმართ“.<sup>51</sup>

თუ მოსამართლები გამოიყენებენ ადამიანის უფლებათა ევროპულ სტანდარტებს და მათ საფუძველზე უზრუნველყოფენ ადამიანის უფლებათა დაცვას მართლმსაჯულების განხორციელებისას, ასეთი გადაწყვეტილებები უფრო დამაჯერებელი იქნება დავის მხარეებისათვის, რის გამოც შეიძლება მცირე რაოდენობის საქმეები გასაჩივრდეს ზემდგომ სასამართლო ინსტანციებში, ან, ადამიანის უფლებათა დაცვის შიდასახელმწიფოებრივი საშუალებების ამონურვის შემდეგ, ნაკლები რაოდენობის სარჩელით მიერათოს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს.

ამიტომ მართლმსაჯულების განხორციელებისას ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტების გამოყენებას კიდევ ერთი, ძალზე მნიშვნელოვანი, უპირატესობა აქვს. პირველ რიგში, ეს ხელს შეუწყობს საქართველოს საკასაციო და სააპელაციო ინსტანციების განტვირთვას. თუ მოსარჩელე დარწმუნდა, რომ სასამართლომ საქმის გარემოებები შეაფასა არა მხოლოდ შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების, არამედ ევროპული სტანდარტების საფუძველზე და, შესაბამისად, მოსარჩელეს ჩამოუყალიბდა აზრი, რომ გადაწყვეტილება იყო სამართლიანი, მცირდება ალბათობა, მან გაასაჩივროს საქმე ზემდგომ ინსტანციაში. მით უფრო, რომ პირის მიზანი არის არა საქმის გასაჩივრება, არამედ სასამართლოს მიერ სამართლიანი გადაწყვეტილების მიღება. ამ გზით თავიდან იქნება აცილებული ზედმეტი რესურსების ხარჯვა და ზემდგომი სასამართლო ინსტანციების გადატვირთვა.

თუ სასამართლოს გადაწყვეტილება მოსარჩელისათვის დამაჯერებელი აღმოჩნდა (მიუხედავად იმისა, რომ მისი სარჩელი არ დაემაყოფილდა), ვინაიდან ეროვნულმა სასამართლომ, შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობასთან ერთად, გამოიყენა ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები, მცირეა იმის ალბათობა, რომ მან მი-

<sup>50</sup> იხ. კვლევა „საქართველოს სასამართლოების მუშაობაში ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და ევროპული სასამიროოს გადაწყვეტილებების გამოყენების შესახებ“, რომელიც შეასრულა BCG Research-მა გაეროს განვითარების პროგრამის დაკვეთით. იხ. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულებები და საქართველოს სასამართლო პრაქტიკა, ნაწილი პირველი, 2006 წელი, გვ. 43.

<sup>51</sup> იქვე, გვ. 44.

მართოს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს. თუ მოსარჩელე დარწმუნდა, რომ ეროვნულმა სასამართლომ მიიღო სამართალიანი გადაწყვეტილება, რომელიც ემყარება არა მხოლოდ შიდასახელმწიფოებრივ სამართალს, არამედ ევროპულ სტანდარტებსაც, მაშინ ეს საქმე ეროვნულ დონეზე დასრულდება. თუ მოსარჩელემ ვერ დაინიახა პერსპექტივა, რომ საქმეს მოიგებს ევროპულ დონეზე, მაშინ ის აღარ მიმართავს ევროპულ სასამართლოს, მით უფრო, რომ ევროპულ სასამართლოში საქმის განხილვას ამჟამად ძალიან დიდი დრო (4-5 წელი) სჭირდება.

თავის მხრივ, სახელმწიფოსათვისაც მომგებიანი უნდა იყოს სასამართლოს მიერ არა მხოლოდ შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის, არამედ ევროპული სტანდარტების საფუძველზე გადაწყვეტილების მიღება, რომელიც დაარწმუნებს მოსარჩელეს მიღებული გადაწყვეტილების სამართლიანობაში. არც სახელმწიფოს ინტერესებში არ უნდა შედიოდეს ის, რომ პირმა მიმართოს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს თავისი უფლებების დასაცავად.

ზემოაღნიშნულმა ანალიზმა ცხადყო, რომ მართლმსაჯულების განხორციელებისას ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტების გამოყენება ყველა მხარის ინტერესებშია და მისი მეშვეობით შესაძლებელია, რომ სასამართლო დავა გადაწყდეს სამართლიანად, დროულად და ნაკლები რესურსებით როგორც მოსარჩელისათვის, ისე სასამართლოსათვის (სახელმწიფოსათვის).

#### 4. როგორია ადამიანის უფლებათა ევროპული სტაციონარულის გა-მოყვების არსებული პრაქტიკა საქართველოში?

როგორც უკვე აღინიშნა, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია გახდა საქართველოს კანონმდებლობის განუყოფელი ნაწილი, ნორმატიული აქტი, რომლის საფუძველზეც შეიძლება გადაწყდეს სასამართლო (ან ადმინისტრაციული) დავა. საერთაშორისო ხელშეკრულებათა, მათ შორის ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის როლი საქართველოს კანონმდებლობაში განისაზღვრა როგორც საქართველოს კონსტიტუციით,<sup>52</sup> ისე სხვა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტებით, მათ შორის კანონებით: „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების შესახებ“<sup>53</sup> და „ნორმატიული აქტების შესახებ“.<sup>54</sup>

საქართველოს საერთო სასამართლოების პრაქტიკის შესწავლამ ცხადყო, რომ იკვეთება საქართველოს სასამართლოების მიერ საერთაშორისო აქტების მზარდი გამოყენების ტენდენცია. ეს ტენდენცია ეხება როგორც ზოგადად საერთაშორისო ხელშეკრულებების, ისე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენებას მართლმსაჯულების განხორციელებისას.

საერთაშორისო ხელშეკრულებებს შორის საქართველოს სასამართლოები ყველაზე ხშირად იყენებენ ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას.<sup>55</sup> საქართველოს სასამართლოების პრაქტიკის შესწავლის შედეგად აღმოჩენილია ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტების გამოყენების დაახლოებით 120 შემთხვევა.<sup>56</sup>

<sup>52</sup> მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი.

<sup>53</sup> მე-6 მუხლი.

<sup>54</sup> მე-4 მუხლის პირველი პუნქტი და მე-19 მუხლის პირველი პუნქტი.

<sup>55</sup> ეს დაადასტურა საქართველოს საერთო და საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეებთან ჩატარებულმა კვლევამ, რომლის მიხედვით, სასამართლოებში ყველაზე ხშირად გამოიყენება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია. უცნაურია, რომ კვლევის მიხედვით, საყოველთაო დეკლარაცია, რომელიც თავისი ბუნებით სარეკომენდაციო აქტია, უფრო ხშირად გამოიყენება საქართველოს სასამართლოებში, ვიდრე, მაგალითად, სამიერაქტური უფლებების საერთაშორისო პაქტი, რომელიც იურიდიულად სავალდებულო აქტა საქართველოსათვის. იხ. კვლევა „საქართველოს სასამართლოების მუშაობაში ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულებისა და ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების გამოყენების შესახებ“, რომელიც შეასრულა BCG Research-მა გაერთოს განვითარების პროგრამის დაკვეთთან. იხ. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულები და საქართველოს სასამართლო პრაქტიკა, ნაწილი პირველი, 2006 წელი, გვ. 17.

<sup>56</sup> ვინაიდან საქართველოს სასამართლოების ყველა იმ გადაწყვეტილების მოშევლიერაც კი, რომლებშიც ევროპული სტანდარტები იქნა გამოყენებული, რამდენიმე გვერდს იყავებს, ამ ნაშრომში მითითებულია მხოლოდ ბოლო რამდენიმე წლის გადაწყვეტილებანი. კონვენციის რატიფიცირებიდან პირველ წლებში საქართველოს სასამართლოების მიერ ევროპულ სტანდარტების გამოყენების პრაქტიკა იხ. კ. კორპელია, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენება საქართველოში, 2004 წელი. გადაწყვეტილება N107 კოლ, 9 თებერვალი, 2004 წელი, საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა; გადაწყვეტილება N111 კოლ, 12 ოქტომბერი, 2004 წელი, საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა; გადაწყვეტილება N168-465-05, 1 ივნისი, 2004 წელი, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა; გადაწყვეტილება Nბს-1109-910-კ-04, 5 ნოემბერი, 2004 წელი, ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა; გადაწყვეტილება Nბს-550-473-კ-04, 8 ოქტომბერი, 2004 წელი, ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა; გადაწყვეტილება Nბს-877-746-კ-04, 3 დეკემბერი, 2004 წელი, ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა;

ცხადია, მისასალმებელია, რომ საქართველოში იზრდება იმ სასამართლო გადაწყვეტილებათა რაოდენობა, რომლებშიც გამოყენებულია ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები. მიუხედავად ამისა, ეს არ იძლევა სრული კამაყოფილების საფუძველს, რადგან ამ სტანდარტების გამოყენების პრაქტიკა უპრობლემოდ არ ვითარდება საქართველოში. ჯერ კიდევ ბევრია ისეთი სასამართლო გადაწყვეტილება, რომლებიც, ევროპული სტანდარტების გამოყენების თვალსაზრისით, შეიძლება ძალიან უარყოფითად შეფასდეს, თუმცა, საბედნიეროდ, არის რამდენიმე ისეთი გადაწყვეტილება, რომლებიც შეიძლება ძალიან დადებითად შეფასდეს. ამის საილუსტრაციოდ შეიძლება ორი მაგალითის მოშველიება საქართველოს სასამართლო პრაქტიკიდან:

ერთ-ერთ პირველ სასამართლო საქმეში, რომელშიც დადგა ევროპული კონვენციისა და ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენების საკითხი, სასამართლომ საერთოდ ვერ გაათვითცნობიერა, რატომ უნდა გამოეყენებინა ადა-

გადაწყვეტილება Nბს-1278-1081-კ-04, 17 დეკემბერი, 2004 წელი, ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა; გადაწყვეტილება Nას-322-605-04, 21 ივნისი, 2004 წელი, სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა; გადაწყვეტილება Nას-993-1248-04, 23 დეკემბერი, 2004 წელი, სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა; გადაწყვეტილება Nას-593-1241-03, 14 აპრილი, 2004 წელი, სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა; გადაწყვეტილება N99, 14 ივნისი, 2005 წელი, საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა; გადაწყვეტილება Nბს-586-507-კ-04, 1 აპრილი, 2005 წელი, ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა; გადაწყვეტილება Nბს-1281-1024-კ-04, 20 იანვარი, 2005 წელი, ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა; გადაწყვეტილება Nბს-1500-1075, 29 ნოემბერი, 2005 წელი, ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა; გადაწყვეტილება Nბს-336-267-კ-05, 9 ივნისი, 2005 წელი, ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა; გადაწყვეტილება Nბს-548-134-კ-05, 19 ოქტომბერი, 2005 წელი, ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა; გადაწყვეტილება Nბს-115-91-კ-05, 7 აპრილი, 2005 წელი, ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა; გადაწყვეტილება Nბს-1143-719-კ-05, 17 ნოემბერი, 2005 წელი, ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა; გადაწყვეტილება Nბს-325-259-კ-05, 16 ივნისი, 2005 წელი, ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა; გადაწყვეტილება Nბს-1478-1199-კ-04, 11 მარტი, 2005 წელი, ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა; გადაწყვეტილება Nბს-105-84-კ-05, 15 ივნისი, 2005 წელი, ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა; გადაწყვეტილება Nბს-662-249-კ-05, 24 ნოემბერი, 2005 წელი, ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა; გადაწყვეტილება N156აპ, 12 ივნისი, 2005 წელი, სისხლის სამართლის საქმეთა პალატა; გადაწყვეტილება N438აპ, 19 მაისი, 2005 წელი, სისხლის სამართლის საქმეთა პალატა; გადაწყვეტილება N512აპ, 19 დეკემბერი, 2005 წელი, სისხლის სამართლის საქმეთა პალატა; გადაწყვეტილება Nს-1326-1437-05, 28 აპრილი, 2005 წელი, სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა; გადაწყვეტილება Nას-1349-1471-04, 18 მაისი, 2005 წელი, სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა; გადაწყვეტილება Nას-627-903-05, 29 ივნისი, 2005 წელი, სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა; გადაწყვეტილება Nბს-1576-1150-კ-05, 17 მაისი, 2006 წელი, ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა; გადაწყვეტილება N457ას, 27 დეკემბერი, 2006 წელი, სისხლის სამართლის საქმეთა პალატა; გადაწყვეტილება Nსაზ-03-06, 7 მარტი, 2006 წელი, სისხლის სამართლის საქმეთა პალატა; გადაწყვეტილება N779აპ, 8 ნოემბერი, 2006 წელი, სისხლის სამართლის საქმეთა პალატა; გადაწყვეტილება N102აპ, 30 მარტი, 2006 წელი, სისხლის სამართლის საქმეთა პალატა; გადაწყვეტილება N267აპ, 23 ოქტომბერი, 2006 წელი, სისხლის სამართლის საქმეთა პალატა; გადაწყვეტილება Nას-1333-1562-05, 22 ნოემბერი, 2006 წელი, სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა; გადაწყვეტილება Nას-1106-1352-05, 14 ივნისი, 2006 წელი, სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა; გადაწყვეტილება Nბს-475-452-კ-06, 9 იანვარი, 2007 წელი, ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა; გადაწყვეტილება Nბს-995-912, 15 იანვარი, 2007 წელი, ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა; გადაწყვეტილება Nბს-455-44-კ-05, 2 აგვისტო, 2007 წელი, ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა; გადაწყვეტილება, N3/2058, თბილისის საქალაქო, სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია, 10 ოქტომბერი, 2007 წელი; განჩინება Nას-968-1269-07, 15 მაისი, 2008 წელი, სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა; განჩინება Nას-810-1129-07, 16 მაისი, 2008 წელი, სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა.

მიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, რომელ-საც ადვოკატი იშველიებდა და ითხოვდა ამ ევროპული სტანდარტების გამოყენებას;<sup>57</sup> მეორე სასამართლომ არა მხოლოდ გამოიყენა ევროპული კონვენცია და ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, არამედ ყურადღება გაამახვილა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენების როლსა და მნიშვნელობაზე მართლმასაჯულების განხორციელებისას. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, რომელიც ამ განმარტების გამო საქართველოს სასამართლო პრაქტიკის განვითარებისათვის ისტორიულ გადაწყვეტილებად შეიძლება ჩაითვალოს, სასამართლომ მიუთითა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტები „ავსებენ და აზუსტებენ ევროპული კონვენციითა და საქართველოს კონსტიტუციით დადგენილი ნორმების შინაარსს.“ როთაც დაადასტურა, ევროპულ კონვენციისთან ერთად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენების აუცილებლობა.<sup>58</sup>

სასამართლო საქმეთა კატეგორიების (სამოქალაქო, სისხლის და ადმინისტრაციული) მიხედვით ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტების გამოყენების ანალიზმა ცხადყო, რომ საქმეთა უმრავლესობა ადმინისტრაციულია, თუმცა კონვენციის რატიონიცირების პირველი რამდენიმე წლის განმავლობაში არსებული პრაქტიკის მიხედვით, ყველაზე ინტენსიურად ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები გამოიყენებოდა სამოქალაქო საქმეებში. დღეს არსებული საერთო სურათის მიხედვით, ევროპული სტანდარტები სამოქალაქო საქმეებში ნაკლები სიხშირით გამოიყენება. ამჟამად არსებული პრაქტიკის თანახმად, საქართველოს სასამართლოებში ევროპული კონვენცია შედარებით იშვიათად გამოიყენება სისხლის სამართლის საქმეებში.

თუ ევროპული კონვენციის გამოყენების პრაქტიკა გაანალიზდება სასამართლო ინსტანციების მიხედვით, უდავოა, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლო ყველაზე ინტენსიურად იყენებს ევროპულ კონვენციას. მიუხედავად რამდენიმე თვალსაჩინო გადაწყვეტილებისა, სამწუხაროდ, ევროპული კონვენციის გამოყენების მდგომარეობა არადამაკამყოფილებლად უნდა ჩაითვალოს საქართველოს სხვა სასამართლოებში.<sup>59</sup>

მართლმსაჯულების განხორციელებისას ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტების გამოყენების ეფექტინობა განისაზღვრება იმით, მოახდინა თუ არა მან დადებითი გავლენა სასამართლოების გადაწყვეტილებაზე, ხელი შეუწყო თუ არა ევროპული სტანდარტების გამოყენებამ ადამიანის უფლებათა დაცვას მაღალი ხა-

<sup>57</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა, განჩინება N3პ/599, 2001 წლის 22 თებერვალი.

<sup>58</sup> გადაწყვეტილება, N2/ა-25-2002, 3 ივლისი, 2002 წელი, თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამენარმეო საქმეთა კოლეგია; ამვე საქმეზე იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, N3პ/1240-02, 24 აპრილი, 2003 წელი.

<sup>59</sup> თუმცა გამონაკლისები აქაც არის. იხ. ჭიათურის რაიონული სასამართლო, გადაწყვეტილება N2/64, 2002 წლის 3 აპრილი.

რისხით. ამიტომ აუცილებელია იმის განხილვა, რეალურად რა გავლენა მოახდინა ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტების გამოყენებამ მართლმსაჯულების განხორციელებაზე საქართველოში.

როგორც ამოსავალი თეზისი, შეიძლება აღინიშნოს შემდეგი: ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები მართლმსაჯულების განხორციელებისას მნიშვნელოვანია იმ შემთხვევაში, თუ ასეთი გამოყენების შედეგად სასამართლო მიიღებს გადაწყვეტილებას, რომელსაც იგი ვერ მიიღებდა ევროპული სტანდარტების გამოუყენებლად. თუ მხოლოდ შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტის (მაგ., კანონი) გამოყენების შედეგად მიღებული სასამართლო გადაწყვეტილება იგივეობრივი იქნება იმ გადაწყვეტილებისა, რომლის მისაღებად სასამართლომ გამოიყენა როგორც კანონი, ისე ევროპული სტანდარტი, ამ უკანასკნელის გამოყენებას მიენიჭება უმნიშვნელო როლი. ასეთ შემთხვევაში ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტი პრაქტიკულად არა-ნაირ გავლენას არ მოახდენს სასამართლო გადაწყვეტილებაზე.

თუ გაანალიზდება ის სასამართლო საქმეები, რომლებშიც საქართველოს საერთო სასამართლოებმა გამოიყენეს ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები, აშკარაა, რომ მათი გამოყენების გავლენა სასამართლო გადაწყვეტილებებზე ძირითადად უმნიშვნელოა. უმრავლეს შემთხვევაში სასამართლო მას იყენებს საქართველოს შიდა-სახელმწიფოებრივ ნორმატიულ აქტთან (აქტებთან) ერთად. კერძოდ, საქართველოს საერთო სასამართლო იხილავს საქართველოს შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტით (აქტებით) დადგენილ ნორმას, რის შემდეგაც მხოლოდ მოიხსენიებს (უკეთეს შემთხვევაში, ახდენს ციტირებას) ევროპული კონვენციის შესაბამის მუხლს.<sup>60</sup> ამის შედეგად საქართველოს სასამართლო ასკვინის, რომ საქართველოს შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტითა და ევროპული კონვენციით დადგენილი ქცევის წესები მსგავსია და სასამართლო ამ ორი აქტის საფუძველზე წყვეტის სასამართლო დავას.<sup>61</sup>

ვინაიდან საქართველოს სასამართლო მხოლოდ საქართველოს შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტის (მაგ., კანონი) გამოყენებით მიიღებდა ისეთ გადაწყვეტილებას, რომელიც მან მიიღო კანონისა და ევროპული სტანდარტის გამოყენებით, არ შეიძლება ჩაითვალის, რომ ევროპული სტანდარტის გამოყენებამ მოახდინა მნიშ-

<sup>60</sup> მაგალითოსათვის იხ.: გადაწყვეტილება, N3/კ/1044, 1 მარტი, 2002 წელი, სუსგ, სამოქალაქო, სამენარემე და გაკოტრების საქმეებზე, N5, 2002 წელი, გვ. 799; გადაწყვეტილება, N3ბ-63, 16 მაისი, 2000 წელი, ადმინისტრაციული სამინისტროსათვის და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატა; გადაწყვეტილება, N3ბ/509, 22 ოქტომბერი, 2001 წელი, ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატა; განჩინება, N3გ-ად-429-კ-02, 18 დეკემბერი, 2002 წელი, სუსგ, ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეებზე, N2, 2003 წელი, გვ. 224; განჩინება, N3გ-ად-405-კ-02, 27 ოქტომბერი, 2003 წელი, სუსგ, ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეებზე, N4, 2003 წელი, გვ. 847.

<sup>61</sup> მაგალითოსათვის იხ. გადაწყვეტილება Nას-593-1241-03, 14 აპრილი, 2004 წელი, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამენარემე და გაკოტრების საქმეთა პალატა. საქართველოში განვითარებული პრაქტიკა არ არის გამონაკლისი. მაგალითად, გერმანიის სასამართლოებში დამკვიდრებული იყო ანალოგიური პრაქტიკა, რაც დროთა გამონაკლის შეიცვალა. B. Simma, D.-E.Khan, M. Zöckler & R. Geiger, The Role of German Courts in the Enforcement of International Human Rights, in: Enforcing International Human Rights in Domestic Courts, B. Conforti & F. Francioni (Eds.), 1997, 73.

ვნელოვანი ან საერთოდ რაიმე გავლენა სასამართლოს გადაწყვეტილებაზე. ევროპული სტანდარტების გამოყენებლობის შემთხვევაში სასამართლო მაინც იმავე გადაწყვეტილებას მიიღებდა, რაც მან მიიღო კანონთან ერთად ამ სტანდარტების გამოყენების შემთხვევაში. შიდასახელმწიფოებრივ ნორმატიულ აქტთან ერთად ევროპული სტანდარტების გამოყენებით სასამართლოები ასაბუთებენ იმას, რომ სასამართლოს მიერ გამოყენებული შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტები შეესაბამება ევროპულ სტანდარტებს და რომ ამ გადაწყვეტილების მიღებისას სასამართლომ იხელმძღვანელა არა მხოლოდ შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტებით (მაგ., კანონით), არამედ ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტებით, რომელთა სამართლიანობაში პროცესის მხარეებს ეჭვი, როგორც წესი, არ შეაქვთ. ევროპული სტანდარტების ასეთი გამოყენების გზით სასამართლოები განამტკაცებენ თავიანთი გადაწყვეტილების დამაჯერებლობას<sup>62</sup> და ახდენენ მათ ლეგიტიმაციას.<sup>63</sup>

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ ხშირად საქართველოს სასამართლოები იყენებენ ადამიანის უფლებათა ევროპულ სტანდარტებს ისეთ შემთხვევებში, როდესაც მათ გამოყენებას პრაქტიკულად არანაირი დადებითი წვლილი არ შეაქვს სასამართლო საქმის გადაწყვეტაში.

საქართველოს სასამართლოების პრაქტიკამ ასევე ცხადყო, რომ სასამართლო გადაწყვეტილებათა ნაწილში სასამართლო, მართალია, პირდაპირ ეყრდნობა ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას, მაგრამ არ მოიხსენიებს ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალ თავისი გადაწყვეტილებაში. მიუხედავად ამისა, საქართველოს სასამართლოების ზოგიერთი გადაწყვეტილების ანალიზიდან გამომდინარეობს, რომ ეროვნულმა სასამართლომ საქმის გადასაწყვეტად გაითვალისწინა არა მხოლოდ ევროპული კონვენციის კონკრეტული დებულებები, არამედ ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, თუმცა სასამართლო გადაწყვეტილებაში ამ უკანასკნელზე პირდაპირ არ მიუთითა. ამის მტკიცების საფუძველს იძლევა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ისეთი განმარტება, რომელიც კონვენციის კონკრეტული დებულებიდან არ გამომდინარეობს, მაგრამ ასახავს ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში გამოხსატულ განმარტებასა და არგუმენტაციას.<sup>64</sup> ხსენებულის მტკიცების საფუძველს ასევე იძლევა საქართველოს სასამართლო გადაწყვეტილებებში გამოყენებული ფორმულირებები, რომლებიც ანალოგიურია ევრო-

<sup>62</sup> H. Schermers, The European Community and the European Convention on Human Rights: Their Effect on National Law, in: The Gradual Convergence: Foreign Ideas, Foreign Influences and English Law on the Even of the 21<sup>st</sup> Century, B.Markesinis (Ed.), 1994, 171.

<sup>63</sup> შედარებისათვის იხ. Second Report, Committee on International Law in National Courts, International Law Association, 1996, 18.

<sup>64</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა, განჩინება (გონივრულ ვადაში საქმის განხილვის უფლების შესახებ), 2001 წლის 17 ივნისს; იხ. „დამიანის უფლებათა დაცვის სამაგალითო გადაწყვეტილებები“ (2001 წელი), თბილისი, 2002 წელი, გვ. 16-19.

პული სასამართლოს პრეცედენტებში გამოყენებული ფორმულირებებისა.<sup>65</sup>

საქართველოს საერთო სასამართლოების პრაქტიკის ანალიზის შედეგად ასევე აღმოჩნდა გადაწყვეტილება, რომელშიც, მართალია, გამოყენებულ იქნა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, მაგრამ იმის გამო, რომ საერთო სასამართლომ არ გამოიყენა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, მან კონვენცია არ განმარტა იმ მნიშვნელობით, როგორც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ.

საქმე ეხება მარნეულის რაიონულ სასამართლოში რაიონის გამგებლისა და ადგილობრივი პოლიციის რამდენიმე მაღალი თანამდებობის პირის წინააღმდეგ ერთ-ერთი რელიგიური მიმდინარეობის მიმდევრების მიერ შეტანილ სარჩელს, რომელშიც ისინი ამტკიცებდნენ, რომ მათ არ მიეცათ უფლება, დასწრებოდნენ ამ რელიგიური მიმდინარეობის მომხრეთა შეხვედრას.<sup>66</sup> ამის მიზეზად ისინი ასახელებდნენ, რომ რელიგიურ ნიადაგზე მათთან დაპირისპირებულმა მხარემ დაარბია ეს შეხვედრა და მათ მიაყენეს მატერიალური ზიანი და მორალური შეურაცხყოფა.

მოსარჩელები ასევე ამტკიცებდნენ, რომ პოლიციის თანამშრომლებმა არ დაიცვეს მათი უფლებები, რის გამოც მონინააღმდეგებმა შეძლეს შეხვედრის ჩაშლა და მათი უფლებების ხელყოფა. საყურაცხყოფა რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსის ჩვენება, რომლის თანახმად, „პოლიციის კომპეტენციაში არ შედის სხვა-დასხვა რელიგიური მიმდინარეობის წევრების დაცვა, ამისათვის არსებობს დაცვის პოლიცია.“

მოპასუხებმა სარჩელი უსაფუძვლოდ ჩათვალეს იმის გამო, რომ რაიონის პოლიციის თანამშრომლებს მოსარჩელეებისათვის არ მიუყენებიათ არც სიტყვიერი ან ფიზიკური შეურაცხყოფა და არც მორალური თუ მატერიალური ზიანი. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მის მარწმუნებლებს არ დაურჩევიათ შეხვედრა და რომ არც ერთ მოსარჩელეს არ დაუსახელებია პოლიციის თანამშრომელი, რომელმაც მათ მიაყენა შეურაცხყოფა ან დაეხმარა მათთან დაპირისპირებულ მხარეს რელიგიური შეხვედრის დარბევაში.

სასამართლომ მოსარჩელეთა მოთხოვნა უსაფუძვლოდ ჩათვალა და არ დააკამდიფილა. სასამართლომ აღნიშნა, რომ პოლიცია ხელს არ უშლიდა რელიგიური მიმდინარეობის მომხრეებს რელიგიურ შეხვედრაზე დასასწრებად. სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ მოსარჩელებს შეურაცხყოფა და მატერიალური ზიანი მიაყენა მათთან

<sup>65</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა, განჩინება (გამოთქმული შეხედულებებისათვის სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ), 2000 წლის 12 დეკემბერი; იხ. „ადამიანის უფლებათა დაცვის სამაგალითო გადაწყვეტილებები“ (2001 წელი), თბილისი, 2002 წელი, გვ. 20-24.

<sup>66</sup> იხ. მარნეულის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება, N3/9-2002, 2002 წლის 13 მაისი; ასევე იხ.: საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეცნარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის განჩინება, N3/413, 2000 წლის 24 მარტი; საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი, ნაწილი I, N8, 2000 წელი, გვ. 373-376.

დაპირისპირებულმა მხარემ, რაშიც პოლიციის თანამშრომლებს ხელი არ შეუწყვიათ. სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ ვიდეომასალებით არ დადასტურდა პოლიციის თანამშრომელთა ჩარევა რელიგიური შეხვედრის დარბევაში.

სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელე მხარის პოზიცია, რომლის თანახმად, პოლიციამ დაარღვია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8, მე-9, მე-10, მე-11, მე-13 და მე-14 მუხლები. კონვენციის ამ მუხლების შინაარსის დასადგენად რაიონულმა სასამართლომ არ მოიშველია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი (მათ შორის საქმე – პლატფორმა „ექიმები სიცოცხლისათვის“ ავსტრიის წინააღმდეგ<sup>67</sup> (*Plattform "Ärzte für das Leben" v. Austria*)), რაც, სავარაუდოდ, დაეხმარებოდა მას კონვენციის სწორ განმარტებასა და გამოყენებაში. ამგვარად, საქმარისი საფუძველია იმის მტკიცებისათვის, რომ ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენების შემთხვევაში მარნეულის რაიონული სასამართლო განსხვავებულად შეაფასებდა თავის წინაშე არსებულ საქმეს და, შესაბამისად, მიიღებდა განსხვავებულ გადაწყვეტილებას.

#### 4.1. საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ ევროპული სტანდარტების გამოყენების ფორმები

საქართველოს სასამართლოთა იმ გადაწყვეტილებების ანალიზის შედეგად, რომლებშიც გამოყენებულია ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები, იკვეთება რამდენიმე ტენდენცია მათი გამოყენების ფორმასთან დაკავშირებით.

ა) სხვა ევროპულ სახელმწიფოთა სასამართლოების მსგავსად, საქართველოს სასამართლოები ცველაზე ხშირად ევროპულ სტანდარტებს იყენებენ როგორც შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტის სწორი განმარტების საშუალებას.<sup>68</sup> საქართველოს სასამართლოები სადაც საკითხს იხილავენ საქართველოს შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტისა და ევროპული სტანდარტების საფუძველზე, მაგრამ ეს სტანდარტები გამოიყენება ძირითადად იმისათვის, რომ სასამართლომ უზრუნველყოს შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტის (მაგ., კანონის) სწორი განმარტება.

იმის საილუსტრაციოდ, როგორ გამოიყენა საქართველოს სასამართლომ ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები საქართველოს შიდასახელმწიფოებრივი ნორ-

<sup>67</sup> პლატფორმა „ექიმები სიცოცხლისათვის“ ავსტრიის წინააღმდეგ (*Plattform "Ärzte für das Leben" v. Austria*), 1988 წელი, Series A, no. 139.

<sup>68</sup> მაგალითისათვის იხ. გადაწყვეტილება, N3\_კ-390-02, 4 ივლისი, 2002 წელი, სუსგ, სამოქალაქო, სამეცნარებო და გადაწყვეტილების საქმებზე N10, 2002 წელი, გვ. 1758-1767; სუსგ იხ. საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება, N2/ა-83-2001, 21 დეკემბერი, 2001 წელი, სამოქალაქო და სამეცნარებო საქმეთა კოლეგია; N3\_გ-ად-462-კ-02, 25 ნოემბერი, 2002 წელი, სუსგ, ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმებზე, N1, 2003 წელი, გვ. 37; საქართველოს უზენაესი სასამრთლო, სამოქალაქო, სამეცნარებო და გაკოტრების საქმეთა პალატა, N3\_კ/1240-02, 24 აპრილი, 2003 წელი.

მატიული აქტის სწორი განმარტებისათვის, შეიძლება რამდენიმე მაგალითის მოშველიება. საქმე, რომელზეც საქართველოს უზენაესმა სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება 2002 წლის 4 ივლისს, ეხებოდა საგაზეთო პუბლიკაციებში უურნალისტის მიერ რამდენიმე მაღალი თანამდებობის პირის კრიტიკას. ეს თანამდებობის პირები უზენაეს სასამართლოში მოითხოვდნენ მათი პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობების უარყოფას.

ამ საქმესთან დაკავშირებით, საქართველოს შიდასახელმწიფოებრივ ნორმატიულ აქტებთან (კონსტიტუცია, სამოქალაქო კოდექსი და კანონი „პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ“) ერთად სასამართლომ გამოიყენა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლი, რომლის მეშვეობით განმარტა ხსენებული შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტები.<sup>69</sup> კერძოდ, სასამართლომ აღნიშნა:

„ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ“ ევროპული კონვენციის მე-10 მუხლით გარანტირებულია არა მხოლოდ პრესის თავისუფლება, რომ ინფორმაცია მიაწოდოს საზოგადოებას, არამედ საზოგადოების უფლებაც – იყოს სათანადო დონეზე ინფორმირებული.

პოლიტიკური დისკუსიის თავისუფლება წარმოადგენს დემოკრატიული საზოგადოების გულს. შესაბამისად, პოლიტიკური თანამდებობის პირთა კრიტიკის ფარგლები ფართოა, ვიდრე კერძო პირთა. პოლიტიკური თანამდებობის პირისათვის გარდაუვალია და ამგვარი თანამდებობის დაკავება თავისთავად ნიშნავს, რომ მისი ყოველი სიტყვა და მოქმედება იქნება უურნალისტთა მუდმივი და დაუინტენციული ანალიზისა და კრიტიკის ობიექტი. პოლიტიკოსმა, შესაბამისად, უნდა გამოავლინოს მოთმინების მაღალი დონე, განსაკუთრებით მაშინ, როცა ის ახორციელებს ისეთ მოქმედებას, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს მძაფრი კრიტიკა. სახელმწიფო მოხელეებმა პრესისა და ტელევიზიის მეშვეობით გამართულ დებატებში დასაშვებ ზღვარზე მეტი კრიტიკა უნდა ითმინონ. ამასთან, კრიტიკა უნდა იყოს საქმიანი და იგი არ უნდა გადაიზარდოს დავარძლიან კრიტიკაში, რომელიც აშკარად შეუსაბამოა კრიტიკისა და განსჯის საგანთან.“<sup>70</sup>

უზენაესმა სასამართლომ ევროპული კონვენციის გამოყენებით უზრუნველყო საქართველოს შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების სწორი განმარტება. კონვენციის გამოყენების წვლილი სასამართლოს მიერ სწორი გადაწყვეტილების მიღებაში გამოიხატა დადგენილებით, რომ პოლიტიკური თანამდებობის პირის კრიტიკის ფარგლები უფრო ფართოა, ვიდრე კერძო პირისა და რომ, თავისი თანამდებობრივი

<sup>69</sup> გადაწყვეტილება, N3\_390-02, 4 ივლისი, 2002 წელი, სუსგ, სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეებზე, N10, 2002 წელი, გვ. 1758-1767; ასევე იხ. საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება, N2/ა-83-2001, 21 დეკემბერი, 2001 წელი, სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგია.

<sup>70</sup> იხ. გვ. 1762-1763.

მდგომარეობიდან გამომდინარე, პოლიტიკოსი შეიძლება დაექვემდებაროს საზოგა-დოების (უურნალისტის) კრიტიკას, რასთან დაკავშირებითაც მან უნდა გამოავლინოს უფრო მეტი მოთმინება.

ასევე საინტერესოა სხვა შემთხვევა საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქ-ტიკიდან. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის ხელყოფასთან დაკავშირებული სხვა საქმეც განიხილა, რომელშიც გა-მოიყენა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი.<sup>71</sup>

მრეწველობის მინისტრის ყოფილმა მოადგილემ საქართველოს უზენაეს სასამართ-ლოში აღძრა სარჩელი ყოფილი პარლამენტარის წინააღმდეგ, ამ უკანასკნელის მიერ სატელევიზიო გადაცემაში გაკეთებული განცხადებების გამო, რომელიც დაკავში-რებული იყო მოსარჩელის სამსახურებრივ საქმიანობასთან. მოსარჩელემ მოითხოვა პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ცნობების უარყოფა და მორალური ზიანის ანაზღაურება. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულმა სასა-მართლომ არ დააკმაყოფილა მოსარჩელის სარჩელი. გადაწყვეტილება გასაჩივრდა სააპელაციო სასამართლოში, რომელმაც გააუქმა პირველი ინსტანციის სასამართ-ლოს გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დააკმაყო-ფილა. მოპასუხეს დაევალა მოსარჩელის მიმართ პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ფრაზების უარყოფა.

ყოფილმა პარლამენტარმა ეს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა სა-ქართველოს უზენაეს სასამართლოში, სადაც მან აღნიშნა, რომ მრეწველობის მინის-ტრის ყოფილი მოადგილის მიმართ გადაცემაში გამოთქმული აზრი მისი, როგორც საჯარო პირის – მინისტრის მოადგილის – მიმართ გამოთქმული კრიტიკა, საქმია-ნობის შეფასებაა და არა რაიმე ფაქტობრივი ცნობების (მონაცემების) გავრცელება, რომელიც შელახავდა მის პატივს, ღირსებას ან საქმიან რეპუტაციას.

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ დააკმაყოფილა ყოფილი პარლამენტარის საკასაციო საჩივარი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლთან ერთად, უზენაესი სასამართლო დაეყრდნო ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლს (გამოხატვის თავისუფლება), რომლის თანახმად, გამოხატვის თავისუ-ფლება მოიცავს პირის თავისუფლებას, ჰერნდეს მოსაზრებანი, მიიღოს და გასცეს ინფორმაცია და იდეები. უზენაესმა სასამართლომ კონვენციის მე-10 მუხლის განმარ-ტებისათვის გამოიყენა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე – კას-ტელი ესპანეთის წინააღმდეგ (*Castells v. Spain*), რომლის თანახმად, ხელისუფლების წარმომადგენლებისა და რიგითი მოქალაქეების მიმართ შეურაცხყოფის ფაქტების

<sup>71</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა, გა-დაწყვეტილება N3პ/376-01, 2001 წლის 18 ივნისი. დავის საგანი: პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტა-ციის ხელყოფა. იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი: სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმები, N10, 2001 წელი, გვ. 1172-1177; იხ. „ადამიანის უფლებათა დაცვის სამაგალითო გადაწყვეტილებები“ (2001 წელი), თბილისი, 2002 წელი, გვ. 79-82;

შეფასებისას გამოყენებულ უნდა იქნეს განსხვავებული სტანდარტები, კერძოდ, და-საშვები კრიტიკის ფარგლები სახელმწიფო მოხელეთა მიმართ უფრო ფართოა, ვიდრე რიგითი მოქალაქეების მიმართ.

უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ ყოფილი პარლამენტარის მიერ მინის-ტრის ყოფილი მოადგილის მიმართ გამოყენებული გამონათქვამები ეხებოდა საზო-გადლებრივი ინტერესის საკითხებს და აღნიშნა: „პოლიტიკური თანამდებობის პირებმა და სახელმწიფო მოხელეებმა პრესისა და ტელევიზიის მეშვეობით გამართულ დებატებში დასაშვებ ზღვარზე მეტი კრიტიკა უნდა ითმინონ.“ სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ „რეპუტაციის (პატივის, ღირსების) დაცვის ინტერესი წონასწორდება საზოგადოების ინტერესთან – თავისუფლად განიხილოს და მიიღოს საჭირო ინფორ-მაცია ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ საკითხებზე.“

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ გამოიყენა ევროპული სასამართლოს პრე-ცედენტი, რომლის მეშვეობითაც დაადგინა, რომ საზოგადოებრივი ინტერესის საკი-თხთან დაკავშირებით სახელმწიფო მოხელე შეიძლება დაექვემდებაროს მძაფრ კრი-ტიკას და რომ ამ კრიტიკის ფარგლები უფრო ფართოა, ვიდრე რიგითი მოქალაქის მიმართ დასაშვები კრიტიკა.<sup>72</sup>

საინტერესოა თბილისის საოლქო სასამართლოს 2002 წლის 3 ივლისის გადაწყვე-ტილება,<sup>73</sup> რომელიც ეხება სატელევიზიო გადაცემაში საჯარო მოხელის ჯან-მრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული ინფორმაციის გავრცელებას.

თავის გადაწყვეტილებაში საოლქო სასამართლომ მიუთითა არა მხოლოდ საქარ-თველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლსა<sup>74</sup> და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენ-ციის მე-8 მუხლზე,<sup>75</sup> არამედ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრე-ცედენტულ სამართალზე.

საოლქო სასამართლო დაეყრდნო ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებას, რო-მელიც უშუალოდ ეხება პირის სამედიცინო მონაცემების კონფიდენციურად დაცვას. საოლქო სასამართლომ მოიშველია ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება სა-ქმეზე – „ზ“ ფინეთის წინააღმდეგ (Z v. Finland), რომლის თანახმად, სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება, არ გაამჟღავნოს პირის ავადმყოფობის მდგომარეობა.<sup>76</sup> ამას-თანავე, საოლქო სასამართლომ აღნიშნა, რომ სახელმწიფოს ეკისრება არა მხოლოდ

<sup>72</sup> ასევე საინტერესოა ჭიათურის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება N2/64, 2002 წლის 3 აპრილი.

<sup>73</sup> გადაწყვეტილება, N2/ა-25-2002, 3 ივლისი, 2002 წელი, თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამენომეო საქმეთა კოლეგია; ამავე საქმეზე იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, N3/1240-02, 24 აპრილი, 2003 წელი.

<sup>74</sup> კონსტიტუციის მე-20 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად: „ყოველი ადამიანის პირადი ცხოვრება (...) ხელშეუხებელია“.

<sup>75</sup> კონვენციის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად: „ყოველ ადამიანს უფლება აქვს, პატივი სცენ მის პირად და ოჯახურ ცხოვრებას“.

<sup>76</sup> ამ საქმის მიხედვით, განაცხადის ავტორი დაავადებული იყო შიდსით, რის შესახებ ინფორმაციის გამჟღა-ვნებამ დაარღვია ევროპული კონვენციის მე-8 მუხლი.

ნეგატიური ვალდებულება – თავად არ გაამჟღავნოს პირად და საოჯახო ცხოვრებას-თან დაკავშირებული ინფორმაცია, არამედ პოზიტიური ვალდებულება – „არ დაუშვას მესამე პირთა მიერ პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ მონაცემების გახმაურება მისი თანხმობის გარეშე, რათა არ მოხდეს კონვენციის მე-8 მუხლის 1 ნაწილით გარანტირებული პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლების შეღახვა.“<sup>77</sup>

ამ ანალიზის საფუძველზე საოლქო სასამართლომ მიიჩნია, რომ: „მოპასუხეთა მიერ გავრცელებული ცნობები მოსარჩელის შვილის ავადმყოფობის შესახებ, წარმოადგენს (მოსარჩელის-კ.კ.) პირადი საოჯახო ცხოვრების საიდუმლოებას, ვინაიდან ის არ ეხება პიროვნების საზოგადოებრივ ცხოვრებას და გამიზნულია პირთა განსაზღვრული წრისათვის. თუ პატივის, ლირსების, საქმიანი რეპუტაციის დაცვის დროს კანონი იცავს პიროვნების ცხოვრების საზოგადოებრივ მხარეებს, სინამდვილესთან შეუსაბამო ცნობების გახმაურების უარყოფით, პირადი ცხოვრების საიდუმლოების დაცვისას საქმე ეხება სრულიად საპირისპირო მოვლენას. პირადი ცხოვრების საიდუმლოების ამსახველი ცნობები შესაძლოა, სინამდვილეს შეესაბამებოდეს, მაგრამ პიროვნება დაინტერესებულია მათი გახმაურებისაგან დაცვით.“ საოლქო სასამართლომ ასევე დაასკვნა, რომ მოსარჩელის შვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის საჯაროდ გავრცელებით გადაცემის წამყანამა უმძიმესი სულიერი ტრავმა მიაყენა მოსარჩელის ოჯახს და პირადად მოსარჩელის შვილს, რომლისთვი-საც ადრე არაფერი იყო ცნობილი მისი „სასიკვდილო დიაგნოზის“ შესახებ.

უდავოა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტების გამოყენებამ სასამართლოს მისცა შესაძლებლობა, ევროპული სტანდარტების დახმარებით განემარტა საქართველოს კანონმდებლობა და მიეღო მართებული გადაწყვეტილება.<sup>78</sup>

ასევე საინტერესოა საქმე, რომელიც საქართველოს უზენაესმა სასამართლომ განიხილა 2004 წლის 14 აპრილს.<sup>79</sup> ამ საქმეში მოსარჩელე მოითხოვდა გაზეთ „კვირის პალიტრისა“ და მისი უურნალისტისაგან 70000 ლარის ანაზღაურებას მორალური ზიანის სახით, რაც განპირობებული იყო უურნალისტის მიერ გამოქვეყნებული სტატიის სათაურით – „გაუპატიურების მცდელობა განსაკუთრებული სისასტიკით.“ მოსარჩელის, როგორც დაზარალებულის, შუამდგომლობის საფუძველზე ყველა სასამართლო სხდომა ჩატარდა დახურულად.

<sup>77</sup> პოზიტიურ ვალდებულებასთან დაკავშირებით საოლქო სასამართლო დაეყრდნო ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებს საქმებზე: ლოპეზ ისტრა ესპანეთის წინააღმდეგ (*Lopez Ostra v. Spain*) და კიგანი ირლანდიის წინააღმდეგ (*Keegan v. Ireland*).

<sup>78</sup> ასევე საინტერესოა საქართველოს უზენაესი სასამართლოს შედარებით ახალი გადაწყვეტილება, რომელიც სასამართლო ევროპული სტანდარტების საფუძველზე განმარტა საქართველოს კანონმდებლობა, საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხზე. იხ. განჩინება Nას-810-1129-07, 16 მაისი, 2008 წელი, სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა. ასევე იხ. გადაწყვეტილება, Nას-168-465-05, 1 ივნისი, 2004 წელი, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა.

<sup>79</sup> გადაწყვეტილება Nას-593-1241-03, 14 აპრილი, 2004 წელი, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა.

სასამართლომ მიიჩნია, რომ სტატიაში გამოქვეყნებული ფაქტები შეეფერება სი-ნამდვილეს, მაგრამ ასახავს მოსარჩელის პირადი ცხოვრების საჩითირო და უსია-მოვნო ეპიზოდებს. სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ პუბლიკაციაში მოსარჩელის სახელისა და გვარის სრულად გამოქვეყნებით მოპასუხეებმა გამოაქვეყნეს ისეთი ინფორმაცია, რომლის გახმაურებას აპელანტი ერიდებოდა, კერძოდ, პრესამ ამოა-ტივტივა მოსარჩელის ცხოვრების სინამდვილიდან უსიამოვნო ფაქტები და მოსარჩე-ლემ ვერ შეძლო საჯაროობისაგან დაეცვა თავისი პირადი ცხოვრების საიდუმლოების ამსახველი ცნობები.

სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ პუბლიკაციის გამოქვეყნების შემდეგ მოსარ-ჩელის პირადი ცხოვრების საიდუმლოების შესახებ ცნობილი გახდა როგორც ახლო-ბელთა, ისე ნაცნობთა ფართო წრისათვის. ფართო საზოგადოებისათვის მოსარჩელის პირადი ცხოვრების საიდუმლოების გამულავნებამ ამ უკანასკნელს დაამჩნია დიდი დაღი, მიაყენა ზიანი და სულიერი ტკივილი, რამაც გამოიწვია მისი მეტყველების უნარის დაქვეითება.

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ დავის გადასაწყვეტად, საქართველოს ში-დასახელმწიფოებრივ ნორმატიულ აქტებთან ერთად, გამოიყენა ადამიანის უფლე-ბათა ევროპული კონვენციის მე-8 (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება) და მე-10 (გამოხატვის თავისუფლება) მუხლები, ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლი და სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა საქმის გარემოებებს.

სასამართლომ რამდენიმე საკითხზე გაამახვილა ყურადღება, მათ შორის იმაზე, რომ „საქართველოს კონსტიტუციის მე-20, ასევე ევროკონვენციის მე-8 მუხლი მარ-ტოლდებ მაშინ კი არ გამოიყენება, როცა საკითხი ეხება ინდივიდის სახელმწიფოსაგან დაცვას, არამედ მაშინაც, როცა ერთი კერძო პირი ხელყოფს მეორე კერძო პირის ინტერესებს.“ შესაბამისად, სასამართლო სწორად აღნიშნა, რომ სახელმწიფოს ეკის-რება არა მხოლოდ ნეგატიური, არამედ ასევე პოზიტიური ვალდებულება, დაიცვას კერძო პირი სხვა პირის მიერ მისი უფლების შელახვის შემთხვევაში.

სასამართლომ ასევე იმსჯელა კერძო და საჯარო ინტერესების დაპირისპირებაზე, რაც ასახავს ევროპული სასამართლოს მიერ ინტერესთა კონფლიქტის შეფასების კრიტიკულებს. სასამართლომ აღნიშნა, რომ „აზრის გამოხატვის თავისუფლების გა-დაწყვეტისას მთავარ პრობლემას წარმოადგენს ბალანსის გამოძებნა აზრის გამოხა-ტვის თავისუფლებასა და პირადი ცხოვრების უფლების პატივისცემის თავისუფლებას შორის.

პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაც-ვის საჯარო ინტერესების დაპირისპირებისას ინდივიდუალური უფლებების დაცვას ენიჭება უპირატესობა, ბალანსი საჯარო ინტერესების სასარგებლოდ შეიძლება გა-

დაწყდეს მხოლოდ დამნაშავის მომეტებული საზოგადოებრივი საშიშროების გათვალისწინებით. მოცემულ შემთხვევაში ... (მოსარჩელეს-კ.კ.) დანაშაული არ ჩაუდენია. პირიქით, იგი იყო დაზარალებული. სასამართლო პროცესები მისი თხოვნით დახურულად ჩატარდა, ამიტომ პირადი ცხოვრების პატივისცემისა და საზოგადოებრივ წესრიგს შორის ბალანსი ინდივიდუალური უფლებების სასარგებლოდ უნდა გადაწყვეტილიყო“.

სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ პუბლიკაციას ამ ინტერესთან დაპირისპირებისას საკითხი დაზარალებულის უფლებების – პირადი ცხოვრების დაცვის – სასარგებლოდ უნდა გადაეწყვიტა და დაზარალებულის სახელი მისი ნების საწინააღმდეგოდ არ უნდა მოეხსენიებინა საგაზიონო პუბლიკაციაში.

საპოლოოდ, უზენაესმა სასამართლომ კანონმდებლობისა და ევროპული სტანდარტების საფუძველზე დაადგინა, რომ „პირადი ცხოვრების საიდუმლოება მარტო მაშინ კი არ დაირღვევა, როცა მისი გამავრცელებელი პირადი ცხოვრების საიდუმლოების შემცველ სინამდვილესთან შეუსაბამო ცნობებს გაავრცელებს, არამედ მაშინაც, როცა პირი ამ უფლების მატარებლის ნებართვის გარეშე გაავრცელებს ისეთ ცნობებს, რომლებიც სინამდვილეს შეეფერება, მაგრამ ამ უფლებით დაცული პირის ნების საწინააღმდეგოდ წარმოაჩენს შეურაცხმყოფელ, საჩოთირო, არასასურველ ეპიზოდებს.“

ეს გადაწყვეტილება უდავოდ ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო და სამაგალითოა და ადასტურებს შიდასახელმწიფოებრივ ნორმატიულ აქტებთან ერთად ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტების გამოყენების უპირატესობას სწორი სასამართლო გადაწყვეტილების მიღებაში.

ბ) რაც შეეხება ევროპული სტანდარტების გამოყენების მეორე ფორმას – მათ გამოყენებას შიდასახელმწიფოებრივ ნორმატიულ აქტთან კოლიზისას, საქართველოს სასამართლოების პრაქტიკაში იშვიათია ასეთი შემთხვევა, თუმცა შეიძლება ორი მაგალითის მოშველიება.

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ 2008 წლის 15 მაისს განიხილა საქმე, რომელიც ეხებოდა, *inter alia*, არარეგისტრირებულ ქორნინებაში მყოფი პირის თანამე-საკუთრედ ცნობას, რასაც ითხოვდა მოსარჩევე.<sup>80</sup> მოსარჩევე, რომელიც 1993 წლიდან 2005 წლამდე (მოსარჩელესთან არარეგისტრირებულ ქორნინებაში მცხოვრები პირის გარდაცვალებამდე) თანამცხოვრებთან ერთად ცხოვრობდა, ედავებოდა მის შვილს სამკვიდროში შემავალ სადაც უძრავ ქონებას და სადაც საცხოვრებელი სახლის გაუმჯობესებისათვის დახარჯულ სოლიდურ თანხას.

მოსარჩელის მოთხოვნა სადაც სახლის თანამესაკუთრედ ცნობის შესახებ ემყარებოდა იმ გარემოებას, რომ მასა და მის თანამცხოვრებს შორის არსებობდა ფაქტო-

<sup>80</sup> განჩინება №ას-968-1269-07, 15 მაისი, 2008 წელი, სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა.

ბრივი ცოლქმრული ურთიერთობა. მოსარჩელემ თავისი პოზიციის დასასაბუთებლად მოიშველია ის ფაქტი, რომ მათ 1998 წელს დაიწერეს ჯვარი და რომ, მართალია, სამოქალაქო კანონმდებლობა ქორნინების წარმოშობის საფუძვლად მის რეგისტრაციას მიიჩნევს, საქართველო მართლმადიდებლური ქვეყანაა, რაც აღიარებულია სახელმწიფოსა და მართლმადიდებლური ეკლესიის მიერ, რის გამოც ჯვრისწერის ფაქტს არანაკლები იურიდიული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს.

მოსარჩელემ ასევე მიუთითა, რომ საქართველო არის ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მონაწილე, რომლის პრაქტიკის მიხედვით: „ქორნინება გასცდა ფორმალურ ურთიერთობებს, ოჯახური ცხოვრების არსებობა-არარსებობის საკითხი მნიშვნელოვნად დამოკიდებულია მჭიდრო პირადი ურთიერთობის რეალურად არსებობის ფაქტზე.“ მოსარჩელემ ასევე მოიშველია ევროპული სასამართლოს 1994 წლის გადაწყვეტილება საქმეზე – კრონი ნიდერლანდების წინააღმდეგ (*Kroon v. the Netherlands*),<sup>81</sup> რომლის მიხედვით მოსარჩელემ აღნიშნა, რომ „ოჯახური ურთიერთობების ცნება არ იზღუდება მხოლოდ ქორნინებაზე დამყარებული ურთიერთობით და შეიძლება მოიცავდეს სხვა დე ფაქტო ოჯახურ კავშირებს, როდესაც მხარეები ერთად ცხოვრობენ ქორნინების გარეშე“. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ მოპასუხეს სადაც არ გაუხდია ფაქტობრივი ცოლქმრული ურთიერთობის არსებობა.

მიუხედავად იმისა, რომ მოსარჩელემ თავისი პოზიცია დასაბუთა როგორც სახელმწიფოსა და მართლმადიდებლურ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმებითა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით, უზენაესმა სასამართლომ საერთოდ არ იმსჯელა თავის გადაწყვეტილებაში ევროპული სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ოჯახური ურთიერთობის ცნებასა და მისგან გამომდინარე სამართლებრივ შედეგებზე. მან მხოლოდ იმსჯელა კონსტიტუციური შეთანხმებით გათვალისწინებულ ნორმაზე.

საბოლოოდ, უზენაესმა სასამართლომ დაასკვნა, რომ კონსტიტუციური შეთანხმება გამორიცხავს მოსარჩელის მოთხოვნას ჯვრისწერის საფუძველზე მისი, როგორც მეუღლის, სამოქალაქო უფლების – თანამესაკუთრეობის – წარმოშობის თაობაზე.

ამ სასამართლო გადაწყვეტილებას უნდა მიეცეს უარყოფითი შეფასება. აშკარაა, რომ არსებობდა წინააღმდეგობა საქართველოს კანონმდებლობასა, კერძოდ სამოქალაქო კოდექსია, და ადამიანის უფლებათა ევროპულ სტანდარტებს შორის. მიუხედავად იმისა, რომ მოსარჩელემ, სხვა არგუმენტთან ერთად, მოიშველია ევროპული სასამართლოს პრეცედენტი იმის დასასაბუთებლად, როგორ უნდა განმარტებულიყო იჯახური ურთიერთობის ცნება, სასამართლომ არა მხოლოდ არ გაიზიარა ის განმარტება, რომელიც დამკვიდრებულია ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში, არამედ არც კი იმსჯელა მოსარჩელის იმ არგუმენტზე, რომელიც ემყარებოდა ევროპულ

<sup>81</sup> 1994 წლის 27 ოქტომბერი, Series A no. 297-C.

სტანდარტს.

არანაკლებად საინტერესოა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 10 ოქტომბრის გადაწყვეტილება. ამ საქმეში მოსარჩელე მოითხოვდა, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ შეიმუშაოს ისეთი ადმინისტრაციული აქტი, რომელიც შესაბამისობაში იქნება ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის მოთხოვნასთან და რომლის თანახმად დაცული იქნება პატიმრის კონვენციით გარანტირებული უფლება, შეხვდეს ოჯახის წევრებს უფრო ხშირად და მეტი ხანგრძლივობით, ვიდრე ეს არის „პატიმრობის შესახებ“ კანონით დადგენილი, ანუ თვეში ერთხელ და ერთი საათით.<sup>82</sup>

მოსარჩელის აზრით, ის, რომ პატიმარს, რომელიც სასჯელს იხდის მკაცრი რეზიმის პირობებში, ეძლევა თვეში ერთი პაემნის უფლება, ენინაალმდეგება ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის შინაარსს. თავისი პოზიციის გასამყარებლად მოსარჩელემ ასევე მოიშველია ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე – ნივიცკა პოლონეთის ნინაალმდეგ (*Nowicka v. Poland*) და მიუთითა, რომ, ამ საქმის მიხედვით, პატიმრობაში ყოფნისას ოჯახის წევრების ნახვასთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვა თვეში მხოლოდ ერთი ვიზიტით მიჩნეულ იქნა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევად.<sup>83</sup>

თბილისის საქალაქო სასამართლომ დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა. მან მიუთითა:

„პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად პატიმრებისათვის განკუთვნილი პაემნების ნებადართული ოდენობა აშკარად ენინაალმდეგება ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის შინაარსს, იგი არის რაოდენობრივად აშკარად მცირე, ხელყოფს ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებას და ასეთ შემთხვევაში უპირატესობა უნდა მიენიჭოს საერთაშორისო ხელშეკრულებას, როგორც იერარქიულად კანონზე მაღლა მდგომს. საქართველოს კონსტიტუციის მეექვსე მუხლის თანახმად საერთაშორისო ხელშეკრულებას ან შეთანხმებას აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ. აქედან გამომდინარე, საქართველოში ევროპული კონვენცია აღიარებულია კანონმდებლობის ნაწილად. აღნიშნულ დებულებას ამყარებს „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონი. ხსენებული კანონის მეოთხე მუხლის თანახმად, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება საქართველოს ნორმატიული აქტია.

სასამართლო თვლის, რომ იმის გათვალისწინებით, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია აღიარებულია ქვეყნის კანონმდებლობის ნაწილად ადამიანის უფლებათა დაცვა უნდა მოხდეს საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით.

<sup>82</sup> გადაწყვეტილება, N3/2058, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია, 10 ოქტომბერი, 2007 წელი.

<sup>83</sup> 3 დეკემბერი, 2002 წელი.

სასამართლო თვლის, რომ მოპასუხე იუსტიციის სამინისტრომ უნდა გამოსცეს ნორმატიული აქტი, რომელიც შესაბამისობაში იქნება ევროპული კონვენციის მერვე მუხლის მოთხოვნებთან და რომელშიც მხედველობაში იქნება მიღებული სადაც საკითხზე ევროპული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები.“

თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება იმსახურებს დადებით შეფასებას. სასამართლოს გადაწყვეტილების რამდენიმე ასპექტი განსაკუთრებით საყურადღებოა:

1. სასამართლომ საქმე შეაფასა არა მხოლოდ შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტის (კანონი „პატიმრობის შესახებ“), არამედ ევროპული სტანდარტების საფუძველზე და დასკვნა, რომ საქართველოს ზემოაღნიშნული კანონით განსაზღვრული პარმნების ნებადართული ოფენობა აშკარად ეწინააღმდეგება ევროპული კონვენციის სტანდარტებს, რის გამოც უპირატესობას ანიჭებს ევროპულ სტანდარტს;

2. მართალია, სასამართლომ პირდაპირ არ მოიხსენია ევროპული სასამართლოს კონკრეტული პრეცედენტი, ყველაფერი იმაზე მიუთითებს, რომ მან გაიზიარა მოსარჩელის არგუმენტი, რომელიც ეფუძნებოდა საქმეს – ნოვიცკა პოლონეთის წინააღმდეგ.

ეს გადაწყვეტილება კიდევ ერთხედ ადასტურებს სასამართლო გადაწყვეტილების მიღებისას ევროპულ კონვენციისათან ერთად ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენების აუცილებლობას. რომ არა ეს კონკრეტული პრეცედენტი, რომელზეც მიუთითა მოსარჩელემ, დიდი ალბათობა იყო იმისა, რომ ვერც მოსარჩელე და ვერც სასამართლო ვერ დაასკვნიდა იმას, რაც მან დაასკვნა ამ პრეცედენტის საფუძველზე, რადგან ასეთ სტანდარტს, რომლის მიხედვით პატიმრის თვეში ერთხელ მონახულების უფლების მინიჭება არ არის საკმარისი, ვერც მოსარჩელე და ვერც სასამართლო ვერ ამოიკითხავდა მხოლოდ კონვენციის მე-8 მუხლის ტექსტიდან;

3. ასევე საინტერესოა, რომ საქალაქო სასამართლომ დაავალა იუსტიციის სამინისტროს, გამოსცეს ნორმატიული აქტი, რომელიც შესაბამისობაში იქნება ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის მოთხოვნებთან და რომელშიც მხედველობაში იქნება მიღებული სადაც საკითხზე ევროპული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები. ამით სასამართლომ მოსთხოვა მოპასუხეს, რომ თავისი ნორმატიული აქტი შესაბამისობაში მოიყვანოს ამ საკითხთან დაკავშირებით ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართლთან.

გ) ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტების გამოყენების მესამე ფორმასთან დაკავშირებით, რომელიც ითვალისწინებს ამ სტანდარტების გამოყენებას, როგორც სასამართლო საქმის გადაწყვეტის ერთადერთ სამართლებრივ საფუძველს, აღ-

სანიშვნავია, რომ საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში აღმოჩენილია ერთი ასეთი შემთხვევა<sup>84</sup> – საქართველოს უზენაესმა სასამართლომ, რომელმაც ამ საქმეზე გადაწყვეტილება მიიღო 2001 წლის 10 მაისს, გადაწყვეტილების სამოტივაციით ნაწილში მიუთითა ევროპულ კონვენციაზე, როგორც სასამართლო საქმის გადაწყვეტის ერთადერთ სამართლებრივ საფუძველზე.

#### **4.2. საქართველოს საერთო სასამართლოების პრაქტიკა ევროპული სტანდარტების გამოყენების ინიციატივასთან დაკავშირებით**

ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტების გამოყენების ინიციატივა შეიძლება მომდინარეობდეს როგორც სასამართლო პროცესის მხარეების, ისე თავად სასამართლოსაგან. პროცესის მხარეებს უფლება აქვთ, ევროპული სტანდარტების საფუძველზე დასაბუთონ თავიანთი პოზიცია და ამტკიცონ, რომ დაირღვა კონვენციით მათვის მინიჭებული უფლებები.

რაც შეეხება ევროპული სტანდარტების გამოყენებას სასამართლოს ინიციატივით, როგორც უკვე აღინიშნა, სასამართლოს აქტიურობის ხარისხი ისეთი ნორმატიული აქტის გამოყენებაში, რომელსაც არ იშველიებს პროცესის მხარე, განსხვავდება იმის მიხედვით, განიხილება სისხლის სამართლის თუ სამოქალაქო/ადმინისტრაციული საქმე. მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო/ადმინისტრაციულ საქმეებთან დაკავშირებით სასამართლოს უფრო პასიური როლი ენიჭება, მან მაინც უნდა გამოიყენოს ევროპული კონვენცია და ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, თუ თვლის, რომ მათი გამოყენება ხელს შეუწყობს საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას.

იმ სასამართლო გადაწყვეტილებათა უმრავლესობაში, რომლებშიც გამოყენებულია ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები, სასამართლოები თავიანთი ინიციატივით იყენებენ მათ.<sup>85</sup> სხვა სიტყვებით, ამ სასამართლო საქმეებში სასამართლოები იყენებენ ევროპულ სტანდარტებს, მიუხედავად იმისა, რომ პროცესის მხარე თავისი პოზიციის დასასაბუთებლად არ იშველიებს მათ.<sup>86</sup>

<sup>84</sup> განჩინება, N8(1), 10 მაისი, 2001 წელი, სუსგ, სისხლის სამართლის საქმეებზე, N5, 2001 წელი, გვ. 268.

<sup>85</sup> ასეთი გადაწყვეტილებების დიდი რაოდენობის გამო აქ მხოლოდ რამდენიმე გადაწყვეტილება მოიშველიება. დანარჩენი გადაწყვეტილებები იბ.: კ. კორკელია, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენება საქართველოში, 2004 წელი; გადაწყვეტილება, N3გ-ად-462-კ-02, 25 ნოემბერი, 2002 წელი, სუსგ, ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეებზე, N1, 2003 წელი, გვ. 37; განჩინება, N3კ-1188-02, 16 დეკემბერი, 2002 წელი, სუსგ, სამოქალაქო, სამენორმეო და გაკოტრების საქმეებზე, N2, 2003 წელი, გვ. 37; განჩინება, N3გ-ად-429-კ-02, 18 დეკემბერი, 2002 წელი, სუსგ, ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეებზე, N2, 2003 წელი, გვ. 224; გადაწყვეტილება Nას-593-1241-03, 14 არილი, 2004 წელი, საქართველოს უზენას სასამართლოს სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა.

<sup>86</sup> ყოველ შემთხვევაში, ამ გადაწყვეტილებებში არაფერია მითითებული იმაზე, რომ პროცესის მხარემ თავისი პოზიციის დასასაბუთებლად მოიშველია ევროპული კონვენცია. განსხვავებული დასკვნა გაკეთდა საქართველოს მოსამართლეებთან ჩატარებული კვლევის შედეგად, რომლის მიხედვით, მოსამართლეები ევროპული სასამართლოს პრეცედენტების მოშველიებას, ძირითადად, იმ შემთხვევაში აზდენენ, თუ ამას

მისასალმებელია საქართველოს სასამართლოთა აქტიური როლი სამოქალაქო/ად-მინისტრაციულ საქმეებთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ ამ კატეგორიის საქმეებზე სასამართლოს შედარებით პასიური როლი ენიჭება, საქართველოს სასა-მართლოები მაინც იყენებენ ევროპულ სტანდარტებს.

რაც შეეხება საქმეებს, რომლებმიც ევროპული სტანდარტები სასამართლომ გა-მოიყნა პროცესის მხარის ინიციატივით, საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში აღმოჩენილია რამდენიმე ასეთი საქმე.<sup>87</sup> ამ საქმეებში პროცესის მხარემ თავისი პო-ზიციის დასასაბუთებლად მოიშველია ევროპული სტანდარტი, სასამართლომ კი გა-დაწყვეტილების მისაღებად გამოიყენა ევროპული კონვენციის შესაბამისი მუხლები (ზოგიერთ შემთხვევაში, ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი).

სამწმართდ, საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში აღმოჩენილია რამდენიმე შემთხვევა, როდესაც პროცესის მხარემ თავისი პოზიციის დასასაბუთებლად მოიშვე-ლია ევროპული სტანდარტები, მაგრამ სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში არც კი მოიხსენია ისინი.<sup>88</sup>

ამის საილუსტრაციოდ შეიძლება ერთ-ერთი საქმის განხილვა. საქმე, რომელიც ქუთაისის საქალაქო სასამართლომ 2003 წლის 6 თებერვალს განიხილა, ეხებოდა ქ. ქუთაისის ვიცე-მერის მტკიცებას, რომ საგაზეთო პუბლიკაციით შეილახა მისი პა-ტივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია.<sup>89</sup> მოსარჩელემ მოითხოვა, სასამართლოს დაე-ვალდებულებინა მოპასუხები (ჟურნალისტი და გაზეთის რედაქტორი), უარესოთ მათ მიერ გაზეთ „PS“-ის 2001 წლის 23-29 ივლისის ნომერში გამოქვეყნებული სტატიით (სათაურით – „ქუთაისში რაიმე რომ გააკეთო, მინიმუმ ქალაქის მერის უფლებებით უნდა სარგებლობდე“) გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს იმ პიროვნებასთან, რო-

პროცესზე ადვოკატი მოითხოვს და, როგორც წესი, მოსამართლები ამ ინიციატივას არ იძენენ. იხ. კვლევა „საქართველოს სასამართლოების მუშაობაში ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების გამოყენების შესახებ“, რომელიც შეასრულა BCG Research-მა გაერთო განვითარების პროგრამის დაკვეთით. იხ. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულე-ბები და საქართველოს სასამართლო პრაქტიკა, ნაწილი პირველი, 2006 წელი, გვ. 43.

<sup>87</sup> იხ.: განჩინება, N3კ/599, 22 თებერვალი, 2001 წელი, სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა; განჩინება, N22(1), 17 ივნისი, 2001 წელი, სუსგ, სისხლის სამართლის საქმეებზე, N10, 2001 წელი, გვ. 653-655; განჩინება, N79, 11 ოქტომბერი, 2001 წელი, სუსგ, სისხლის სამართლის საქმეებზე, N1, 2002 წელი, გვ. 42-44; განჩინება, N3გ/ად-82-კ-01, 13 ივნისი, 2001 წელი, სუსგ, აღმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეებზე, N12, 2001 წელი, გვ. 1129, 1131; გადაწყვეტილება, N2/64, 3 აპრილი, 2002 წელი, ჭიათურის რაიონული სასამართლო; გადაწყვეტილება, N3/9-2002, 13 მისი, 2002 წელი, მარნეულის რაიონული სასამართლო; განჩინება, N3კ-606-02, 12 ივნისი, 2002 წელი, სუსგ, სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეებზე, N9, 2002 წელი, გვ. 1511-1513; განჩინება, N3კ-337-02, 25 ივნისი, 2002 წელი, სუსგ, სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეებზე, N9, 2002 წელი, გვ. 1625-1637; ამავე საქმეზე იხ. თბილისის საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება, N2/ა-176, 18 დეკემბერი, 2001 წელი, სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგის; გადაწყვეტილება, N3კ-390-02, 4 ივნისი, 2002 წელი, სუსგ, სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეებზე, N10, 2002 წელი, გვ. 1758-1767.

<sup>88</sup> გადაწყვეტილება, საქმე N2/229, 17 სექტემბერი, 2001 წელი, ბორჯომის რაიონული სასამართლო; ასევე იხ. სარჩელი და მოსარჩელის დაცვითი სიტყვა; გადაწყვეტილება, N2/74, 6 თებერვალი, 2003 წელი, ქუთაი-სის საქალაქო სასამართლო; განჩინება, N674-ა-30 ოქტომბერი, 2006 წელი, საქართველოს უზენაეს სასა-მართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა; გადაწყვეტილება, N3ს-536-512-კ-07, 18 დეკემბერი, 2007 წელი, საქართველოს უზენაეს სასამართლოს აღმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა.

<sup>89</sup> ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, N2/74, 6 თებერვალი, 2003 წელი.

მელიც ქალაქის მერის უფლებებით სარგებლობდა, და რომელიც ნავთობის პიზნესში ქალაქის ვიცე-მერის დონეზეა ჩაბმული, მოსარჩელის იდენტიფიცირება შეძლო ერთ-ერთმა ჩინოსანმა. მოპასუხე მხარემ სარჩელი არ ცნო და აღნიშნა, რომ ამ სტატიით არ გავრცელებულა მოსარჩელის პატივის, ლირსებისა და საქმიანი რეპუტაციის ხელ-მყოფი ცნობები.

თავისი პოზიციის დასასაბუთებლად მოპასუხემ საქართველოს შიდასახელმწიფოებრივ ნორმატიულ აქტებსა და ევროპული კონვენციის მე-10 მუხლთან (გამოხატვის თავისუფლება) ერთად მოიშველია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს არაერთი პრეცედენტი,<sup>90</sup> რომლებშიც საკმაოდ დეტალურად განმარტა ანალოგიურ საქმეებთან დაკავშირებით ევროპული სასამართლოს პოზიცია. სამწუხაროდ, სასამართლომ ამ საქმესთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებაში არა მხოლოდ არ იმსჯელა მოპასუხის არგუმენტებზე, მათ შორის ევროპულ კონვენციასა და ევროპული სასამართლოს პრეცედენტებზე, არამედ არც კი მოიხსენია ისინი.

#### 4.3. ევროპული სტანდარტებით საქართველოს საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებათა დასაბუთების პრაქტიკა

როგორც აღინიშნა, თუ პროცესის მხარე თავისი პოზიციის დასასაბუთებლად იშველიებს ევროპულ სტანდარტებს, სასამართლომ უნდა განიხილოს საქმე ევროპული სტანდარტებით გამყარებული არგუმენტების მიხედვით. თავის გადაწყვეტილებაში სასამართლომ უნდა გამოხატოს საკუთარი პოზიცია, შეიძლება თუ არა ევროპული სტანდარტების გამოყენება კონკრეტულ დავასთან დაკავშირებით. სასამართლომ უნდა დაასაბუთოს, რატომ იყენებს ან არ იყენებს იგი ამ ნორმებს საქმის გადასაწყვეტად, ანუ ეთანხმება თუ არა იგი მხარის მიერ ევროპულ სტანდარტებზე დამყარებულ არგუმენტებს. თუ სასამართლო არ ეთანხმება ასეთ არგუმენტებს, მან უნდა დაასაბუთოს ის მიზეზები, რომელთა გამოც იგი არ ეთანხმება მხარის პოზიციას. სასამართლომ შეიძლება მიუთითოს, რომ კონვენციის ეს მუხლი არ გამოიყენება ამ საქმესთან დაკავშირებით, რადგან მისი რეგულირების სფერო განსხვავდება, ან – რომ მხარე არასწორად განმარტავს ევროპული კონვენციის კონკრეტული მუხლის შინაარსს. ანალოგიურად უნდა დაასაბუთონ სასამართლოებმა თავიანთი პოზიცია, თუ მხარე იშველიებს ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს.<sup>91</sup>

<sup>90</sup> ეერძოდ, მოპასუხემ მოიშველია ევროპული სასამართლოს შემდეგი გადაწყვეტილებები: ლინგენსი ავსტრიის წინააღმდეგ (Lingens v. Austria), კასტელსი ესპანეთის წინააღმდეგ (Castells v. Spain), იერშილდი დანიის წინააღმდეგ (Jersild v. Denmark), გუდვინი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Goodwin v. the United Kingdom), ობერშლიკი ავსტრიის წინააღმდეგ (Oberschlick v. Austria).

<sup>91</sup> განჩინება სას-968-1269-07, 15 მაისი, 2008 წელი, სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა.

საქართველოს სასამართლოთა იმ გადაწყვეტილებების ანალიზის შედეგად, რომლებშიც გამოყენებულია ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ მდგომარეობა ევროპული კონვენციითა და ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით, საქართველოს სასამართლო გადაწყვეტილებათა დასაბუთების თვალსაზრისით, არადამაკმაყოფილებელია. ამ საქმეების უმრავლესობაში სასამართლო გადაწყვეტილებები არასაკმარისად დეტალურად არის დასაბუთებული ევროპულ სტანდარტებთან მიმართებით.

მიუხედავად ამისა, პრატიკის შესწავლამ გამოავლინა რამდენიმე შემთხვევა, როდესაც სასამართლომ საკმარისად დეტალურად იმსჯელა პროცესის მხარის მიერ ევროპულ სტანდარტებზე დაფუძნებულ არგუმენტებზე.<sup>92</sup> ამ საქმეებში სასამართლომ საქმე გააანალიზა პროცესის მხარის მიერ ევროპულ სტანდარტებზე დაფუძნებული არგუმენტების საფუძველზე და დაასაბუთა, რატომ გამოიყენა ან არ გამოიყენა მან ევროპული კონვენციის შესაბამისი ნორმა საქმის გადასაწყვეტად. უდავოა, რომ ასეთი გადაწყვეტილებები უფრო დამაჯერებელია პროცესის მხარეებისათვის, მათ შორის იმ მხარისათვის, რომლის სანინააღმდეგოდ მიიღეს გადაწყვეტილება, ვიდრე ის გადაწყვეტილება, რომელშიც მხოლოდ „მშრალი“ მითითებაა ევროპულ სტანდარტებზე.

ერთ-ერთი ასეთი საქმე, რომელშიც სასამართლომ „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“<sup>93</sup> კანონთან ერთად საკმარისი დეტალურობით იმსჯელა ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტების გამოყენებაზე კონკრეტულ სიტუაციაში, ეხება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონიტორინგის საბჭოს წევრსა და იუსტიციის ყოფილ მინისტრს შორის წარმოშობილ სასამართლო დავას. მოსარჩელის მტკიცება, რომ მოპასუხის სატელევიზიო და საგაზითო განცხადებებით შეილახა მისი პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია, სასამართლომ განიხილა კანონისა და ევროპული სტანდარტების საფუძველზე და არ დააკმაყოფილა სარჩელი იმ მოტივით, რომ მოსარჩელეს, როგორც საჯარო მოხელესთან გათანაბრებულ პირს, უნდა ეტვირთა კრიტიკის თმენის ვალდებულება.<sup>93</sup>

<sup>92</sup> იხ.: განჩინება, N22(1), 17 ივლისი, 2001 წელი, სუსგ, სისხლის სამართლის საქმეებზე, N10, 2001 წელი, გვ. 653-655; გადაწყვეტილება, N2/64, 3 აპრილი, 2002 წელი, ჭაოთურის რაიონული სასამართლო; გადაწყვეტილება, N3/9-2002, 13 მაისი, 2002 წელი, მარნეულის რაიონული სასამართლო; განჩინება, N3-337-02, 25 ივნისი, 2002 წელი, სუსგ, სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეებზე, N9, 2002 წელი, გვ. 1625-1637; გადაწყვეტილება, N2/ა-25-2002, 3 ივნისი, 2002 წელი, სამოქალაქო და სამენარმეო საქმეთა კოლეგია; გაააწყვეტილება, N3-390-02, 4 ივნისი, 2002 წელი, სუსგ, სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეებზე, N10, 2002 წელი, გვ. 1758-1767; გადაწყვეტილება, Nას-593-1241-03, 14 აპრილი, 2004 წელი, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა. საყურადღებოს საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელშიც მან, მართალია, არ განიხილა ევროპული კონვენცია, მაგრამ განიხილა მხარის მიერ მიშვევლიერული ევროპული სასამართლოს საქმეები და დაასაბუთა, რომ ეს პრეცედენტები არ უნდა იქნეს გამოყენებული კონკრეტულ დავასთან დაკავშირებით. განჩინება, N3გ-აა-275-კ-02, 24 იანვარი, 2003 წელი, სუსგ, ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეებზე, N3, 2003 წელი, გვ. 476-479; ასევე იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის გადაწყვეტილება, N3კ/1240-02, 24 აპრილი, 2003 წელი.

<sup>93</sup> განჩინება Nას-810-1129-07, 16 მაისი, 2008 წელი, სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა

საქმე, რომელიც საქართველოს უზენაესმა სასამართლომ განიხილა 2001 წლის 22 ივნისს, ეხებოდა საქართველოს პარლამენტის წევრის სარჩელს პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის ხელყოფის შესახებ გაზეთ „ლანჩხუთი პლუსის“ ჟურნალისტების წინააღმდეგ.<sup>94</sup>

ლანჩხუთის რაიონიდან არჩეული საქართველოს პარლამენტის წევრი სარჩელის საფუძვლად მიუთითებდა, რომ მოპასუხეების მიერ ხსენებულ გაზეთში გამოაქვეყნებული სტატიით – „ეჭ, რომან, რომან“ – მის მიმართ გავრცელდა ჭორი, რითაც მას მიაყენეს შეურაცხყოფა, განზრახ დაამცირეს მისი პატივი და ღირსება ამომრჩევლებისა და თანამოქალაქეების თვალში. გამოქვეყნებულ სტატიაში პარლამენტის წევრი მოხსენიებულია როგორც კაცი, რომელმაც „თავი დაკარგა“. მის მიმართ გამოყენებულია შეურაცხმყოფელი ფრაზები: „ვინ ხარ შენ და როგორ მოხვდი ამ გაუგებრობაში, რასაც პარლამენტის წევრობა ჰქვია?“, „დავიჯერო, სამივე მოსმენის დროს გეძინა?“, „ლანჩხუთში ფეხებს გვჭრის და პარლამენტში თავს“, „ისე ნელა მწიფდება, ვაი, რომ ლანჩხუთს ამდენი დრო არა აქვს, რომ ამ უიმედო პროცესის დასასრულს დაელოდოს“, „მატყლის საჩერად გაგიშვა ლანჩხუთმა პარლამენტში?“, „კანონის წაკითხვაც ვერ გისწავლია ერთი რიგითი მოქალაქის დონეზე“, „გაზეთის წაკითხვა არ გცოდნია კიდევ“, „ამგვარი გამოხტომებისათვის თავში წაუთაქებენ ხოლმე, ჩემო რომან, მაგრამ ვაი, რომ მარტო ეს არ უშველის შენს გაჭირვებას“, „ჩვენში ყოველ ნაბიჭვარს აზნაურობა სწყურია, ყოველ ნაცარქექიას – სარდლობა“.

პარლამენტის წევრი, როგორც კასატიონი, ითხოვდა გამოქვეყნებული სტატიის ავტორებისაგან გავრცელებული ინფორმაციის უარყოფასა და მორალური ზიანის ანაზღაურებას. მისი აზრით, მოპასუხეებს განზრახული ჰქონდათ, გამოეთიშათ იგი საპარლამენტო არჩევნებიდან. მოპასუხეების აზრით, სტატიაში არ არის გამოთქმული შეურაცხმყოფელი ფრაზები უშუალოდ პარლამენტის წევრის მიმართ, არამედ სტატია კრიტიკულად აფასებს ლანჩხუთის რაიონის დეპუტატის საქმიანობას საქართველოს პარლამენტში, რაც, მოპასუხეთა შეხედულებით, გამოწვეული იყო პარლამენტარის პასიურობით, რომელიც მან გამოიჩინა ლანჩხუთის რაიონისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე კანონპროექტის განხილვასთან დაკავშირებით.

პირველად სარჩელი განიხილა ჩოხატაურის რაიონულმა სასამართლომ. მან მიიჩნია, რომ მოპასუხეებმა მოსარჩელის მიმართ შეგნებულად გაავრცელეს მისი პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ისეთი ცნობები, რომელებიც სინამდვილეს არ შეესაბამებიან. ჩოხატაურის რაიონულმა სასამართლომ გამოიყენა

---

პალატა.

<sup>94</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა, განჩინება, 2001 წლის 22 ივნისი. იხ. „ადამიანის უფლებათა დაცვის სამაგალითო გადაწყვეტილებები“ (2001 წელი), თბილისი, 2002 წელი, გვ. 76-79.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლი და საქართველოს კანონი „პრე-სისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ“ და ნაწილობრივ დაკავ-მაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა. ჩოხატაურის რაიონული სასამართლოს გადაწყვე-ტილებით, უურნალისტებს დაევალათ ამავე გაზეთის მეშვეობით მოსარჩელის შესახებ გავრცელებული ინფორმაციის უარყოფა და ბოდიშის მოხდა, ასევე მოსარჩელის სა-სარგებლოდ 15000 ლარის გადახდა.

ქუთაისის საოლქო სასამართლომ დააკმაყოფილა უურნალისტების სააპელაციო საჩივარი. მან გააუქმა ამ საქმეზე ჩოხატაურის რაიონული სასამართლოს გადაწყ-ვეტილება და ახალი გადაწყვეტილებით პარლამენტის წევრს უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე. ამ უკანასკნელმა ქუთაისის საოლქო სასამართლოს გადაწყვეტი-ლება არ მიიჩნია დასაბუთებულად და საკასაციო საჩივარი შეიტანა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა პარლამენტის წევრის საკასაციო საჩივარი. უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ, უპირველეს ყოვლისა, სასამართლო დაეყრდნო საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის პირველ პუნქტს, რომლის თანახმად, ყოველ ადამიანს აქვს უფლება, თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, გამოთქვას და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვაგვარი საშუალებით. სასა-მართლო ასევე დაეყრდნო „პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ“ კანონის მე-19 მუხლის პირველ პუნქტს, რომლის თანახმად, საქართველოს მოქალაქეებს უფლება აქვთ, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით ოპერატიულად მიიღონ ცნობები სახელმწიფო ორგანოების, საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაერთია-ნებებისა და თანამდებობის პირების საქმიანობის შესახებ. ამავდროულად უზენაესმა სასამართლომ ყურადღება გაამახვილა, ერთი მხრივ, პირთა პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის დაცვის აუცილებლობაზე, ხოლო, მეორე მხრივ, სიტყვის თა-ვისუფლებაზე.

ამ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ უზენაესმა სასამართლომ გამოიყენა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი. საქართველოს უზენაესი სასამართლო დაეყრდნო ევრო-პული სასამართლოს გადაწყვეტილებას საქმეზე – კასტელსი ესპანეთის ნინაალმდეგ (Castells v. Spain), რომლის თანახმად, „აზრის გამოხატვის თავისუფლება გულისხმობს ისეთი განცხადებებისა და გამოთქმის უფლებასაც, რომელიც შეურაცხმყოფელი, აღ-მაშფოთებელი და შემანუხებელია“. ამ პრეცედენტის მოშველიებით უზენაესმა სასა-მართლომ დაადასტურა, რომ პირის, მათ შორის უურნალისტის, მიერ გამოხატული აზრი შეიძლება იყოს არა მხოლოდ პოზიტიური, არამედ ნეგატიური შე-

ფასება შეიძლება იყოს შეურაცხმყოფელი, აღმაშფოთებელი და შემაწუხებელიც კი.

მაგრამ უზენაესი სასამართლოსათვის არ იყო საკმარისი იმის დადასტურება, რომ გამოხატული აზრი შეიძლება იყოს როგორც ნეგატიური, ისე პოზიტიური. სასამართლოს უნდა გაეცა პასუხი კითხვაზე, თუ სად უნდა გაივლოს ზღვარი, ერთი მხრივ, კრიტიკის დასაშვებ ფარგლებსა და, მეორე მხრივ, პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის ხელყოფას შორის.

ამისათვის უზენაესმა სასამართლომ ისევ ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი გამოიყენა. მან გამოიყენა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე – ლინგენსი ავსტრიის წინააღმდეგ (*Lingens v. Austria*), რომელშიც ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ პოლიტიკური მოღვაწის მიმართ დასაშვები კრიტიკის ფარგლები უფრო ფართო, ვიდრე რიგითი ინდივიდის მიმართ. უზენაესმა სასამართლომ ასევე მიუთითა მოხსენიებული პრეცედენტის იმ ნაწილზე, რომლის თანახმად, პოლიტიკური მოღვაწე, რიგითი ინდივიდისაგან განსხვავებით, წინასწარ შეცნობილად და აუცილებლად უქვემდებარებს თავის ქმედებებს და უქსტებს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისა და საზოგადოებრივ კონტროლს. ამ პრეცედენტის საფუძველზე უზენაესმა სასამართლომ დაასკვნა, რომ „პოლიტიკური თანამდებობის პირებმა და სახელმწიფო მოხელეებმა პრესისა და ტელევიზიის მეშვეობით გამართულ დებატებში დასაშვებ ზღვარზე მეტი კრიტიკა უნდა ითმინონ, თუ ეს კრიტიკა უხეშად არ ხელყოფს მათ პირად ცხოვრებას და ხელშეუხებლობას.“

ამ პრეცედენტის საფუძველზე უზენაესმა სასამართლომ დაასაბუთა, რომ პოლიტიკური მოღვაწე ან სახელმწიფო მოხელე თავის საქმიანობას თავად, წინასწარ შეცნობილად უქვემდებარებს საზოგადოებრივ კონტროლს, რის გამოც მისი საქმიანობა შეიძლება გახდეს მძაფრი საზოგადოებრივი კრიტიკის ობიექტი, რაც ასეთმა პირმა უნდა ითმინოს თავისი თანამდებობრივი მდგომარეობიდან გამომდინარე. თავისი საქმიანობის დაქვემდებარება საზოგადოებრივ კონტროლს, რაშიც უურნალისტებს განსაკუთრებული როლი ენიჭებათ, გამომდინარეობს იქიდან, რომ პოლიტიკური მოღვაწის ან სახელმწიფო მოხელის საქმიანობა არის საზოგადოებრივი ინტერესის საგანი.

საყურადღებოა, რომ უზენაესი სასამართლოს მიერ ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენებას პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა ამ გადაწყვეტილების მიღებისათვის. იგი მხოლოდ საქართველოს შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების გამოყენებით (სამოქალაქო კოდექსისა და კანონის „პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ“) ვერ დაასკვნიდა, რომ კრიტიკის დასაშვები ფარგლები უფრო ფართო პოლიტიკური მოღვაწის მიმართ, ვიდრე ეს არის ჩვეულებრივი ინდივიდის მიმართ.

## 5. რა ფაქტორები აპროლებს ადამიანის უფლებათა ევროპული სტაციონარული გამოყენებას საკართველოში?

ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტების გამოყენების პრაქტიკის დამკვიდრების საწყის ეტაპზე, ევროპულ სახელმწიფოთა სასამართლოებში არსებული მდგომარეობის მსგავსად,<sup>95</sup> საქართველოს მოსამართლეთა ნაწილი ევროპულ სტანდარტებს მიიჩნევს არა როგორც ქვეყნის კანონმდებლობის ნაწილად, არამედ „უცხო სხეულად“, „ეგზოტიკურ“ აქტად და თავს არიდებს მის გამოყენებას მართლმსაჯულების განხორციელებისას. მოსამართლეების უმეტესობას არ სურს, იმსჯელოს სამართლის იმ დარგზე, რომელშიც არა აქვს მდიდარი გამოცდილება, რადგან ამ საკითხთან დაკავშირებით არსებობს მათ მიერ მცდარი გადაწყვეტილების მიღების შედარებით დიდი რისკი.

იმ მიზეზების ანალიზის შედეგად, რომლებიც აბრკოლებს ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტების გამოყენებას საქართველოში, გამოიკვეთა როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური ფაქტორები, რომელთა გამოც საქართველოში მართლმსაჯულების განხორციელებისას ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენება იშვიათად ხდება. ასეთი მიზეზებისათვის ნათელის მოფენით შესაძლებელი გახდება ევროპული სტანდარტების გამოყენების პრაქტიკის გაუმჯობესება საქართველოში.

ა) ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მიზეზად, რომელიც აბრკოლებს ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტების გამოყენებას მართლმსაჯულების განხორციელებისას, ალბათ, უნდა იქნეს მიჩნეული სასწავლო (საგანმანათლებლო) სისტემისა და საინფორმაციო პოლიტიკის არსებული ნაკლოვანებები. ცხადია, თუ მოსამართლეს ან პროცესის მხარეს არ აქვს საკმარისი პროფესიული კვალიფიკაცია ევროპული სტანდარტების შესახებ, ან არ ფლობს ინფორმაციას ამა თუ იმ უფლების კონვენციის უფლებათა განმარტების თაობაზე, ის არ გამოიყენებს ამ სტანდარტებს მართლმსაჯულების განხორციელებისას.

ეს საკითხები ნაშრომში მოგვიანებით არის დეტალურად განხილული.

ბ) მართლმსაჯულების განხორციელებისას ევროპული სტანდარტების გამოუყენებლობის ერთ-ერთ მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს მოსამართლეთა გადატვირთულობა.

ეს პოზიცია დაადასტურა საქართველოს მოსამართლეებთან ჩატარებულმა კვლევამ.<sup>96</sup> როგორც კვლევაშია მითითებული, მოსამართლეების აზრით, ადამიანის უფლე-

<sup>95</sup> Report by A.-W. Heringa, Existing Forms of Interaction: their Potential and their Limits, Seminar “Partners for the Protection of Human Rights: Reinforcing Interaction Between the European Court of Human Rights and National Courts”, 9-10 September 2002, Strasbourg.

<sup>96</sup> კვლევა „საქართველოს სასამართლოების მუშაობაში ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების გამოყენების შესახებ“, რომელიც შესარულა BCG Research-მა გაეროს განვითარების პროგრამის დაკვეთით. იხ. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ხელ-

ბათა საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენებლობის ერთ-ერთი მიზეზია ის, რომ მოსამართლეებს არ აქვთ ამის დრო, რადგან განსახილველი საქმეების დიდი ოდენობა მათ იძულებულს ხდის, ძირითადად, ადგილობრივი კანონმდებლობისა და გამოცდილების გამოყენებით დაკმაყოფილდნენ. მოსამართლეთა აზრით, ადგილობრივ კანონმდებლობაში ხშირი ცვლილებების გამო მოსამართლეები ცდილობენ, პირველ რიგში, ამ ცვლილებებს ადევნონ თვალყური, საერთაშორისო გამოცდილების გასაზიარებლად კი ვეღარ იცლიან.<sup>97</sup>

მოსამართლეების მიერ ევროპული სტანდარტების გამოყენებლობის ასეთი მიზეზის მოშველიება ლოგიკურია. პრაქტიკული თვალსაზრისით, მოსამართლისათვის ბევრად უფრო ადგილია, გამოიყენოს შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტი (მაგალითად, კანონი), ვიდრე შეუდგეს ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით ჩამოყალიბებული ნორმების ძიების ხანგრძლივ და შრომატევად პროცესს, რათა დადგინოს, კონკრეტული შემთხვევისათვის თუ როგორ განიმარტება ევროპული კონვენცია.

ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია ადვოკატების როლი სასამართლოს მიერ ევროპული კონვენციის გამოყენების სტიმულირებაში. პრაქტიკაში ადვოკატების უმრავლესობა კონკრეტულ სასამართლო საქმესთან დაკავშირებით აანალიზებს შიდასახელმწიფოებრივ ნორმატიულ აქტებს და, როგორც წესი, ყურადღებას არ აქცევენ კონვენციასა და ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს. საქართველოში იშვიათად თუ მოიძებნება ადვოკატი, რომელიც ეყრდნობა სასამართლოს წინაშე ევროპულ კონვენციისა და, მით უმეტეს, ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს თავისი პოზიციის გასამყარებლად. შესაბამისად, მოსამართლეებს, რომლებიც ისედაც გადატვირთული არიან განსახილველი საქმეების რაოდენობით, არა აქვთ კონვენციისა და ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გაანალიზების დრო და საშუალება. მით უმეტეს, ამას აბრკოლებს ევროპული სასამართლოს შესაბამისი პრეცედენტების მოძიებასთან დაკავშირებული სირთულეები. სასამართლოების მიერ ევროპული კონვენციისა და ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენებას ხელს შეუწყობს, თუ ადვოკატი თავისი პოზიციის დასასაბუთებლად აქტიურად მოიშველიებს ევროპულ კონვენციისა და ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს.

გ) ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტების გამოყენების დამაბრკოლებელ ფაქტორს მიეკუთვნება მოსამართლეთა და ადვოკატთა ნაწილის შეხედულება, რომლის თანახმად, ამ სტანდარტების გამოყენებას არ აქვს აზრი, რადგან ისინი ან

შეკრულებები და საქართველოს სასამართლო პრაქტიკა, ნაწილი პირველი, 2006 წელი, გვ. 19.

<sup>97</sup> იქვე, გვ. 40.

საერთოდ არ აწესრიგებენ იმ სადავო საკითხს, რომელიც განიხილება სასამართლოს მიერ, ან ეს სტანდარტი უფრო დაბალია, ვიდრე საქართველოს შიდასახელმწიფო ბრივი ნორმატიული აქტითაა დადგენილი, რის გამოც ევროპული სტანდარტის გამოყენება არ მოახდენს გავლენას სასამართლო საქმეზე. ასეთი შეხედულება მცდარია. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია, თუ მოსამართლე ან ადვოკატი ევროპულ კონვენციისთან ერთად არ განიხილავს ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს და დაეყრდნობა მხოლოდ კონვენციის ტექსტს, იგი ადვილად დაასკვნის, რომ კონვენცია არ აწესრიგებს სადავო საკითხს. საქართველოს სასამართლო პრაქტიკამ არაერთხელ ცხადყო, რომ მოსამართლემ გამოიყენა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი გადაწყვეტილების მისაღებად, თუმცა იმავეს ვერ გააკეთებდა მხოლოდ კონვენციის შესაბამისი მუხლის გამოყენების შედეგად, რომლის საფუძველზე, უბრალოდ, დაასკვნიდა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტი აწესრიგებდა ამ საკითხს. ცხადია, არ არის გამორიცხული, ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებს შორის არ მოიძებნოს კონვენციის ისეთი განმარტება, რომელიც გავლენას მოახდენს ეროვნული სასამართლოს წინაშე არსებულ დავაზე. როგორც უკვე აღინიშნა, ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები აზუსტებს და აკონკრეტებს კონვენციის ამა თუ იმ უფლებას. აქედან გამომდინარე, მოსამართლისა და ადვოკატის შეხედულება, რომ სადავო საკითხი არ რეგულირდება ევროპული კონვენციით, ადვილად შეიძლება შეიცვალოს ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის ანალიზის შედეგად.

მცდარი შეხედულების მიზეზი, რომლის თანახმად, ევროპული კონვენცია ადამიანის უფლებათა დაცვის უფრო დაბალ სტანდარტს ადგენს, ვიდრე საქართველოს კანონმდებლობა, რის გამოც კონვენციის გამოყენებას არანაირი დადებითი წვლილის შეტანა არ შეუძლია საქმის გადაწყვეტაში, ისაა, რომ ევროპული კონვენცია პირდაპირ ითვალისწინებს დებულებას, რომლის თანახმად, იგი ადგენს ადამიანის უფლებათა დაცვის მინიმალურ სტანდარტებს (კონვენციის 53-ე მუხლი). მართალია, ევროპული კონვენციით გათვალისწინებულია, რომ იგი ადგენს ადამიანის უფლებათა დაცვის მინიმალურ სტანდარტებს, ისინი, ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის განვითარების გათვალისწინებით, ხშირად უფრო მაღალია, ვიდრე სახელმწიფოთა კანონმდებლობით დადგენილი ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტები. სასამართლოების მიერ ამ მიზეზით საერთაშორისო ხელშეკრულებათა გამოიყენებლობა უცხო არ არის ევროპული სახელმწიფოებისათვის. ეს სახელმწიფოები მსგავსი პრობლემების წინაშე იდგნენ ეროვნული სასამართლოების მიერ ევროპული კონვენციის გამოყენების პრაქტიკის დამკვიდრების საწყის ეტაპზე, რის ნათელსაყოფადაც საქმარისია გერმანიის მაგალითის მოშველიება: იმის გამო, რომ გერმანიის ძირითადი კანონი მიიჩნეოდა აქტად, რომელიც ადამიანის უფლებათა დაცვის უფრო მაღალ

სტანდარტებს ადგენდა, ვიდრე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, გერმანიის სასამართლოები იშვიათად იყენებდნენ ევროპულ კონვენციას. მდგომარეობა შეიცვალა იმ გადაწყვეტილებების შედეგად, რომლებშიც ევროპულმა სასამართლომ დაადგინა გერმანიის მიერ ევროპული კონვენციით გათვალისწინებული სტანდარტების დარღვევა. გერმანიის სასამართლოებმა ამ პერიოდიდან მოყოლებული დაიწყეს ევროპული კონვენციისა და სასამართლოს პრეცედენტული სამართლის ხშირად გამოყენება სასამართლო საქმეთა განხილვისას.<sup>98</sup> ეროვნულ დონეზე ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულებათა გამოყენების თვალსაზრისით მსგავსი მდგომარეობა იყო სხვა სახელმწიფოებშიც.<sup>99</sup>

თუ იმ ევროპულმა სახელმწიფოებშიც კი, რომლებსაც აქვთ მდიდარი სამართლებრივი ტრადიციები ადამიანის უფლებათა დაცვასთან დაკავშირებით, *უარყვეს a priori* მიდგომა, რომ მათი შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა უფრო ეფექტიანად, ანუ უფრო მაღალი სტანდარტებით, იცავს ადამიანის უფლებებს, ვიდრე ევროპული კონვენცია, გაუმართლებელი იქნებოდა, რომ საქართველომ, რომლის კანონმდებლობა ჯერ კიდევ ფორმირების ეტაპზე, რაც ადამიანის უფლებათა შესახებ ნორმატიული ბაზის ხარვეზების შედარებით დიდ ალბათობას ნიშნავს, მიემხრონ პოზიციას, რომ მოქმედი კანონმდებლობა საკმარისად ეფექტიანად იცავს ადამიანის უფლებებს, რის გამოც ევროპული კონვენციის გამოყენება არ მოახდენს დადებით გავლენას ადამიანის უფლებათა დაცვის ხარისხზე.<sup>100</sup>

დ) მართლმსაჯულების განხორციელებისას ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტების გამოყენების დამაბრკოლებელ ფაქტორად ასევე უნდა იქნეს მიჩნეული შეხედულება, რომლის თანახმად, შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტი და საერთაშორისო ხელშეკრულება ერთგვარად აწესრიგებს საზოგადოებრივ ურთიერთობას და, შესაბამისად, შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა დამაკმაყოფილებლად იცავს ადამიანის უფლებებს, რის გამოც შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტის გამოყენება საკმარისია საქმის გადასაწყვეტად.<sup>101</sup>

საქართველოს მოსამართლეებთან ჩატარებულმა კვლევამ გაამახვილა ყურადღება

<sup>98</sup> მსგავსი მდგომარეობა შეინიშნებოდა საფრანგეთშიც. იხ. თ. ხიდაშელი, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის გავლენა შიდა სასამართლოების მიერ კონსტიტუციური კანონის განმარტებაზე, მეორე ნაწილი, 2006 წელი, გვ. 10. ასევე იხ. B. Simma, D.-E. Khan, M. Zöckler & R. Geiger, *The Role of German Courts in the Enforcement of International Human Rights*, in: *Enforcing International Human Rights in Domestic Courts*, B. Conforti & F. Francioni (Eds.), 1997, 107-108.

<sup>99</sup> A. Morawa & C. Schreuer, *The Role of Domestic Courts in the Enforcement of International Human Rights-A View from Austria*, in: *Enforcing International Human Rights in Domestic Courts*, B. Conforti & F. Francioni (Eds.), 1997, 176.

<sup>100</sup> E. Myjer, *Dutch Interpretation of the European Convention: A Double System?* in: *Protecting Human Rights: The European Dimension*, Studies in Honour of G. Wiarda, F. Metscher & H. Petzold (Eds.), 1988, 421-422.

<sup>101</sup> S. Jensen, *The European Convention on Human Rights in Scandinavian Law: A Case Law Study*, 1992, 222; ასევე იხ. P. van Dijk, *Domestic Status of Human-Rights Treaties and the Attitude of the Judiciary: the Dutch Case*, in: *Fortschritt im Bewußtsein der Grund- und Menschenrechte*, *Festschrift für Felix Ermacora*, M. Nowak, D. Steurer & H. Tretter (Hrsg.) 1988, 640.

ამ საკითხზე. კერძოდ, მოსამართლეთა განმარტებით, ადამიანის უფლებათა საერთა-შორისო ხელშეკრულებების გამოყენების აუცილებლობა არ დგება ძალიან ხშირად, რადგან, თუ კონკრეტულ საკითხს დამაკმაყოფილებლად არეგულირებს ადგილობრივი კანონმდებლობა, მოსამართლეები, ძირითადად, მის გამოყენებას არჩევენ.<sup>102</sup>

ამ შეხედულების თანახმად, საქართველოს შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტები და ევროპული სტანდარტები ადგენენ ადამიანის უფლებათა დაცვის მსგავს ნორმებს და საკმარისია გამოყენებულ იქნეს შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტით გათვალისწინებული ნორმა, აღარ არის საჭირო ევროპული სტანდარტების გა-მოყენება, რადგან იგი ვერ შეიტანს დადებით წვლილს კონკრეტული საქმის გადაწყვეტაში. ამ პოზიციის თანახმად, რომელიც, ერთი შეხედვით, შეიძლება ლოგიკურად იქნეს მიჩნეული, არ არის საჭირო, სასამართლომ გამოიყენოს ევროპული სტანდარტები, რადგან კონსტიტუცია ან სხვა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტი ადგენს ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტს, რომელიც აკმაყოფილებს ევრო-პული კონვენციის მოთხოვნებს.

ცხადია, სახელმწიფოს კანონმდებლობამ შეიძლება დაადგინოს ევროპული კონვენციის მსგავსი ნორმები. ასევე დასაშვებია, რომ ქვეყნის შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტი ადამიანის უფლებათა დაცვის უფრო მაღალ სტანდარტს ადგენდეს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მცდარი საკითხისადმი ასეთი მიღებობა წინასწარჩამოყალიბებული პრეზუმეციის საფუძველზე. როგორც უკვე აღინიშნა, მოსამართლე, თუ განიხილავს ევროპულ კონვენციას და ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სა-მართალს, შეიძლება განსხვავებულ დასკვნამდე მივიდეს, ვიდრე მაშინ, როდესაც გა-ნიხილავს შიდასახელმწიფოებრივ ნორმატიულ აქტს და არ განიხილავს ევროპულ კონვენციას პრეცედენტულ სამართალთან ერთად.

ე) ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტების გამოყენების დამაბრკოლებელ ფაქტორად შეიძლება ჩაითვალოს ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის განსხვავებული, საქართველოს მოსამართლეთათვის შეუწეველი ფორმა. მო-სამართლისათვის უფრო იოლია, გამოიყენოს შიდასახელმწიფოებრივი სამართლის ნორმა, რომელიც მკაფიოდ აყალიბებს ქცევის წესს, ვიდრე გამოიყენოს ისეთი სტან-დარტები, რომლებიც შეიძლება გაფანტული იყოს ევროპული სასამართლოს სხვა-დასხვა გადაწყვეტილებაში.<sup>103</sup>

ვ) მართლმსაჯულების განხორციელებისას ადამიანის უფლებათა ევროპული სტან-დარტების გამოუყენებლობის ერთ-ერთ მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს მოსამართ-

<sup>102</sup> კვლევა „საქართველოს სასამართლოების მუშაობაში ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების გამოყენების შესახებ“, რომელიც შესარტულა BCG Research-მა გაეროს განვითარების პროგრამის დაკვეთით. იხ. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულებები და საქართველოს სასამრთლო პრაქტიკა, ნანილი პირველი, 2006 წელი, გვ. 17.

<sup>103</sup> A. Drzemczewski, *The Council of Europe and the Issue of Incorporation*, in: *Human Rights in Domestic Law and Development Assistance Policies of the Nordic Countries*, L. Rehof & C. Gulman (Eds.), 1989, 131.

ლეთა ნაწილის მცდარი აზრი ევროპული სასამართლოს იმ პრეცედენტების რაოდენობასთან დაკავშირებით, რომელთა შინაარსიც მათთვის უნდა იყოს ცნობილი. ვინაიდან ევროპულ სასამართლოს თავისი საქმიანობის განმავლობაში მიღებული აქვს ათი ათასზე მეტი გადაწყვეტილება, მოსამართლეების ნაწილს შეექმნა აზრი, თითქოს ისინი ვალდებული არიან, იცნობდნენ ყველა ამ გადაწყვეტილებას, რაც, ცხადია, არასწორი პოზიციაა. ყველა გადაწყვეტილების ცოდნა ძალზე რთული და შეუძლებელიცაა. უბრალოდ, ამის საჭიროება არც არსებობს. თუ გავითვალისწინებთ, რომ პრეცედენტული მნიშვნელობის გადაწყვეტილებები საკმაოდ მცირეა, ალბათ, საკმარისია თითოეულ უფლებასთან დაკავშირებით რამდენიმე საკვანძო პრეცედენტის ცოდნა, რაც მოსამართლეს მისცემს შესაძლებლობას, იცოდეს, როგორ განიმარტება კონვენციის ამა თუ იმ მუხლის შინაარსი.

ზ) ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტების გამოყენების დამაბრკოლებელ ფაქტორად ასევე უნდა მივიჩნიოთ ის, რომ მოსამართლეების ნაწილმა არ იცის, თუ რა როლი უნდა მიენიჭოს ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს მართლმ-საჯულების განხორციელებისას, კერძოდ, რომ ევროპული კონვენციის ტექსტი უნდა განიმარტოს ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით.

## 6. რა უდია გაკეთდეს, რომ საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცული იყოს ევროპული სტანდარტებით?

საქართველოს სასამართლოების პრაქტიკამ ცხადყო, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტების გამოუყენებლობის ძირითადი მიზეზია მათი არასაკრისი ცოდნა, თუმცა რამდენიმე სხვა ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზიც განაპირობებს მას.

მიუხედავად მოსაზრებისა, რომ საქართველოში მართლმასჯულების განხორციელებისას ევროპული სტანდარტების გამოუყენებლობის მიზეზი შეიძლება მის არასაკრისი ცოდნაში ვეძიოთ, საქართველოს მოსამართლებთან ჩატარებულმა კვლევმ მოულოდნენლი შედეგები წარმოაჩინა. კითხვაზე — რამდენად იცნობთ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებს? — პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა.<sup>104</sup>

60 მოსამართლიდან, რომელთაც ჩატარდათ გამოკითხვა, ნახევარზე მეტმა, კერძოდ 32-მა, უპასუხა, რომ ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს კარგად იცნობს, ხოლო 22-მა მოსამართლე აღნიშნა, რომ მეტ-ნაკლებად იცნობს. მხოლოდ 3-მა მოსამართლემ მიუთითა, რომ ცუდად იცნობს ამ პრეცედენტებს. დარჩენილი 3 მოსამართლის პასუხმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა, რადგან ისინი საჭიროდაც არ თვლიან პრეცედენტული სამართლის გამოყენებას.

ეს შედეგები, როგორც მინიმუმ, მოულოდნელია. თუ ამ კვლევაში მოცემული პასუხები გულწრფელია, უცნაურია, რომ საქართველოს მოსამართლეების უმრავლესობა (60 მოსამართლიდან 54) კარგად ან მეტ-ნაკლებად იცნობს ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებს, მაგრამ უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში საქართველოში მართლმასჯულების განხორციელებისას ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტების გამოყენების დაახლოებით 120 შემთხვევაა, ანუ წელიწადში მხოლოდ 12 შემთხვევა.<sup>105</sup>

<sup>104</sup> იხ. კვლევა „საქართველოს სასამართლოების მუშაობაში ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების გამოყენების შესახებ“, რომელიც შეასრულა BCG Research-მა გაეროს განვითარების პროგრამის დაკვეთით. იხ. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულებები და საქართველოს სასამართლო პრაქტიკა, ნაწილი პირველი, 2006 წელი, გვ. 40.

<sup>105</sup> მოსამართლეთა პასუხების გულწრფელობაში კვლევის ავტორებს ეჭვი შეეპარათ: „სხვადასხვა საერთაშორისო დოკუმენტების გამოყენებაზე მოსამართლებმა იმდენად ხმირად მიუთითეს, რომ გაჩნდა ეჭვი: რამდენად გულწრფელები იყვნენ მოსამართლეები შეკითხვაზე — „ყველაზე ხშირად ადამიანის უფლებათა რომელ საერთაშორისო დოკუმენტს იყენებთ თქვენს სასამართლო პრაქტიკაში“ — პასუხის გაცემისას, ხომ არ იყო მათ მიერ სხვადასხვა კონვენციის გამოყენებაზე მითითება გამოწვეული ერთგვარი თავის მონინების სურვილით.“ იხ. კვლევა „საქართველოს სასამართლოების მუშაობაში ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულებისა და ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების გამოყენების შესახებ“, რომელიც შეასრულა BCG Research-მა გაეროს განვითარების პროგრამის დაკვეთით. იხ. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულებები და საქართველოს სასამართლო პრაქტიკა, ნაწილი პირველი, 2006 წელი, გვ. 17.

საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სტანდარტების დასამკ-ვიდრებლად აუცილებელია, რომ გატარდეს კომპლექსური ღონისძიებები რამდენიმე მიმართულებით.

## 1.1. სასწავლო (საგანმანათლებლო) სისტემის განვითარება

არაეთერეტიკი სასწავლო (საგანმანათლებლო) სისტემა მნიშვნელოვნად აბრკოლებს ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტების გამოყენებას მართლმსაჯულების განხორციელებისას. ცხადია, თუ მოსამართლეს ან პროცესის მხარეს არ აქვს საკმარისი ცოდნა ევროპული სტანდარტების შესახებ, ის ვერ იგრძნობს თავს კომფორტულად ამ სტანდარტების გამოყენებისას და შეცდება, თავი აარიდოს მათ მოშველიებას თავისი პოზიციის დასასაბუთებლად.

ევროპის საბჭომ მიიღო რეკომენდაცია საუნივერსიტეტო განათლებასა და პროფესიულ სწავლებაში ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტების როლის შესახებ.<sup>106</sup> ეს რეკომენდაცია იძლევა შესანიშნავ საფუძველს, რომლითაც შეუძლიათ იხელმძღვანელონ სახელმწიფოებმა ამ სფეროში თავიათი სტრატეგიის ჩამოყალიბებისას. რეკომენდაცია ყურადღებას ამახვილებს სამ ასპექტზე და მოუწოდებს სახელმწიფოებს, რომ ევროპული კონვენცია და ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი გაითვალისწინონ: ა) უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების, *inter alia*, იურიდიული მიმართულების სასწავლო პროგრამაში; ბ) როგორც იურიდიული პროფესიული პრაქტიკის დასაწყებად გათვალისწინებული გამოცდებისათვის მოსამზადებელი პროგრამების შემადგენელი ნაწილი, ასევე მოსამართლეების, პროფესიონერებისა და ადვოკატების პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამის შემადგენელი ნაწილი; გ) სხვა შესაბამისი სექტორის პერსონალის პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამაში (მაგ., პოლიციისა და უშიშროების თანამშრომლები, საჯელალსრულების დაწესებულებებისა და სასაზღვრო სამსახურის პერსონალი).

საქართველოს უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების იურიდიული მიმართულების ფაკულტეტებმა არა მხოლოდ უნდა შემოილონ ადამიანის უფლებათა ევროპული სამართლის სპეციალური კურსი, არამედ ევროპული სტანდარტები უნდა შეიტანონ სამართლის სხვა დისციპლინათა სასწავლო პროგრამებში (მაგ., სისხლის სამართალი, სამოქალაქო სამართალი, ადმინისტრაციული სამართალი).<sup>107</sup>

მიზანშეწონილია, შემუშავდეს ადამიანის უფლებათა ევროპული სამართლის საბაზო სასწავლო პროგრამა უმაღლესი სასწავლო დაწესებულებებისათვის, რაც დაეხ-

<sup>106</sup> Recommendation Rec(2004)4 of the Committee of Ministers of the Council of Europe to member States on the European Convention on Human Rights in University Education and Professional Trainings, 12 May, 2004.

<sup>107</sup> See para. 7 of the appendix to Recommendation Rec(2004)4, 12 May, 2004.

მარება პედაგოგებს, გააუმჯობესონ თავიანთი სასწავლო პროგრამები. რაც შეეხება პროგრამის მეთოდოლოგიას, სასწავლო პროგრამა ისე უნდა შემუშავდეს, რომ მისცეს სტუდენტებს შესაძლებლობა, მიიღონ არა მხოლოდ თეორიული ცოდნა, არამედ შეიძინონ პრაქტიკული უნარ-ჩვევები ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტების გამოყენებისათვის. სასწავლო პროგრამამ უნდა მოახდინოს სტუდენტებისათვის იმის დემონსტრირება, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სამართალი არის დარგი, რომელსაც შეუძლია დიდი გავლენის მოხდენა მათ პრაქტიკულ საქმიანობაზე.

საქართველოში რამდენიმე უმაღლეს სასწავლო დაწესებულებას უკვე შემოღებული აქვს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის კურსი, რომელიც ადამიანის უფლებათა ევროპულ სტანდარტებსაც მოიცავს. მიუხედავად ამისა, აუცილებელია, რომ სხვა უმაღლესმა სასწავლო დაწესებულებებმაც შემოიღონ ასეთი კურსები.

მოსამართლეობის, ადვოკატობისა და მოსამართლის თანაშემწეობის მსურველთა საგამოცდო (ტესტირების) პროგრამები, რომელიც თითქმის იდენტურია, მოიცავს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო და ევროპულ სამართალს, თუმცა ისინი შეიცავენ მნიშვნელოვან ხარვეზებს. მაგალითად, მოქმედი პროგრამები მოიცავს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და მისი ოქმების ტექსტებს, მაგრამ არ ითვალისწინებს ევროპული სასამართლოს ძირითად პრეცედენტებსაც კი. აქედან გამომდინარე, საგამოცდო (ტესტირების) კითხვები შემოიფარგლება მხოლოდ კონვენციისა და მისი ოქმების ტექსტებით გათვალისწინებული ადამიანის უფლებათა სტანდარტებით.

პროგრამაში არ არის შეტანილი რამდენიმე საკითხი, რომელთა ცოდნა აუცილებელია მოსამართლეებისა და იურიდიული პროფესიების სხვა წარმომადგენლებისათვის, მათ შორის: საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების როლი საქართველოს კანონმდებლობაში, მისი იერარქიული ადგილი და გამოყენების წინაპირობები, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულებებით განმტკიცებული მატერიალური უფლებები, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა იურიდიული ბუნება, ევროპული კონვენციის დამატებითი ოქმებით (1-ლი, მე-4, მე-6, მე-7 და მე-13) გათვალისწინებული საკითხები.

საგამოცდო (ტესტირების) პროგრამით გათვალისწინებული საკითხები უნდა გამომდინარეობდეს იქიდან, მნიშვნელოვანი იქნება თუ არა მოსამართლეებისათვის, ისევე როგორც იურიდიული პროფესიის სხვა წარმომადგენლებისათვის, ამ საკითხების ცოდნა მათი პრაქტიკული საქმიანობისას.

მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები მნიშვნელოვანია პროკურორთა საქმიანობაში, საქართველოს ორგანული კანონი „პროკურატურის შესახებ“, რომელიც მოიცავს პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარებას, არ ითვალისწინებს გამოცდას ადამიანის უფლებათა საერთა-

შორისო სტანდარტებთან დაკავშირებით.<sup>108</sup>

ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ პროფურორის თანამდებობის დაკავების ერთ-ერთ წინაპირობად განისაზღვროს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტების ცოდნა, როგორც ეს მოხდა მოსამართლების, მოსამართლეთა თანაშემწებისა და ადვოკატების შემთხვევაში. პროფურორი უნდა იცნობდეს ამ სტანდარტებს, რათა თავის პრაქტიკაში გამოიყენოს სისხლის სამართლის პროცესუალური სტანდარტები, რომლებიც დადგენილია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ.

ადამიანის უფლებათა ევროპული სამართლის სასწავლო პროგრამები უნდა ჩატარდეს ასევე მოქმედი მოსამართლების, ადვოკატების, მოსამართლეთა თანამშემწებისა და ამ სფეროში მომუშავე იურიდიული პროფესიების სხვა წარმომადგენლებისათვის.<sup>109</sup> საქართველოს მოსამართლებთან ჩატარებულმა კვლევამ დაადასტურა, რომ მოსამართლეთა აზრით, ტრენინგები ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტებზე ინფორმაციის გავრცელების საუკეთესო გზა.<sup>110</sup>

ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტების სწავლებასთან დაკავშირებით არ უნდა იქნეს მხედველობიდან გამორჩენილი იმ პედაგოგების კვალიფიკაციის ამაღლების საკითხი, რომლებიც ასწავლიან ადამიანის უფლებათა ევროპულ სამართალს. ცხადია, თუ პედაგოგები თავად არ იქნებიან საკმარისად კვალიფიცირებულნი, ისინი ვერ უზრუნველყოფნა მაღალკვალიფიცირებული კადრების მომზადებას, რომლებიც გამოიყენებენ ადამიანის უფლებათა ევროპულ სტანდარტებს თავიანთ პრაქტიკაში.<sup>111</sup>

ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტების გამოიყენებას ეროვნულ დონეზე ხელს შეუწყობს ამ დარგის საფუძვლიანი სწავლება იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელთათვის.<sup>112</sup> მას შეუძლია, დიდი წვლილი შეიტანოს იმ სამართლებრივი ხარვეზის გამოსწორებაში, რომელიც საქართველოში ჯერ კიდევ არსებობს უმაღლესი განათლების სისტემაში ამ საგრის ჯეროვან დონეზე სწავლებასთან დაკავშირებით.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები გათვალისწინებული იყოს არა მხოლოდ მოსამართლების, პროფურორების ან ადვოკა-

<sup>108</sup> „პროფურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში შეტანილი ცვლილებები და დამატებები ითვალისწინებს სკვალიფიკაცია გამოცდის ჩატარებას შემდეგ დისციპლინებში: საკონსტიტუციო სამართალი, სისხლის სამართალი, სისხლის სამართლის პროცესი, სასჯელაღირულებითი სამართალი და ოპერატორულ-სამძებრო საქმიანობის საფუძვლები. იხ. კანონის 31-ე მუხლის „ა“ პუნქტი.

<sup>109</sup> „იუსტიციის უმაღლესი სკოლის შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე-34-ე მუხლები.

<sup>110</sup> იხ. კვლევა „საქართველოს სასამართლოების მუშაობაში ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების გამოყენების შესახებ“, რომელიც შეასრულა BCG Research-მა გაეროს განვითარების პროგრამის დაკვეთით. იხ. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულებები და საქართველოს სასამართლო პრაქტიკა, ნაწილი პირველი, 2006 წელი, გვ. 19.

<sup>111</sup> See para. 16 of appendix of Recommendation Rec(2004)4 of the Committee of Ministers of the Council of Europe to member States on the European Convention on Human Rights in University Education and Professional Trainings, 12 May, 2004.

<sup>112</sup> იხ. საქართველოს კანონი „იუსტიციის უმაღლესი სკოლის შესახებ“ და იუსტიციის უმაღლესი სკოლის წესდება.

ტების სასწავლო პროგრამებში, არამედ ასევე სხვა შესაბამისი სექტორის პერსონალის პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამაში (მაგ., პოლიციისა და უშიშროების თანამშრომლები, სასჯელალსრულებებისა და დაწესებულებებისა და სასაზღვრო სამსახურის პერსონალი).

## 1.2. საინფორმაციო პოლიტიკის დახვეწა

ეფექტუანი საინფორმაციო პოლიტიკა ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტების გავრცელებასთან დაკავშირებით მნიშვნელოვნად უწყობს ხელს მართლმსაჯულების განხორციელებისას ამ სტანდარტების გამოყენებას.<sup>113</sup>

კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებში ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გავრცელებას მიეძლვნა ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 2002 წლის რეკომენდაცია, რომლითაც სახელმწიფომ შეიძლება იხელმძღვანელოს ევროპული სტანდარტების გავრცელებასთან დაკავშირებით თავისი საინფორმაციო პოლიტიკის ფორმირებისას.<sup>114</sup> რეკომენდაციაში ყურადღება გამახვილდა იმაზე, რომ „სახელმწიფოებმა უზრუნველყონ კონვენციის ტექსტის გამოქვეყნება და გავრცელება სახელმწიფო ენაზე (ენებზე), რათა იგი ცნობილი გახდეს სახელმწიფო ორგანოებისათვის, განსაკუთრებით სასამართლოებისათვის და მათ გამოიყენონ კონვენცია.“<sup>115</sup> რეკომენდაციაში ხაზგასმულია სახელმწიფო ენაზე (ენებზე) ევროპული სასამართლოს პრეცედენტული მნიშვნელობის გადაწყვეტილებათა გავრცელების საჭიროება. რეკომენდაციის მიხედვით, ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები შეიძლება გავრცელდეს მათი მთლიანი ტექსტის ან რეზიუმეს სახით ოფიციალური ბეჭდვითი ორგანოს, კომპეტენტური სამინისტროს საინფორმაციო ბიულეტენის, იურიდიული ხასიათის უურნალებისა და ინფორმაციის სხვა საშუალებების მეშვეობით.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო და, ზოგადად, ევროპის საბჭო დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის ხელმისაწვდომობას ეროვნულ დონეზე, რადგან ევროპული სასამართლოს საქმიანობის ეფექტუანობა არსებითად არის დამოკიდებული ევროპულ სასამართლოში შეტანილი განაცხადების რაოდენობაზე. რაც უფრო ნაკლებად ხელმისაწვდომია ევროპული კონვენცია და ევროპული სასამართ-

<sup>113</sup> Para. 14(iii), Resolution I, Institutional and Functional Arrangements for the Protection of Human Rights at National and European Level, Ministerial Conference and Commemorative Ceremony of the 50th Anniversary of the Convention, H/Conf(2000)1, Rome, 3-4 November 2000, 2.

<sup>114</sup> ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 2002 წლის 18 დეკემბრის რეკომენდაცია Rec(2002)13. რეკომენდაციის ტექსტი ხელმისაწვდომია ევროპის საბჭოს ინტერნეტგვერდზე: [www.coe.int].

<sup>115</sup> იქვე, 1-ლი პუნქტი.

ლოს პრეცედენტული სამართალი ეროვნულ დონეზე, მით უფრო დიდია იმის ალბა-თობა, რომ ეროვნული სასამართლოები მიიღებენ კონვენციის სტანდარტებისათვის შესაბამი გადაწყვეტილებას და, შესაბამისად, მით უფრო მეტი განაცხადი იქნება შეტანილი ევროპულ სასამართლოში. ევროპულ სასამართლოში დიდი რაოდენობით განაცხადების შეტანა უარყოფით გავლენას ახდენს საქმეთა განხილვის ხანგრძლივობასა და, ზოგადად, ევროპული სასამართლოს ეფექტიანობაზე.

ევროპული კონვენციისა და ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის შესახებ ინფორმაციის გავრცელებასთან დაკავშირებით, ძირითადი პრობლემაა არა ევროპული კონვენციისა და მისი ოქმების, არამედ ევროპული სასამართლოს პრე-ცედენტული სამართლის ხელმისაწვდომობა.<sup>116</sup>

ინტერნეტის განვითარებამ ხელი შეუწყო ადამიანის უფლებათა ევროპული სასა-მართლოს პრეცედენტული სამართლის ხელმისაწვდომობას. ინტერნეტის საშუალე-ბით შესაძლებელი გახდა ევროპული სასამართლოს ნებისმიერი გადაწყვეტილების გაცნობა სასამართლოს ოფიციალურ ენებზე (ინგლისურ და ფრანგულ). მიუხედა-ვად ამისა, ევროპული სახელმწიფოები, რომელთათვისაც ევროპული სასამართლოს ოფიციალური ენები არ არის სახელმწიფო ენა, მაინც აწყდებიან პრობლემებს ევრო-პული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის ეროვნულ დონეზე გავრცელებას-თან დაკავშირებით.

საქართველოში ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და მისი ოქმების ტექსტები ქართულ ენაზე გამოქვეყნებულია როგორც ოფიციალურ ბეჭდვით ორგა-ნოში – „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“, ისე კერძო ინიციატივებით. ამდე-ნად, საქართველოში კონვენციისა და მისი ოქმების ტექსტები ქართულ ენაზე ადვი-ლად არის ხელმისაწვდომი.

რაც შეეხება ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გავრცელე-ბის მდგომარეობას საქართველოში, აღსანიშნავია, რომ ევროპული სასამართლის პრეცედენტები სხვადასხვა პერიოდულობით გამოიცემა როგორც სახელმწიფო, ისე არასახელმწიფო (არასამთავრობო) ორგანიზაციების მიერ. თვალსაჩინოებისათვის შეიძლება რამდენიმე მაგალითის მოშველიება. საქართველოს უზენაესმა სასამართ-ლომ გამოსცა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება სა-ქმეზე – კუდლა პოლონეთის წინააღმდეგ (2001 წელი), რომელიც ეხება ევროპული კონვენციის მე-5 და მე-6 მუხლების დარღვევას.<sup>117</sup> უზენაესმა სასამართლომ გამოსცა

<sup>116</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და მისი ოქმების ტექსტების ქართულ ენაზე ადვილად ხელმისაწვდომობა დაადასტურა კვლევაშ „საქართველოს სასამართლოების მუშობაში ადამიანის უფლე-ბათა საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების გამოყენების შესახებ“, რომელიც შესარტულა BCG Research-მა გაეროს განვითარების პროგრამის დაკვეთით. იხ. ადა-მანის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულებები და საქართველოს სასამართლო პრაქტიკა, ნაწილი პირველი, 2006 წელი, გვ. 17.

<sup>117</sup> ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე – კუდლა პოლონეთის წინააღმ-დეგ, თიოლისი, 2001 წელი.

ასევე სხვა ორი კრებული: ერთში თავმოყრილია ევროპული სასამართლოს მიერ მიღებული 41 გადაწყვეტილების ანოტაცია;<sup>118</sup> მეორე კრებულში შეტანილია ევროპული სასამართლოს 20 მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების რეზიუმე.<sup>119</sup>

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავისი წელილი შეჰქონდა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის პოულარიზაციაში. საკონსტიტუციო სასამართლომ 2000 წლიდან დაიწყო ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა რეგულარული გამოქვეყნება თავის უურნალში – „ადამიანი და კონსტიტუცია“, თუმცა რამდენიმე წელია, უურნალი არ გამოსულა.<sup>120</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2009 წლის ნოემბერში დაიწყო ახალი უურნალის – საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვის – გამოცემა, რაც ძალზე მნიშვნელოვანი და მისასალმებელი საქმეა.

საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციები და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები ასევე უწყობენ ხელს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გავრცელებას ქართულ ენაზე. ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილები ქვეყნდება სამეცნიერო უურნალებში.<sup>121</sup> ამას გარდა, გამოიცა დოკუმენტების კრებული სამართლიანი სასამართლოს უფლების შესახებ, რომელშიც გამოქვეყნდებულია ევროპული სასამართლოს რამდენიმე გადაწყვეტილება.<sup>122</sup> კრებულში სიტყვის თავისუფლების შესახებ შევიდა ევროპული სასამართლოს რამდენიმე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება.<sup>123</sup>

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლოს პოპულარიზაციაში მნიშვნელოვანი წელილი შეაქვს საქართველოში ევროპის საბჭოს საინფორმაციო ბიუროს, რომელმაც უკვე გამოსცა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა ხუთი ტომი.<sup>124</sup>

ასევე აღსანიშნავია, რომ ქართულ ენაზე გამოქვეყნდა რამდენიმე პუბლიკაცია, რომელშიც განხილულია ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასა და ევროპულ სასამართლოსთან დაკავშირებული საკითხები.<sup>125</sup>

<sup>118</sup> ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს სამოსამართლო სამართლის მიმოხილვა, თბილისი, 2001 წელი.

<sup>119</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განჩინებათა მიმოხილვა (შეადგინა ე. გოცირიძემ), თბილისი, 2001 წელი.

<sup>120</sup> იხ. უურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, 2000-2006 წლების გამოცემები.

<sup>121</sup> იხ. უურნალები: „საერთაშორისო სამართალი“, „სამართალი“, „ქართული სამართლის მიმოხილვა“.

<sup>122</sup> იხ. „სამართლიანი სასამართლოს უფლება“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის გამოცემა, თბილისი, 2001 წელი.

<sup>123</sup> იხ. „სიტყვის თავისუფლება“, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, თბილისი, 2002 წელი.

<sup>124</sup> იხ. ევროპის საბჭოს საინფორმაციო ბიუროს ინტერნეტგვერდი: [http://www.coe.ge].

<sup>125</sup> გ. ძამუკაშვილი, ადამიანის უფლებები, რომელთა დარღვევისას უნდა მივმართოთ ევროპის სასამართლოს, არასამთავრობო ორგანიზაცია „კონსტიტუციის 42-ე მუხლის“ გამოცემა, თბილისი, 2002 წელი; ადამიანის უფლებათა დაცვა ეროვნულ და საერთაშორისო სამსრთალში, კ. კორელია (რედ.), თბილისი, 2002 წელი; კ. კორელია, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენება საქართველოში, 2004

საქართველოში ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტების პოპულარიზაციისათვის გატარებული ღონისძიებები მისასალმებელია, თუმცა მდგომარეობა არა-დამაკმაყოფილებელია. ეს დაადასტურა საქართველოს საერთო და საკონსტიტუციო სასამართლოების მოსამართლებთან ჩატარებულმა კვლევამ, რომლის მიხედვით „ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულებებთან შედარებით ნაკლებად ხელმისაწვდომია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები. ისინი პერიოდულად ითარგმნება და იბეჭდება ქართულ ენაზე, მაგრამ ამას არ აქვს რეგულარული ხასიათი, ტირაჟი კი მცირეა.“<sup>126</sup>

ევროპული კონვენცია და ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი ხელმისაწვდომი უნდა გახდეს ყველასათვის, ვისაც შეხება აქვს ადამიანის უფლებათა დაცვასთან, განსაკუთრებით მოსამართლებისა და ადვოკატებისათვის. ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები რეგულარულად უნდა გამოქვეყნდეს, რაც მოსამართლებს, ადვოკატებსა და სხვა დაინტერესებულ პირებს მისცემს შესაძლებლობას, თვალი ადევნონ ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის განვითარებას, მათ შორის ევროპული კონვენციისა და მისი ოქმების დებულებების ახლებურ განმარტებას.<sup>127</sup> ვინაიდან ევროპული კონვენცია მიჩნეულია „ცოცხალ“ დოკუმენტად, აუცილებელია, დაინტერესებულ პირებს, მათ შორის მოსამართლებსა და ადვოკატებს, ჰქონდეთ ინფორმაცია ევროპული სასამართლოს მიერ კონვენციის ამა თუ იმ დებულების ახლებური განმარტების შესახებ.

აუცილებელი არ არის ევროპული სასამართლოს მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილების გამოქვეყნება სახელმწიფო ენაზე. აუცილებელია გამოქვეყნდეს ევროპული სასამართლოს მხოლოდ ის გადაწყვეტილებები, რომლებსაც პრეცედენტული მნიშვნელობა აქვთ, ანუ გადაწყვეტილებები, რომლებიც განმარტავენ კონვენციისა და მისი ოქმების დებულებებს.

ევროპული სასამართლოს პრეცედენტები შეიძლება გავრცელდეს არა მხოლოდ მათი გამოქვეყნების გზით – ისინი შეიძლება ასევე გავრცელდეს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, კერძოდ, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სასამართლოებში სახელმწიფო წარმომადგენლობის დეპარტამენტის მიერ, რომელსაც შეუძლია შეარჩიოს ევროპული სასამართლოს პრეცედენტული მნიშვნელობის გადაწყვეტილები და დაუგზავნოს საქართველოს შესაბამის სახელმწიფო უწყებებს,

წელი; ასევე იხ. სტატიათა კრებულები: ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები და მათი გავლენა საქართველოს კანონმდებლობასა და პრატიკაზე, კ. კორკელი (რედ.), 2006 წელი; ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული და ეროვნული სისტემები, კ. კორკელი (რედ.), 2007 წელი.

<sup>126</sup> იხ. კვლევა „საქართველოს სასამართლოების მუშაობაში ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების გამოყენების შესახებ“, რომელიც შესარულა BCG Research-მ გაეროს განვითარების პროგრამის დაკვეთით. იხ. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულებები და საქართველოს სასამართლო პრაქტიკა, ნაწილი პირველი, 2006 წელი, გვ. 18.

<sup>127</sup> A. Drzemczewski & M. Nowicki, Poland, in: Fundamental Rights in Europe: The European Convention on Human Rights and its Member States (1950-2000), R. Blackburn & J. Polakiewicz (Eds.), 2001, 676.

რათა მათ თავიანთი საქმიანობა შეუსაბამონ ამ პრეცედენტებით დადგენილ სტანდარტებს. მით უფრო, რომ იუსტიციის სამინისტროს ამ დეპარტამენტის კომპეტენციას განეკუთვნება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პოპულარიზაცია.<sup>128</sup> იუსტიციის სამინისტროს მიერ სხვა სახელმწიფო უწყებებისათვის ევროპული სასამართლოს მნიშვნელოვანი პრეცედენტების მიწოდების პრაქტიკა დამკაიდრებულია ევროპის რამდენიმე სახელმწიფოში (მაგ.: გერმანია, დანია, იტალია, ნიდერლანდები, ნორვეგია, შვეიცარია, ხორვატია). საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ შეიძლება თავისი განმარტებითი კომენტარი დაურთოს ამ გადაწყვეტილებებს.<sup>129</sup>

ასევე აღსანიშნავია, რომ ევროპული კონვენცია და, განსაკუთრებით, ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი უნდა გავრცელდეს არა მხოლოდ სახელმწიფო ორგანიზაციებში (მაგ., სასამართლოებში), არამედ ისეთ არასახელმწიფო (არა-სამთავრობო) ორგანიზაციებში, რომლებსაც უშუალო შეხება აქვთ ადამიანის უფლებათა დაცვასთან (მაგ.: ადვოკატთა ასოციაციები, პროფესიული კავშირები).

ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა გამოქვეყნების ფორმასთან დაკავშირებით, აღსანიშნავია, რომ გადაწყვეტილებები შეიძლება გამოქვეყნდეს როგორც სრულად, ისე რეზიუმეს სახით. მთავარია, შესაბამისი პირებისათვის, რომლებმაც უნდა გამოიყენონ ისინი, ნათელი იყოს, თუ როგორ განმარტა ევროპულმა სასამართლომ სადაც მუხლის შინაარსი.

ევროპული სასამართლოს რჩეული გადაწყვეტილებები ქართულ ენაზე ასევე შეიძლება გავრცელდეს ინტერნეტით. ამ გადაწყვეტილებებით ისარგებლებს ყველა დაინტერესებული პირი, მათ შორის მოსამართლეები და ადვოკატები.

ეროვნულ დონეზე ევროპული კონვენციისა და ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გავრცელების გარდა, მნიშვნელოვანია, გამოიცეს სახელმძღვანელო, რომელშიც ყურადღება გამახვილდება ევროპული კონვენციით დაცულ უფლებებსა და თავისუფლებებზე, გაანალიზდება ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი კონკრეტულ უფლებებთან დაკავშირებით, განიხილება ევროპული სასამართლოს ფუნქციონირების საკითხები და საქმეთა განხილვის პროცედურა.<sup>130</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის შესახებ სახელმძღვანელოებისა და სხვა საინფორმაციო მასალების გამოქვეყნების აუცილებლობაზე ყურადღება გამახვილდა ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 2002 წლის მოხსენიებულ რე-

<sup>128</sup> იხ. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დებულების მე-15 მუხლის ვ) პუნქტი.

<sup>129</sup> ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 2002 წლის 18 დეკემბრის რეკომენდაცია Rec(2002)13, მე-6 პუნქტი.

<sup>130</sup> სახელმძღვანელო მასალების ქართულ ენაზე გამოცემის აუცილებლობა დაადასტურა საქართველოს მოსამართლეებინან ჩატარებულმა კვლევამ. იხ. კვლევა „საქართველოს სასამართლოების მუშაობაში ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების გამოყენების შესახებ“, რომელიც შესარულა BCG Research-მა გაეროს განვითარების პროგრამის დაკვეთით. იხ. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულებები და საქართველოს სასამართლო პრაქტიკა, ნაწილი პირველი, 2006 წელი, გვ. 29.

კომენდაციაში.<sup>131</sup>

აღნიშნული სახელმძღვანელოს გარდა, ევროპული კონვენციის გამოყენების პრაქტიკის დამკვიდრებაში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლია კომენტარების გამოქვეყნებას ევროპული კონვენციით გათვალისწინებული კონკრეტული უფლებების შესახებ (მაგ.: თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება, რელიგიის თავისუფლება, პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება, სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება, წამების აკრძალვა). ასეთ კომენტარებში გაანალიზდება ევროპული კონვენციის შესაბამისი მუხლი და ამ მუხლთან დაკავშირებული პრეცედენტული სამართლი, რაც შესაძლებლობას მისცემს დაინტერესებულ პირებს, მათ შორის მოსამართლეებსა და ადვოკატებს, დეტალურად გაეცნონ, თუ როგორ განმარტავს ევროპული სასამართლო კონვენციით გათვალისწინებულ უფლებას და დახმარება მათ კონვენციის სწორად გამოყენებაში.

მართალია, იურიდიული პროფესიების წარმომადგენლები, მათ შორის მოსამართლეები, თვალს უწდა ადევნებდნენ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის განვითარებას და ეცნობოდნენ კონვენციით დაცული უფლებების ახლებურ განმარტებას, მხედველობაშია მისაღები, რომ ეს საკმაოდ შრომატევადი საქმეა, რაც რთულია მათი სამუშაო გადატვირთულობის გათვალისწინებით. ამიტომ ძალზე სასურველია, რომ იურიდიული პროფესიების წარმომადგენლებს, განსაკუთრებით მოსამართლეებს, აღმოჩენით შესაბამისი დახმარება.<sup>132</sup> ასეთი დახმარება ევროპული სასამართლოს პრეცედენტული მნიშვნელობის გადაწყვეტილებების იდენტიფიცირებაში შეიძლება გასწიოს როგორც სახელმწიფომ, ისე ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ.

მისასალმებელია, რომ საქართველოს უზენაესმა სასამართლომ გაათვითცნობიერა მოსამართლეებისათვის დახმარების აღმოჩენის საჭიროება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის გაცნობაში, რისთვისაც დაარსდა ადამიანის უფლებათა ცენტრი.<sup>133</sup> ცენტრის ფუნქციას განეკუთვნება, *inter alia*, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და სხვა საერთაშორისო სასამართლოების პრაქტიკის განზოგადება და ანალიტიკური მასალების მომზადება. პრაქტიკაში ეს ცენტრი

<sup>131</sup> ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 2002 წლის 18 დეკემბრის რეკომენდაცია Rec(2002)13, მე-3 პუნქტი.

<sup>132</sup> საყურადღებოა, რომ, როგორც საქართველოს მოსამართლეებთან ჩატარებულმა კვლევამ გამოავლინა, მოსამართლეების აზრით, ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტების გამოყენების პრატიკის არარსებობა გამოწვეულია ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულებისათვის სახელმწანელოს (გაიდლინი) არარსებობით. იხ. კვლევა „საქართველოს სასამართლოების მუშობაში ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულებისა და ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების გამოყენების შესახებ“, რომელიც შეასრულა BCG Research-მა გაერთოს განვითარების პროგრამის დაკვეთით. იხ. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულებები და საქართველოს სასამართლო პრაქტიკა, ნაწილი პირველი, 2006 წელი, გვ. 19.

<sup>133</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს აპარატის რეგლამენტის მე-9 მუხლის მე-15 და მე-16 პუნქტები.

მოსამართლებს უზრუნველყოფს ინფორმაციით ევროპული სასამართლოს უახლესი გადაწყვეტილებების შესახებ, ასევე მოსამართლეების თხოვნით ამზადებს ანალიტიკურ მასალებს ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით ევროპული სასამართლოს პოზიციის შესახებ.

ასეთი პრაქტიკა, უდავოდ, მისასალმებელია და სასურველია, რომ ეს გამოცდილება გაიზიარონ საქართველოს სხვა სასამართლოებმაც.

რაც შეეხება ევროპული სასამართლოს დახმარებას პრეცედენტული მნიშვნელობის გადაწყვეტილებების იდენტიფიცირებაში, რაც ხელს შეუწყობს იურიდიული პროცესიების წარმომადგენლებს, მათ შორის მოსამართლეებს, გაეცნონ ევროპული სასამართლოს უახლეს პრეცედენტებს, აღსანიშნავია, რომ ევროპულმა სასამართლომ უკვე დაიწყო თავის ინტერნეტგვერდზე პრეცედენტული სამართლით გათვალისწინებულ საკვანძო საკითხებზე ინფორმაციის გამოქვეყნება, რაც, უდავოდ, დაეხმარება დაინტერესებულ პირებს პრეცედენტული მნიშვნელობის გადაწყვეტილებების დადგენასა და მათ პრაქტიკულ გამოყენებაში.

### **1.3. საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზება ევროპულ სტანდარტებთან**

ევროპული სტანდარტებით ადამიანის უფლებათა დაცვას საქართველოში ხელს შეუწყობს შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების ჰარმონიზება ევროპულ კონვენციასა და ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალთან.

ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტების დარღვევის მიზეზი შეიძლება იყოს როგორც იმ შიდასახელმწიფოებრივ ნორმატიულ აქტში არსებული ხარვეზები, რომელთა საფუძველზეც გადაწყდა სასამართლო დავა, ისე ამ სტანდარტებთან შესაბამისობაში მყოფი შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტის არასწორი გამოყენება. თუ უზრუნველყოფილი იქნება შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტის შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპულ სტანდარტებთან, ამ სტანდარტების დარღვევა შეიძლება გამოიწვიოს ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობაში მყოფი შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტის მხოლოდ არასწორმა გამოყენებამ. ასეთ შემთხვევაში ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტების დარღვევათა რაოდენობა შემცირდება.

სახელმწიფოს კანონმდებლობისა და ევროპული სტანდარტების ჰარმონიზების მნიშვნელობის გათვალისწინებით, ევროპის საბჭომ მიიღო რეკომენდაცია კონვენციის

სტანდარტებთან ნორმატიული აქტების პროექტების, მოქმედი ნორმატიული აქტებისა და ადმინისტრაციული პრაქტიკის შესაბამისობის უზრუნველყოფის შესახებ.<sup>134</sup> რეკომენდაცია ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ უნდა შეიქმნას ეფექტური მექანიზმი ნორმატიული აქტების პროექტებისა და მოქმედი ნორმატიული აქტების ევროპულ კონვენციასა და ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

ევროპული კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები ვალდებული არიან, თავიანთი კანონმდებლობა შეუსაბამონ ადამიანის უფლებათა ევროპულ სტანდარტებს. სახელმწიფოთა ეს ვალდებულება დაადასტურა ევროპულმა სასამართლომ თავის ერთერთ საქმეში, რომელშიც აღნიშნა, რომ სახელმწიფოებს ეკისრებათ ვალდებულება, უზრუნველყონ თავიანთი ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისობა კონვენციასთან და, თუ საჭიროა, შეიტანონ შესაბამისი ცვლილებები კანონმდებლობაში.<sup>135</sup> ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე – იანგი, ჯეიმსი და ვებსტერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Young, James and Webster v. the United Kingdom*) – განაცხადა, რომ: „თუ ერთ-ერთი უფლებისა და თავისუფლების დარღვევა შიდა-სახელმწიფოებრივი კანონმდებლობის მიღების ვალდებულების შეუსრულებლობის შედეგია, დგება ამ სახელმწიფოს პასუხისმგებლობა ასეთი დარღვევისათვის.“<sup>136</sup> ამდენად, თუ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის დარღვევა გამოწვეულია ისეთი შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტის გამოყენებით, რომელიც ეწინააღმდეგება კონვენციას, კანონმდებლობაში ცვლილების შეტანით შეიძლება თავიდან იქნეს აცილებული კონვენციით გათვალისწინებული უფლების დარღვევა მომავალში.<sup>137</sup>

ადამიანის უფლებათა ევროპულ სტანდარტებთან შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების პროექტების შესაბამისობის შემოწმების პრაქტიკა დამკვიდრებულია ევროპულ სახელმწიფოთა უმრავლესობაში. შეიძლება რამდენიმე მაგალითის მოშველიება. მაგალითად: ბულგარეთის ეროვნული ასამბლეის (პარლამენტი) ადამიანის უფლებათა კომიტეტი რეგულარულად ამონმებს ადამიანის უფლებათა საკითხებზე ნორმატიული აქტების პროექტების შესაბამისობას საერთაშორისო ხელშეკრულებებთან, მათ შორის ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასთან;<sup>138</sup> ირლანდიის პარ-

<sup>134</sup> Recommendation Rec(2004)5 of the Committee of Ministers to Member States on the Verification of the Compatibility of Draft Laws, Existing Laws and Administrative Practice with the Standards Laid Down in the European Convention on Human Rights, 12 May, 2004.

<sup>135</sup> დე ბეკერი ბელგიის წინააღმდეგ (*De Becker v. Belgium*), 1958 წლის 9 ივნისი, განაცხადი N214/56, (1958-1959) 2 Yearbook 214, 234; ასევე იხ. S. Marcus-Helmons & P. Marcus-Helmons, Belgium, in: Fundamental Rights in Europe: The European Convention on Human Rights and its Member States (1950-2000), R. Blackburn & J. Polakiewicz (Eds.), 2001, 185-186.

<sup>136</sup> 1981 წლის 13 სექტემბერი, 49-ე პუნქტი.

<sup>137</sup> E. Klein, Should the Binding Effect of the Judgments of the European Court of Human Rights be Extended? in: Protecting Human Rights: The European Perspective, Studies in Memory of R. Ryssdal, P. Mahoney, F. Matscher, H. Petzold & L. Wildhaber (Eds.), 2000, 707.

<sup>138</sup> A. Arabadjiev, Bulgaria, in: Fundamental Rights in Europe: The European Convention on Human Rights and its Mem-

ლამენტის კანონშემოქმედების სამსახური რეგულარულად ითვალისწინებს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის სტანდარტებს ნორმატიული აქტების პროექტების შემუშავების დროს;<sup>139</sup> ღუქსემბურგის პარლამენტი ასევე ითვალისწინებს ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასა და ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სა-მართალს ნორმატიული აქტების შემუშავებისას;<sup>140</sup> თურქეთის პარლამენტი 1980-იანი წლების დასაწყისში დამკვიდრდა ნორმატიული აქტების პროექტების შემოწმების პრაქტიკა ევროპულ კონვენციასა და ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სა-მართალთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.<sup>141</sup>

რაც შეეხება საქართველოში არსებულ მდგომარეობას, აღსანიშნავია, რომ საქართველოს პარლამენტის იურიდიული კომიტეტის კომპეტენციას განეკუთვნება ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისობის უზრუნველყოფა საერთაშორისოსამართლებრივ ნორმებთან.<sup>142</sup> მიუხედავად ამისა, ევროპული სტანდარტების როლის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია, რომ, ევროპული სახელმწიფოების პარლამენტებში არსებული პრაქტიკის მსგავსად, საქართველოს პარლამენტშიც შეიქმნას სპეციალური მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს ნორმატიული აქტების პროექტების ჰარმონიზებას ადამიანის უფლებათა ევროპულ სტანდარტებთან.

ასევე აღსანიშნავია, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, კერძოდ, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სასამართლოებში სახელმწიფო წარმომადგენლობის დეპარტამენტის კომპეტენციას განეკუთვნება წინადადებების შემუშავება როგორც საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, ისე საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების პროექტების ადამიანის უფლებათა ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობის შესახებ.<sup>143</sup>

იუსტიციის სამინისტროს ეკისრება მნიშვნელოვანი ფუნქცია საქართველოს კანონმდებლობისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტების ჰარმონიზების უზრუნველყოფის თვალსაზრისით. მის კომპეტენციაში შედის როგორც უკვე მოქმედი ნორმატიული აქტების, ისე ნორმატიული აქტების პროექტების შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასა და ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალთან. ამ ფუნქციის ეფექტიანად განხორციელების შემთხვევაში აღ-

ber States (1950-2000), R. Blackburn & J. Polakiewicz (Eds.), 2001, 198; სხვა ქვეყნებში არსებულ პრაქტიკასთან დაკავშირდით იხ. K. Ioannou, Greece, in: Fundamental Rights in Europe: The European Convention on Human Rights and its Member States (1950-2000), R. Blackburn & J. Polakiewicz (Eds.), 2001, 361.

<sup>139</sup> D. O'Connell, Ireland, in: Fundamental Rights in Europe: The European Convention on Human Rights and its Member States (1950-2000), R. Blackburn & J. Polakiewicz (Eds.), 2001, 436.

<sup>140</sup> D. Spielmann, Luxembourg, in: Fundamental Rights in Europe: The European Convention on Human Rights and its Member States (1950-2000), R. Blackburn & J. Polakiewicz (Eds.), 2001, 533-535.

<sup>141</sup> Y. Özdek & E. Karacaoğlu, Turkey, in: Fundamental Rights in Europe: The European Convention on Human Rights and its Member States (1950-2000), R. Blackburn & J. Polakiewicz (Eds.), 2001, 877 et seq.

<sup>142</sup> იხ. საქართველოს პარლამენტის ინტერნეტგვერდი: [<http://www.parliament.ge>].

<sup>143</sup> იხ. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დებულების მე-15 მუხლის ე) პუნქტი.

მოიფხვრება შესაძლო კოლიზია უკვე მოქმედ ნორმატიულ აქტებსა და ევროპულ სტანდარტებს შორის, ხოლო, მეორე მხრივ, თავიდან იქნება აცილებული ისეთი ნორმატიული აქტის მიღება, რომელიც ეწინააღმდეგება ევროპულ სტანდარტებს.

ევროპულმა სახელმწიფოებმა, რომლებიც წინა საუკუნის ოთხმოცდაათანი წლების დასაწყისში გახდნენ ევროპული კონვენციის მონაწილენი, სპეციალური ღონისძიებები გაატარეს, რათა უზრუნველეყოთ ქვეყნის შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპულ სტანდარტებთან. ამ სახელმწიფოებმა შეისწავლეს კანონმდებლობა და პრაქტიკა ევროპულ კონვენციასა და ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალთან შესაბამისობის თვალსაზრისით და შემოწმების შედეგად აღმოჩინეს მრავალი წინააღმდეგობა ეროვნულ კანონმდებლობასა და ევროპული კონვენციის ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტებს შორის, ისევე როგორც ეროვნულ სამართალში არსებული სამართლებრივი ხარვეზები ევროპული კონვენციით მოწესრიგებულ საკითხებთან მიმართებით, რის შედეგადაც შეიტანეს შესაბამისი ცვლილებები და დამატებები ქვეყნის კანონმდებლობაში.

ევროპის საბჭოს მხარდაჭერით, საქართველოში განხორციელდა ორი კვლევა (2000 და 2005 წლებში), რომლებიც მიზნად ისახავდნენ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობის დადგენას ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის სტანდარტებთან.<sup>144</sup> ამ კვლევების შედეგად აღმოჩინილ იქნა საქართველოს კანონმდებლობის არაერთი შეუსაბამობა ადამიანის უფლებათა ევროპულ სტანდარტებთან. მიუხედავად ამისა, სამწესაროდ, ამ კვლევების შედეგები არ ყოფილა გათვალისწინებული და არ მომზდარა იმ ხარვეზების გამოსხივება, რომლებიც იყო საქართველოს კანონმდებლობაში ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობის თვალსაზრისით.

საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ მოქმედი ნორმატიული აქტების ან ნორმატიული აქტების პროექტთა შესაბამისობის უზრუნველყოფა ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასა და ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალთან არ შეიძლება ჩაითვალოს იმის გარანტიად, რომ მომავალში არ იარსებებს წინააღმდეგობა შიდასახელმწიფოებრივ ნორმატიულ აქტსა და ევროპული კონვენციის ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტებს შორის.<sup>145</sup> ვინაიდან ევროპული კონვენცია აღიარებულია „ცოცხალ“ დოკუმენტად, რაც ნიშნავს, რომ კონვენციის მოთხოვნები

<sup>144</sup> A. Kakhniashvili, A. Nalbandov and G.Tskitlashvili, A Study of the Compatibility of Georgian Law with the Requirements of the Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms and Its Protocols, Strasbourg: Council of Europe, 2000; K. Korkelia, N. Mchedlidze and A. Nalbandov, Compatibility of Georgian Legislation with the Standards of the European Convention on Human Rights and Its Protocols, Strasbourg: Council of Europe, 2005. ორივე კვლევა ხელმისაწვდომია ევროპის საბჭოს ინტერნეტგვერდზე: [http://www.coe.int].

<sup>145</sup> P. Kūris, The Impact of the European Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms on the Legislation of the Republic of Lithuania, in: Protecting Human Rights: European Perspective: Studies in Memory of R. Ryssdal, P.Mahoney, F. Matscher, H. Petzold & L. Wildhaber (Eds.), 2000, 726-727.

იცვლება და ვითარდება დროთა განმავლობაში, აუცილებელია, უზრუნველყოფილი იქნეს შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების რეგულარული შემოწმება, რათა ისინი შეესაბამებოდნენ კონვენციით გათვალისწინებული უფლებების ახლებურ განმარტებას.<sup>146</sup> თუ რეგულარულად არ მოხდა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების კორექტირება დროთა განმავლობაში განვითარებადი პრეცედენტული სამართლის შესაბამისად, შესაძლოა, რომ შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტებით დადგენილი ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტები „ჩამორჩეს“ ევროპული კონვენციის სტანდარტებს, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ევროპული კონვენციის დარღვევა.<sup>147</sup> საკანონმდებლო ხელისუფლებას შეუძლია გამოიყენოს ევროპული კონვენცია და ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლი, როგორც ეროვნული კანონმდებლობის სრულყოფის ორიენტირი.

არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება იმას, რომ არა მხოლოდ აღმოიფხვრას შეუსაბამობა შიდასახელმწიფოებრივ ნორმატიულ აქტებსა და ევროპულ სტანდარტებს შორის, არამედ ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის საფუძველზე დადგინდეს საკითხთა ის წრე, რომელიც საჭიროებს სამართლებრივ რეგულირებას. ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტების გამოყენებით უნდა შეივსოს ის სამართლებრივი ხარვეზი, რომელიც არსებობს ქვეყნის კანონმდებლობაში. სახელმწიფომ უნდა გააანალიზოს ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლი და, საჭიროების შემთხვევაში, მიიღოს ახალი ნორმატიული აქტი, ან შეიტანოს ცვლილება მოქმედ ნორმატიულ აქტში, რომლის მიზანი იქნება ადამიანის უფლებათა დაცვის ისეთი საკითხის მოწესრიგება, რომელიც აქამდე არ რეგულირდებოდა ქვეყნის კანონმდებლობით და რომლის რეგულირების აუცილებლობა გამომდინარეობს ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლიდან.<sup>148</sup>

<sup>146</sup> J.P. Gardner, Preface, in: Aspects of Incorporation of the European Convention of Human Rights into Domestic Law, J.P. Gardner (Ed.), 1993, xix.

<sup>147</sup> J. Polakiewicz, The Application of the European Convention on Human Rights in Domestic Law, 17 Human Rights Law Journal, N11-12, 1996, 408.

<sup>148</sup> R. Bernhardt, The Convention and Domestic Law, in: The European System for the Protection of Human Rights, R. Macdonald, F. Matscher & H. Petzold (Eds.), 1993, 32.

## 7. დასკვნა

დასასრულს შეიძლება გაკეთდეს რამდენიმე დასკვნა საქართველოს განვლილი ათწლიანი პრაქტიკის საფუძველზე და გამოითქვას რეკომენდაციები იმ ძირითად კითხვასთან დაკავშირებით, რომელიც ნაშრომის სათაურში დაისვა – როგორ უზრუნველყოთ საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვა ევროპული სტანდარტებით?

ეს დასკვნები და რეკომენდაციები შეიძლება გამოყენებულ იქნეს მოსამართლეების, ადვოკატებისა და იურიდიული პროფესიების სხვა წარმომადგენელთა მიერ როგორც მართლმსაჯულების განხორციელებისას ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტების დაცვის სახელმძღვანელო პრინციპები. ამიტომ დასკვნით ნაწილში ეს პრინციპები დეტალურად არის ჩამოყალიბებული.

სახელმძღვანელო პრინციპები ამ პროფესიების წარმომადგენლებს დაეხმარება ადამიანის უფლებების მაღალი ხარისხით დაცვის უზრუნველყოფასა და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებაში, რაც მართლმსაჯულების განხორციელების ძირითადი მიზანია.

1. საქართველოში საერთაშორისო ხელშეკრულებები, მათ შორის ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, აღიარებულია კანონმდებლობის განუყოფელ ნაწილად, რაც ანიჭებს იურიდიულ და ფიზიკურ პირებს უფლებას, დაეყრდნონ ამ ხელშეკრულებებს სასამართლო ან ადმინისტრაციული ორგანოების წინაშე, თავიანთი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებს ენიჭებათ უფრო მაღალი სამართლებრივი სტატუსი, ვიდრე შიდასახელმწიფოებრივ ნორმატიულ აქტებს (კონსტიტუციისა და კონსტიტუციური შეთანხმების გარდა).

2. ადამიანის უფლებათა ევროპულ სტანდარტებში, რომელთა დაცვა უნდა უზრუნველყონ სასამართლოებმა მართლმსაჯულების განხორციელებისას, იგულისხმება არა მხოლოდ ევროპული კონვენციისა და მისი დამატებითი ოქმების ტექსტები, არამედ ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით დადგენილი ადამიანის უფლებათა სტანდარტები.

ევროპულ კონვენციასთან ერთად ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენების გარეშე ეროვნული სასამართლოსათვის ძალზე რთული და, ბევრ შემთხვევაში, შეუძლებელია კონვენციით გათვალისწინებული უფლებების შინაარსის სწორად დადგენა და, შესაბამისად, კონვენციის დებულებათა მართებულად გამოყენება. კონვენციაში ჩამოყალიბებული მრავალი ნორმა ძალზე ზოგადად არის ფორმულირებული. ევროპული სასამართლოს პრეცედენტებში, კონკრეტულ გადაწყვეტილებებში ზუსტდება კონვენციისა და მისი ოქმების დებულებათა შინაარსი და ფარგლები. კონვენციის დებულებათა განმარტება, ევროპული სასამართლოს პრე-

ცედენტული სამართლის გათვალისწინებით, ნათელს ჰქონდენციით განმტკიცებულ ვალდებულებათა შინაარსსა და ფარგლებს, რაც ხშირად პირდაპირ არ ჩანს კონვენციის ტექსტის გაცნობის შედეგად. კონვენციაში შეიძლება საერთოდ არ იყოს მოხსენიებული ის სამართლებრივი ურთიერთობა, რომელზეც ვრცელდება კონვენციის უფლებები და თავისუფლებები. ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენება საშუალებას აძლევს მოსამართლებს, უკეთ ჩასწოდნენ კონვენციით გათვალისწინებულ უფლებათა და თავისუფლებათა შინაარსს.

ამდენად, ევროპული კონვენციის ადამიანის უფლებათა სტანდარტები არ განისაზღვრება მხოლოდ კონვენციის ტექსტით – ისინი დადგენილია როგორც კონვენციის ტექსტით, ისე მის საფუძველზე მიღებული პრეცედენტული სამართლით, რის გამოც აუცილებელია, კონვენციის ტექსტთან ერთად, ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენება მართლმსაჯულების განხორციელებისას.

3. ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტების გამოყენება მართლმსაჯულების განხორციელებისას იძლევა სწორი სასამართლო გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას. ევროპული სტანდარტები ასრულებენ ადამიანის უფლებათა დაცვის ერთგვარი ორიენტირის ფუნქციას და ხელს უწყობენ ადამიანის უფლებათა დაცვას მაქსიმალურად მაღალი ხარისხით.

მართლმსაჯულების განხორციელებისას ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები შეიძლება გამოიყენებულ იქნეს როგორც:

ა) ზოგადი ან ბუნდოვანი შიდასახელმწიფოებრივი ნორმების სწორი განმარტების საშუალება;

ბ) შიდასახელმწიფოებრივ ნორმატიულ აქტთან კოლიზიის თავიდან აცილების საშუალება;

გ) შიდასახელმწიფოებრივ ნორმატიულ აქტებში არსებული სამართლებრივი ვაკუუმის ამოვსების საშუალება;

დ) ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების განჭვრეტის საშუალება;

ე) ადამიანის უფლებათა ეროვნული სტანდარტების განვითარების საშუალება;

ვ) სასამართლოს გადაწყვეტილებისათვის სამართლებრივი დამაჯერებლობის შემძინი საშუალება.

ამდენად, მართლმსაჯულების განხორციელებისას ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტების გამოყენებას აქვს რამდენიმე მნიშვნელოვანი უპირატესობა, რომლებითაც სარგებლობის შემთხვევაში საქართველოს სასამართლოებს მიეცემათ შესაძლებლობა, უზრუნველყონ ადამიანის უფლებათა დაცვა ევროპული სტანდარტებით.

4. საქართველოს სასამართლოების პრაქტიკის შესწავლის შედეგად აღმოჩენილია ევროპული სტანდარტების გამოყენების დახლოებით 120 შემთხვევა.

მისასალმებელია, რომ საქართველოში იზრდება იმ სასამართლო გადაწყვეტილებათა რაოდენობა, რომლებშიც გამოყენებულია ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები. მიუხედავად ამისა, ეს არ იძლევა სრული კმაყოფილების საფუძველს, რადგან ამ სტანდარტების გამოყენების პრაქტიკა უპრობლემოდ არ ვითარდება საქართველოში. ჯერ კიდევ ბევრია ისეთი სასამართლო გადაწყვეტილება, რომლებიც ევროპული სტანდარტების გამოყენების თვალსაზრისით შეიძლება ძალიან უარყოფითად შეფასდეს, თუმცა, საბედნიეროდ, არის ისეთი გადაწყვეტილებებიც, რომლებიც შეიძლება ძალიან დადებითად შეფასდეს.

სასამართლო საქმეთა კატეგორიების (სამოქალაქო, სისხლის და ადმინისტრაციული) მიხედვით ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტების გამოყენების ანალიზმა ცხადყო, რომ საქმეთა უმრავლესობა ადმინისტრაციულია, თუმცა კონვენციის რატიფიცირების პირველი რამდენიმე წლის განმავლობაში არსებული პრაქტიკის მიხედვით, ყველაზე ინტენსიურად ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები გამოიყენებოდა სამოქალაქო საქმეებში. დღეს არსებული საერთო სურათის მიხედვით, ევროპული სტანდარტები სამოქალაქო საქმეებში ნაკლები სიხშირით გამოიყენება. ამჟამად არსებული პრაქტიკის თანახმად, საქართველოს სასამართლოებში ევროპული კონვენცია შედარებით იშვიათად გამოიყენება სისხლის სამართლის საქმეებში.

თუ ევროპული კონვენციის გამოყენების პრაქტიკა გაანალიზდება სასამართლო ინსტანციების მიხედვით, უდავოა, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლო ყველაზე ინტენსიურად იყენებს ევროპულ კონვენციას. მიუხედავად რამდენიმე თვალსაჩინო გადაწყვეტილებისა, სამწუხაროდ, ევროპული კონვენციის გამოყენების მდგომარეობა არადამაკმაყოფილებლად უნდა ჩაითვალოს საქართველოს სხვა სასამართლოებში.

მართლმსაჯულების განხორციელებისას ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტების გამოყენების ეფექტიანობა განისაზღვრება იმით, მოახდინა თუ არა მან დადებითი გავლენა სასამართლოების გადაწყვეტილებაზე, ხელი შეუწყო თუ არა ევროპული სტანდარტების გამოყენებამ ადამიანის უფლებათა დაცვას მაღალი ხარისხით.

თუ გაანალიზდება ის სასამართლო საქმეები, რომლებშიც საქართველოს საერთო სასამართლოებმა გამოიყენეს ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები, აშკარაა, რომ მათი გამოყენების გავლენა სასამართლო გადაწყვეტილებებზე ძირითადად უმნიშვნელოა.

ვინაიდან საქართველოს სასამართლო მხოლოდ საქართველოს შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტის (მაგ., კანონი) გამოყენებით მიიღებდა ისეთ გადაწყვეტილებას, რომელიც მან მიიღო კანონისა და ევროპული სტანდარტის გამოყენებით, არ შეიძლება ჩაითვალოს, რომ ევროპული სტანდარტის გამოყენებამ მოახდინა მნიშვნელოვანი ან საერთოდ რაიმე გავლენა სასამართლოს გადაწყვეტილებაზე. ევრო-

პული სტანდარტების გამოყენებლობის შემთხვევაში სასამართლო მაინც იმავე გადაწყვეტილებას მიიღებდა, რაც მან მიიღო კანონთან ერთად ამ სტანდარტების გამოყენების შემთხვევაში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ ხშირად საქართველოს სასამართლოები იყენებენ ადამიანის უფლებათა ევროპულ სტანდარტებს ისეთ შემთხვევებში, როდესაც მათ გამოყენებას პრაქტიკულად არანაირი დადებითი წვლილი არ შეაქვს სასამართლო საქმის გადაწყვეტაში.

5. საქართველოს სასამართლოთა იმ გადაწყვეტილებების ანალიზის შედეგად, რომლებშიც გამოყენებულია ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები, იკვეთება რამდენიმე ტენდენცია მათი გამოყენების ფორმასთან დაკავშირებით.

ა) საქართველოს სასამართლოები ყველაზე ხშირად ევროპულ სტანდარტებს იყენებენ როგორც შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტის სწორი განმარტების საშუალებას. საქართველოს სასამართლოები სადაც საკითხს იხილავენ საქართველოს შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტისა და ევროპული სტანდარტების საფუძველზე, მაგრამ ეს სტანდარტები გამოიყენება ძირითადად იმისათვის, რომ სასამართლომ უზრუნველყოს შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტის (მაგ., კანონის) სწორი განმარტება.

ბ) რაც შექება ევროპული სტანდარტების გამოყენების მეორე ფორმას – მათ გამოყენებას შიდასახელმწიფოებრივ ნორმატიულ აქტთან კოლიზიისას, საქართველოს სასამართლოების პრაქტიკაში იშვიათია, თუმცა საქართველოს პრაქტიკაში არის ორი ფრიად საინტერესო შემთხვევა, რომელთაგან ერთს უნდა მიეცეს უარყოფითი, ხოლო მეორეს დადებითი შეფასება, ადამიანის უფლებათა ევროპული სამართლის თვალსაზრისით.

გ) ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტების გამოყენების მესამე ფორმასთან დაკავშირებით, რომელიც ითვალისწინებს ამ სტანდარტების გამოყენებას, როგორც სასამართლო საქმის გადაწყვეტის ერთადერთ სამართლებრივ საფუძველს, აღსანიშნავია, რომ საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში აღმოჩენილია ერთი ასეთი შემთხვევა – საქართველოს უზენაესმა სასამართლომ, რომელმაც ამ საქმეზე გადაწყვეტილება მიიღო 2001 წლის 10 მაისს, გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში მიუთითა ევროპულ კონვენციაზე, როგორც სასამართლო საქმის გადაწყვეტის ერთადერთ სამართლებრივ საფუძველზე.

6. ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტების გამოყენების ინიციატივა შეიძლება მომდინარეობდეს როგორც სასამართლო პროცესის მხარეების, ისე თავად სასამართლოსაგან. პროცესის მხარეებს უფლება აქვთ, ევროპული სტანდარტების საფუძველზე დაასაბუთონ თავიანთი პოზიცია და ამტკიცონ, რომ დაირღვა კონვენციით მათვის მინიჭებული უფლებები.

იმ სასამართლო გადაწყვეტილებათა უმრავლესობაში, რომლებშიც გამოყენებულია ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები, სასამართლოები თავიანთი ინიციატივით იყენებენ მათ, თუმცა პრაქტიკაში არის სამწუხარო შემთხვევები, როდესაც პროცესის მხარემ თავისი პოზიციის დასასაბუთებლად მოიშველია ევროპული სტანდარტები, მაგრამ სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში არც კი მოიხსენია ისინი.

7. რაც შეეხება ევროპული სტანდარტებით საქართველოს საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებათა დასაბუთების პრაქტიკას, აღსანიშნავია შემდეგი:

საქართველოს სასამართლოთა იმ გადაწყვეტილებების ანალიზის შედეგად, რომლებშიც გამოყენებულია ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ მდგომარეობა ევროპული კონვენციითა და ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით, საქართველოს სასამართლო გადაწყვეტილებათა დასაბუთების თვალსაზრისით, არადამატაყოფილებელია. ამ საქმეების უმრავლესობაში სასამართლო გადაწყვეტილებები არასაკმარისად დეტალურად არის დასაბუთებული ევროპულ სტანდარტებთან მიმართებით.

მიუხედავად ამისა, პრაქტიკის შესწავლამ გამოავლინა რამდენიმე შემთხვევა, როდესაც სასამართლომ საკმარისად დეტალურად იმსჯელა პროცესის მხარის მიერ ევროპულ სტანდარტებზე დაფუძნებულ არგუმენტებზე. ამ საქმეებში სასამართლომ საქმე გაანალიზა პროცესის მხარის მიერ ევროპულ სტანდარტებზე დაფუძნებული არგუმენტების საფუძველზე და დასაბუთა, რატომ გამოიყენა ან არ გამოიყენა მან ევროპული კონვენციის შესაბამისი ნორმა საქმის გადასაწყვეტად. უდავოა, რომ ასეთი გადაწყვეტილებები უფრო დამაჯერებელია პროცესის მხარეებისათვის, მათ შორის იმ მხარისათვის, რომლის სანინაალმდეგოდ მიიღეს გადაწყვეტილება, ვიდრე ის გადაწყვეტილება, რომელშიც მხოლოდ „მშრალი“ მითითებაა ევროპულ სტანდარტებზე.

8. საქართველოს საერთო სასამართლოების პრაქტიკამ ცხადყო, რომ მოსამართლეთა ნაწილი ევროპულ სტანდარტებს მიიჩნევს არა როგორც ქვეყნის კანონმდებლობის ნაწილად, არამედ „უცხო სხეულად“, „ეგზოტიკურ“ აქტად და თავს არიდებს მის გამოყენებას მართლმსაჯულების განხორციელებისას.

იმ მიზეზების ანალიზის შედეგად, რომლებიც პრკოლებს ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტების გამოყენებას საქართველოში, გამოიკვეთა როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური ფაქტორები, რომელთა გამოც საქართველოში მართლმსაჯულების განხორციელებისას ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენება იშვიათად ხდება. ასეთი მიზეზებისათვის ნათელის მოფენით შესაძლებელი გახდება ევროპული სტანდარტების გამოყენების პრაქტიკის გაუმჯობესება საქართველოში.

ა) ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მიზეზად, რომელიც პრკოლებს ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტების გამოყენებას მართლმსაჯულების განხორციე-

ლებისას, ალბათ, უნდა იქნეს მიჩნეული სასწავლო (საგანმანათლებლო) სისტემისა და საინფორმაციო პოლიტიკის არსებული ნაკლოვანებები.

ბ) მართლმასჯულების განხორციელებისას ევროპული სტანდარტების გამოყენებლობის ერთ-ერთ მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს მოსამართლეთა გადატვირთულობა, რის გამოც მოსამართლეებს არ აქვთ შესაძლებლობა, გამოიკვლიონ მათ ნინაშე არსებული დავის გადაწყვეტის ევროპული გამოცდილება.

პრაქტიკამ ნათელყო, რომ საქართველოს მოსამართლეებს, რომლებიც, ჩვეულებრივ, ძალზე გადატვირთულნი არიან განსახილველი საქმეების რაოდენობით, არა აქვთ კონვენციისა და ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გაანალიზების დრო და საშუალება. მოსამართლეების მიერ ევროპული კონვენციისა და ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენებას ხელს შეუწყობს, თუ ადვოკატი თავისი პოზიციის დასასაბუთებლად აქტიურად მოიშველიებს ევროპულ კონვენციასა და ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს, რითაც დაეხმარება მოსამართლეს სასამართლო დავის ევროპული სტანდარტებით გადაწყვეტაში.

გ) ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტების გამოყენების დამაბრკოლებელ ფაქტორს მიეკუთვნება მოსამართლეთა და ადვოკატთა ნაწილის შეხედულება, რომლის თანახმად, ამ სტანდარტების გამოყენებას არ აქვს აზრი, რადგან ისინი ან საერთოდ არ აწესრიგებენ იმ სადაცო საკითხს, რომელიც განიხილება სასამართლოს მიერ, ან ეს სტანდარტი უფრო დაბალია, ვიდრე საქართველოს შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტითაა დადგენილი, რის გამოც ევროპული სტანდარტის გამოყენება არ მოახდენს გავლენას სასამართლო საქმეზე. ასეთი შეხედულება მცდარია. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია, თუ მოსამართლე ან ადვოკატი ევროპულ კონვენციასთან ერთად არ განიხილავს ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს და დაეყრდნობა მხოლოდ კონვენციის ტექსტს, იგი ადვილად დაასკვნის, რომ კონვენცია არ აწესრიგებს სადაცო საკითხს. საქართველოს სასამართლო პრაქტიკამ არაერთხელ ცხადყო, რომ მოსამართლემ გამოიყენა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი გადაწყვეტილების მისაღებად, თუმცა იმავეს ვერ გააკეთებდა მხოლოდ კონვენციის შესაბამისი მუხლის გამოყენების შედეგად, რომლის საფუძველზე, უბრალოდ, ვერ დაასკვნიდა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტი აწესრიგებდა ამ საკითხს.

როგორც უკვე აღინიშნა, ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები აზუსტებს და აკონკრეტებს კონვენციის ამა თუ იმ უფლებას. აქედან გამომდინარე, მოსამართლისა და ადვოკატის შეხედულება, რომ სადაცო საკითხი არ რეგულირდება ევროპული კონვენციით, ადვილად შეიძლება შეიცვალოს ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის ანალიზის შედეგად.

დ) მართლმსაჯულების განხორციელებისას ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტების გამოყენების დამაბრკოლებელ ფაქტორად ასევე უნდა იქნეს მიჩნეული შეხედულება, რომლის თანახმად, შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტი და საერთაშორისო ხელშეკრულება ერთგვარად აწესრიგებს საზოგადოებრივ ურთიერთობას და, შესაბამისად, შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა დამაკმაყოფილებლად იცავს ადამიანის უფლებებს, რის გამოც შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტის გამოყენება საქმისა გადასაწყვეტად.

ცხადია, სახელმწიფოს კანონმდებლობამ შეიძლება დაადგინოს ევროპული კონვენციის მსგავსი ნორმები. ასევე დასაშვებია, რომ ქვეყნის შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტი ადამიანის უფლებათა დაცვის უფრო მაღალ სტანდარტს ადგენდეს. მიუხედავად ამისა, მცდარია საკითხისადმი ასეთი მიღვომა წინასწარჩამოყალიბებული პრეზუმუციის საფუძველზე. მოსამართლე, თუ განიხილავს ევროპულ კონვენციას და ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს, შეიძლება განსხვავებულ დასკვნამდე მივიდეს, ვიდრე მაშინ, როდესაც განიხილავს შიდასახელმწიფოებრივ ნორმატიულ აქტს და არ განიხილავს ევროპულ კონვენციას პრეცედენტულ სამართალთან ერთად.

ე) ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტების გამოყენების დამაბრკოლებელ ფაქტორად შეიძლება ჩაითვალოს ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის განსხვავებული, საქართველოს მოსამართლეთათვის შეუჩეველი ფორმა. მოსამართლისათვის უფრო იოლია, გამოიყენოს შიდასახელმწიფოებრივი სამართლის ნორმა, რომელიც მკაფიოდ აყალიბებს ქცევის წესს, ვიდრე გამოიყენოს ისეთი სტანდარტები, რომლებიც შეიძლება გაფარგლებული იყოს ევროპული სასამართლოს სხვადასხვა გადაწყვეტილებაში.

ვ) მართლმსაჯულების განხორციელებისას ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტების გამოყენებლობის ერთ-ერთ მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს მოსამართლეთა ნაწილის მცდარი აზრი ევროპული სასამართლოს იმ პრეცედენტების რაოდენობასთან დაკავშირებით, რომელთა შინაარსიც მათთვის უნდა იყოს ცნობილი. ვინაიდან ევროპულ სასამართლოს თავისი საქმიანობის განმავლობაში მიღებული აქვს ათი ათასზე მეტი გადაწყვეტილება, მოსამართლეების ნაწილს შეექმნა აზრი, თითქოს ისინი ვალდებული არიან, იცნობდნენ ყველა ამ გადაწყვეტილებას, რაც, ცხადია, არასწორი პოზიციაა. ყველა გადაწყვეტილების ცოდნა ძალზე რთული და შეუძლებელიცაა. უბრალოდ, ამის საჭიროება არ არსებობს. თუ გავითვალისწინებთ, რომ პრეცედენტული მნიშვნელობის გადაწყვეტილებები საკმაოდ მცირეა, ალბათ, საქმიანისა თითოეულ უფლებასთან დაკავშირებით რამდენიმე საკვანძო პრეცედენტის ცოდნა, რაც მოსამართლეს მისცემს შესაძლებლობას, იცოდეს, როგორ განიმარტება კონვენციის ამა თუ იმ მუხლის შინაარსი.

ზ) ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტების გამოყენების დამაბრკოლებელ ფაქტორად ასევე უნდა მივიჩნიოთ ის, რომ მოსამართლეების ნაწილმა არ იცის, თუ რა როლი უნდა მიენიჭოს ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს მართლმსაჯულების განხორციელებისას, კერძოდ, რომ ევროპული კონვენციის ტექსტი უნდა განიმარტოს ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით.

9. საქართველოს სასამართლოების პრაქტიკამ დაადასტურა, რომ მართლმსაჯულების განხორციელებისას ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტების გამოყენებლობის ძირითადი მიზეზია მათი არასაკმარისი ცოდნა, თუმცა რამდენიმე ზემოაღნიშნული სხვა ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზიც განაპირობებს მას.

საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სტანდარტების დასამკვიდრებლად აუცილებელია, რომ გატარდეს კომპლექსური ლონისძიებები რამდენიმე მიმართულებით.

ა) ერთ-ერთი ასეთი მიმართულებაა სასწავლო (საგანმანათლებლო) სისტემის განვითარება, რაც უნდა მოიცავდეს რამდენიმე სახის ლონისძიების გატარებას.

საქართველოს უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების იურიდიული მიმართულების ფაკულტეტებმა არა მხოლოდ უნდა შემოილონ ადამიანის უფლებათა ევროპული სამართლის სპეციალური კურსი, არამედ ევროპული სტანდარტები უნდა შეიტანონ სამართლის სხვა დისციპლინათა სასწავლო პროგრამებში (მაგ.: სისხლის სამართალი, სამოქალაქო სამართალი, ადმინისტრაციული სამართალი).

მიზანშეწონილია, შემუშავდეს ადამიანის უფლებათა ევროპული სამართლის საბაზო სასწავლო პროგრამა უმაღლესი სასწავლო დაწესებულებებისათვის, რაც დაეხმარება პედაგოგებს, გააუმჯობესონ თავიანთი სასწავლო პროგრამები. საქართველოში რამდენიმე უმაღლეს სასწავლო დაწესებულებას უკვე შემოღებული აქვს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის კურსი, რომელიც ადამიანის უფლებათა ევროპულ სტანდარტებსაც მოიცავს. მიუხედავად ამისა, აუცილებელია, რომ სხვა უმაღლესმა სასწავლო დაწესებულებებმაც შემოილონ ასეთი კურსები.

მოსამართლეობის, ადვოკატობისა და მოსამართლის თანაშემწეობის მსურველთა საგამოცდო (ტესტირების) პროგრამები, რომლებიც თითქმის იდენტურია, მოიცავს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო და ევროპულ სამართალს, თუმცა ისინი შეიცავენ მნიშვნელოვან ხარვეზებს. მაგალითად, მოქმედი პროგრამები მოიცავს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და მისი ოქმების ტექსტებს, მაგრამ არ ითვალისწინებს ევროპული სასამართლოს ძირითად პრეცედენტებსაც კი. აქედან გამომდინარე, საგამოცდო (ტესტირების) კითხვები შემოიფარგლება მხოლოდ კონვენციისა და მისი ოქმების ტექსტებით გათვალისწინებული ადამიანის უფლებათა სტანდარტებით.

პროგრამაში არ არის შეტანილი რამდენიმე საკითხი, რომელთა ცოდნა აუცილებელია მოსამართლეებისა და იურიდიული პროფესიების სხვა წარმომადგენლებისათვის,

მათ შორის: საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების როლი საქართველოს კანონმდებლობაში, მისი იერარქიული ადგილი და გამოყენების წინაპირობები, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულებებით განმტკიცებული მატერიალური უფლებები, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა იურიდიული ბუნება, ევროპული კონვენციის დამატებითი ოქმებით (1-ლი, მე-4, მე-6, მე-7 და მე-13) გათვალისწინებული საკითხები.

მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები მნიშვნელოვანია პროეურორთა საქმიანობაში, საქართველოს ორგანული კანონი „პროეურატურის შესახებ“, რომელიც მოიცავს პროეურატურის მუშაობას საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარებას, არ ითვალისწინებს გამოცდას ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებთან დაკავშირებით. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ პროეურორის თანამდებობის დაკავების ერთ-ერთ წინაპირობად განისაზღვროს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტების ცოდნა, როგორც ეს მოხდა მოსამართლების, მოსამართლეთა თანაშემწებისა და ადვოკატების შემთხვევაში.

ადამიანის უფლებათა ევროპული სამართლის სასწავლო პროგრამები უნდა ჩატარდეს ასევე მოქმედი მოსამართლეების, ადვოკატების, მოსამართლეთა თანაშემწებისა და ამ სფეროში მომუშავე იურიდიული პროფესიების სხვა წარმომადგენლებისათვის.

ბ) საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სტანდარტების დასამკიდრებლად გასატარებელი ღონისძიებების მეორე მიმართულება უნდა იყოს საინფორმაციო პოლიტიკის დახვენა. ამ მიმართულებითაც სახელმწიფომ უნდა გაატაროს რიგი ღონისძიებებისა, რათა ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები ხელმისაწვდომი იყოს მოსამართლეებისა და იურიდიული პროფესიების სხვა წარმომადგენლებისათვის.

მიუხედავად ამ წლების განმავლობაში გატარებული ცალკეული ღონისძიებებისა, რომლებიც მიმართული იყო ქვეყანაში ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტების პოპულარიზაციისაკენ, მდგომარეობა, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებებისათვის.

ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი რეგულარულად უნდა გამოქვეყნდეს, რაც მოსამართლეებს, ადვოკატებსა და სხვა დაინტერესებულ პირებს მისცემს შესაძლებლობას, თვალი ადევნონ ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის განვითარებას, მათ შორის ევროპული კონვენციისა და მისი ოქმების დებულებების ახლებურ განმარტებას.

არ არის აუცილებელი ევროპული სასამართლოს მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილების გამოქვეყნება სახელმწიფო ენაზე. აუცილებელია გამოქვეყნდეს ევროპული სასამართლოს მხოლოდ ის გადაწყვეტილებები, რომლებსაც პრეცედენტული მნიშ-

ვნელობა აქვთ, ანუ გადაწყვეტილებები, რომლებიც განმარტავენ კონვენციისა და მისი ოქმების დებულებებს.

ევროპული სასამართლოს პრეცედენტები შეიძლება გავრცელდეს არა მხოლოდ მათი გამოქვეყნების გზით – ისინი შეიძლება ასევე გავრცელდეს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, კურძოდ, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სასამართლოებში სახელმწიფო წარმომადგენლობის დეპარტამენტის მიერ, რომელსაც შეუძლია შეარჩიოს ევროპული სასამართლოს პრეცედენტული მნიშვნელობის გადაწყვეტილებები და დაუგზავნოს საქართველოს შესაბამის სახელმწიფო უწყებებს, რათა მათ თავიანთი საქმიანობა შეუსაბამონ ამ პრეცედენტებით დადგენილ სტანდარტებს. საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ შეიძლება თავისი განმარტებითი კომენტარი დაურთოს ამ გადაწყვეტილებებს.

ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა გამოქვეყნების ფორმასთან დაკავშირებით, აღსანიშნავია, რომ გადაწყვეტილებები შეიძლება გამოქვეყნდეს როგორც სრულად, ისე რეზიუმეს სახით. მთავარია, შესაბამისი პირებისათვის, რომლებმაც უნდა გამოიყენონ ისინი, ნათელი იყოს, თუ როგორ განმარტა ევროპულმა სასამართლომ სადაც მუხლის შინაარსი.

მნიშვნელოვანია, გამოიცეს კონვენციის ცალკეული მუხლების კომენტარები, რაც შესაძლებლობას მისცემს დაინტერესებულ პირებს, მათ შორის მოსამართლეებსა და ადვოკატებს, დეტალურად გაეცნონ, თუ როგორ განმარტავს ევროპული სასამართლო კონვენციით გათვალისწინებულ უფლებას და დაეხმარება მათ კონვენციის სწორად გამოყენებაში.

მართალია, იურიდიული პროფესიების წარმომადგენლები, მათ შორის მოსამართლეები, თვალს უნდა ადევნებდნენ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის განვითარებას და ეცნობოდნენ კონვენციით დაცული უფლებების ახლებურ განმარტებას, მხედველობაშია მისალები, რომ ეს საკმაოდ შრომატევადი საქმეა, რაც რთულია მათი სამუშაო გადატვირთულობის გათვალისწინებით. ამიტომ ძალზე სასურველია, რომ იურიდიული პროფესიების წარმომადგენლებს, განსაკუთრებით მოსამართლეებს, აღმოჩენით შესაბამისი დახმარება. ასეთი დახმარება ევროპული სასამართლოს პრეცედენტული მნიშვნელობის გადაწყვეტილებების იდენტიფიცირებაში შეიძლება გასწიოს როგორც სახელმწიფომ, ისე ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ.

მისასალმებელია, რომ საქართველოს უზენაესმა სასამართლომ გააცნობიერა მოსამართლეებისათვის დახმარების აღმოჩენის საჭიროება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის გაცნობაში, რისთვისაც დაარსდა ადამიანის უფლებათა ცენტრი. ცენტრის ფუნქციას განეკუთვნება, *inter alia*, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და სხვა საერთაშორისო სასამართლოების პრაქტიკის

განზოგადება და ანალიტიკური მასალების მომზადება. ასეთი პრაქტიკა, უდავოდ, მისასალმებელია და სასურველია, რომ ეს გამოცდილება გაიზიარონ საქართველოს სხვა სასამართლოებმაც.

გ) ევროპული სტანდარტებით ადამიანის უფლებათა დაცვას საქართველოში ხელს შეუწყობს შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების ჰარმონიზება ევროპულ კონვენციასა და ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალთან.

ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტების დარღვევის მიზეზი შეიძლება იყოს როგორც იმ შიდასახელმწიფოებრივ ნორმატიულ აქტში არსებული ხარვეზები, რომელთა საფუძველზეც გადაწყდა სასამართლო დავა, ისე ამ სტანდარტებთან შესაბამისობაში მყოფი შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტის არასწორი გამოყენება. თუ უზრუნველყოფილი იქნება შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტის შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპულ სტანდარტებთან, ამ სტანდარტების დარღვევა შეიძლება გამოიწვიოს ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობაში მყოფი შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტის მხოლოდ არასწორმა გამოყენებამ. ასეთ შემთხვევაში ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტების დარღვევათა რაოდენობა შემცირდება.

რაც შეეხება საქართველოში არსებულ მდგომარეობას, აღსანიშნავია, რომ საქართველოს პარლამენტის იურიდიული კომიტეტის კომპეტენციას განეკუთვნება ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისობის უზრუნველყოფა საერთაშორისოსამართლებრივ ნორმებთან. მიუხედავად ამისა, ევროპული სტანდარტების როლის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია, რომ, ევროპული სახელმწიფოების პარლამენტებში არსებული პრაქტიკის მსგავსად, საქართველოს პარლამენტშიც შეიქმნას სპეციალური მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს ნორმატიული აქტების პროექტების ჰარმონიზებას ადამიანის უფლებათა ევროპულ სტანდარტებთან.

ასევე აღსანიშნავია, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, კერძოდ, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სასამართლოებში სახელმწიფო წარმომადგენლობის დეპარტამენტის კომპეტენციას განეკუთვნება წინადადებების შემუშავება როგორც საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, ისე საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების პროექტების ადამიანის უფლებათა ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობის შესახებ.

იუსტიციის სამინისტროს ეკისრება მნიშვნელოვანი ფუნქცია საქართველოს კანონმდებლობისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტების ჰარმონიზების უზრუნველყოფის თვალსაზრისით. მის კომპეტენციაში შედის როგორც უკვე მოქმედი ნორმატიული აქტების, ისე ნორმატიული აქტების პროექტების შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასა და ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალთან. ამ ფუნქციის ეფექტიანად განხორციელების შემთხვევაში აღ-

მოიფხვერება შესაძლო კოლიზია უკვე მოქმედ ნორმატიულ აქტებსა და ევროპულ სტანდარტებს შორის, ხოლო, მეორე მხრივ, თავიდან იქნება აცილებული ისეთი ნორმატიული აქტის მიღება, რომელიც ეწინააღმდეგება ევროპულ სტანდარტებს.

არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება იმას, რომ არა მხოლოდ აღმოიფხვრას შეუსაბამობა შიდასახელმწიფოებრივ ნორმატიულ აქტებსა და ევროპულ სტანდარტებს შორის, არამედ ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის საფუძველზე დადგინდეს საკითხთა ის წრე, რომელიც საჭიროებს სამართლებრივ რეგულირებას. ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტების გამოყენებით უნდა შეივსოს ის სამართლებრივი ხარვეზი, რომელიც არსებობს ქვეყნის კანონმდებლობაში. სახელმწიფომ უნდა გააანალიზოს ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი და, საჭიროების შემთხვევაში, მიიღოს ახალი ნორმატიული აქტი, ან შეიტანოს ცვლილება მოქმედ ნორმატიულ აქტში, რომლის მიზანი იქნება ადამიანის უფლებათა დაცვის ისეთი საკითხის მოწესრიგება, რომელიც აქამდე არ რეგულირდებოდა ქვეყნის კანონმდებლობით და რომლის რეგულირების აუცილებლობა გამომდინარეობს ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლიდან.

## **Die Deutsche Gesellschaft für Technische Zusammenarbeit (GTZ) GmbH**

### **Unser Unternehmen**

Als weltweit tätiges Bundesunternehmen der internationalen Zusammenarbeit für nachhaltige Entwicklung unterstützt die Deutsche Gesellschaft für Technische Zusammenarbeit (GTZ) GmbH die Bundesregierung bei der Verwirklichung ihrer entwicklungspolitischen Ziele. Sie bietet zukunftsfähige Lösungen für politische, wirtschaftliche, ökologische und soziale Entwicklungen in einer globalisierten Welt und fördert komplexe Reformen und Veränderungsprozesse auch unter schwierigen Bedingungen. Ihr Ziel ist es, die Lebensbedingungen der Menschen nachhaltig zu verbessern.

### **Unsere Auftraggeber**

Die GTZ ist ein Bundesunternehmen mit Sitz in Eschborn bei Frankfurt am Main. Sie wurde 1975 als privatwirtschaftliches Unternehmen gegründet. Ihr Hauptauftraggeber ist das Bundesministerium für wirtschaftliche Zusammenarbeit und Entwicklung (BMZ). Darüber hinaus ist sie tätig für andere Bundesressorts, für Regierungen anderer Länder, für internationale Auftraggeber wie die Europäische Kommission, die Vereinten Nationen oder die Weltbank sowie für Unternehmen der privaten Wirtschaft. Die GTZ nimmt ihre Aufgaben gemeinnützig wahr. Überschüsse werden ausschließlich wieder für eigene Projekte der internationalen Zusammenarbeit für nachhaltige Entwicklung verwendet.

### **Weltweit tätig**

Die GTZ ist in mehr als 120 Ländern Afrikas, Asiens, Lateinamerikas, in den Regionen Mittelmeer und Mittlerer Osten sowie Europa, Kaukasus und Zentralasien tätig. In 92 Ländern ist sie mit eigenen Büros vertreten. Weltweit beschäftigt das Unternehmen knapp 12.000 Mitarbeiterinnen und Mitarbeiter; davon sind über 9.000 einheimische Kräfte. In der Zentrale in Eschborn und an weiteren Standorten in Deutschland arbeiten rund 1.500 Personen.

In den Ländern des südlichen Kaukasus führt die GTZ im Auftrag des BMZ mehrere Projekte zur Unterstützung der Rechts- und Justizreformen durch. Im Rahmen der Projekte werden Lang- und Kurzzeitexperten eingesetzt, die beratende Tätigkeit bei der Gesetzgebung ausüben, Fortbildungsveranstaltungen durchführen und Vorträge bei Fachkonferenzen halten. Im Rahmen der Schriftenreihe – der Materialiensammlung – werden Vorträge und Materialien der Projekte veröffentlicht. Daneben werden regelmäßig Fachpublikationen veröffentlicht.

## **შპს გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოება (GTZ)**

### **ჩვენი მიზანი**

შპს გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოება (GTZ) არის მსოფლიო მასშტაბის მქონე საწარმო საერთაშორისო თანამშრომლობისა და მდგრადი განვითარების დარგში. ის მხარს უჭერს გერმანიის ფედერალურ მთავრობას განვითარების პოლიტიკის მიზნების განხორციელებაში. GTZ სთავაზობს გლობალიზირებულ მსოფლიოს აქტუალური პოლიტიკური, ეკონომიკური, ეკოლოგიური და სოციალური საკითხების გადაჭრის მომავალზე ორიენტირებულ გზებს, იგი მხარს უჭერს კომპლექსურ რეფორმებს და განვითარების პროცესებს რთულ პირობებშიც კი. მისი მიზანია, ადამიანების ცხოვრების პირობების მდგრადი გაუმჯობესება.

### **ჩვენი დამკვეთები**

GTZ არის ფედერალური საწარმო, რომლის სათაო ოფისი განთავსებულია ეშბორნში, მაინის ფრანკფურტთან. ის ჩამოყალიბდა 1975 წელს როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირი. მისი მთავარი დამკვეთია გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტრო (BMZ). გარდა ამისა, ის მუშაობს სხვა ფედერალური უწყებების, ასევე სხვა ქვეყნების მთავრობების, საერთაშორისო ორგანიზაციების დაკვეთით, როგორიცაა ევროკომისია, გაერო ან მსოფლიო ბანკი, აგრეთვე კერძო ორგანიზაციების დავალებითაც. GTZ თავის ამოცანებს ახორციელებს საერთო სარგებლობისათვის. ზედმეტი თანხები გამოიყენება მხოლოდ საკუთარივე პროექტებისათვის, საერთაშორისო თანამშრომლობისა და მდგრადი განვითარების მხარდასაჭერად.

### **მსოფლიო მასშტაბი**

GTZ წარმოდგენილია აფრიკის, აზიის, ლათინური ამერიკის, ხმელთაშუა ზღვისპირეთისა და ახლო აღმოსავლეთის რეგიონების, ასევე ევროპის, კავკასიისა და შუა აზიის 120-ზე მეტ ქვეყანაში. აქედან 92 ქვეყანაში მას საკუთარი ოფისები გააჩნია. მთელი მსოფლიოს გარშემო მას დასაქმებული ჰყავს 12.000 თანამშრომელი, აქედან 9.000 ადამიანი ადგილობრივი თანამშრომელია. ეშბორნის ცენტრალურ ოფისში და გერმანიის სხვა ოფისებში დაახლოებით 1.500 ადამიანი მუშაობს.

სამხრეთ/კავკასიის ქვეყნებში BMZ-ის დავალებით ჩთდ სხვადასხვა პროექტს ახორციელებს სამართლისა და იუსტიციის რეფორმების მხარდასაჭერად. ამ პროექტების ფარგლებში მუშაობენ როგორც მოკლე, ისევე გრძელვადიანი მოწვეული ექსპერ-

ტები, რომლებიც ახორციელებენ საკანონმდებლო კონსულტაციას და ატარებენ კვა-ლიფიკაციის ასამაღლებელ ღონისძიებებს, ასევე მონაწილეობას ღებულობენ სპე-ციალურ კონფერენციებში. პუბლიკაციების — მასალათა კრებულის — ფარგლებში გამოიცემა მოხსენებები, ასევე პროექტების სხვა მასალები. გარდა ამისა, გამოიცემა პერიოდული სპეციალური ლიტერატურაც.

## ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია

№11 ოქმის თანახმად შესწორებული რედაქციით  
ევროპის საბჭოს ხელშეკრულებათა სერია, № 5

### შენიშვნა ტექსტთან დაკავშირებით

კონვენციის ტექსტში შეტანილ იქნა შესწორებები შემდეგი ოქმების დებულებათა შესაბამისად: ოქმი № 3 (CETS № 45), რომელიც ამოქმედდა 1970 წლის 21 სექტემბრიდან, ოქმი № 5 (CETS<sup>1</sup> 55), რომელიც ამოქმედდა 1971 წლის 20 დეკემბრიდან და ოქმი № 8 (CETS № 118), რომელიც ძალაში შევიდა 1990 წლის 1 იანვარს. იგი მოიცავს აგრეთვე № 2 ოქმის (CETS № 44) ტექსტს, რომელიც ამავე ოქმის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, კონვენციის განუყოფელი ნაწილია 1970 წლის 21 სექტემბერს მისი ძალაში შესვლის მომენტიდან. აღნიშნული ოქმებით კონვენციაში შეტანილი ყველა ცვლილება და დამატება შეიცვალა № 11 ოქმით (CETS № 155), რომელიც 1998 წლის 1 ნოემბერს ამოქმედდა. ამასთანავე გაუქმდა ოქმი № 9 (CETS № 140), რომელიც 1994 წლის 1 ოქტომბერს შევიდა ძალაში, ხოლო № 10 ოქმა (CETS № 146) დაკარგა თავისი დანიშნულება.

Council of Europe  
F-67075 Strasbourg Cedex  
<http://www.coe.int/>

# **ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია**

**რომი, 1950 წლის 4 ნოემბერი**

ქვემოთ ხელმომწერი მთავრობები, რომლებიც არიან ევროპის საბჭოს წევრები, ითვალისწინებენ 1948 წლის 10 დეკემბერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ გაცხადებულ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციას;

მხედველობაში იღებენ, რომ ეს დეკლარაცია მიზნად ისახავს მასში გაცხადებულ უფლებათა საყოველთაო და ეფექტიანი აღიარებისა და დაცვის უზრუნველყოფას;

ითვალისწინებენ, რომ ევროპის საბჭოს მიზანია მის წევრებს შორის უფრო მეტი ერთიანობის მიღწევა და რომ ამ მიზნის მიღწევის ერთ-ერთი საშუალება არის ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვა და მათი შემდგომი განხორციელება;

კვლავ ადასტურებენ თავიანთ ერთგულებას იმ ძირითადი თავისუფლებებისადმი, რომელთაც ეფუძნება სამართლიანობა და მშვიდობა მსოფლიოში და რომელთა დაცვა საუკეთესოდ ხორციელდება, ერთი მხრივ, ეფექტიანი დემოკრატიული პოლიტიკითა და, მეორე მხრივ, ადამიანის უფლებათა საერთო გაგებითა და მათი უზრუნველყოფით, რასაც ისინი ემყარებიან;

როგორც მთავრობები იმ თანამოაზრე ევროპული ქვეყნებისა, რომელთაც აქვთ პოლიტიკური ტრადიციების, იდეალების, თავისუფლებისა და სამართლის უზენაესობის საერთო მემკვიდრეობა, შემართული არიან, გადადგან პირველი ნაბიჯები საყოველთაო დეკლარაციით გაცხადებულ გარკვეულ უფლებათა კოლექტიური განხორციელებისათვის და

თანხმდებიან შემდეგზე:

## **მუხლი 1**

### **ადამიანის უფლებათა პატივისცემის ვალდებულება**

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში ყველასა-თვის უზრუნველყოფენ ამ კონვენციის | თავში განსაზღვრულ უფლებებსა და თავისუფლებებს.

# თავი I

## უფლებები და თავისუფლებები

### მუხლი 2

#### სიცოცხლის უფლება

1. ყოველი ადამიანის სიცოცხლის უფლება კანონით არის დაცული. არავის სიცოცხლე არ შეიძლება განზრახ იყოს ხელყოფილი. სიცოცხლის ხელყოფა დასაშვებია მხოლოდ სასამართლოს მიერ გამოტანილი სასიკვდილო განაჩენის აღსრულების შედეგად, ისეთი დანაშაულის ჩადენისათვის, რომლისთვისაც კანონი ითვალისწინებს ამ სასჯელს.
2. სიცოცხლის ხელყოფა არ ჩაითვლება ამ მუხლის საწინააღმდეგოდ ჩადენილ ქმედებად, თუ ის შედეგად მოჰყვა ძალის გამოყენებას, რომელიც აპსოლუტურ აუცილებლობას წარმოადგენდა:
  - a. ნებისმიერი პირის დასაცავად არამართლზომიერი ძალადობისაგან;
  - b. კანონიერი დაკავებისათვის ან კანონიერად დაპატიმრებული პირის გაქცევის აღსაკვეთად;
  - c. კანონიერ ღონისძიებათა განხორციელებისას აჯანყების ან ამბოხების ჩასახშობად.

#### მუხლი 3

#### ნამების აკრძალვა

არავინ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას ან დასჯას.

#### მუხლი 4

#### მონობისა და იძულებითი შრომის აკრძალვა

1. არავინ შეიძლება იმყოფებოდეს მონობაში ან ყმობაში.
2. არავის შეიძლება მოეთხოვოს იძულებითი ან სავალდებულო სამუშაოს შესრულება.
3. ამ მუხლის მნიშვნელობით ტერმინი „იძულებითი ან სავალდებულო სამუშაო“ არ მოიცავს:
  - a. ნებისმიერ სამუშაოს, რომლის შესრულებაც, ჩვეულებრივ, სავალდებულოა პატიმრობისას, რაც შეფარდებულია წინამდებარე კონვენციის მე-5 მუხლის დებულებების შესაბამისად ან ასეთი პატიმრობიდან პირობითი თავისუფლების განმავლობაში;
  - b. სამხედრო ხასიათის ნებისმიერ სამსახურს, ან სავალდებულო სამხედრო სამსახურის ნაცვლად დაკისრებულ სამსახურს იმ ქვეყნებში, სადაც შინაგანი მრწამსის გამო სამხედრო სამსახურის გავლაზე უარის თქმის უფლება აღიარებულია;

- c. ნებისმიერ სამსახურს, რომელიც დაკისრებულია საგანგებო მდგომარეობის ან უპე-დურების დროს, რაც საფრთხეს უქმნის ხალხის სიცოცხლეს ან კეთილდღეობას;
- d. ნებისმიერ სამუშაოს ან სამსახურს, რომელიც ჩვეულებრივ მოქალაქეობრივ ვალდებულებებს განეკუთვნება.

### **მუხლი 5 თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლება**

1. ყველას აქვს თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება. არავის შეიძლება აღეკვეთოს თავისუფლება, გარდა შემდეგი შემთხვევებისა და კანონით განსაზღვრული პროცედურის შესაბამისად, ესენია:
  - a. უფლებამოსილი სასამართლოს მიერ მსჯავრდებული პირის კანონიერი დაპატი-მრება;
  - b. პირის კანონიერი დაკავება ან დაპატიმრება კანონის შესაბამისად გაცემული სა-სამართლოს ბრძანების შეუსრულებლობისათვის ან კანონით გათვალისწინებული ნებისმიერი ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად;
  - c. პირის კანონიერი დაკავება ან დაპატიმრება უფლებამოსილი სასამართლო ორ-განოს წინაშე მის წარსადგენად, როდესაც არსებობს სამართალდარღვევის ჩა-დენის საფუძვლიანი ეჭვი, ან საფუძვლიანად არის მიჩნეული პირის მიერ სამარ-თალდარღვევის ჩადენის თუ მისი ჩადენის შემდეგ მიმალვის აღეკვეთის აუცილე-ბლობა;
  - d. არასრულწლოვანის დაპატიმრება კანონიერი ბრძანების საფუძველზე მასზე აღმზრდელობითი ზედამხედველობისათვის ან მისი კანონიერი დაპატიმრება უფლებამოსილი სასამართლო ორგანოს წინაშე მის წარსადგენად;
  - e. პირთა კანონიერი დაპატიმრება ინფექციურ დაავადებათა გავრცელების თავი-დან ასაცილებლად, ან სულით ავადმყოფების, ალკოჰოლიკების, ნარკომანებისა თუ მანანწალების კანონიერი დაპატიმრება;
  - f. პირის კანონიერი დაკავება ან დაპატიმრება ქვეყანაში მისი უნებართვოდ შესვლის აღსაკვეთად, ან იმ პირის დაკავება თუ დაპატიმრება, რომლის წინააღმდეგაც ხორციელდება ღონისძიებები დეპორტაციისა თუ ექსტრადიციის მიზნით.
2. ყველა დაკავებულ პირს მისთვის გასაგებ ენაზე დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს მისი დაკავების მიზეზები და მისთვის წაყენებული ყველა ბრალდება.
3. ამ მუხლის 1-ლი ც პუნქტის დებულებების თანახმად, დაკავებული ყველა პირი დაუყოვნებლივ უნდა წარედგინოს მოსამართლეს ან სა-სამართლო ხელისუფლების განხორციელებისათვის კანონით უფლებამოსილ სხვა მოხელეს და მას უფლება უნდა ჰქონდეს, მისი საქმე განიხილოს სასამართლომ გონივრულ ვადაში, ან გათავისუფლდეს საქმის განხილვის განმავლობაში. გათავი-სუფლება შეიძლება უზრუნველყოფილ იქნეს სასამართლო პროცესზე გამოცხადე-

ბის გარანტიებით.

4. ყველას, ვისაც დაკავებით ან დაპატიმრებით აღეკვეთა თავისუფლება, უფლება აქვს, მიმართოს სასამართლოს, რომელიც სწრაფად განიხილავს მისი დაპატიმრების მართლზომიერების საკითხს და გამოსცემს ბრძანებას მისი გათავისუფლების შესახებ, თუ დაპატიმრება არ არის კანონიერი.
5. ყველას, ვინც არის დაკავების ან დაპატიმრების მსხვერპლი ამ მუხლის დებულებათა დარღვევის გამო, აქვს კომპენსაციის მიღების უფლება.

## მუხლი 6

### სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება

1. სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა განსაზღვრისას ან წარდგენილი წებისმიერი სისხლისამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის გამორკვევისას ყველას აქვს გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნო განხილვის უფლება კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ. სასამართლო გადაწყვეტილება ცხადდება საქვეყნოდ, თუმცა მთელ სასამართლო პროცესზე ან მის ნაწილზე პრესა და საზოგადოება შეიძლება არ დაუშვან, დემოკრატიულ საზოგადოებაში მორალის, საზოგადოებრივი წესრიგის ან ეროვნული უშიშროების ინტერესებიდან გამომდინარე, აგრეთვე, როდესაც ამას მოითხოვს არასრულნლოვანთა ინტერესები ან მხარეთა პირადი ცხოვრების დაცვა, ან რამდენადაც, სასამართლოს აზრით, ეს მკაცრად აუცილებელია განსაკუთრებული გარემოებების არსებობისას, როდესაც საქვეყნობა ზიანს მიაყენებდა მართლმსაჯულების ინტერესებს.
2. ყოველი პირი, ვისაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, ითვლება უდანაშაულოდ, ვიდრე მისი ბრალეულობა არ დამტკიცდება კანონის შესაბამისად.
3. ყოველ პირს, ვისაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, აქვს, სულ მცირე, შემდეგი უფლებები:
  - a. მისთვის გასაგებ ენაზე დაუყოვნებლივ და დაწვრილებით ეცნობოს წარდგენილი ბრალდების არსი და საფუძველი;
  - b. ჰქონდეს საკმარისი დრო და შესაძლებლობანი საკუთარი დაცვის მოსამზადებლად;
  - c. დაიცვას თავი პირადად ან მის მიერ არჩეული დამცველის მეშვეობით, ან, თუ მას არ გააჩნია საკმარისი საშუალება იურიდიული მომსახურების ასანაზღაურებლად, უფასოდ ისარგებლოს ასეთი მომსახურებით, როდესაც ამას მოითხოვს მართლმსაჯულების ინტერესები;
  - d. დაკითხოს ან დააკითხვინოს ბრალდების მოწმეები და გამოაძახებინოს და დააკი-

- თხვინოს დაცვის მოწმეები ბრალდების მოწმეთა თანაბარ პირობებში;
- e. ისარგებლოს თარჯიმნის უფასო დახმარებით, თუ მას არ შეუძლია გაიგოს სასა-  
მართლოში გამოყენებული ენა, ან ილაპარაკოს ამ ენაზე.

## მუხლი 7

### არავითარი სასჯელი კანონის გარეშე

- არავინ შეიძლება მიიჩნიონ ბრალეულად რაიმე დანაშაულის ჩადენაში ისეთი მოქ-  
მედების ან უმოქმედობის გამო, რომელიც ჩადენის დროს არ ითვლებოდა სისხლის  
სამართლის დანაშაულად ეროვნული ან საერთაშორისო სამართლის მიხედვით.  
არც იმაზე უფრო მკაცრი სასჯელი შეიძლება შეეფარდოს ვინმეს, ვიდრე სასჯელი,  
რომელიც გამოიყენებოდა სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენის დროს.
- ეს მუხლი ხელს არ შეუშლის ნებისმიერი პირის გასამართლებასა და დასჯას რო-  
მელიმე მოქმედების ან უმოქმედობისათვის, რომელიც მისი ჩადენის დროისათვის  
მიიჩნეოდა დანაშაულად ცივილიზებული სახელმწიფოების მიერ აღიარებული სა-  
მართლის ზოგადი პრინციპების მიხედვით.

## მუხლი 8

### პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება

- ყველას აქვს უფლება, პატივი სცენ მის პირად და ოჯახურ ცხოვრებას, მის საცხო-  
ვრებელსა და მიმოწერას.
- დაუშვებელია ამ უფლების განხორციელებაში საჯარო ხელისუფლების ჩარევა, გარ-  
და ისეთი შემთხვევისა, როდესაც ასეთი ჩარევა ხორციელდება კანონის შესაბამი-  
სად და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების,  
საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინ-  
ტერესებისათვის, უწესრიგობის ან დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, ჯანმრ-  
თელობის ან მორალისა თუ სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად.

## მუხლი 9

### აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება

- ყველას აქვს უფლება აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლებისა; ეს უფლე-  
ბა მოიცავს რელიგიის ან რწმენის შეცვლის თავისუფლებას და, აგრეთვე, თავი-  
სუფლებას როგორც ინდივიდუალურად, ისე სხვებთან ერთად, საქვეყნოდ ან გან-  
კერძოებით, გააცხადოს თავისი რელიგია თუ რწმენა აღმსარებლობით, სწავლებით,  
წესების დაცვითა და რიტუალების აღსრულებით.
- რელიგიის ან რწმენის გაცხადების თავისუფლება ექვემდებარება მხოლოდ ისეთ

შეზღუდვებს, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, საზოგადოებრივი წესრიგის, ჯანმრთელობის თუ მორალის ან სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად.

## მუხლი 10

### გამოხატვის თავისუფლება

1. ყველას აქვს უფლება გამოხატვის თავისუფლებისა. ეს უფლება მოიცავს პირის თავისუფლებას, ჰერონდეს შეხედულებები, მიიღოს ან გაავრცელოს ინფორმაცია თუ მოსაზრებები საჯარო ხელისუფლების ჩაურევლად და სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად. ეს მუხლი ხელს არ უშლის სახელმწიფოებს, განახორციელონ რადიო-მაუნიკებლობის, სატელევიზიო ან კინემატოგრაფიულ საწარმოთა ლიცენზირება.
2. ამ თავისუფლებათა განხორციელება, რამდენადაც ის განუყოფელია შესაბამისი ვალდებულებისა და პასუხისმგებლობისაგან, შეიძლება დაექვემდებაროს ისეთ წესებს, პირობებს, შეზღუდვებს ან სანქციებს, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, უწესრიგობისა თუ დანაშაულის აღსაკვეთად, ჯანმრთელობის ან მორალის დაცვის მიზნით, სხვათა რეპუტაციის ან უფლებების დასაცავად, საიდუმლოდ მიღებული ინფორმაციის გამუღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად.

## მუხლი 11

### შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება

1. ყველას აქვს უფლება მშვიდობიანი შეკრების თავისუფლებისა, აგრეთვე სხვებთან გაერთიანების თავისუფლებისა, მათ შორის, უფლება პროფესიული კავშირების შექმნისა და მასში გაერთიანებისა საკუთარი ინტერესების დასაცავად.
2. დაუშვებელია რაიმე შეზღუდვის დაწესება ამ უფლებათა განხორციელებაზე, გარდა ისეთი შემთხვევისა, რომელიც გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, უწესრიგობის ან დანაშაულის აღსაკვეთად, ჯანმრთელობისა თუ მორალის ან სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად. ეს მუხლი ხელს არ უშლის სახელმწიფოს, დააწესოს კანონიერი შეზღუდვები ამ უფლებათა განხორციელებაზე შეიარაღებული ძალების, პოლიციის ან სახელმწიფო ადმინისტრაციის წარმომადგენლების მიმართ.

## **მუხლი 12**

### **ქორწინების უფლება**

საქორწინო ასაკის მამაკაცსა და ქალს აქვთ ქორწინებისა და ოჯახის შექმნის უფლება, ეროვნული კანონების შესაბამისად, რომლებიც აწესრიგებენ ამ უფლების განხორციელებას.

## **მუხლი 13**

### **სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალების უფლება**

ყველას, ვისაც დაერღვა ამ კონვენციით გათვალისწინებული უფლებები და თავისუფლებები, უნდა ჰქონდეს სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალება ეროვნული ხელისუფლებისაგან, თუნდაც ეს დარღვევა ჩაიდინოს პირმა, რომელიც სამსახურებრივ უფლებამოსილებას ახორციელებდა.

## **მუხლი 14**

### **დისკრიმინაციის აკრძალვა**

ამ კონვენციით გათვალისწინებული უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობა უზრუნველყოფილია ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, განურჩევლად სქესის, რასის, კანის ფერის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებების, ეროვნული თუ სოციალური ნარმოშობის, ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილების, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადებისა თუ სხვა ნიშნისა.

## **მუხლი 15**

### **გადახვევა საგანგებო მდგომარეობის დროს**

1. ომის ან სხვა საგანგებო მდგომარეობის დროს, როცა საფრთხე ემუქრება ხალხის სიცოცხლეს, ნებისმიერ მაღალ ხელშემკვრელ მხარეს შეუძლია გაატაროს ღონისძიებები კონვენციით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან გადახვევის მიზნით, მხოლოდ იმ ზომით, რამდენადაც ამას მკაფიოდ მოითხოვს მდგომარეობის სიმწვევე და იმ პირობით, რომ ეს ღონისძიებები არ ენინააღმდეგება მხარის სხვა საერთაშორისოსამართლებრივ ვალდებულებებს.
2. დაუშვებელია ამ დებულების საფუძველზე გადახვევა მე-2 მუხლიდან, გარდა მართლზომიერი საომარი მოქმედებით გამოწვეული ადამიანთა დაღუპვის შემთხვევისა, აგრეთვე, გადახვევა მე-3, მე-4 (1-ლი პუნქტი) და მე-7 მუხლებიდან.
3. ებისმიერი მაღალი ხელშემკვრელი მხარე, რომელიც იყენებს გადახვევის უფლებას, ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს აწვდის სრულ ინფორმაციას მის მიერ გატარებული ღონისძიებებისა და მათი მიზეზების შესახებ. იგი აგრეთვე ატყობინებს

ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს ასეთ ღონისძიებათა შეწყვეტისა და კონვენციის დებულებათა ხელახლა სრულად ამოქმედების თარიღს.

### **მუხლი 16**

#### **უცხოელთა პოლიტიკური საქმიანობის შეზღუდვა**

მაღალი ხელშემკვრელი მხარეებისათვის მე-10, მე-11 და მე-14 მუხლებში არაფერი განიხილება ხელის შემშლელად, დაანესონ შეზღუდვა უცხოელთა პოლიტიკურ საქმიანობაზე.

### **მუხლი 17**

#### **უფლებათა ბოროტად გამოყენების აკრძალვა**

ამ კონვენციაში არაფერი შეიძლება განიმარტოს ისე, რომ გულისხმობდეს რომელიმე სახელმწიფოს, ჯგუფის ან პირის უფლებას, მონაწილეობდეს რაიმე საქმიანობაში ან განახორციელოს რაიმე ქმედება, რომელიც მიზნად ისახავს, არარად აქციოს კონვენციით განსაზღვრული რომელიმე უფლება თუ თავისუფლება, ან შეზღუდოს ის იმაზე მეტად, ვიდრე ეს კონვენციით არის გათვალისწინებული.

### **მუხლი 18**

#### **უფლებების შეზღუდვათა გამოყენების ფარგლები**

ხსენებულ უფლებათა და თავისუფლებათა კონვენციით დაშვებული შეზღუდვები გამოიყენება მხოლოდ და მხოლოდ მათთვის გათვალისწინებული მიზნებისათვის.

## თავი II

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

### მუხლი 19

#### სასამართლოს დაარსება

მაღალი ხელშემკვრელი მხარეების მიერ კონვენციითა და მისი ოქმებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების უზრუნველსაყოფად არსდება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, შემდგომში მოხსენიებული როგორც „სასამართლო“. სასა-მართლო მუდმივმოქმედი ორგანოა.

### მუხლი 20

#### მოსამართლეთა რაოდენობა

სასამართლოს მოსამართლეთა რაოდენობა მაღალ ხელშემკვრელ მხარეთა რაოდე-ნობის თ ანაბარია.

### მუხლი 21

#### კრიტერიუმები სამოსამართლო თანამდებობისათვის

1. მოსამართლეებს უნდა ახასიათებდეთ მაღალი ზნეობრივი თვისებები და, ან უნდა ფლობდნენ მაღალი სამოსამართლო თანამდებობის დასაკავებლად აუცილებელ კვალიფიკაციას, ან იყვნენ აღიარებული კომპეტენტურობის მქონე სამართალმ-ცოდნები.
2. მოსამართლეები სამოსამართლო საქმიანობას ახორციელებენ თავიანთი ინდივი-დუალური უფლებამოსილებით.
3. მოსამართლეები თავიანთი უფლებამოსილების ვადის განმავლობაში არ უნდა ეწეოდნენ ისეთ საქმიანობას, რომელიც შეუთავსებელია მათ დამოუკიდებლობას-თან, მიუკერძოებლობასთან ან სრულგანაკვეთანი სამსახურის მოთხოვნებთან; ამ პუნქტის გამოყენებასთან დაკავშირებით წამოჭრილ ყველა საკითხს წყვეტს სასა-მართლო.

### მუხლი 22

#### მოსამართლეთა არჩევა

1. თითოეული მაღალი ხელშემკვრელი მხარის მიერ წარდგენილი სამი კანდიდატისა-გან შემდგარი სიიდან მოსამართლეს ხმათა უმრავლესობით ირჩევს საპარლამენტო ასამბლეა.
2. იგივე პროცედურა გამოიყენება სასამართლოს შემადგენლობის შევსებისას კონვენ-

ციიასთან ახალი ხელშემკვრელი მხარეების შეერთების ან გაუთვალისწინებელი ვაკანსიების გაჩენის შემთხვევაში.

### მუხლი 23

#### უფლებამოსილების ვადა

1. მოსამართლეებს ირჩევენ ექვსი წლის ვადით. ისინი შეიძლება ხელახლა აირჩინენ, თუმცა პირველ არჩევნებზე არჩეულ მოსამართლეთა ნახევარს უფლებამოსილების ვადა ამონტურება სამი წლის შემდეგ.
2. იმ მოსამართლეებს, რომელთაც უფლებამოსილების ვადა თავდაპირველი სამი წლის შემდეგ ამონტურებათ, მათი არჩევისთანავე წილისყრის მეშვეობით განსაზღვრავს ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი.
3. იმისათვის, რათა შეძლებისდაგვარად უზრუნველყოფილ იქნეს ყოველ სამ წელიწადში მოსამართლეთა შემადგენლობის ნახევრის განახლება, საპარლამენტო ასამბლეას ყოველი მომდევნო საარჩევნო პროცედურის დაწყებამდე შეუძლია გადაწყვიტოს, რომ ერთი ან მეტი ასარჩევი მოსამართლის უფლებამოსილების ვადა ექვსი წლით კი არ განისაზღვროს, არამედ სხვა ვადით, მაგრამ არა უმეტეს ცხრა და არანაკლებ სამი წლისა.
4. იმ შემთხვევებში, როდესაც საკითხი შეეხება უფლებამოსილების ერთზე მეტ ვადას და საპარლამენტო ასამბლეა იყენებს წინა პუნქტს, თითოეული უფლებამოსილების ვადის სანგრძლივობას არჩევნების დამთავრებისთანავე წილისყრით განსაზღვრავს ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი.
5. იმ მოსამართლის თანამდებობას, რომლის უფლებამოსილების ვადა ამონტურული არ არის, იყავებს მის ნაცვლად არჩეული მოსამართლე წინამორბედის უფლებამოსილების დარჩენილი ვადით.
6. მოსამართლეთა უფლებამოსილების ვადა იწურება 70 წლის ასაკის მიღწევისთანავე.
7. თანამდებობაზე მოსამართლეები რჩებიან მათ შეცვლამდე, თუმცა, ისინი აგრძელებენ იმ საქმეთა განხილვას, რომლებიც მათ ჰქონდათ წარმოებაში უფლებამოსილების ვადის ამონტურვამდე.

### მუხლი 24

#### თანამდებობიდან გათავისუფლება

მოსამართლე არ შეიძლება გათავისუფლდეს თანამდებობიდან, თუ სხვა მოსამართლეები ხმების ორი მესამედის უმრავლესობით არ გადაწყვეტენ, რომ იგი აღარ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს.

## **მუხლი 25**

### **სამდივნო და იურისტი რეფერენტები**

სასამართლოს აქვს სამდივნო, რომლის ფუნქციები და ორგანიზაცია დადგენილია სასამართლოს რეგლამენტით. სასამართლოს თანაშემწეობას უწევენ იურისტი რეფერენტები.

## **მუხლი 26**

### **სასამართლოს პლენარული სხდომა**

პლენარულ სხდომაზე სასამართლო:

- ირჩევს სასამართლოს თავმჯდომარეს და თავმჯდომარის ერთ ან ორ მოადგილეს სამი წლის ვადით. ისინი შეიძლება ხელახლა აირჩინენ;
- ქმნის პალატებს, განსაზღვრული ვადით;
- ირჩევს სასამართლო პალატების თავმჯდომარეებს. ისინი შეიძლება ხელახლა აირჩინენ;
- იღებს სასამართლოს რეგლამენტს, და
- ირჩევს სამდივნოს უფროსს და მის ერთ ან ორ მოადგილეს.

## **მუხლი 27**

### **კომიტეტები, პალატები და დიდი პალატა**

- სასამართლოში წარდგენილ საქმეებს განიხილავენ კომიტეტები სამი მოსამართლის შემადგენლობით, პალატები შვიდი და დიდი პალატა ჩვიდმეტი მოსამართლის შემადგენლობით. სასამართლოს პალატები ქმნიან კომიტეტებს განსაზღვრული ვადით.
- მოსამართლე, რომელიც არჩეულია შესაბამისი მონაწილე სახელმწიფოდან, მონაწილეობს პალატისა და დიდი პალატის სხდომებში, როგორც ეს ოფციონი წევრი, ან თუ ასეთი მოსამართლე არ არის, ან ვერ მონაწილეობს მოცემული საქმის განხილვაში, მის უფლებამოსილებას ახორციელებს ამ სახელმწიფოს მიერ შერჩეული პირი.
- დიდ პალატას აგრეთვე შეადგენენ: სასამართლოს თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილეები, პალატების თავმჯდომარეები და სასამართლოს რეგლამენტის შესაბამისად შერჩეული სხვა მოსამართლეები. როდესაც საქმე განსახილველად გადაეცემა დიდ პალატას 43-ე მუხლის საფუძველზე, დიდი პალატის სხდომაში მონაწილეობას ვერ მიიღებს გადაწყვეტილების გამომტანი ვერც ერთი მოსამართლე, გარდა პალატის თავმჯდომარისა და მოსამართლისა იმ სახელმწიფოდან, რომელიც მხარეა მოცემულ საქმეში.

## **მუხლი 28**

### **განაცხადის დაუშვებლად გამოცხადება კომიტეტების მიერ**

კომიტეტს შეუძლია, ერთსულოვანი გადაწყვეტილებით, გამოაცხადოს დაუშვებლად ან ამორიცხოს განსახილველ საქმეთა ნუსხიდან 34-ე მუხლის შესაბამისად წარდგენილი ინდივიდუალური განაცხადი, თუ განჩინების მიღება შესაძლებელია საქმის შემდგომი განხილვის გარეშე. ასეთი განჩინება საბოლოოა.

## **მუხლი 29**

### **პალატების გადაწყვეტილებები განაცხადის დასაშვებობისა და არსებითი მხარის შესახებ**

1. თუ განჩინება არ არის მიღებული 28-ე მუხლის საფუძველზე, პალატა იღებს გადაწყვეტილებას 34-ე მუხლის თანახმად წარდგენილ ინდივიდუალურ განაცხადთა დასაშვებობისა და არსებითი მხარის შესახებ.
2. პალატა იღებს განჩინებას 33-ე მუხლის თანახმად წარდგენილ სახელმწიფოთაშორის განაცხადთა დასაშვებობისა და არსებითი მხარის შესახებ.
3. განჩინება დასაშვებობის შესახებ მიიღება ცალკე, თუ, გამონაკლის შემთხვევებში, სასამართლო სხვაგვარად არ გადაწყვეტს.

## **მუხლი 30**

### **იურისდიქციის გადაცემა დიდი პალატისათვის**

თუ პალატაში განსახილველი საქმე წამოჭრის კონვენციის ან მისი ოქმების განმარტებისათვის სერიოზულ საკითხს, ან თუ პალატის მიერ საკითხის გადაწყვეტას შეიძლება მოჰყვეს სასამართლოს მიერ მანამდე მიღებულ გადაწყვეტილებასთან შეუთავსებელი შედეგი, პალატას უფლება აქვს, გადაწყვეტილების გამოტანამდე ნებისმიერ დროს თავისი იურისდიქცია გადასცეს დიდ პალატას, თუ საქმის არც ერთი მხარე ამის წინააღმდეგი არ არის.

## **მუხლი 31**

### **დიდი პალატის უფლებამოსილება**

**დიდი პალატა:**

- a. განიხილავს 33-ე ან 34-ე მუხლის შესაბამისად წარდგენილ განაცხადებს, როდე-საც მას თავისი იურისდიქცია გადასცა პალატამ 30-ე მუხლის შესაბამისად, ან, როდესაც განაცხადი მას გადაეცემა 43-ე მუხლის საფუძველზე; და
- b. განიხილავს 47-ე მუხლის შესაბამისად წარდგენილ თხოვნებს საკონსულტაციო დასკვნების შესახებ.

## **მუხლი 32**

### **სასამართლოს იურისდიქცია**

1. სასამართლოს იურისდიქცია ვრცელდება კონვენციისა და მისი ოქმების განმარტებასა და გამოყენებასთან დაკავშირებულ ყველა საკითხზე, რომლებოც მას გადაეცემა, როგორც ეს გათვალისწინებულია 33-ე, 34-ე და 47-ე მუხლებით.
2. სასამართლო იურისდიქციასთან დაკავშირებულ ყოველგვარ სადავო საკითხს თავად სასამართლო წყვეტს.

## **მუხლი 33**

### **სახელმწიფოთაშორისი საქმეები**

ყოველ მაღალ ხელშემკვრელ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს მაღალი ხელშემკვრელი სხვა მხარის მიერ კონვენციისა და მისი ოქმების ნებისმიერი სავარაუდო დარღვევის შესახებ.

## **მუხლი 34**

### **ინდივიდუალური განაცხადი**

სასამართლოს შეუძლია მიიღოს განაცხადები ნებისმიერი ფიზიკური პირისაგან, არასამთავრობო ორგანიზაციისაგან ან ცალკეულ პირთა ჯგუფისაგან, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ისინი არიან ერთ-ერთი მაღალი ხელშემკვრელი მხარის მიერ კონვენციით ან მისი ოქმებით გათვალისწინებული უფლებების დარღვევის მსხვერპლნი. მაღალი ხელშემკვრელი მხარეები კისრულობენ ვალდებულებას, არაფრით შეუშალონ ხელი ამ უფლების ეფექტიან განხორციელებას.

## **მუხლი 35**

### **დასაშვებობის წინაპირობები**

1. სასამართლოს შეუძლია საქმე მიიღოს განსახილველად მხოლოდ მას შემდეგ, რაც ამონიურება სამართლებრივი დაცვის ყველა შიდასახელმწიფოებრივი საშუალება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ნორმების თანახმად, და თუ გასული არ არის ექვსი თვე, საქმეზე შიდასახელმწიფოებრივი საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანის თარიღიდან.
2. სასამართლო არ განიხილავს 34-ე მუხლის შესაბამისად წარდგენილ არც ერთ განაცხადს, რომელიც:
  - a. ანონიმურია; ან
  - b. არსებითად იგივეა და სასამართლოს მიერ უკვე განხილულია, ან გადაეცა საერთაშორისო გამოძიების ან მოგარების სხვა ინსტანციას და არ შეიცავს შესატყ-

ვის ახალ ინფორმაციას.

3. სასამართლო დაუშვებლად აცხადებს 34-ე მუხლის შესაბამისად წარდგენილ ინდივიდუალურ განაცხადს, რომელსაც მიიჩნევს შეუთავსებლად კონვენციასა და მისი ოქმების დებულებებთან, აშკარად დაუსაბუთებლად, ან სასამართლოსათვის მიმართვის უფლების ბოროტად გამოყენებად.
4. სასამართლო უკუაგდებს ნებისმიერ განაცხადს, რომელსაც იგი მიიჩნევს დაუშვებლად ამ მუხლის საფუძველზე. ამის უფლება მას აქვს სამართალწარმოების ნებისმიერ სტადიაზე.

### **მუხლი 36**

#### **შესამე მხარის ჩართვა**

1. პალატის ან დიდი პალატის განსახილველ ყველა საქმეზე მაღალ ხელშემკვრელ მხარეს, რომლის ერთ-ერთი მოქალაქეც არის განმცხადებელი, უფლება აქვს, წარადგინოს წერილობითი კომენტარები და მონაწილეობა მიიღოს საქმის მოსმენებში.
2. მართლმსაჯულების ჯეროვნად განხორციელების ინტერესებიდან გამომდინარე, სასამართლოს თავმჯდომარეს შეუძლია მოიწვიოს ნებისმიერი მაღალი ხელშემკვრელი მხარე, რომელიც არ არის პროცესის მონაწილე ან ნებისმიერი დაინტერესებული პირი, რომელიც არ არის განმცხადებელი, წერილობითი კომენტარების წარსადგენად ან საქმის მოსმენებში მონაწილეობის მისაღებად.

### **მუხლი 37**

#### **განაცხადის ამორიცხვა**

1. სამართალწარმოების ნებისმიერ სტადიაზე სასამართლოს შეუძლია გადაწყვიტოს, ამორიცხოს განაცხადი საქმეთა ნუსხიდან, თუ გარემოებებზე დაყრდნობით ის დაასკვინის, რომ:
  - a. განმცხადებელს აღარ აქვს განზრახული, ბოლომდე მისდიოს თავის განაცხადს;
  - b. დავა გადაწყდა; ან
  - c. სასამართლოს მიერ დადგენილი ნებისმიერი სხვა მიზეზით განაცხადის განხილვის გაგრძელება აღარ არის გამართლებული.თუმცა სასამართლო განაგრძობს განაცხადის განხილვას, თუ კონვენციითა და მისი ოქმებით განსაზღვრული ადამიანის უფლებათა პატივისცემა ამას მოითხოვს.
2. სასამართლოს შეუძლია გადაწყვიტოს, აღადგინოს განაცხადი საქმეთა ნუსხაში, თუ იგი ჩათვლის, რომ გარემოებებიდან გამომდინარე ამგვარი ქმედება გამართლებულია.

## **მუხლი 38**

### **საქმის განხილვა და მორიგების პროცედურა**

1. თუ სასამართლო აცხადებს განაცხადს დაშვებულად, ის:
  - a. განაგრძობს საქმის განხილვას მხარეთა წარმომადგენლებთან ერთად და, საჭიროების შემთხვევაში, აწარმოებს გამოძიებას, რომლის ეფექტიანად წარმართვისათვის შესაბამისი სახელმწიფოები მას უზრუნველყოფენ ყველა აუცილებელი საშუალებით;
  - b. სთავაზობს დაინტერესებულ მხარეებს თავის სამსახურს საქმეზე მორიგების მისაღწევად კონვენციასა და მის ოქმებში განსაზღვრულ ადამიანის უფლებათა პატივისცემის საფუძველზე.
2. 1-ლი პუნქტის (b) ქვეპუნქტის შესაბამისად წარმართული პროცედურა კონფიდენციალურია.

## **მუხლი 39**

### **მორიგების მიღწევა**

თუ მიღწეულია მორიგება, სასამართლო საქმეს ამორიცხავს საქმეთა ნუსხიდან შესაბამისი განჩინებით, რომელიც ფაქტებისა და მიღწეული შეთანხმების მოკლედ გადმოცემით შემოიფარგლება.

## **მუხლი 40**

### **ლია სასამართლო მოსმენა და დოკუმენტების ხელმისაწვდომობა**

1. სასამართლო მოსმენები ლია, თუ გამონაკლის შემთხვევაში სასამართლომ სხვა რამ არ გადაწყვიტა.
2. სამდივნოს უფროსთან შენახული დოკუმენტები ხელმისაწვდომია საზოგადოებისათვის, თუ სასამართლოს თავმჯდომარემ სხვა რამ არ გადაწყვიტა.

## **მუხლი 41**

### **სამართლიანი დაკმაყოფილება**

თუ სასამართლო დაადგენს, რომ დაირღვა კონვენცია და მისი ოქმები, ხოლო შესაბამისი მაღალი ხელშემკვრელი მხარის შიდასახელმწიფოებრივი სამართლი დარღვევის მხოლოდ ნაწილობრივი გამოსწორების შესაძლებლობას იძლევა, საჭიროების შემთხვევაში, სასამართლო დაზარალებულ მხარეს სამართლიან დაკმაყოფილებას მიაკუთვნებს.

## **მუხლი 42**

### **პალატების გადაწყვეტილებები**

პალატების გადაწყვეტილებები საბოლოო ხდება 44-ე მუხლის მე-2 პუნქტის დებულებების შესაბამისად.

## **მუხლი 43**

### **დიდი პალატისათვის საქმის გადაცემა**

1. პალატის გადაწყვეტილების გამოტანის დღიდან სამი თვის ვადაში საქმის მონაწილე ნებისმიერ მხარეს, გამონაკლის შემთხვევებში, შეუძლია ითხოვოს საქმის დიდი პალატისათვის გადაცემა.
2. დიდი პალატის კოლეგია ხუთი მოსამართლის შემადგენლობით აკმაყოფილებს ამ თხოვნას, თუ საქმე წამოჭრის კონვენციის ან მისი ოქმების განმარტების ან გამოყენებისათვის სერიოზულ საკითხს, ან — ზოგადი მნიშვნელობის სხვა სერიოზულ საკითხს.
3. თუ კოლეგია აკმაყოფილებს თხოვნას, დიდი პალატა საქმეს გადაწყვეტს გადაწყვეტილების გამოტანით.

## **მუხლი 44**

### **საბოლოო გადაწყვეტილება**

1. დიდი პალატის გადაწყვეტილება საბოლოოა.
2. პალატის გადაწყვეტილება საბოლოო ხდება:
  - a. როდესაც მხარეები აცხადებენ, რომ ისინი არ ითხოვენ საქმის გადაცემას დიდი პალატისათვის; ან
  - b. პალატის გადაწყვეტილების გამოტანიდან სამი თვის შემდეგ, თუ დიდ პალატაში საქმის გადაცემის თხოვნა არ წარდგენილა; ან
  - c. როდესაც დიდი პალატის კოლეგია უარს აცხადებს 43-ე მუხლის საფუძველზე წარდგენილი გადაცემის თხოვნის დაკმაყოფილებაზე.
3. საბოლოო გადაწყვეტილება ქვეყნდება.

## **მუხლი 45**

### **გადაწყვეტილებისა და განჩინების დასაბუთება**

1. სასამართლოს გადაწყვეტილება, აგრეთვე განჩინება, რომელიც განაცხადს დაშვებულია ან დაუშვებლად აცხადებს, უნდა იყოს დასაბუთებული.
2. თუ გადაწყვეტილება მთლიანად ან ნაწილობრივ არ გამოხატავს მოსამართლეთა ერთსულოვან აზრს, ნებისმიერი მოსამართლე უფლებამოსილია, მას დაურთოს

განსაკუთრებული აზრი.

### **მუხლი 46**

#### **გადაწყვეტილების სავალდებულო ძალა და აღსრულება**

1. მაღალი ხელშემკვრელი მხარეები კისრულობენ ვალდებულებას, დაემორჩილონ სა-სამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებას ნებისმიერ საქმეზე, რომლის მხარეებიც ისინი არიან.
2. სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილება გადაეცემა მინისტრთა კომიტეტს, რო-მელიც ზედამხედველობს მის აღსრულებას.

### **მუხლი 47**

#### **საკონსულტაციო დასკვნები**

1. მინისტრთა კომიტეტის თხოვნით, სასამართლოს შეუძლია გასცეს საკონსულტა-ციონ დასკვნები სამართლებრივ საკითხებზე, რომლებიც ეხება კონვენციისა და მისი ოქმების განმარტებას.
2. ამგვარი დასკვნები არ უნდა ეხებოდეს კონვენციის I თავითა და მისი ოქმებით განსაზღვრულ უფლებათა და თავისუფლებათა შინაარსთან ან ფარგლებთან დაკა-ვშირებულ არც ერთ საკითხს, ან სხვა ისეთ საკითხს, რომელიც სასამართლოს ან მინისტრთა კომიტეტს, შესაძლოა, უნდა განეხილა ნებისმიერი ისეთი სამართა-ლწარმოების შედეგად, რომელიც შეიძლებოდა აღძრულიყო კონვენციის შესაბა-მისად.
3. მინისტრთა კომიტეტის გადაწყვეტილება სასამართლოსათვის საკონსულტაციო დასკვნის თხოვნის შესახებ მიიღება კომიტეტში დასწრების უფლების მქონე წარ-მომადგენელთა ხმების უმრავლესობით.

### **მუხლი 48**

#### **სასამართლოს საკონსულტაციო იურისდიქცია**

სასამართლოს გადასაწყვეტია, განეკუთვნება თუ არა სასამართლოს კომპეტენ-ციას მინისტრთა კომიტეტის მიერ წარდგენილი თხოვნა საკონსულტაციო დასკვნის შესახებ, როგორც ეს განსაზღვრულია 47-ე მუხლით.

### **მუხლი 49**

#### **საკონსულტაციო დასკვნების დასაბუთება**

1. სასამართლოს საკონსულტაციო დასკვნები უნდა იყოს დასაბუთებული.
2. თუ საკონსულტაციო დასკვნა მთლიანად ან ნაწილობრივ არ გამოხატავს მოსა-

მართლეთა ერთსულოვან აზრს, ნებისმიერი მოსამართლე უფლებამოსილია, მას დაურთოს განსაკუთრებული აზრი.

3. სასამართლოს საკონსულტაციო დასკვნები გადაეცემა მინისტრთა კომიტეტს.

### **მუხლი 50 სასამართლოს შენახვის ხარჯები**

სასამართლოს შენახვის ხარჯებს გაიღებს ევროპის საბჭო.

### **მუხლი 51 მოსამართლეთა პრივილეგიები და იმუნიტეტი**

თავიანთი ფუნქციების განხორციელებისას მოსამართლეები სარგებლობენ პრივილეგიებითა და იმუნიტეტით, რომლებიც გათვალისწინებულია ევროპის საბჭოს წესდების მე-40 მუხლითა და მის საფუძველზე დადებული შეთანხმებებით.

## **თავი III**

### **სხვადასხვა დებულება**

### **მუხლი 52 გენერალური მდივნის მოთხოვნები**

ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის მოთხოვნით, ყოველი მაღალი ხელშემკვრელი მხარე წარმოადგენს განმარტებას, თუ რა გზით უზრუნველყოფს მისი შიდასახელმწიფოებრივი სამართალი კონვენციის ნებისმიერი დებულების ეფექტიან განხორციელებას.

### **მუხლი 53**

### **ადამიანის აღიარებულ უფლებათა უზრუნველყოფა**

ამ კონვენციის არც ერთი დებულება არ უნდა განიმარტოს ისე, რომ მან შეზღუდოს ან ხელყოს ადამიანის ნებისმიერი უფლება და ძირითადი თავისუფლება, რომელთა უზრუნველყოფა შეიძლება ნებისმიერი მაღალი ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობით ან რომელიმე სხვა შეთანხმებით, რომლის მონაწილეც ის არის.

### **მუხლი 54**

### **მინისტრთა კომიტეტის უფლებამოსილება**

ამ კონვენციის არც ერთი დებულება არ ხელყოფს მინისტრთა კომიტეტისათვის ევროპის საბჭოს წესდებით მინიჭებულ უფლებამოსილებას.

### **მუხლი 55**

### **დავების მოგვარების სხვა საშუალებათა უარყოფა**

თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული სპეციალური შეთანხმებით, მაღალი

ხელშემკვრელი მხარეები თანხმდებიან, რომ ისინი არ ისარგებლებენ მათ შორის მოქმედი ხელშეკრულებებით, კონვენციებითა და დეკლარაციებით, რათა ამ კონვენციის განმარტებასთან ან გამოყენებასთან დაკავშირებული დავა, საჩივრის წარდგენის გზით, განსახილველად დაუქვემდებარონ მოგვარების სხვა საშუალებებს, გარდა ამ კონვენციით გათვალისწინებულისა.

## მუხლი 56

### ტერიტორიული გამოყენება

1. კონვენციის რატიფიცირებისას ან შემდგომში, ნებისმიერ დროს, ევროპის საბჭოს გენერალური მდივნისადმი შეტყობინების მეშვეობით, ყოველ სახელმწიფოს შეუძლია განაცხადოს, რომ წინამდებარე კონვენცია, ამ მუხლის მე-4 პუნქტის გათვალისწინებით, ვრცელდება მის ყველა ან რომელიმე ტერიტორიაზე, რომლის საერთაშორისო ურთიერთობებზეც ის არის პასუხისმგებელი.
2. შეტყობინებაში მითითებულ ტერიტორიაზე ან ტერიტორიებზე კონვენცია გავრცელდება ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის მიერ ამ შეტყობინების მიღების შემდეგ ოცდამეათე დღიდან.
3. თუმცა ასეთ ტერიტორიებზე კონვენციის დებულებათა გამოყენება მოხდება ადგილობრივი მოთხოვნების სათანადოდ გათვალისწინებით.
4. ყოველ სახელმწიფოს, რომელმაც განცხადება გააკეთა ამ მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, შემდგომში, ნებისმიერ დროს, განცხადებაში მითითებული ერთი ან რამდენიმე ტერიტორიის მიმართ შეუძლია განაცხადოს, რომ ის აღიარებს სასამართლოს უფლებამოსილებას, მიიღოს განაცხადები ფიზიკური პირებისაგან, არასამთავრობო ორგანიზაციების თუ ცალკეულ პირთა ჯგუფებისაგან, როგორც ეს გათვალისწინებულია კონვენციის 34-ე მუხლით.

## მუხლი 57

### დათქმები

1. ამ კონვენციის ხელმოწერის ან რატიფიცირების სიგელის დეპონირებისას, ნებისმიერ სახელმწიფოს შეუძლია გააკეთოს დათქმა კონვენციის რომელიმე კონკრეტული დებულების მიმართ, თუ მის ტერიტორიაზე ამ დროს მოქმედი რომელიმე კანონი არ შეესაბამება ამ დებულებას. ზოგადი ხასიათის დათქმები ამ მუხლით დაუშვებელია.
2. ამ მუხლის საფუძველზე გაკეთებული ნებისმიერი დათქმა უნდა შეიცავდეს შესაბამისი კანონის მოკლედ გადმოცემას.

## მუხლი 58

### დენონსირება

1. მაღალ ხელშემკვრელ მხარეს შეუძლია მოახდინოს ამ კონვენციის დენონსირება მის მიმართ კონვენციის ძალაში შესვლის დღიდან მხოლოდ ხუთი წლის გასვლის შემდეგ და ევროპის საბჭოს გენერალური მდივნისათვის შეტყობინების გაგზავნიდან ექვსი თვის გასვლის შემდეგ. ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი აცნობებს ამის შესახებ სხვა მაღალ ხელშემკვრელ მხარეებს.
2. დენონსირება არ ათავისუფლებს შესაპამის მაღალ ხელშემკვრელ მხარეს ამ კონვენციით ნაკისრი ვალდებულებებისაგან ისეთი ქმედებისათვის, რომელიც იწვევს ამ ვალდებულებათა შესაძლო დარღვევას და რომელიც შეიძლებოდა მას ჩაედინა დენონსირების ძალაში შესვლამდე.
3. ნებისმიერი მაღალი ხელშემკვრელი მხარე, რომელიც წყვეტს ევროპის საბჭოს წევრობას, იმავე პირობების თანახმად, ვერც კონვენციის მონაწილე მხარე იქნება.
4. კონვენციის დენონსირება შეიძლება მოხდეს წინა პუნქტების დებულებათა შესაბამისად ნებისმიერი ტერიტორიის მიმართ, რომელზეც მისი მოქმედების გავრცელება გამოცხადდა 56-ე მუხლის საფუძველზე.

## მუხლი 59

### ხელმოწერა და რატიფიცირება

1. ეს კონვენცია ღიაა ხელმოსაწერად ევროპის საბჭოს წევრებისათვის. ის ექვემდებარება რატიფიცირებას. რატიფიცირების სიგელების დეპონირება ხდება ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანთან.
2. წინამდებარე კონვენცია ძალაში შედის რატიფიცირების ათი სიგელის დეპონირების შემდეგ.
3. რაც შეეხება იმ ხელმოწერ სახელმწიფოს, რომელიც შემდგომში მოახდენს კონვენციის რატიფიცირებას, კონვენცია მისთვის ძალაში შედის რატიფიცირების სიგელის დეპონირების დღიდან.
4. ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი ატყობინებს ევროპის საბჭოს ყველა წევრს კონვენციის ძალაში შესვლის შესახებ, იმ მაღალ ხელშემკვრელ მხარეთა თაობაზე, რომელთაც მოახდინეს მისი რატიფიცირება და რატიფიცირების ყველა სიგელის დეპონირების შესახებ, რაც შეიძლება განხორციელდეს შემდგომში. შესრულებულია რომში 1950 წლის 4 ნოემბერს, ინგლისურ და ფრანგულ ენებზე, თანაბრად აუთენტურ ტექსტებად, ერთადერთ ეგზემპლარად, რომელიც დაცულია ევროპის საბჭოს არქივში. გენერალური მდივანი უგზავნის დამოწმებულ ასლებს თითოეულ ხელმომწერს.

**ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის  
კონვენციის დამატებითი ოქმი  
პარიზი, 1952 წლის 20 მარტი**

ქვემოთ ხელმომწერი მთავრობები, რომლებიც არიან  
ევროპის საბჭოს წევრები, შემართულნი არიან, გადადგან ნაბიჯები იმ გარკვეულ  
უფლებათა და თავისუფლებათა კოლექტიური განხორციელების უზრუნველსაყოფად,  
რომელთაც არ მოიცავს რომში 1950 წლის 4 ნოემბერს ხელმოწერილი ადამიანის  
უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის (შემდგომში მოხსენიე-  
ბულია როგორც „კონვენცია“) | თავი და  
თანხმდებიან შემდეგზე:

### მუხლი 1

#### **საკუთრების დაცვა**

ყოველ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს აქვს თავისი საკუთრებით შეუფერხებელი  
სარგებლობის უფლება. მხოლოდ საზოგადოებრივი საჭიროებისათვის შეიძლება ჩა-  
მოერთვას ვინმეს თავისი საკუთრება კანონითა და საერთაშორისო სამართლის ზო-  
გადი პრინციპებით გათვალისწინებულ პირობებში. ამასთან, წინარე დებულებები  
არანაირად არ აკნინებს სახელმწიფოს უფლებას, გამოიყენოს ისეთი კანონები, რო-  
მელთაც ის აუცილებლად მიიჩნევს საერთო ინტერესების შესაბამისად საკუთრებით  
სარგებლობის კონტროლისათვის, ან გადასახადებისა თუ მოსაკრებლის ან ჯარიმების  
გადახდის უზრუნველსაყოფად.

### მუხლი 2

#### **განათლების უფლება**

არავის შეიძლება ეთქვას უარი განათლების უფლებაზე. ნებისმიერი ფუნქციის გან-  
ხორციელებისას, რომელსაც სახელმწიფო კისრულობს განათლებასა და სწავლებას-  
თან დაკავშირებით, ის პატივს სცემს მშობელთა უფლებას, უზრუნველყონ თავიანთი  
რელიგიური და ფილოსოფიური მრწამსის შესაბამისი განათლება და სწავლება.

### მუხლი 3

#### **თავისუფალი არჩევნების უფლება**

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები კისრულობენ ვალდებულებას, გონივრული პე-  
რიოდულობით ჩაატარონ თავისუფალი არჩევნები ფარული კენჭისყრით ისეთ პირო-

ბეჭმი, რომელიც საკანონმდებლო ორგანოების არჩევისას უზრუნველყოფს ხალხის ნებასურვილის თავისუფალ გამოხატვას.

### **მუხლი 4 ტერიტორიული გამოყენება**

ოქმის ხელმოწერისას თუ რატიფიცირებისას, ან შემდგომში, ნებისმიერ დროს, ყოველ მაღალ ხელშემკვრელ მხარეს შეუძლია, განცხადება გაუგზავნოს ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს იმის შესახებ, თუ რა ფარგლებში კისრულობს ის ამ ოქმის დებულებების გავრცელებას განცხადებაში მითითებულ იმ ტერიტორიებზე, რომელთა საერთაშორისო ურთიერთობებზეც არის პასუხისმგებელი. ყოველ მაღალ ხელშემკვრელ მხარეს, რომელმაც გააგზავნა განცხადება წინა პუნქტის შესაბამისად, შეუძლია, დროგამოშვებით გააგზავნოს შემდეგი განცხადება რომელიმე წინა განცხადებაში მითითებულ პირობებში შესწორებების შეტანის ან ნებისმიერი ტერიტორიის მიმართ ამ ოქმის დებულებათა გამოყენების შეწყვეტის შესახებ.

ამ მუხლის შესაბამისად გაკეთებული განცხადება განიხილება როგორც კონვენციის 56-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად წარდგენილი განცხადება.

### **მუხლი 5**

#### **კონვენციასთან მიმართება**

მაღალ ხელშემკვრელ მხარეებს შორის ამ ოქმის 1-ლი, მე-2, მე-3 და მე-4 მუხლების დებულებები განიხილება როგორც კონვენციის დამატებითი მუხლები და კონვენციის ყველა დებულება გამოიყენება შესაბამისად.

### **მუხლი 6**

#### **ხელმოწერა და რატიფიცირება**

ეს ოქმი ლიაა ხელმოსაწერად ევროპის საბჭოს წევრებისათვის, რომლებიც არიან კონვენციის ხელმომწერნი. მისი რატიფიცირება მოხდება კონვენციის რატიფიცირებასთან ერთად ან მის შემდეგ. ოქმი ძალაში შედის რატიფიცირების ათი სიგელის დეპონირების შემდეგ. იმ ხელმომწერი სახელმწიფოსათვის, რომელიც შემდგომში მოახდენს კონვენციის რატიფიცირებას, ოქმი ძალაში შედის რატიფიცირების სიგელის დეპონირების დღიდან.

რატიფიცირების სიგელების დეპონირება ხდება ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანთან, რომელიც ატყობინებს ყველა წევრს იმ მაღალ ხელშემკვრელ მხარეთა თაობაზე, რომელთაც მოახდინეს ოქმის რატიფიცირება. შესრულებულია პარიზში 1952 წლის 20 მარტს, ინგლისურ და ფრანგულ ენებზე, თანაბრად აუთენტურ ტექსტებად, ერთადერთ ეგზემპლარად, რომელიც დაცულია ევროპის საბჭოს არქივში. გენერალური მდივანი უგზავნის დამოწმებულ ასლებს თითოეულ ხელმომწერ მთავრობას.

## **ადამიანის უფლებათა დაძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის ოქმი №4**

იმ უფლებათა და თავისუფლებათა უზრუნველყოფის შესახებ, რომლებსაც არ მოიცავს კონვენცია და მისი პირველი დამატებითი ოქმი

### **სტრასბურგი, 1963 წლის 16 სექტემბერი**

ქვემოთ ხელმომწერი მთავრობები, რომლებიც არიან ევროპის საბჭოს წევრები, შემართულნი არიან, გადადგან ნაბიჯები იმ გარკვეულ უფლებათა და თავისუფლებათა კოლექტიური განხორციელების უზრუნველსაყოფად, რომელთაც არ მოიცავს რომში 1950 წლის 4 ნოემბერს ხელმოწერილი ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის (შემდგომში მოხსენიებულია როგორც „კონვენცია“) | თავი და 1952 წლის 20 მარტს პარიზში ხელმოწერილი პირველი დამატებითი ოქმის 1-ლი — მე-3 მუხლები და

თანხმდებიან შემდეგზე:

### **მუხლი 1**

#### **ვალაუვალობის გამო თავისუფლების აღკვეთის აკრძალვა**

არავის შეიძლება აღეკვეთოს თავისუფლება მხოლოდ იმის გამო, რომ არ შესწევს უნარი, შეასრულოს სახელშეკრულებო ვალდებულება.

### **მუხლი 2**

#### **მიმოსვლის თავისუფლება**

1. ყველას, ვინც კანონიერად იმყოფება სახელმწიფოს ტერიტორიაზე, აქვს უფლება ამ ტერიტორიის ფარგლებში თავისუფალი მიმოსვლისა და საცხოვრებელი ადგილის არჩევის თავისუფლებისა.
2. ყველა თავისუფალია, დატოვოს ნებისმიერი, მათ შორის საკუთარი, ქვეყანა.
3. დაუშვებელია ამ უფლებათა განხორციელებაზე რაიმე შეზღუდვის დაწესება, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ასეთი ჩარევა ხორციელდება კანონის შესაბამისად და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, საზოგადოებრივი წესრიგის შესანარჩუნებლად, დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, ჯანმრთელობის ან მორალის თუ სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად.
4. 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული უფლებები გარკვეულ რაიონებში ასევე შეიძლება დაექვემდებაროს შეზღუდვებს, რომლებიც დაწესებულია კანონის შესაბამისად და გამართლებულია დემოკრატიულ საზოგადოებაში საჯარო ინტერესებით.

### **მუხლი 3**

#### **მოქალაქეთა გაძევების აკრძალვა**

1. არავინ შეიძლება გააძვონ ინდივიდუალური თუ კოლექტიური ღონისძიების გამოყენებით იმ სახელმწიფოს ტერიტორიიდან, რომლის მოქალაქეც ის არის.
1. არავის შეიძლება ჩამოერთვას იმ სახელმწიფოს ტერიტორიაზე შესვლის უფლება, რომლის მოქალაქეც ის არის.

### **მუხლი 4**

#### **უცხოელთა კოლექტიური გაძევების აკრძალვა**

უცხოელთა კოლექტიური გაძევება აკრძალულია.

### **მუხლი 5**

#### **ტერიტორიული გამოყენება**

1. ოქმის ხელმოწერისას თუ რატიფიცირებისას, ან შემდგომში, ნებისმიერ დროს, ყოველ მაღალ ხელშემკვრელ მხარეს შეუძლია, განცხადება გაუგზავნოს ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს იმის შესახებ, თუ რა ფარგლებში კისრულობს ის ამ ოქმის დებულებების გავრცელებას განცხადებაში მითითებულ იმ ტერიტორიებზე, რომელთა საერთაშორისო ურთიერთობებზეც არის პასუხისმგებელი.
2. ყოველ მაღალ ხელშემკვრელ მხარეს, რომელმაც წარადგინა განცხადება წინა პუნქტის შესაბამისად, შეუძლია, დროგამოშვებით გააგზავნოს შემდეგი განცხადება რომელიმე წინა განცხადებაში მითითებულ პირობებში შესწორებების შეტანის ან ნებისმიერი ტერიტორიის მიმართ ამ ოქმის დებულებათა გამოყენების შეწყვეტის შესახებ.
3. ამ მუხლის შესაბამისად გაკეთებული განცხადება განიხილება როგორც კონვენციის 56-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად წარდგენილი განცხადება.
4. ყოველი სახელმწიფოს ტერიტორია, რომლის მიმართ ეს ოქმი ვრცელდება ამ სახელმწიფოს მიერ რატიფიცირების ან მიღების საფუძველზე და ის ტერიტორია, რომლის მიმართაც ეს ოქმი გამოიყენება სახელმწიფოს მიერ ამ მუხლის შესაბამისად გაკეთებული განცხადების ძალით, განიხილება ცალკე ტერიტორიებად, სახელმწიფოს ტერიტორიის მე-2 და მე-3 მუხლებში მოცემული განმარტებისათვის.
5. ნებისმიერ სახელმწიფოს, რომელმაც განცხადება გააკეთა ამ მუხლის 1-ლი ან მე-2 პუნქტების შესაბამისად, შემდგომში, ნებისმიერ დროს, განცხადებაში მითითებული ერთი ან რამდენიმე ტერიტორიის მიმართ შეუძლია განაცხადოს, რომ ის აღიარებს სასამართლოს უფლებამოსილებას, მიღოს განაცხადები ფიზიკური პირებისაგან, არასამთავრობო ორგანიზაციებისა თუ ცალკეულ პირთა ჯგუფებისაგან ამ ოქმის

ყველა ან 1-ლ — მე-4 ნებისმიერ მუხლთან დაკავშირებით, როგორც ეს გათვალისწინებულია კონვენციის 34-ე მუხლით.

## მუხლი 6

### კონვენციასთან მიმართება

მაღალ ხელშემკვრელ მხარეებს შორის ამ ოქმის 1-ლი, მე-2, მე-3, მე-4 და მე-5 მუხლების დებულებები განიხილება როგორც კონვენციის დამატებითი მუხლები და კონვენციის ყველა დებულება გამოიყენება შესაბამისად.

## მუხლი 7

### ხელმოწერა და რატიფიცირება

1. ეს ოქმი ლიაა ხელმოსაწერად ევროპის საბჭოს წევრებისათვის, რომლებიც არიან კონვენციის ხელმომწერნი. მისი რატიფიცირება მოხდება კონვენციის რატიფიცირებასთან ერთად ან მის შემდეგ. ოქმი ძალაში შედის რატიფიცირების ათი სიგელის დეპონირების შემდეგ. იმ ხელმომწერი სახელმწიფოსათვის, რომელიც შემდგომში მოახდენს კონვენციის რატიფიცირებას, ოქმი ძალაში შედის რატიფიცირების სიგელის დეპონირების დღიდან.
  2. რატიფიცირების სიგელების დეპონირება ხდება ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანთან, რომელიც ატყობინებს ყველა წევრს იმ მაღალ ხელშემკვრელ მხარეთა თაობაზე, რომელთაც მოახდინეს ოქმის რატიფიცირება.
- ამის დასტურად ქვემოთ ხელმომწერებმა, რომლებიც აღჭურვილნი არიან სათანადო უფლებამოსილებით, ხელი მოაწერეს ამ ოქმს.
- შესრულებულია სტრასბურგში 1963 წლის 16 სექტემბერს, ინგლისურ და ფრანგულ ენებზე, თანაბრად აუთენტურ ტექსტებად, ერთადერთ ეგზემპლარად, რომელიც დაცულია ევროპის საბჭოს არქივში. გენერალური მდივანი უგზავნის დამოწმებულ ასლებს თითოეულ ხელმომწერ მთავრობას.

# **ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის ოქმი №6**

სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ

**სტრასბურგი, 1983 წლის 28 აპრილი**

1950 წლის 4 ნოემბერს რომში ხელმოწერილი ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის (შემდგომში მოხსენიებულია როგორც „კონვენცია“) ამ ოქმზე ხელმომწერი ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოები ითვალისწინებული ამ ევროპის საბჭოს წევრ რამდენიმე სახელმწიფოში განხორციელებული წინსვლა გამოხატავს სიკვდილით დასჯის გაუქმების საერთო ტენდენციას და თანხმდებიან შემდეგზე:

## **მუხლი 1**

### **სიკვდილით დასჯის გაუქმება**

სიკვდილით დასჯა გაუქმებულია. არ შეიძლება, ვინმეს შეეფარდოს სიკვდილით დასჯა ან ვინმეს მიმართ აღსრულდეს ასეთი განაჩენი.

## **მუხლი 2**

### **სიკვდილით დასჯა ომიანობის დროს**

სახელმწიფოს შეუძლია, თავის კანონმდებლობაში გაითვალისწინოს სიკვდილით დასჯა ომის ან ომის გარდაუვალი საფრთხის დროს ჩადენილი ქმედებებისათვის; ამგვარი სასჯელი გამოიყენება მხოლოდ კანონით დადგენილ შემთხვევებში და მისი დებულებების შესაბამისად. სახელმწიფო აცნობებს ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს ასეთი კანონის შესაბამისი დებულებების შესახებ.

## **მუხლი 3**

### **გადახვევის აკრძალვა**

დაუშვებელია კონვენციის მე-15 მუხლის საფუძველზე ამ ოქმის დებულებებიდან გადახვევა.

## **მუხლი 4**

### **დათქმების აკრძალვა**

დაუშვებელია კონვენციის 57-ე მუხლის საფუძველზე ამ ოქმის დებულებათა მიმართ დათქმების გაკეთება.

## **მუხლი 5**

### **ტერიტორიული გამოყენება**

1. ოქმის ხელმოწერის, მისი რატიფიცირების, მიღების ან დამტკიცების სიგელის დეპონირების დროს ნებისმიერ სახელმწიფოს შეუძლია განსაზღვროს ტერიტორია ან ტერიტორიები, რომლებზეც გავრცელდება ეს ოქმი.
2. ყოველ სახელმწიფოს მოგვიანებით, ნებისმიერ დროს, შეუძლია, ევროპის საბჭოს გენერალური მდივნისადმი გაგზავნილი განცხადებით, გაავრცელოს ამ ოქმის გამოყენება განცხადებაში განსაზღვრული ნებისმიერი სხვა ტერიტორიის მიმართ. ასეთი ტერიტორიების მიმართ ოქმი ძალაში შედის გენერალური მდივნის მიერ ამგვარი განცხადების მიღებიდან მომდევნო თვის პირველ დღეს.
3. წინა ორი პუნქტის შესაბამისად გაკეთებული ნებისმიერი განცხადება ამგვარ განცხადებაში განსაზღვრული ნებისმიერი ტერიტორიის მიმართ შეიძლება უკან იქნეს გატანილი გენერალური მდივნისადმი გაგზავნილი შეტყობინებით. განცხადების უკან გატანა ძალაში შედის გენერალური მდივნის მიერ ამგვარი შეტყობინების მიღების თარიღიდან მომდევნო თვის პირველ დღეს.

## **მუხლი 6**

### **კონვენციასთან მიმართება**

მაღალ ხელშემკვრელ მხარეებს შორის ამ ოქმის 1-ლი, მე-2, მე-3, მე-4 და მე-5 მუხლების დებულებები განიხილება როგორც კონვენციის დამატებითი მუხლები და კონვენციის ყველა დებულება გამოიყენება შესაბამისად.

## **მუხლი 7**

### **ხელმოწერა და რატიფიცირება**

წინამდებარე ოქმი ლიაა ხელმოსაწერად ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოებისათვის, რომლებმაც ხელი მოაწერეს კონვენციას. იგი ექვემდებარება რატიფიცირებას, მიღებას ან დამტკიცებას. ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოს არ შეუძლია ამ ოქმის რატიფიცირება, მიღება ან დამტკიცება, თუ მას იმავდროულად ან მანამდე არ მოუხდენია კონვენციის რატიფიცირება. რატიფიცირების, მიღების ან დამტკიცების სიგელების დეპონირება ხდება ევროპის საბჭოს გენერალურ მდივნითან.

## **მუხლი 8**

### **ძალაში შესვლა**

1. ეს ოქმი ძალაში შედის მის სავალდებულოდ აღიარებაზე ევროპის საბჭოს ხუთი წევრი სახელმწიფოს მიერ მე-7 მუხლის დებულებების შესაბამისად თანხმობის გა-

მოხატვიდან მომდევნო თვის პირველ დღეს.

2. ნებისმიერი წევრი სახელმწიფოს მიმართ, რომელიც შემდგომში გამოხატავს თან-სმობას ოქმის სავალდებულოდ აღიარებაზე, ოქმი ძალაში შედის რატიფიცირების, მიღების ან დამტკიცების სიგელის დეპონირების თარიღიდან მომდევნო თვის პირველ დღეს.

## მუხლი 9

### დეპოზიტარის ფუნქციები

ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი ატყობინებს ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებს:

- a. ნებისმიერი ხელმოწერის შესახებ;
- b. რატიფიცირების, მიღების ან დამტკიცების ნებისმიერი სიგელის დეპონირების შესახებ;
- c. მე-5 და მე-8 მუხლების შესაბამისად, ამ ოქმის ძალაში შესვლის თარიღს;
- d. ამ ოქმთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა აქტის,

შეტყობინების ან მიმოწერის შესახებ. ამის დასტურად ქვემოთ ხელმომწერებმა, რომლებიც სათანადოდ უფლებამოსილნი არიან, ხელი მოაწერეს ამ ოქმს. შესრულებულია სტრასბურგში 1983 წლის 28 აპრილს, ინგლისურ და ფრანგულ ენებზე, თანაბრად აუთენტურ ტექსტებად, ერთადერთ ეგზემპლარად, რომელიც დაცულია ევროპის საბჭოს არქივში. გენერალური მდივანი უგზავნის დამოწმებულ ასლებს თითოეულ ხელმომწერ მთავრობას.

## ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის ოქმი №7

### სტრასბურგი, 1984 წლის 22 ნოემბერი

ქვემოთ ხელმომწერი ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოები შემართულნი არიან, გადადგან შემდგომი ნაბიჯები გარკვეულ უფლებათა და თავისუფლებათა კოლექტიური განხორციელების უზრუნველსაყოფად რომელი 1950 წლის 4 ნოემბერს ხელმოწერილი ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის (შემდგომში მოხსენიებულია როგორც „კონვენცია“) მეშვეობით და

თანხმდებიან შემდეგზე:

## **მუხლი 1**

### **უცხოელთა გაძევებასთან დაკავშირებული პროცედურული გარანტიები**

1. სახელმწიფოს ტერიტორიაზე კანონიერად მცხოვრები უცხოელი არ შეიძლება გააძევონ, თუ არ იქნა მიღებული კანონის შესაბამისი გადაწყვეტილება, და ისე, რომ მას შეეძლოს:
  - a. წარადგინოს თავისი გაძევების საწინააღმდეგო არგუმენტები;
  - b. გადასინჯვინოს თავისი საქმე; და
  - c. ამ უფლებათა განსახორციელებლად წარდგეს უფლებამოსილი ორგანოს ან ამ ორგანოს მიერ დანიშნული ერთი ან რამდენიმე პირის წინაშე.
2. უცხოელი შეიძლება გააძევონ ამ მუხლის 1-ლი პუნქტის a, b და c ქვეპუნქტების შესაბამისად თავისი უფლებების განხორციელებამდე, როდესაც ასეთი გაძევება აუცილებელია საზოგადოებრივი წესრიგის ინტერესებისათვის ან განპირობებულია ეროვნული უშიშროების მოსაზრებებით.

## **მუხლი 2**

### **სისხლის სამართლის საქმის გასაჩივრების უფლება**

1. ყველას, ვინც სასამართლოს მიერ მსჯავრდებულია სისხლის სამართლის დანაშაულისათვის, აქვს უფლება, მისი მსჯავრდება ან მისთვის დანიშნული სასჯელი გადასინჯვინოს ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს. ამ უფლების განხორციელება, იმ საფუძვლების ჩათვლით, რომლებზე დაყრდნობითაც ის შეიძლება განხორციელდეს, მოწესრიგებულია კანონით.
2. ამ წესიდან გამონაკლისი დასაშვებია მცირე მნიშვნელობის დანაშაულთა მიმართ, როგორც ეს განსაზღვრულია კანონით, ან როდესაც შესაბამისი პირი პირველი ინსტანციის წესით გაასამართლა უმაღლესი ინსტანციის სასამართლომ, ან მსჯავრი დაედო მის მიმართ გამოტანილი გამამართლებელი განაჩენის გადასინჯვის შედეგად.

## **მუხლი 3**

### **კომპენსაცია მცდარი მსჯავრდებისათვის**

თუ საპოლოო გადაწყვეტილებით პირი მსჯავრდებულია სისხლის სამართლის დანაშაულისათვის და შემდგომში მისი ეს მსჯავრდება გაუქმდა, ან სასჯელის მოხდისაგან ის გათავისუფლდა, რადგან ახალმა ან ახლად გამოვლენილმა გარემოებებმა ცხადყო, რომ მართლმსაჯულება არაჯერონად განხორციელდა, და თუკი არ დამტკიცდება, რომ მანამდე უცნობი გარემოების დროულად აღმოჩენის ან გამოვლენის შეფერხება მთლიანად ან ნაწილობრივ ამავე პირის მიზეზით მოხდა, ამგვარი მსჯავრ-

დების გამო შეფარდებული სასჯელისათვის მას მიეკუთვნება კომპენსაცია შესაბამის სახელმწიფოში მოქმედი კანონის ან დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით.

## მუხლი 4

### ხელმეორედ გასამართლების ან დასჯის აკრძალვა

1. დაუშვებელია სისხლის სამართლის წესით პირის ხელმეორედ გასამართლება ან დასჯა ერთი და იმავე სახელმწიფოს იურისდიქციის ფარგლებში იმ დანაშაულისათვის, რომლისთვისაც ის ერთხელ უკვე საბოლოოდ იქნა გამართლებული ან მსჯავრდებული ამ სახელმწიფოს კანონმდებლობისა და სისხლის სამართლის პროცესის შესაბამისად.
2. წინა პუნქტის დებულებები ხელს არ უშლის საქმის წარმოების განახლებას მოცემული სახელმწიფოს კანონმდებლობისა და სისხლის სამართლის პროცესის შესაბამისად, თუკი არსებობს ახალი ან ახლად გამოვლენილი ფაქტების მტკიცებულება, ან, თუ წინა სამართალწარმოება განხორციელდა არსებითი ხარვეზით, რომელსაც შეეძლო ზეგავლენა მოეხდინა საქმის შედეგზე.
3. დაუშვებელია კონვენციის მე-15 მუხლის საფუძველზე ამ მუხლიდან გადახვევა.

## მუხლი 5

### მეუღლეთა თანასწორობა

მეუღლეები სარგებლობენ კერძოსამართლებრივი ხასიათის თანაბარი უფლებებითა და მოვალეობებით ერთმანეთს შორის და შვილებთან ურთიერთობაში, დაქორწინების დროს, ქორწინების განმავლობაში და მისი შეწყვეტის შემთხვევაში. ეს მუხლი ხელს არ უშლის სახელმწიფოებს, განახორციელონ ბავშვების ინტერესებისათვის აუცილებელი ღონისძიებანი.

## მუხლი 6

### ტერიტორიული გამოყენება

1. ოქმის ხელმოწერისას ან რატიფიცირების, მიღების ან დამტკიცების სიგელის დეპონირების დროს ყოველ მაღალ ხელშემკვრელ მხარეს შეუძლია, განცხადება გაუგზავნოს ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს იმის შესახებ, თუ რა ფარგლებში კისრულობს ის ამ ოქმის დებულებების გავრცელებას განცხადებაში მითითებულ იმ ტერიტორიიებზე, რომელთა საერთაშორისო ურთიერთობებზეც არის პასუხისმგებელი.
2. ნებისმიერ სახელმწიფოს შემდგომში, ნებისმიერ დროს, შეუძლია, ევროპის საბჭოს გენერალური მდივნისათვის გაგზავნილი განცხადებით განავრცოს ამ ოქმის მოქმედების გადახვევა.

დება ამ განცხადებაში განსაზღვრულ ნებისმიერ სხვა ტერიტორიაზე. ასეთი ტერიტორიის მიმართ ოქმი ძალაში შედის გენერალური მდივნის მიერ ამ განცხადების მიღების თარიღიდან ორთვიანი ვადის ამონურვის შემდეგ მომდევნო თვის პირველ დღეს.

3. წინა ორი პუნქტის შესაბამისად გაკეთებული ნებისმიერი განცხადება მასში განსაზღვრული ნებისმიერი ტერიტორიის მიმართ შეიძლება უკან იქნეს გამოტანილი ან შეცვლილი გენერალური მდივნისათვის გაგზავნილი შეტყობინებით. გამოტანა ან შეცვლა ძალაში შედის გენერალური მდივნის მიერ ამგვარი შეტყობინების მიღების შემდეგ ორთვიანი ვადის ამონურვიდან მომდევნო თვის პირველ დღეს.
4. ამ მუხლის შესაბამისად გაკეთებული განცხადება განიხილება როგორც კონვენციის 56-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად წარდგენილი განცხადება.
5. ნებისმიერი სახელმწიფოს ტერიტორია, რომლის მიმართ ეს ოქმი ვრცელდება ამ სახელმწიფოს მიერ რატიფიცირების ან მიღების საფუძველზე და თითოეული ტერიტორია, რომლის მიმართაც ეს ოქმი გამოიყენება სახელმწიფოს მიერ ამ მუხლის შესაბამისად გაკეთებული განცხადების ძალით, განიხილება ცალკე ტერიტორიებად, სახელმწიფოს ტერიტორიის 1-ლ მუხლში მოცემული განმარტებისათვის.
6. ნებისმიერ სახელმწიფოს, რომელმაც განცხადება გააკეთა ამ მუხლის 1-ლი ან მე-2 პუნქტის შესაბამისად, შემდგომში, ნებისმიერ დროს, განცხადებაში მითითებული ერთი ან რამდენიმე ტერიტორიის მიმართ შეუძლია განაცხადოს, რომ ის აღიარებს სასამართლოს უფლებამოსილებას, მიღლოს განაცხადები ფიზიკური პირებისაგან, არასამთავრობო ორგანიზაციებისა თუ ცალკეულ პირთა ჯგუფებისაგან ამ ოქმის ყველა ან 1-ლ — მე-5 ნებისმიერ მუხლთან დაკავშირებით, როგორც ეს გათვალისწინებულია კონვენციის 34-ე მუხლით.

## მუხლი 7

### კონვენციასთან მიმართება

მაღალ ხელშემკვრელ მხარეებს შორის ამ ოქმის 1-ლი — მე-6 მუხლების დებულებები განიხილება როგორც კონვენციის დამატებითი მუხლები და კონვენციის ყველა დებულება გამოიყენება შესაბამისად.

## მუხლი 8

### ხელმოწერა და რატიფიცირება

წინამდებარე ოქმი ღია ხელმოსაწერად ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოებისათვის, რომლებმაც ხელი მოაწერეს კონვენციას. იგი ექვემდებარება რატიფიცირებას, მიღებას ან დამტკიცებას. ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოს არ შეუძლია ამ

ოქმის რატიფიცირება, მიღება ან დამტკიცება, თუ მას იმავდროულად ან მანამდე არ მოუხდენია კონვენციის რატიფიცირება. რატიფიცირების, მიღების ან დამტკიცების სიგელების დეპონირება ხდება ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანთან.

## მუხლი 9

### ძალაში შესვლა

- ეს ოქმი ძალაში შედის მის სავალდებულოდ აღიარებაზე ევროპის საბჭოს შვიდი წევრი სახელმწიფოს მიერ მე-8 მუხლის დებულებების შესაბამისად თანხმობის გამოხატვის თარიღიდან ორთვიანი ვადის ამონურვის შემდგომ მომდევნო თვის პირველ დღეს.
- ნებისმიერი წევრი სახელმწიფოს მიმართ, რომელიც შემდგომში გამოხატავს თანხმობას ოქმის სავალდებულოდ აღიარებაზე, ოქმი ძალაში შედის რატიფიცირების, მიღების ან დამტკიცების სიგელის დეპონირების თარიღიდან ორთვიანი ვადის ამონურვის შემდეგ მომდევნო თვის პირველ დღეს.

## მუხლი 10

### დეპოზიტარის ფუნქციები

ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი ატყობინებს ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებს:

- ნებისმიერი ხელმოწერის შესახებ;
- რატიფიცირების, მიღების ან დამტკიცების ნებისმიერი სიგელის დეპონირების შესახებ;
- მე-9 და მე-9 მუხლების შესაბამისად, ამ ოქმის ძალაში შესვლის თარიღს;
- ამ ოქმთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა აქტის,

შეტყობინების ან მიმოწერის შესახებ. ამის დასტურად ქვემოთ ხელმომწერებმა, რომლებიც სათანადოდ უფლებამოსილი არიან, ხელი მოაწერეს ამ ოქმს.

შესრულებულია სტრასბურგში 1984 წლის 22 ნოემბერს, ინგლისურ და ფრანგულ ენებზე, თანაბრად აუთენტურ ტექსტებად, ერთადერთ ეგზიმპლარად, რომელიც ინახება ევროპის საბჭოს არქივში. გენერალური მდივანი დამოწმებულ ასლებს უგზავნის ევროპის საბჭოს თითოეულ წევრ სახელმწიფოს.

# **ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის ოქმი №12**

## **რომი, 2000 წლის 4 ნოემბერი**

ქვემოთ ხელმომწერი ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოები

ითვალისწინებენ ძირითად პრინციპს, რომლის თანახმად ყველა ადამიანი თანასწორია კანონის წინაშე და უფლება აქვს, თანაბრად იქნეს კანონით დაცული;

შემართულნი არიან, გადადგან შემდგომი ნაბიჯები, რათა ხელი შეუწყონ ყველა პირის თანასწორობას დისკრიმინაციის ზოგადი აკრძალვის კოლექტიური განხორციელების გზით, რომში 1950 წლის 4 ნოემბერს ხელმოწერილი ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის (შემდგომში მოხსენიებულია როგორც „კონვენცია“) მეშვეობით;

კვლავ ადასტურებენ, რომ დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპი ხელს არ უშლის მონაწილე სახელმწიფოებს, გაატარონ ღონისძიებები, რათა ხელი შეუწყონ სრულ და ეფექტურ თანასწორობას, იმ პირობით, რომ ასეთი ღონისძიებებისათვის არსებობს ობიექტური და გონივრული გამართლება და თანხმდებიან შემდეგზე:

## **მუხლი 1**

### **დისკრიმინაციის ზოგადი აკრძალვა**

1. კანონით დადგენილი ნებისმიერი უფლებით სარგებლობა უზრუნველყოფილია ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, განურჩევლად სქესის, რასის, კანის ფერის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების, ეროვნული ან სოციალური წარმოშობის, ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილების, ქონების, დაბადების ან სხვა ნიშნისა.
2. დაუშვებელია საჯარო ხელისუფლების მხრიდან ვინმეს დისკრიმინაცია 1-ლ პუნქტში აღნიშნულ რომელიმე საფუძველზე.

## **მუხლი 2**

### **ტერიტორიული გამოყენება**

1. ხელმოწერის ან რატიფიცირების, მიღებას თუ დამტკიცების სიგელის დეპონირების დროს ნებისმიერ სახელმწიფოს შეუძლია განსაზღვროს ტერიტორია ან ტერიტორიები, რომელთა მიმართაც ეს ოქმი გამოიყენება.
2. ნებისმიერ სახელმწიფოს მოგვიანებით, ნებისმიერ დროს, შეუძლია ევროპის საბჭოს გენერალური მდივნისადმი გაგზავნილი განცხადებით გაავრცელოს ამ ოქმის გამოყენება განცხადებაში განსაზღვრული ნებისმიერი სხვა ტერიტორიის მი-

მართ. ასეთი ტერიტორიის მიმართ ოქმი ძალაში შედის გენერალური მდივნის მიერ ამგვარი განცხადების მიღების შემდეგ სამთვიანი ვადის ამონურვიდან მომდევნო თვის პირველ დღეს.

3. წინა ორი პუნქტის თანახმად გაკეთებული წებისმიერი განცხადება ასეთ განცხა-დებაში განსაზღვრული წებისმიერი ტერიტორიის მიმართ შეიძლება გამოთხოვილ იქნეს ან შეიცვალოს ევროპის საბჭოს გენერალური მდივნისათვის გაგზავნილი შეტყობინებით. გამოთხოვა ან შეცვლა ამოქმედდება გენერალური მდივნის მიერ ამგვარი შეტყობინების მიღების შემდეგ სამთვიანი ვადის ამონურვიდან მომდევნო თვის პირველ დღეს.
4. ამ მუხლის შესაბამისად გაკეთებული განცხადება განიხილება როგორც კონვენ-ციის 56-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად წარდგენილი განცხადება.
5. წებისმიერ სახელმწიფოს, რომელმაც განცხადება გააკეთა ამ მუხლის 1-ლი ან მე-2 პუნქტის შესაბამისად, შემდგომში, წებისმიერ დროს, განცხადებაში მითითებული ერთი ან რამდენიმე ტერიტორიის მიმართ შეუძლია განაცხადოს, რომ ის აღიარებს სასამართლოს უფლებამოსილებას, მიღლოს განაცხადები ფიზიკური პირებისაგან, არასამთავრობო ორგანიზაციებისა თუ ცალკეულ პირთა ჯგუფებისაგან ამ ოქმის ყველა ან 1-ლ წებისმიერ მუხლთან დაკავშირებით, როგორც ეს გათვალისწინებუ-ლია კონვენციის 34-ე მუხლით.

### **მუხლი 3**

#### **კონვენციასთან მიმართება**

მაღალ ხელშეკვრელ მხარეებს შორის ამ ოქმის 1-ლი და მე-2 მუხლების დებულე-ბები განიხილება როგორც კონვენციის დამატებითი მუხლები და კონვენციის ყველა დებულება გამოიყენება შესაბამისად.

### **მუხლი 4**

#### **ხელმოწერა და რატიფიცირება**

ეს ოქმი ღია ხელმოსაწერად ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოებისათვის, რომლებმაც ხელი მოაწერეს კონვენციას. იგი ექვემდებარება რატიფიცირებას, მი-ღებას ან დამტკიცებას. ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოს არ შეუძლია ამ ოქმის რატიფიცირება, მიღება ან დამტკიცება, თუ მას იმავდროულად ან მანამდე არ მოუხ-დენია კონვენციის რატიფიცირება. რატიფიცირების, მიღების ან დამტკიცების სი-გელების დეპონირება ხდება ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანთან.

## **მუხლი 5**

### **ძალაში შესვლა**

1. ეს ოქმი ძალაში შედის, მე-4 მუხლის დებულებების შესაბამისად, ევროპის საბჭოს ათი წევრი სახელმწიფოს მიერ მათთვის ოქმის სავალდებულოდ აღიარებაზე თანხ-მობის გამოხატვის შემდეგ სამთვიანი ვადის ამოწურვიდან მომდევნო თვის პირველ დღეს.
2. ნებისმიერი წევრი სახელმწიფოს მიმართ, რომელიც შემდგომში გამოხატავს თანხ-მობას სავალდებულოდ აღიარებაზე, ოქმი ძალაში შედის რატიფიცირების, მიღების ან დამტკიცების სიგელის დეპონირების შემდეგ სამთვიანი ვადის ამოწურვიდან მომდევნო თვის პირველ დღეს.

## **მუხლი 6**

### **დეპოზიტარის ფუნქციები**

ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი ატყობინებს ევროპის საბჭოს წევრ სახელ-მწიფოებს:

- a. ნებისმიერი ხელმოწერის შესახებ;
- b. ნებისმიერი რატიფიცირების, მიღების ან დამტკიცების სიგელის დეპონირების შესახებ;
- c. მე-2 და მე-5 მუხლების შესაბამისად, ამ ოქმის ძალაში შესვლის თარიღს;
- d. ამ ოქმთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა ქმედების, შეტყობინების ან ცნობის შესახებ.

ამის დასტურად ქვემოთ ხელმომწერებმა, რომლებიც სათანადოდ უფლებამოსილ-ნი არიან, ხელი მოაწერეს ამ ოქმს.

შესრულებულია რომში 2000 წლის 4 ნოემბერს, ინგლისურ და ფრანგულ ენებზე, თანაბრად აუთენტურ ტექსტებად, ერთადერთ ეგზემპლარად, რომელიც ინახება ევროპის საბჭოს არქივში. გენერალური მდივანი დამოწმებულ ასლებს უგზავნის ევროპის საბჭოს თითოეულ წევრ სახელმწიფოს.

# **ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის ოქმი №13**

ნებისმიერ ვითარებაში სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ  
**ვილნიუსი, 2002 წლის 3 მაისი**

ქვემოთ ხელმომწერი ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოები დარწმუნებულნი  
არიან, რომ ნებისმიერი ადამიანის სიცოცხლის უფლება არის ძირითადი ღირებულება  
დემოკრატიულ საზოგადოებაში, და რომ სიკვდილით დასჯის გაუქმება არსებითაა ამ  
უფლების დაცვისა და ყოველი ადამიანის წარუვალი ღირსების სრული აღიარებისათვის;

მოსურნენი, რომ განამტკიცონ რომში 1950 წლის 4 ნოემბერს ადამიანის უფლე-  
ბათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციით (შემდგომში – „კონვენცია“)  
უზრუნველყოფილი სიცოცხლის უფლების დაცვა;

აღნიშნავენ, რომ კონვენციის მე-6 ოქმი, რომელიც სიკვდილით დასჯის გაუქმებას  
შეეხება და ხელმოწერილია სტრასბურგში 1983 წლის 28 აპრილს, არ გამორიცხავს  
სიკვდილით დასჯას ომის ან ომის გარდაუვალი საფრთხის დროს ჩადენილი ქმედებე-  
ბისათვის; შემართულნი არიან, გადადგან ბოლო ნაბიჯები სიკვდილით დასჯის ყველა  
ვითარებაში გასაუქმებლად და თანხმდებიან შემდეგზე:

## **მუხლი 1**

### **სიკვდილით დასჯის გაუქმება**

სიკვდილით დასჯა გაუქმებულია. არ შეიძლება ვინმეს შეეფარდოს სიკვდილით  
დასჯა ან ვინმეს მიმართ ასეთი განაჩენის აღსრულება.

## **მუხლი 2**

### **გადახვევის აკრძალვა**

დაუშვებელია კონვენციის მე-15 მუხლის საფუძველზე ამ ოქმის დებულებიდან  
გადახვევა.

## **მუხლი 3**

### **დათქმების აკრძალვა**

დაუშვებელია კონვენციის 57-ე მუხლის საფუძველზე ამ ოქმის დებულებათა მი-  
მართ დათქმების გაკეთება.

## **მუხლი 4**

### **ტერიტორიული გამოყენება**

1. ოქმის ხელმოწერის, მისი რატიფიცირების, მიღების ან დამტკიცების სიგელის დეპონირების დროს ნებისმიერ სახელმწიფოს შეუძლია განსაზღვროს ტერიტორია ან ტერიტორიები, რომლებზეც გავრცელდება ეს ოქმი.
2. ნებისმიერ სახელმწიფოს მოგვიანებით, ნებისმიერ დროს, შეუძლია, ევროპის საბჭოს გენერალური მდივნისადმი გაგზავნილი განცხადებით გაავრცელოს ამ ოქმის გამოყენება განცხადებაში განსაზღვრული ნებისმიერი სხვა ტერიტორიის მიმართ. ასეთი ტერიტორიების მიმართ ოქმი ძალაში შედის გენერალური მდივნის მიერ ამგვარი განცხადების მიღებიდან მომდევნო თვის პირველ დღეს.
3. წინა ორი პუნქტის შესაბამისად გაკეთებული ნებისმიერი განცხადება ამგვარ განცხადებაში განსაზღვრული ნებისმიერი ტერიტორიის მიმართ შეიძლება უკან იქნეს გატანილი გენერალური მდივნისადმი გაგზავნილი შეტყობინებით. განცხადების უკან გატანა ძალაში შედის გენერალური მდივნის მიერ ამგვარი შეტყობინების მიღების თარიღიდან 3 თვის გასვლის შემდეგ მომდევნო თვის პირველ დღეს.

## **მუხლი 5**

### **კონვენციასთან მიმართება**

მაღალ ხელშემყვრელ მხარეებს შორის ამ ოქმის 1-ლი, მე-2, მე-3 და მე-4 მუხლების დებულებები განიხილება როგორც კონვენციის დამატებითი მუხლები და კონვენციის ყველა დებულება გამოიყენება შესაბამისად.

## **მუხლი 6**

### **ხელმოწერა და რატიფიცირება**

ეს ოქმი ღიაა ხელმოსაწერად ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოებისათვის, რომელებმაც ხელი მოაწერეს კონვენციას. იგი ექვემდებარება რატიფიცირებას, მიღებას ან დამტკიცებას. ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოს არ შეუძლია ამ ოქმის რატიფიცირება, მიღება ან დამტკიცება, თუ მას იმავდროულად ან მანამდე არ მოუხდენია კონვენციის რატიფიცირება. რატიფიცირების, მიღების ან დამტკიცების სიგელების დეპონირება ხდება ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანთან.

## **მუხლი 7**

### **ძალაში შესვლა**

1. ეს ოქმი ძალაში შედის მის სავალდებულოდ აღიარებაზე ევროპის საბჭოს ათიწევრი სახელმწიფოს მიერ მე-6 მუხლის დებულებების შესაბამისად თანხმობის

გამოხატვის თარიღიდან სამი თვის შემდგომ მომდევნო თვის პირველ დღეს.

2. ნებისმიერი წევრი სახელმწიფოს მიმართ, რომელიც შემდგომში გამოხატავს თან-ხმობას ოქმის სავალდებულოდ აღიარებაზე, ოქმი ძალაში შედის რატიფიცირების, მიღების ან დამტკიცების სიგელის დეპონირების თარიღიდან სამი თვის შემდგომ მომდევნო თვის პირველ დღეს.

## **მუხლი 8**

### **დეპოზიტარის ფუნქციები**

ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი ატყობინებს ევროპის საბჭოს წევრ სახელ-მწიფოებს:

- a. ნებისმიერი ხელმოწერის შესახებ;
- b. რატიფიცირების, მიღების ან დამტკიცების ნებისმიერი სიგელის დეპონირების შესახებ;
- c. მე-4 და მე-7 მუხლების შესაბამისად, ამ ოქმის ძალაში შესვლის თარიღს;
- d. ამ ოქმთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა აქტის, შეტყობინების ან მიმოწერის შესახებ.

ამის დასტურად ქვემოთ ხელმომწერებმა, რომლებიც სათანადოდ უფლებამოსილ-ნი არიან, ხელი მოაწერეს ამ ოქმს.

შესრულებულია ვილნიუსში 2002 წლის 3 მაისს, ინგლისურ და ფრანგულ ენებზე, თანაბრად აუთენტურ ტექსტებად, ერთადერთ ეგზემპლარად, რომელიც დაცულია ევროპის საბჭოს არქივში. ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი უგზავნის დამოწმე-ბულ ასლებს ევროპის საბჭოს თითოეულ წევრ სახელმწიფოს.

## **ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის ოქმი №14**

კონვენციის საზედამხედველო სისტემაში შესწორებების შეტანის შესახებ  
სტრასბურგი, 2004 წლის 13 მაისი

### **პრეამბულა**

რომეში 1950 წლის 4 ნოემბერს ხელმოწერილი ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის (შემდგომში — „კონვენცია“) ამ ოქმის ხელ-მომწერი ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოები მხედველობაში იღებენ რომში 2000 წლის 3-4 ნოემბერს ადამიანის უფლებათა შესახებ ევროპის სახელმწიფოების მინის-ტრთა კონფერენციაზე მიღებულ №1 რეზოლუციასა

და დეკლარაციას; მხედველობაში იღებენ 2001 წლის 8 ნოემბერს, 2002 წლის 7 ნოემბერსა და 2003 წლის 15 მაისს მინისტრთა კომიტეტის მიერ 109-ე, 111-ე და 112-ე შესაბამის სესიებზე მიღებულ დეკლარაციებს;

მხედველობაში იღებენ 2004 წლის 28 აპრილს ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მიერ მიღებულ №251

(2004) დასკვნას; აღნიშნავენ ძირითადად ადამიანის უფლებათა ევროპული სა-სამართლოსა და ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის სამუშაო დატვირთვის ზრდის გათვალისწინებით, საზედამხედველო სისტემის ეფექტიანობის ხანგრძლივი დროით შენარჩუნებისა და გაუმჯობესებისათვის გარკვეული კონვენციის დებულებების შესწორების გადაუდებელ აუცილებლობას; კერძოდ, ითვალისწინებენ იმის უზრუნველყოფის აუცილებლობას, რომ სასამართლომ კვლავაც შეძლოს ევროპაში ადამიანის უფლებათა დაცვაში წამყვანი როლის შესრულება და თანხმდებიან შემ-დეგზე:

## **მუხლი 1**

კონვენციის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტი ამოღებულია.

## **მუხლი 2**

კონვენციის 23-ე მუხლი უნდა შესწორდეს და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„მუხლი 23 უფლებამოსილების ვადები და თანამდებობიდან გათავისუფლება

1. მოსამართლეებს ირჩევენ 9 წლის ვადით. არ შეიძლება მათი ხელახალი არჩევა.
2. მოსამართლეთა უფლებამოსილების ვადა იწურება, როდესაც ისინი მიაღწევენ 70 წლის ასაკს.
3. თანამდებობაზე მოსამართლეები რჩებიან მათ შეცვლამდე. თუმცა ისინი აგრძელებენ იმ საქმეთა განხილვას, რომლებიც უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე პქონდათ წარმოებაში.
4. არც ერთი მოსამართლე არ შეიძლება გათავისუფლდეს თანამდებობიდან, თუ სხვა მოსამართლეები ხმების ორი მესამედის უმრავლესობით არ გადაწყვეტენ, რომ იგი აღარ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს.“

## **მუხლი 3**

კონვენციის 24-ე მუხლი ამოღებულია.

## **მუხლი 4**

კონვენციის 25-ე მუხლი უნდა გახდეს 24-ე მუხლი, მისი ტექსტი კი შესწორდეს და

ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„მუხლი 24 სამდივნო და მომხსენებლები

1. სასამართლოს აქვს სამდივნო, რომლის ფუნქციები და ორგანიზაცია დადგენილია სასამართლოს რეგლამენტით.
2. მოსამართლის მიერ საქმის ერთპიროვნულად განხილვისას სასამართლოს ქმარებიან მომხსენებლები, რომლებიც თავიანთ უფლებამოსილებას ახორციელებენ სასამართლოს თავმჯდომარის ზედამხედველობით. ისინი სასამართლოს სამდივნოს თანამშრომლები არიან.“

## მუხლი 5

კონვენციის 26-ე მუხლი უნდა გახდეს 25-ე მუხლი („სასამართლოს პლენარული სხდომა“), მისი ტექსტი კი შესწორდეს შემდეგნაირად:

1. d პუნქტის ბოლოს მძიმე უნდა შეიცვალოს წერტილმძიმით და სიტყვა „და“ ამოღებულ იქნება.
2. e პუნქტის ბოლოს წერტილი უნდა შეიცვალოს წერტილმძიმით.
3. უნდა დაემატოს ახალი f პუნქტი, რომელიც შემდეგნაირად უნდა ჩამოყალიბდეს: „f წარადგენს ნებისმიერ მოთხოვნას 26-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე.“

## მუხლი 6

კონვენციის 27-ე მუხლი გახდება 26-ე მუხლი, ხოლო მისი ტექსტი უნდა შესწორდეს და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

- „მუხლი 26 საქმის ერთპიროვნულად განმხილველი მოსამართლე, კომიტეტები, პალატები და დიდი პალატა
1. სასამართლოში წარდგენილ საქმეებს განიხილავს მოსამართლე ერთპიროვნულად, კომიტეტები სამი მოსამართლის შემადგენლობით, პალატები შვიდი და დიდი პალატა ჩვიდმეტი მოსამართლის შემადგენლობით. სასამართლოს პალატები ქმნიან კომიტეტებს განსაზღვრული ვადით.
  2. პლენარულ სხდომაზე სასამართლოს თხოვნით მინისტრთა კომიტეტს შეუძლია, ერთსულოვანი გადაწყვეტილებითა და განსაზღვრული ვადით ხუთ წევრამდე შეამციროს მოსამართლეთა რაოდენობა პალატებში.
  3. თუ მოსამართლე ერთპიროვნულად იხილავს საქმეს, მას არ შეუძლია განიხილოს განაცხადი იმ მაღალი ხელშემკვრელი სახელმწიფოს წინააღმდეგ, საიდანაც ეს მოსამართლე იქნა არჩეული.
  4. მოსამართლე, რომელიც არჩეულია შესაბამისი მაღალი ხელშემკვრელი სახელმწიფოდან, მონაწილეობს პალატისა და დიდი პალატის სხდომებში, როგორც ეს ოფციიციონ წევრი. თუ ასეთი მოსამართლე არ არის, ან ვერ მონაწილეობს მოცე-

მული საქმის განხილვაში, მოსამართლის უფლებამოსილებას ახორციელებს პირი, რომელსაც ირჩევს სასამართლოს თავმჯდომარე ამ მხარის მიერ წინასწარ წარმოდგენილი სიიდან.

5. დიდ პალატას აგრეთვე შეადგენენ: სასამართლოს თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილები, პალატების თავმჯდომარეები და სასამართლოს რეგლამენტის შესაბამისად შერჩეული სხვა მოსამართლეები. როდესაც საქმე განსახილველად გადაეცემა დიდ პალატას 43-ე მუხლის საფუძველზე, დიდი პალატის სხდომაში მონაწილეობას ვერ მიიღებს გადაწყვეტილების გამომტანი პალატის ვერც ერთი მოსამართლე, გარდა პალატის თავმჯდომარისა და მოსამართლისა იმ სახელმწიფოდან, რომელიც მხარეა მოცემულ საქმეში.“

## მუხლი 7

ახალი 26-ე მუხლის შემდეგ კონვენციაში შეტანილ უნდა იქნეს ახალი 27-ე მუხლი, რომელიც ჩამოყალიბდება შემდეგნაირად:

„მუხლი 27 საქმის ერთპიროვნულად განმხილველი მოსამართლის უფლებამოსილება

1. საქმის ერთპიროვნულად განმხილველ მოსამართლეს შეუძლია გამოაცხადოს დაუშვებლად, ან ამორიცხოს სასამართლოს განსახილველ საქმეთა ნუსხიდან 34-ე მუხლის შესაბამისად წარდგენილი ინდივიდუალური განაცხადი, თუ განჩინების მიღება შესაძლებელია საქმის შემდგომი განხილვის გარეშე.
2. ასეთი განჩინება საბოლოოა.
3. თუ საქმის ერთპიროვნულად განმხილველი მოსამართლე არ გამოაცხადებს განაცხადს დაუშვებლად ან არ ამორიცხავს მას, მაშინ მან უნდა წარადგინოს ის კომიტეტში ან პალატაში შემდგომი განხილვისათვის.“

## მუხლი 8

კონვენციის 28-ე მუხლი უნდა შესწორდეს და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„მუხლი 28 კომიტეტების უფლებამოსილება

1. 34-ე მუხლის საფუძველზე წარდგენილ განაცხადთან მიმართებით, კომიტეტს შეუძლია, ერთსულოვნად
  - a. გამოაცხადოს ის დაუშვებლად ან ამორიცხოს განსახილველ საქმეთა ნუსხიდან, თუ განჩინების მიღება შესაძლებელია საქმის შემდგომი განხილვის გარეშე; ან
  - b. გამოაცხადოს ის დაშვებულად და, ამავე დროს, გამოიტანოს გადაწყვეტილება საქმის არსებითი მხარის შესახებ, თუ საქმის ძირითადი საკითხი, კონვენციის ან ოქმების განმარტებასა თუ გამოყენებასთან დაკავშირებით, უკვე გადაწყვეტილია სასამართლოს მიერ მყარად დადგენილი პრეცედენტული სამართლით.

2. 1-ლი პუნქტის საფუძველზე გამოტანილი განჩინება და გადაწყვეტილება საბოლოოა.
3. თუ შესაბამისი მაღალი ხელშემკვრელი სახელმწიფოდან არჩეული მოსამართლე არ არის კომიტეტის წევრი, კომიტეტს შეუძლია, სამართალნარმოების ნებისმიერ ეტაპზე მიიწვიოს ეს მოსამართლე კომიტეტში ერთ-ერთი წევრის ადგილის დასაკავებლად, ყველა შესაბამისი ფაქტორის გათვალისწინებით, მათ შორის, სადაცოდ ხდიდა თუ არა მხარე 1-ლი b პუნქტით განსაზღვრული პროცედურის გამოყენებას.“

### **მუხლი 9**

კონვენციის 29-ე მუხლი უნდა შესწორდეს შემდეგნაირად:

1. 1-ლი პუნქტი უნდა შესწორდეს და ჩამოყალიბდეს
 

ამგვარად: „თუ განჩინება არ არის მიღებული 27-ე ან 28-ე მუხლის საფუძველზე, ან გადაწყვეტილება არ არის გამოტანილი 28-ე მუხლის საფუძველზე, პალატა იღებს განჩინებას 34-ე მუხლის თანახმად წარდგენილ ინდივიდუალურ განაცხადთა და-საშვებობისა და არსებითად განხილვის შესახებ. განჩინება დასაშვებობის შესახებ შეიძლება მიღებულ იქნეს ცალკე.“
2. მე-2 პუნქტის ბოლოს უნდა დაემატოს ახალი წინადადება, რომელიც ჩამოყალიბდება შემდეგნაირად: „განჩინება დასაშვებობის შესახებ მიიღება ცალკე, თუ, გამონაკლის შემთხვევებში, სასამართლო სხვაგვარად არ გადაწყვეტს.“
3. მე-3 პუნქტი ამოღებულია.

### **მუხლი 10**

კონვენციის 31-ე მუხლი უნდა შესწორდეს შემდეგნაირად:

1. a პუნქტის ბოლოს ამოღებულ უნდა იქნეს სიტყვა „და“.
2. b პუნქტი უნდა გახდეს c პუნქტი და უნდა ჩაემატოს ახალი b პუნქტი, რომელიც ჩამოყალიბდება შემდეგნაირად:
 

„b იღებს გადაწყვეტილებას მინისტრთა კომიტეტის მიერ 46-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე სასამართლოსათვის გადაცემულ საკითხებთან დაკავშირებით; და“.

### **მუხლი 11**

კონვენციის 32-ე მუხლი უნდა შესწორდეს შემდეგნაირად: 1-ლი პუნქტის ბოლოს მძიმე და რიცხვი 46 უნდა ჩაისვას რიცხვ 34-ის შემდეგ.

### **მუხლი 12**

კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტი უნდა შესწორდეს და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„3. სასამართლო დაუშვებლად აცხადებს 34-ე მუხლის საფუძველზე წარდგენილ ნებისმიერ ინდივიდუალურ განაცხადს, თუ მიიჩნევს, რომ:

- a. განაცხადი შეუთავსებელია კონვენციასა და მისი ოქმების დებულებებთან, აშკარად დაუსაბუთებელია, ან სასამართლოსათვის მიმართვის უფლების ბოროტად გამოყენებაა, ან
- b. განმცხადებელს არ მიადგა მნიშვნელოვანი ზიანი და კონვენციასა და თანდართულ ოქმებში განსაზღვრულ ადამიანის უფლებათა პატივისცემა არ მოითხოვს განაცხადის არსებითად განხილვას. ამასთანავე, არ შეიძლება ამ საფუძველზე ისეთი საქმის უკუგდება, რომელიც სათანადოდ არ განხილულა შიდასახელმწიფოებრივი სასამართლოს მიერ.“

### **მუხლი 13**

კონვენციის 36-ე მუხლის ბოლოში უნდა დაემატოს ახალი მე-3 პუნქტი, რომელიც ჩამოყალიბდება შემდეგნაირად:

„3. პალატისა და დიდი პალატის წინაშე წარდგენილ ყველა საქმესთან დაკავშირებით, ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარს შეუძლია წერილობითი კომენტარების წარდგენა და მონაწილეობის მიღება საქმის მოსმენაში.“

### **მუხლი 14**

კონვენციის 38-ე მუხლი უნდა შესწორდეს და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„მუხლი 38 საქმის განხილვა სასამართლო საქმეს განიხილავს მხარეთა წარმომადგენლებთან ერთად და, საჭიროების შემთხვევაში, ანარმოებს გამოძიებას, რომლის ეფექტიანად წარმართვისათვის შესაბამისი სახელმწიფოები მას უზრუნველყოფენ ყველა აუცილებელი საშუალებით.“

### **მუხლი 15**

კონვენციის 39-ე მუხლი უნდა შესწორდეს და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„მუხლი 39 მორიგება

1. სამართალწარმოების ნებისმიერ ეტაპზე სასამართლოს შეუძლია შესთავაზოს დაინტერესებულ მხარეებს თავისი სამსახური საქმეზე მორიგების მისაღწევად, კონვენციასა და მის ოქმებში განსაზღვრულ ადამიანის უფლებათა პატივისცემის საფუძველზე.
2. 1-ლი პუნქტის შესაბამისად წარმართული პროცედურა კონფიდენციალურია.
3. თუ მიღწეულია მორიგება, სასამართლო საქმეს ამორიცხავს საქმეთა ნუსხიდან განჩინების გზით, რომელიც შემოიფარგლება ფაქტებისა და მიღწეული შეთანხმების მოკლედ გადმოცემით.
4. ეს განჩინება გადაეცემა მინისტრთა კომიტეტს, რომელიც ზედამხედველობს გან-

ჩინებაში აღნიშნული მორიგების პირობების აღსრულებას.“

## მუხლი 16

- კონვენციის 46-ე მუხლი უნდა შესწორდეს და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:
- „მუხლი 46 სასამართლოს გადაწყვეტილების სავალდებულო ძალა და აღსრულება
1. მაღალი ხელშემკვრელი მხარეები კისრულობენ ვალდებულებას, დაემორჩილონ სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებას ნებისმიერ საქმეზე, რომლის მხარეებიც ისინი არიან.
  2. სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილება გადაეცემა მინისტრთა კომიტეტს, რომელიც ზედამხედველობს მის აღსრულებას.
  3. თუ მინისტრთა კომიტეტი მიიჩნევს, რომ სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებით აღსრულების ზედამხედველობას ხელი ეშლება გადაწყვეტილების განმარტების პროცესის გამო, მას შეუძლია, საქმე წარადგინოს სასამართლოში განმარტების მისაღებად. წარდგენის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა კომიტეტის უფლებამოსილ წარმომადგენელთა ხმების ორიმესამედის უმრავლესობა.
  4. თუ მინისტრთა კომიტეტი მიიჩნევს, რომ მაღალი ხელშემკვრელი მხარე უარს აცხადებს, დაემორჩილოს სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებას ნებისმიერ საქმეზე, რომლის მხარეც ის არის, კომიტეტს, ამ მხარისათვის ფორმალური შეტყობინების შემდეგ და კომიტეტის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხმათა ორიმესამედის უმრავლესობით, შეუძლია წარუდგინოს სასამართლოს საკითხი, შეასრულა თუ არა ამ მხარემ 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულება.
  5. თუ სასამართლო დაადგენს 1-ლი პუნქტის დარღვევას, ის წარადგენს საქმეს მინისტრთა კომიტეტში გასატარებელ ღონისძიებათა განსახილველად, ხოლო თუ სასამართლო ვერ დაადგენს 1-ლი პუნქტის დარღვევას, ის წარადგენს საქმეს მინისტრთა კომიტეტში, რომელმაც უნდა შეწყვიტოს საქმის განხილვა.“

## მუხლი 17

კონვენციის 59-ე მუხლი უნდა შესწორდეს შემდეგნაირად:

1. უნდა დაემატოს მე-2 პუნქტი, რომელიც ასე ჩამოყალიბდება:
- „2. ევროპის კავშირს შეუძლია შეუერთდეს ამ კონვენციას.“
2. მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტები შესაბამისად უნდა გახდეს მე-3, მე-4 და მე-5 პუნქტები.

## **დასკვნითი და გარდამავალი დებულებები**

### **მუხლი 18**

- ეს ოქმი ღიაა ხელმოსაწერად ევროპის საბჭოს წევრი კონვენციის ხელმომწერი სახელმწიფოებისათვის, რომლებმაც შეიძლება გამოხატონ თანხმობა ოქმის სავალ-დებულოდ აღიარებაზე:
  - ხელმოწერით რატიფიცირებისას, მიღებისას ან დამტკიცებისას დათქმის გარეშე; ან
  - ხელმოწერით რატიფიცირების, მიღების ან დამტკიცების პირობით, რომელსაც მოჰყვება რატიფიცირება, მიღება ან დამტკიცება.
- რატიფიცირების, მიღების ან დამტკიცების სიგელების დეპონირება ხდება ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანთან.

### **მუხლი 19**

ეს ოქმი ძალაში შედის კონვენციის ყველა მონაწილის მიერ მე-18 მუხლის დებულებების შესაბამისად მის სავალდებულოდ აღიარებაზე თანხმობის გამოხატვის თარიღიდან სამთვიანი ვადის ამონურვის შემდეგ მომდევნო თვის პირველ დღეს.

### **მუხლი 20**

- ამ ოქმის ძალაში შესვლის დღიდან მისი დებულებები გამოიყენება ყველა განაცხადის მიმართ, რომელთა განხილვა მიმდინარეობს სასამართლოს მიერ, ისევე როგორც სასამართლოს ყველა გადაწყვეტილების მიმართ, რომელთა აღსრულებას ზედამხედველობს მინისტრთა კომიტეტი.
- ამ ოქმის მე-12 მუხლით კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტის ხევეპუნქტში ჩამატებული დასაშვებობის ახალი კრიტერიუმი არ გამოიყენება იმ განაცხადების მიმართ, რომლებიც დაშვებულად გამოცხადდა ამ ოქმის ძალაში შესვლამდე. ამ ოქმის ძალაში შესვლიდან 2 წლის განმავლობაში დასაშვებობის ახალი კრიტერიუმები შეიძლება გამოიყენონ მხოლოდ სასამართლოს პალატებმა და დიდმა პალატამ.

### **მუხლი 21**

იმ მოსამართლეთა უფლებამოსილების ვადა, რომლებიც ამ ოქმის ძალაში შესვლის დღისათვის მსახურობენ პირველი ვადით, *ipso jure* უნდა გაგრძელდეს, რათა შეადგინოს მთლიანი ცხრანლიანი ვადა. სხვა მოსამართლეები დაასრულებენ თავიანთ უფლებამოსილების ვადას, რომლიც *ipso jure* უნდა გაგრძელდეს 2 წლით.

## **მუხლი 22**

ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი ატყობინებს ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებს:

- a. ნებისმიერი ხელმოწერის შესახებ;
- b. რატიფიცირების, მიღების ან დამტკიცების ნებისმიერი სიგელის დეპონირების შესახებ;
- c. მე-19 მუხლის შესაბამისად, ამ ოქმის ძალაში შესვლის თარიღს;
- d. ამ ოქმთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა აქტის,

შეტყობინების ან მიმოწერის შესახებ. ამის დასტურად ქვემოთ ხელმომწერებმა, რომლებიც სათანადოდ უფლებამოსილი არიან, ხელი მოაწერეს ამ ოქმს.

შესრულებულია სტრასბურგში 2004 წლის 13 მაისს, ინგლისურ და ფრანგულ ენებზე, თანაბრად აუთენტურ ტექსტებად, ერთადერთ ეგზემპლარად, რომელიც დაცულია ევროპის საბჭოს არქივში. ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი უგზავნის ევროპის საბჭოს თითოეულ წევრ სახელმწიფოს დამოწმებულ ასლებს.

## ავტორის ძირითადი მონოგრაფიები, წიგნები და რედაქტირებული კრებულები:

1. ადამიანის უფლებათა დაცვის თანამედროვე გამოწვევები (რედაქტორი) 2009 წელი;
2. ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული და ეროვნული სისტემები (რედაქტორი) 2007 წელი;
3. ევროპული სტანდარტების ინტეგრაციისაკენ: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და საქართველოს გამოცდილება (მონოგრაფია) 2007 წელი;
4. ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები და მათი გავლენა საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე (რედაქტორი) 2006 წელი;
5. თანამედროვე საერთაშორისო სამართალი: პრობლემები და პრიორიტეტები, სტატიათა კრებული ეძღვნება პროფესორ ლევან ალექსიძის 80 წლის იუბილეს (თანარედაქტორი), 2006;
6. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი (თანაავტორი) 2005 წელი;
7. საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები: ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები (თანაავტორი), 2005 წელი;
8. საერთაშორისო სამართალი: ლექციების კურსი, საქართველოს პარლამენტის სასწავლო ცენტრი, 2005 წელი;
9. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციისა და მისი ოქმების სტანდარტებთან (თანაავტორი) 2004 წელი;
10. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენება საქართველოში, (მონოგრაფია) 2004 წელი;
11. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით (თანავტორობით ი. ქურდაძესთან) 2004 წელი;
12. საერთაშორისო სამართლის ლექსიკონი (თანაავტორი) 2003 წელი;
13. *The Guiding Principles on Internal Displacement and the Law of the South Caucasus: Georgia, Armenia, Azerbaijan; R. Cohen, W. Kälin & E. Mooney (Eds.) Studies in Translational Legal Policy, N34, American Society of International Law, (coauthorship), 2003;*
14. ადამიანის უფლებათა დაცვა ეროვნულ და საერთაშორისო სამართალში (რედაქტორი) 2002 წელი;
15. საქართველო და საერთაშორისო სამართალი (რედაქტორი) 2001 წელი;
16. საერთაშორისო ხელშეკრულება საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივ სამართალში (მონოგრაფია) 1998 წელი.

## ავტორის ძირითადი სტატიები იურიდიულ უურნალებსა და სხვა გამოცემებში

1. რატომ უნდა გამოვიყენოთ ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები მართლმსაჯულების განხორციელებისას? საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა, ნოემბერი, 2009 წელი, N1;
2. The Status of International Treaties on Human Rights and Their Influence of National Legislation and Practice in Georgia, in: *The Status of International Treaties on Human Rights, Science and Technique of Democracy*, N42, Venice Commission of the Council of Europe, Council of Europe Publishing, 2006;
3. სასწავლო პროგრამა და საგამოცდო სტანდარტები ადამიანის უფლებათა საერთაშორისო და ევროპულ სამართალში მოსამართლების, პროკურორების, ადვოკატებისა და მოსამართლების თანაშემწერებისათვის, ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები და მათი გავლენა საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე (რედაქტორი – კ. კორკელია) 2006 წელი;
4. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიმოხილვა, ქართული სამართლის მიმოხილვა, 9, N1/2, 2006;
5. თავისუფალი მიმოსვლისა და საცხოვრებელი ადგილის არჩევის უფლება საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, ქართული სამართლის მიმოხილვა, 7, N4, 2004;
6. ფედერალიზმი და საერთაშორისო ურთიერთობა, ფედერალიზმისა და რეგიონალიზმის პერსპექტივები სამხრეთ კავკასიაში, 2003 წელი;
7. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი როგორც კონსტიტუციის განმარტების საშუალება, ადამიანი და კონსტიტუცია, 2003 წელი, N2;
8. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და საქართველო, სამართალი, 2003 წელი, N2;
9. აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და საქართველოს კანონმდებლობით, ქართული სამართლის მიმოხილვა, 2003 წელი, N1;
10. იერარქიული უპირატესობის პრინციპის გამოუყენებლობა ადამიანის უფლებათა ეფექტური დაცვის პრინციპის მიმართ, სამართალი, 2003 წელი, N6-7;
11. აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, ქართული სამართლის მიმოხილვა, 2003 წელი, N4;
12. ექსტრადიცია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, ქართული სამართლის მიმოხილვა, 5, N1, 2002 წელი;
13. სახელმწიფოს პოზიტური ვალდებულება, უზრუნველყოს ადამიანის უფლებათა

- დაცვა, ქართული სამართლის მიმოხილვა, 5, N2/3, 2002 წელი;
14. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის განმარტების პრინციპები, ქართული სამართლის მიმოხილვა, N4, 2002 წელი;
15. საერთაშორისო ხელშეკრულების კონსტიტუციურობა საქართველოში: ზოგიერთი სამართლებრივი სიახლე, ადამიანი და კონსტიტუცია, 2002 წელი, N2;
16. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის როლი საქართველოს სასამართლოების პრაქტიკაში, ადამიანის უფლებათა დაცვა ეროვნულ და საერთაშორისო სამართალში (რედაქტორი – კ. კორკელია) 2002 წელი;
17. New Challenges to the Regime of Reservations under the International Covenant on Civil and Political Rights, *European Journal of International Law*, 2002, Vol. 13, N2;
18. კრიზისი ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში: სასამართლოს ეფექტუანოს შესანარჩუნებლად გასატარებელი საერთაშორისო და ეროვნული ღონისძიებები, ქართული სამართლის მიმოხილვა, 2002 წელი, N3/4;
19. გაეროს სამშვიდობო ოპერაციები და რეგიონული ორგანიზაციები: ზოგიერთი უახლესი განვითარება, თსუ-ს საერთაშორისო სამართლის უურნალი, 2001 წელი, ტომი IV, N1;
20. საერთაშორისო ჩვეულებითი სამართალი საქართველოს სამართლებრივ სისტემაში, საქართველო და საერთაშორისო სამართალი (რედაქტორი – კ. კორკელია), 2001 წელი;
21. ადამიანის უფლებათა დაცვა საგანგებო მდგომარეობის დროს: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და საქართველოს კანონმდებლობის შედარებითი ანალიზი, ქართული სამართლის მიმოხილვა, 2002 წელი, N3/4;
22. International Law in the Georgian Legal Order, *Columbia University Journal of East European Law*, Vol. 6, N4, 1999;
23. Treaty Law and Practice in Georgia, *Review of Central and East European Law*; Journal of Leiden University, 1999, N3;
24. The CIS Peace-Keeping Operations in the Context of International Legal Order, *On-line publication (www.nato.int)*, 1999;
25. სასამართლოს როლი საერთაშორისო ხელშეკრულების გამოყენებაში, ადამიანი და კონსტიტუცია, 1998 წელი, N1;
26. საკონსტიტუციო სასამართლო და საერთაშორისო ხელშეკრულებები, ქართული სამართლის მიმოხილვა, 1998, N4;
27. State Succession in Respect of International Treaties in Post-Independent Soviet Union: Some Reflections of the Status of Georgia; (in co-authorship; in English), *Journal of International Law*, Tbilisi State University, III, NI-II, 1998;

28. საერთაშორისო სამართლისა და შიდასახელმწიფოებრივი სამართლის თანაფარდობა საქართველოს მაგალითზე; თსუ-ს საერთაშორისო სამართლის ჟურნალი, 1997 წელი, N3;
29. საქართველოს მიერ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა შესახებ ევროპული კონვენციის რატიფიცირების სამართლებრივი და პოლიტიკური შედეგები, პოლიტიკა, 1997, N7/9;
30. New Trends Regarding the Relationship between International and National Law; *Review of Central and East European Law*; Journal of Leiden University, 1997, N2/3.

## ავტორის შესახებ

**კონსტანტინე კორკელია** – იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი (თსუ); საერთა-შორისო სამართლის მაგისტრი (წარჩინებით) (ლეიდენის უნივერსიტეტი, ნიდერლანდები); ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის პროფესორი, იურიდიული ფაკულტეტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ლატვიის რესპუბლიკაში.